ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო – სამეცნიერო ინსტიტუტი

მანანა ქარქაშაძე

ქართულ მედიოაქტიურ ზმნათა სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლების ტიპოლოგია

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე

უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი

2016

სარჩევი

შესავალი 4

1. **საკითხის შესწავლის ისტორიისათვის** 12
2. **გარდამავალი უკუქცევითი ზმნები თანამედროვე ქართულში** 55

...გარდამავალ უკუქცევით ზმნათა აღწერის პრინციპები 59
გარდამავალ უკუქცევით ზმნათა კლასიფიკაციის პრინციპები. . . . . .
გარდამავალი უკუქცევითი ზმნების სინტაქსური კლასიფიკაცია. 61
გარდამავალი უკუქცევითების სემანტიკური კლასიფიკაცია. 63
ამოსავალი გარდამავალი ზმნების მორფო-სინტაქსური მახასიათებლები. 64
ირიბი დამატების ელიმინაციით წარმოქმნილი სათავისოები 65
ა) სათავისოები, რომლებიც გულისხმობენ სუბიექტისა და ობიექტ-
პოსესორის კორეფერენტულობას. 66
ბ) სათავისოები, რომლებიც გულისხმობენ სუბიექტისა და ობიექტ-
ბენეფიციარის კორეფერენტულობას. 67
გ) სათავისოები, რომლებიც გულისხმობენ სუბიექტისა და ობიექტ-
რეციპიენტის კორეფერენტულობას. 70
გარდამავალი უკუქცევითი კონვერსივები. 72
ამოსავალი ზმნის სინონიმური სათავისო. 73
77

3. **მედიოაქტივი და გარდამავალი უკუქცევითი ზმნა** 81
.
4. **ობიექტჩართული ზმნები თანამედროვე ქართულში** 88

ობიექტჩართული უკუქცევითი ზმნის აღწერის პრინციპები. 92
. . . .
ობიექტჩართულობის მარკერი თანამედროვე ქართულში. 94
ობიექტჩართული უკუქცევითი ზმნების კლასიფიკაციის პრინციპები. 95
ობიექტჩართული უკუქცევითების სინტაქსური კლასიფიკაცია. 96
ობიექტჩართული უკუქცევითების სემანტიკური კლასიფიკაცია. 97
ა) I სინტაქსური კლასის უკუქცევითი, რომლის ლექსემით
იმპლიცირებულია pt როლის მქონე რეფერენტის კონკრეტული
მნიშვნელობა. 98
ბ) I სინტაქსური კლასის ობიექტჩართული უკუქცევითი, რომლის
ლექსემით იმპლიცირებულია pt როლის მქონე რეფერენტის პოტენციური
მნიშვნელობა. 108
გ) II სინტაქსური კლასის ობიექტჩართული უკუქცევითი, რომელიც
ლექსემით მიუთითებს Pt და Ad სემანტიკური ერთეულების შესატყვისი
რეფერენტების პოტენციურ მნიშვნელობაზე. 119
ობიექტჩართული უკუქცევითი და ანტიპასივი. 128
ფორმალური უკუქცევითი(ანტიპასივი)–Reflexiva tantum. 131

5. **მედიოაქტივი და ობიექტჩართული უკუქცევითი ზმნა** 135
.

6. მდგომარეობის აღმნიშვნელ ზმნათა უნივერსალურ-ტიპოლოგიური მახასიათებლები და პოსესიური მიმართების მარკერის ფუნქცია მდგომარეობის აღმნიშვნელ ზმნაში) 142
7. ძირითადი დასკვნები 153
გამოყენებული ლიტერატურა 167

შესავალი

წინამდებარე ნაშრომის კვლევის ობიექტია თანამედროვე ქართული ენის უმიზნო-პროცესუალური ზმნების, აქტიური სემანტიკის მქონე მედიალური ზმნური ლექსემების სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლები და ტიპოლოგია.

ამ გარდაუვალ ზმნებს ქართული ლინგვისტური ტრადიცია მედიოაქტიურ ზმნებად განიხილავს და მათ სტრუქტურულ-სემანტიკურ მახასიათებლებს გვარის გრამატიკული კატეგორიის სტრუქტურულ-სემანტიკურ ნიშნებთან მიმართებაში საზღვრავს. „საშუალია (მედიალურია) გვარი, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბ. პირი „მოქმედებს“ ისე, რომ სამოქმედო ობიექტი არ აქვს, მაგრამ ამ მოქმედებას არ „განიცდის“, როგორც ამას ადგილი აქვს ვნებითში“ (შანიძე, 1980, 280). „საშუალი გვარი მორფოლოგიურად მოქმედებითისგანაც განსხვავდება და ვნებითისგანაც: მოქმედებითისაგან – ფუნქციით, ვნებითისაგან – ფორმით... საშუალ ზმნას ფორმა მოქმედებითისა აქვს, ფუნქცია – ვნებითისა...გამოირჩევა ორი ჯგუფი: ერთი, რომელიც აქტიურ ზნებს მიჰყვება და მეორე, რომელიც პასივის ფორმა-წარმოებას იზიარებს. პირველ ჯგუფს აღვნიშნავ მედიოაქტივის სახელით, მეორეს – მედიოპასივის”(იქვე, 304). „რიცხვი ასეთი ზმნებისა საკმაოდ დიდია: თოვს, ქუხს, ქრის, ცხოვრობს, ხარობს, მეფობს, ბოლავს, წუხს,... ბანაობს, ცურაობს, ჭიდაობს,... ციგაობს, კოხტაობს“ (იქვე, 305).

თუკი მედიოაქტივებს ფორმა მოქმედებითისა აქვთ, ფუნქცია კი – განსხვავებული, ამ ზმნების მოქმედებითი გვარის ფორმებისაგან გამიჯვნის საფუძვლად მხოლოდ ფუნქცია უნდა იგულისხმებოდეს, მაგრამ, სინამდვილეში, ***წვიმს, ხარობს, ყივის, ბღავის*** ტიპის მედიალური ზმნები არა მხოლოდ ფუნქციით, არამედ რამდენიმე ფორმალურ-სტრუქტურული ნიშნითაც განსხვავდება სათანადო აქტივებისაგან. მედიოაქტივებს თავისებური (დეფექტური) პარადიგმა აქვთ თანამედროვე ქართულში. ზოგი მათგანი უღვლილებისას, მართლაც, მოქმედებითი გვარის ზმნების მსგავსად იფორმებს ფუძეს. მაგალითად, (***გორავს/გორავ-დ-ა(საშ.)***, შდრ. ***ხატავს/ხატავ-დ-ა(მოქმ)***; ***ხარობს/ხარობ-დ-ა(საშ)***, შდრ. ***აცხობს/აცხობ-დ-ა(მოქმ); წუხს/წუხ-დ-ა(საშ)***, შდრ.

წერს/წერ-დ-ა(მოქმ) და სხვა, მაგრამ ზოგი მედიოაქტიური ზმნა უწყვეტლის ფუძის გაფორმებისას ვნებითი გვარის ფორმებისათვის დამახასიათებელ წესს იცავს (***იბრძვის/იბრძ-ოდ-ა(საშ)***, შდრ. ***ირევა/ირე-ოდ-ა(ვნ)***; ***იწვის/იწ-ოდ-ა(საშ)***, შდრ. ***ირხევა/ირხე-ოდ-ა***(ვნ). გარდა ამისა, „მედიოაქტივები (აქტიური მოქმედების, შინაგანი აქტივობის გამომხატველი ზმნები) ნამყო ძირითადის წყებაში მონაცვლე ფორმების მიხედვით სამ ჯგუფად ნაწილდება: ა) იყენებს აქტიურ ფორმებს; ბ) იყენებს როგორც აქტიურ, ასევე პასიურ ფორმებს (დონიან პასივებს); გ) გვხვდება მხოლოდ აწმყოს წყებაში, ნამყო ძირითადში არა აქვს შემნაცვლებელი ფორმები“ (სუხიშვილი, 2005, 246). თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „ვნებითთან მიახლოებული მნიშვნელობა საშუალი გვარის ზმნების მხოლოდ ერთ ნაწილს შეიძლება მოეპოვებოდეს (და არავითარ შემთხვევაში ისეთ ზმნებს, როგორიცაა: ***თევზაობს, სწავლობს, ნადირობს*** და მისთნ.)“ (ჯორბენაძე, 1975, 70), კიდევ უფრო გაჭირდება იმ თვალსაზრისის გაზიარება, რომლის მიხედვითაც „საშუალ გვარს ფორმა მოქმედებითისა აქვს, ფუნქცია – პასივისა“.

თანამედროვე ქართული ენის აქტიური სემანტიკის მედიალური ზმნების ფორმალური და სემანტიკური ნიშნების განსაზღვრის ტრადიციული მეთოდი ანუ ამ ნიშნების გვარის გრამატიკულ კატეგორიასთან მიმართებაში ინტერპრეტაციის მცდელობა კიდევ ერთი თვალსაზრისით არის არადამაკმაყოფილებელი.

ისევე როგორც ნებისმიერი კატეგორიის გრამატიკული ფორმების კლასიფიკაცია, გვარის ფორმების გამოყოფა-გამიჯვნაც ხდება მათი ფორმისა და ფუნქციის მიხედვით. რაკი „საშუალ ზმნას ფორმა მოქმედებითისა აქვს, ფუნქცია – ვნებითისა“, პირველი ნიშნით (ფორმით) მედიოაქტიური ზმნა აქტივთან ერთიანდება, ხოლო მეორე ნიშნით (ფუნქციით) – ვნებითთან და მაშასადამე, გვარის კატეგორიის ტერმინებში ქართული მედიალურ ზმნათა აღწერა-ინტერპრეტაციისას, საერთოდ, არ დგას ამ ზმნათა იმანენტური ბუნებით განპირობებული ფორმისა და ფუნქციის ძიების საკითხი.

ამ პრობლემის დაძლევისა და ქართული ენის ზმნურ სისტემაში მედიოაქტივთა სტატუსის ზუსტად განსაზღვრის საჭიროებამ საფუძველი მოუმზადა მედიოაქტივების მდგომარეობის აღმნიშვნელ ზმნებად განხილვის ტენდენციას (ჩიქობავა, 1950, 51; ჯორბენაძე, 1975, 177; სუხიშვილი, 1976, 230; მელიქიშვილი, 2001, 94; მელიქიშვილი, 2002, 131; ქარქაშაძე, 2005, 253).

გრამატიკულ მდგომარეობად მოიაზრება ისეთი პროცესი (ან მოქმედება), რომელსაც არა აქვს და არც ეგულისხმება ობიექტი, რომელზეც ეს პროცესი ვრცელდება. გრამატიკული მდგომარეობა, რომელიც არ უტოლდება მდგომარეობის ზოგად ცნებას, გულისხმობს სუბიექტის სფეროთი შემოსაზღვრულ პროცესს (მოქმედებას). მდგომარეობის აღმნიშვნელი ზმნით აქცენტირებულია გარკვეულ მდგომარეობაში სუბიექტის მყოფობა და არა სუბიექტის მიზანი. „ეს არის (თუ შეიძლება ასე ითქვას) მოქმედების პროცესის სტატიკურად წარმოსახვა“ (ჯორბენაძე, 1975, 177).

სამწუხაროდ, თანამედროვე ქართულში მდგომარეობის სემანტიკის გამომხატველი ფორმალური ნიშნების გამოყოფის ყველა ცდა უპერსპექტივოდ მიიჩნიეს ქართული ზმნური სისტემით დაინტერესებულმა მკვლევრებმა და ამიტომ ქართული ენის ზმნურ სისტემაში მდგომარეობის გრამატიკული კატეგორიის არსებობის საკითხი დღემდე სადისკუსიოა და ითვლება, რომ მდგომარეობის აღმნიშვნელ ზმნათა ცალკე ჯგუფად „გამოყოფა როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში მხოლოდ მათ ფუნქციას (resp. სემანტიკას) ეყრდნობა და გრამატიკული საფუძველი არ მოეპოვება. ოღონდ ეს კია, რომ შეინიშნება „გრამატიზაციის“ ძლიერი ტენდენცია, რაც ზმნების ერთ ნაწილში უკვე ჩამოყალიბდა (***ვზივარ, ვწევარ, ვწუხვარ...***), სხვა შემთხვევაში კი შეინიშნება მერყეობა პარალელური ფორმების სახით (***ვმღერი – მღერივარ, ვჩივი – ვჩივივარ...***), სადაც მეშველზმნიანი ფორმები უმეტესად დიალექტის კუთვნილებაა. ამდენად, სტატიკურობის „გრამატიზაცია“ ახალი, შეძენილი თვისებაა (და შესანიშნავი დადასტურებაა ტენდენციისა, საკუთარი ფორმით მატერიალიზდეს ენაში არსებული ყოველი განყენებული ფუნქცია, მნიშვნელობა“ (ჯორბენაძე, 1975, 74).

წარმოდგენილ ნაშრომში ქართული მედიოაქტიური ზმნა განიხილება საგნის ან პირის მდგომარეობის გამომხატველ ატელიკურ (უმიზნო) პროცესუალურ ზმნად. იგი ასახელებს ისეთ პროცესს თუ მოქმედებას, რომელსაც არ აქვს არანაირი პერსპექტივა, გარდა მონოტონური გრძლიობისა. მედიოაქტივი გულისხმობს პროცესს, "который развивается в субъекте, субъект является внутренним по отношению к процессу... субъект одновременно является и центром и производителем процесса; он совершает нечто, что совершается в нем самом..." (ბენვენისტი, 1974, 188).

მედიოაქტივებში მდგომარეობის სემანტიკა მარკირებულია ი-პრეფიქსით, რომელიც ამ ზმნებში წარმოდგენილია თავისი უზოგადესი გრამატიკული ფუნქციით – აღნიშნავს მოქმედების შემოსაზღვრულობას სუბიექტის სფეროთი.

ენათმეცნიერებაში დამკვიდრებული და ყველა ლინგვისტის მიერ გაზიარებული თვალსაზრისით, „გრამატიკული კატეგორიების გამოყოფის ერთ-ერთი არსებითი პრინციპია ის, რომ ისინი აუცილებლად უნდა იქნენ სათანადო გრამატიკულ ფორმაში რეალიზებული. გრამატიკული კატეგორიებისაგან განსხვავებით, ფუნქციური კატეგორიები შეიძლება მატერიალიზდნენ გრამატიკული ფორმით და შეიძლება – არა. ეს არის ერთ-ერთი არსებითი ხასიათის განმასხვავებელი ნიშანი ფუნქციურ და გრამატიკულ კატეგორიებს შორის“ (გიორგობიანი, 1998, 15).

ჩვენი აზრით, მდგომარეობის გამომხატველი ზმნის (მედიოაქტივის) სტრუქტურული და სემანტიკური მახასიათებლების ნაშრომში შემოთავაზებული ინტერპრეტაცია ქმნის ქართულ ენაში მდგომარეობის გრამატიკული კატეგორიის გამოყოფისა და განსაზღვრის შესაძლებლობას, მაგრამ ამჯერად შემოვიფარგლებით მხოლოდ საკითხის დასმით და მდგომარეობის გამომხატველი გარდაუვალი ატელიკურ ზმნათა ძირითადი სტრუქტურული და ტიპოლოგიური მახასიათებლების მითითებით.

ახალ ქართულში ფიზიკური, ემოციური და მენტალური მდგომარეობის აღმნიშვნელ მედიოაქტიურ ზმნათა სემანტიკური და სტრუქტურული (და არა მხოლოდ სემანტიკური) იმანენტური ნიშნების გამოვლენა-განსაზღვრის აუცილებლობით განპიროვნებულად მოჩანს აგრეთვე ბოლო წლების ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გაძლიერებული ტენდენცია – არა გვარის, არამედ უკუქცევითობის გრამატიკული კატეგორიის ფორმალურ-სემანტიკური ნიშნების მიხედვით მედიოაქტივისა და მისი ი-პრეფიქსის ენობრივი ფუნქციის დაზუსტების მცდელობა (ჯორბენაძე, 1975, 77–83; მელიქიშვილი, 1991, 133; მელიქიშვილი, 2001, 83–84; მელიქიშვილი, 2002, 121–129).

როგორც ქვემოთ ვაჩვენებთ, ეს ტენდენციაც რამდენიმე სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდება და, ჩვენი აზრით, მას უნდა გაუჭირდეს დამკვიდრება საენათმეცნიერო წრეებში.

უკუქცევითობის თეორიის მომხრეები ვერ თანხმდებიან ორ პრინციპულ საკითხში:

I. რა ტიპის უკუქცევითი ზმნაა ქართული მედიოაქტივი:
   ა) სათავისო, რომელიც აღნიშნავს სუბიექტის მოქმედებას თავის „სასარგებლოდ“ ან „საზიანოდ“;

ბ) უკუქცევითი ზმნა (რეფლექსივი) შინაგანი პირდაპირი ობიექტით, „შინაგანი გარდამავლობით“;

გ) უკუქცევითი ზმნა, რომელიც გამოხატავს უკუქცევითობის გრამატიკული კატეგორიის უზოგადეს მნიშვნელობას – მოქმედების უკუქცევას სუბიექტზე;

დ) უმიზნო-პროცესუალური ზმნა, რომელიც უკუქცევითობის სტრუქტურულ-სემანტიკურ ნიშნებს იყენებს ასპექტური მნიშვნელობის გამოსახატავად.

II. მედიოაქტივის ი-პრეფიქსიანი პარადიგმატული ფორმები ლექსიკურად შესატყვისი აქტივისგან „ნასესხები“ ფორმებია თუ მედიოაქტივთა სემანტიკური ნიშან-თვისებებით განსაზღვრული ორგანული ფორმები.

„უკუქცევითობის თეორიის“ მომხრეები სხვადასხვაგვარად საზღვრავენ აგრეთვე ი-პრეფიქსის ფუნქციას მედიოაქტივთა პარადიგმატულ ფორმებში. მკვლევართა ის ნაწილი, რომელიც მედიოაქტივების ი-პრეფიქსიან ფორმებს სათანადო ფუძის გარდამავალი ზმნების სათავისო ქცევის “ნასესხებ” ფორმებად მიიჩნევს, მედიოაქტიური ზმნების ი-პრეფიქსს სათავისო ქცევის ნიშნად მოიაზრებს, თუმცა აღიარებს, რომ ამ ფორმებს ქცევის გაგება არა აქვთ (შანიძე, 1980, 473) ან თვლის, რომ მედიოაქტიურ ზმნათა კლასი არის „ზმნების დიდი კლასი, რომელიც ქცევით აწარმოებს ასპექტურ დაპირისპირებებს“ (მელიქიშვილი, 2002, 123). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ადრეც დაისვა მედიოაქტივების ი-პრეფიქსთან ასპექტის გამოხატვის ფუნქციის დაკავშირების საკითხი, მაგრამ ი-პრეფიქსიანი ფორმები არა ნასესხებ, არამედ მედიოაქტიურ ზმნათა პარადიგმის ორგანულ, საკუთარ ფორმებად იქნა კვალიფიცირებული (ნოზაძე, 1974, 50).

მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ი-პრეფიქსი მედიოაქტივებშიც და ყველა სხვა ტიპის ზმნაშიც უკუქცევითობას გამოხატავს, „უკუქცევითობა წარმოადგენს ი-პრეფიქსის ზოგად, ამ ფორმანტის მქონე ყველა ფორმისათვის საერთო ფუნქციას“ (ჯორბენაძე, 1983, 107); „ი-პრეფიქსი ზმნას ანიჭებს უკუქცევით მნიშვნელობას ანდა უფრო მკვეთრად გამოხატავს მისი შინაარსის სუბიექტურ აღქმას” (მარი, 1925, 136–137). არსებითად ასეთივეა მოსაზრება, რომლის თანახმად, მედიოაქტივები მყოფად-წყვეტილის ჯგუფის მწკრივებს აწარმოებენ ი-პრეფიქსის საშუალებით, რომელიც ავტოტივებშიც (მედიოაქტივებში) და პასივებშიც რეფლექსივის ნიშანია (მელიქიშვილი, 2001, 83–85).

ყველა ზემოაღნიშნულ თვალსაზრისს უპირისპირდება მოსაზრება, რომლის მიხედვით, მედიოაქტივების ი-პრეფიქსის „მორფოლოგიური ფუნქცია მოცემულ ეტაპზე დაბნელებულია“ (ნოზაძე, 2005, 205). ეს თვალსაზრისი, ფაქტობრივად, გამორიცხავს თანამედროვე ქართული ენის მედიოაქტიური ზმნებისა და ამ ზმნებში დადასტურებული ი-პრეფიქსის სემანტიკისა და ფუნქციის ადეკვატურად განსაზღვრის შესაძლებლობას.

ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში დაისვა აგრეთვე მედიოაქტივების შინაგანად გარდამავალ, შინაგანი პირდაპირი ობიექტის შემცველ ზმნებად განხილვის საკითხიც, მაგრამ მედიოაქტივების შინაგანი პირდაპირი ობიექტის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით. „ამ ზმნებს შინაგანი გარდამავლობა ახასიათებთ: ისინი შინაგანად შეიცავენ პირდაპირ ობიექტს (***აკანკალებს ის მას***, მაგრამ ***კანკალებს ის თვითონ***, ***ამეფებს ის მას***, მაგრამ ***მეფობს ის თვითონ***...)“ (მელიქიშვილი, 2001, 84). ასევე გამოთქმულია მოსაზრება, რომ „პირდაპირი ობიექტი აღნიშნულ ზმნებთან „შინაგანი ობიექტის“ სახით უნდა გვქონდეს. ***იმეფა, ისერა, ინადირა, ურქინა, უწამლა***... ზმნათა პირდაპირი ობიექტია, ჩვენი აზრით, მეფე, სერი, ნადირი, რქა, წამალი...“ (ნოზაძე, 1974, 48–51). სხვა თვალსაზრისით, მედიოაქტივების შინაგან გარდამავლობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მედიოაქტივები სივრცის, დროის ან ზომის აღმნიშვნელ სახელებს მართავენ პირდაპირი ობიექტის ბრუნვებში – სახელობითსა და მიცემითში: ბევრი ისმინე, მაგრამ ცოტა ილაპარაკე... (იხ. სუხიშვილი, 1990, 30).

მედიოაქტივების შინაგანი პირდაპირი ობიექტის შემცველ, შინაგანად გარდამავალ ზმნებად განხილვის მომხრეები არ აზუსტებენ, რამდენად შეიძლება დაუკავშირდეს მედიოაქტივების „შინაგანი პირდაპირი ობიექტი“, მათი „შინაგანი გარდამავლობა“ ამ ზმნების პარადიგმატულ ფორმებში პოსესიურობის ი-პრეფიქსის ფუნქციონირებას.

მედიოაქტივთა სემანტიკურ სტრუქტურაში პირდაპირი ობიექტის როლის შემსრულებელი რეფერენტის არსებობის დასაბუთების შემთხვევაში გამოიკვეთებოდა მნიშვნელოვანი ენობრივი მოვლენის, კერძოდ, თანამედროვე ქართულში მედიოაქტივებისა და აქტივების სტრუქტურულ-სემანტიკური მსგავსების ამხსნელი სერიოზული არგუმენტი, რომ არა ორი გარემოება: 1) მკვლევრები სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ ქართულ მედიოაქტივთა შინაგან პირდაპირ ობიექტს და, აქედან გამომდინარე, გაურკვეველი რჩება, მედიოაქტიური ზმნით დასახელებული სიტუაციის რომელ მონაწილეს უნდა მიეწეროს შინაგანი პირდა-

პირი ობიექტის სემანტიკური როლი; 2) ტიპოლოგიური მონაცემების მიხედვით, შინაგანი ობიექტის შემცველი, უფრო ზუსტად, ობიექტჩართული ზმნები, სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლებით არსებითად განსხვავდებიან იმ უმიზნო-პროცესუალური გარდაუვალი ზმნებისაგან, რომლებიც, ქართული ლინგვისტური ტრადიციის თანახმად, მედიოაქტიური ზმნებია.

ქართული ენის მედიოაქტიური ზმნების სემანტიკასა და მათ მორფოლოგიურ სტრუქტურაში დადასტურებული ი-პრეფიქსის ფუნქციასთან დაკავშირებული თვალსაზრისების ასეთი ნაირგვარობა, ერთი მხრივ საკითხის აქტუალურობაზე მიუთითებს, მეორე მხრივ კი ცხადყოფს, რომ ქართულ ენათმეცნიერებაში ჯერაც არ არის საკმარისად დაზუსტებული უკუქცევითი ან ობიექტჩართული ზმნური ლექსემების აღწერისა და კლასიფიკაციის კრიტერიუმები, რის გარეშეც შეუძლებლად გვესახება მედიოაქტიური, უკუქცევითი და ობიექტჩართული ზმნების ურთიერთმიმართების განსაზღვრა ქართულში.

რადგან სპეციალურ ლიტერატურაში მედიოაქტიური ზმნების სტრუქტურულ-სემანტიკური ნიშნები ძირითადად განიხილება გარდამავალი უკუქცევითების (სათავისოების) ან გარდაუვალი ობიექტჩართული უკუქცევითების სტრუქტურულ-სემანტიკურ ნიშნებთან კავშირში, წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს: ა) თანამედროვე ქართული ენის მედიოაქტიური, გარდამავალი უკუქცევითი და გარდაუვალი ობიექტჩართული ზმნების აღწერას დიათეზათა უნივერსალურ-ტიპოლოგიური კონცეფციის კრიტერიუმებით, რომლებიც ქმნიან ტიპოლოგიურად განსხვავებულ ენათა ზმნური ლექსემების ერთსახოვანი აღწერისა და შედარება-შეპირისპირების შესაძლებლობას; ბ) ერთი მხრივ მედიალური ზმნების და მეორე მხრივ გარდამავალი უკუქცევითებისა და გარდაუვალი ობიექტჩართული ზმნების ტიპოლოგიური მახასიათებლების გათვალისწინებით იმის ჩვენებას, თუ რამდენად გამართლებულია ქართული მედიოაქტივების უკუქცევით ან ობიექტჩართულ ზმნებად განხილვა.

დიათეზათა თანამედროვე თეორიის პრინციპებით ამა თუ იმ ენის ზმნური ლექსემების ერთგვაროვანი აღწერა ამ ლექსემების სტრუქტურულ და სემანტიკურ მსგავსება-განსხვავებასაც ცხადად წარმოაჩენს და ფართო უნივერსალურ-ტიპოლოგიური დასკვნების გაკეთების აუცილებელ წინაპირობასაც ქმნის.

თანამედროვე ქართულში მედიოაქტივები, უკუქცევითი და ობიექტჩართული ზმნები რიცხობრივად დიდ ლექსიკურ-სემანტიკურ კლასებს ქმნიან, სემანტიკური ნაირგვარობით ხასიათდებიან და ამდენად, მედიალური, ობიექტჩართული ან

გარდამავალი უკუქცევითი ზმნური ლექსემების უნივერსალურ-ტიპოლოგიური ნიშნების კვლევისათვის ქართული ენის მონაცემები უაღრესად საგულისხმოა. ნაშრომი მიზნად არ ისახავს ქართული ენის გარდამავალი უკუქცევითების ან გარდაუვალი ობიექტჩართული ზმნების ამომწურავ კლასიფიკაციას. არ შევეხებით არც ქართული მედიალური (მედიოაქტიური), ამ ერთ-ერთი უძველესი კატეგორიის ზმნათა უღვლილების სპეციფიკის განმაპირობებელ ფაქტორებს, რადგან ეს საკითხი ცალკე შესასწავლ ობიექტად მიგვაჩნია. ჩვენ გვაქვს რამდენიმე კონკრეტული ამოცანა:

1) საგნის ან პირის მდგომარეობის აღმნიშვნელი ატელიკურ-პროცესუალური ზმნების ტიპოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით ფიზიკური, ემოციური და მენტალური მდგომარეობის აღმნიშვნელი ზმნური ლექსემების–მედიოაქტივების სტრუქტურული და სემანტიკური ნიშნების წარმოჩენა;

2) მედიოაქტივებთან შეპირისპირების მიზნით გარდამავალი უკუქცევითებისა და გარდაუვალი ობიექტჩართული ზმნების აღწერა-კლასიფიკაციის პრინციპების დაზუსტება და ტიპოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით ამ ზმნათა რამდენიმე ლექსიკური ჯგუფის სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლებისა და ფუნქციის განსაზღვრა ქართულში;

3) პოსესიურ მიმართებათა მარკერის – ი-პრეფიქსის ფუნქციის დაზუსტება მდგომარეობის აღმნიშვნელ მედიოაქტიურ ზმნებში;

4) გარკვევა იმისა, თუ რამდენად მართებულია ქართული მედიოაქტივების სტრუქტურულ-სემანტიკური ნიშნების განსაზღვრა გარდაუვალი ობიექტ-ჩართული ან გარდამავალი უკუქცევითების (სათავისოების) სტრუქტურულ-სემანტიკურ ნიშნებთან მიმართებაში;

5) პირის ან საგნის მდგომარეობის აღმნიშვნელ ზმნათა უნივერსალურ-ტიპოლოგიური მახასიათებლების გათვალისწინებით იმის გარკვევა, ქართული მედიოაქტივის პარადიგმატული ფორმები ამ ზმნური ლექსემის სემანტიკური თავისებურებებით განპირობებული ორგანული ფორმებია თუ „ნასესხები“, რაც არსებითია თანამედროვე ქართულში მდგომარეობის აღმნიშვნელ ატელიკურ-პროცესუალურ ზმნათა (მედიოაქტივთა) დამოუკიდებელი პარადიგმის არსებობა-არარსებობის თეორიული პრობლემის გადასაჭრელად.

წარმოდგენილ ნაშრომში მედიოაქტიური, გარდამავალი უკუქცევითი და გარდაუვალი ობიექტჩართული ზმნის სტრუქტურულ-სემანტიკური ნიშნები განისაზღვრა იმის მიხედვით, თუ რა ტიპის მიმართებას ქმნის თითოეული მათგანი ლექსიკურად შესატყვის გარდამავალ ზმნასთან; გაანალიზდა, რამდენად ერთგვაროვანია ეს მიმართებები და ამის საფუძველზე გაკეთდა ყველა ძირითადი დასკვნა.

თავი I

საკითხის შესწავლის ისტორიისათვის

მედიალური ზმნების სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლების კვლევას ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგრამ მედიალური ზმნების სტატუსთან დაკავშირებული ვერც ერთი დღემდე არსებული თვალსაზრისი სრულად ვერ ითვალისწინებს ამ ენობრივ ერთეულთა ნაირგვარ (ხშირად კონტექსტურ) მნიშვნელობას. აქედან გამომდინარე, ლინგვისტურ ლიტერატურაში ტერმინი „მედიალური ზმნა“ ხშირად „სამუშაო ტერმინად“ აღიქმება და არა განსაზღვრული გრამატიკული ერთეულის აღმნიშვნელად. ჩვენც, ფაქტობრივად, სამუშაო ტერმინის მნიშვნელობით ვიყენებთ ტერმინებს: „მედიალური ზმნა“, “მედიოაქტიური ზმნა”. წინამდებარე ნაშრომში მედიოაქტიურ ზმნებს ვუწოდებთ აქტიური ატელიკური პროცესების, სუბიექტის აქტიურ მდგომარეობაში ყოფნის გამომხატველ გარდაუვალ ზმნებს, თუმცა ვითვალისწინებთ ენათმეცნიერებაში, კერძოდ, კლასიკურ ინდოევროპეისტიკაში დამკვიდრებულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით, ერთიან განსაზღვრულობას მოკლებულ მედიუმში, ამ უძველეს კატეგორიაში, საკმაოდ ადრე აირია ერთმანეთში თავდაპირველად განსხვავებული კატეგორიები, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო გარდაუვალ სტატიკურ ზმნათა კატეგორია (შმიდტი, 1972, 306; პერელმუტერი, 1977, 37–41).

მედიალური ზმნების ფორმალურ-სემანტიკურ ნიშნებს ტრადიციულად განსაზღვრავენ გვარის კატეგორიასთან მიმართებით. ამ ტრადიციას სათავე დაუდო ელინისტური პერიოდის სახელგანთქმული რიტორისა და გრამატიკოსის

დიონისე თრაკიელის ნაშრომმა, რომელიც ბერძნული ენის გრამატიკულ მიმოხილვას წარმოადგენს. ფაქტობრივად, დიონისე თრაკიელმა შემოიტანა გვარის ცნება და გამოყო სამი სახე: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი (იგივე მედიუმი).

ნაშრომში „ზმნის ძირითადი კატეგორიებისათვის ბერძნულში“ თ. გიორგობიანი მიმოიხილავს დიონისე თრაკიელის კონცეფციას და აჩვენებს მის წინააღმდეგობრივ ხასიათს.

„მიაჩნიათ, რომ გვარის კატეგორიის თვალსაზრისით, თვით ტერმინი „საშუალი“, იგივე მედიალური გვარი, მოკლებულია ყოველგვარ გრამატიკულ მნიშვნელობას. ე.წ. საშუალი გვარის გამოყოფა, ჯერ კიდევ ანტიკურ გრამატიკაში, იყო ერთგვარი გამოსავალი – გამოეყოთ ის მეტად თავისებური ფორმები, რომლებიც არც მოქმედებითი გვარისა იყო და არც ვნებითისა. ამრიგად, საშუალი გვარი ისაა, რაც არც მოქმედებითია და არც ვნებითი, ე.ი. საშუალია და იმავდროულად ორთავეს თვისებასაც იზიარებს.

„საშუალი გვარის“ გამოყოფა და დახასიათება იმ სახით, როგორადაც იგი ზოგიერთ თანამედროვე გრამატიკაშია მოცემული, ფაქტობრივად, დიონისე თრაკიელს ეკუთვნის და არსებითი ხასიათის ცვლილება არ განუცდია – ერთი ფორმა გამოხატავს მოქმედებას, მეორე – განცდას, ხოლო მათ შორის შუალედად გვევლინება ისეთი ფორმა, რომელიც თავისი გარეგნული ნიშნებით (ფორმით) განეკუთვნება ამ ორიდან ერთს, ხოლო მნიშვნელობით – მეორეს. აი, ეს არის დიონისე თრაკიელის კონცეფციის საფუძველი ... როგორც ამას შტაინთალი ვარაუდობდა, ძველ საბერძნეთშივე შეიქმნა მოსაზრება მედიუმის უკუქცევითი ბუნების თაობაზე. ეს ფაქტი მრავლისმეტყველია და იმაზე მიუთითებს, რომ ადრევე გახდა აუცილებელი ე.წ. მედიალური ფორმები თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი თვისების მიხედვით დახასიათებულიყო.

ენათა აბსოლუტურ უმრავლესობაში „საშუალი გვარის“ გამოყოფის საფუძველი მხოლოდ ფუნქცია იყო. მართალია, ცდილობდნენ „საშუალი გვარი“ ფორმის მიხედვითაც დაეხასიათებინათ, ე.ი. გამოეყოთ მისთვის სპეციალური მოდელი, ფორმა, მაგრამ ეს ცდები უშედეგოდ მთავრდებოდა. მიზეზი კი ისაა, რომ აღნიშნული ფორმებისათვის მედიალურობა მხოლოდ ერთ-ერთი ფუნქცია იყო. გარდა ამისა, თვით ტერმინი „საშუალი გვარი“ არავითარ გრამატიკულ ცნებას არ შეიცავს და, ბუნებრივია, არც რომელიმე გრამატიკული ფორმის დასახასიათებლად გამოდგება. ეს არსებითი წინააღმდეგობა ენათმეცნიერებს

შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. წინააღმდეგობა გაჩნდა ჯერ კიდევ ძველინდურ (პანინის) გრამატიკაში, სადაც გამოყოფილი იყო გვარის ორი – აქტიური და მედიალური ფორმა. პანინიმ დაადგინა მედიუმისთვის დამახასიათებელი მთელი რიგი მნიშვნელობებისა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მედიუმი, როგორც გვარის გარკვეული მნიშვნელობის მქონე ერთიანი გრამატიკული ფორმა, არც ძველ ინდურ ენაში უნდა არსებულიყო. ირკვევა, რომ თრაკიელთან ის მხოლოდ ფორმისა და ფუნქციის აღრევის შედეგად იყო გამოყოფილი“ (გიორგობიანი, 1998, 19–20).

პანინისა და დიონისე თრაკიელის გრამატიკებში მოცემული განმარტება მედიალური ზმნებისა სადავოდ არის მიჩნეული აგრეთვე მ. სუხიშვილის ნაშრომში „სემანტიკის და უღვლილების პარადიგმის მიმართების შესახებ მედიოაქტიურ ზმნებში“.

„ა. მეიე ერთგან შენიშნავს: ე.წ. საშუალი გვარის ზმნებს ყოველთვის ის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რომელსაც საერთოდ მიაწერდნენ ხოლმეო“ (მეიე, 1938, 245). ამ შენიშვნიდან გარკვევით იკითხება როგორც ტერმინის – საშუალი გვარი– პირობითობა, ასევე, ამ ტერმინით სახელდებული გრამატიკული ცნების ამორფულობა. მართლაც, დიონისე თრაკიელიდან მოყოლებული სადავო და ბუნდოვანია განსაზღვრა საშუალი გვარისა, რომელიც არც მოქმედებითია და არც ვნებითი, მაგრამ ორივეს თვისებას ამჟღავნებს. საშუალი გვარის ასეთი განსაზღვრა გრამატიკებში თითქმის უცვლელად გადადიოდა და მას კომპარატივისტებმაც ვერ აუარეს გვერდი. გარკვეული შეუსაბამობაა საშუალი გვარის ძველინდური გრამატიკის პანინისეულ განსაზღვრებაშიც, რომელიც დღეისათვის ყველაზე უფრო ზუსტი ჩანს. მედიუმის პანინისეული განმარტება ātmanepada „სიტყვა თავის თავთან მიმართული“, „სიტყვა თავისთვის“, საშუალი გვარის ზმნათა ნაირგვარ მნიშვნელობებს სრულად ვერ ითვალისწინებს“ (სუხიშვილი, 2005, 238). ავტორი აქვე მიუთითებს ო. სემერენის ჩვენთვის მეტად საგულისხმო შენიშვნაზე: „ამ ფუნქციიდან ამოსვლით მედიუმისთვის შეიძლება სუბიექტურიც დაგვერქმიაო“ (სემერენი, 1980, 270).

ე. ბენვენისტი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მედიუმის სემანტიკური ნიშნების განსაზღვრის ტრადიციული პრინციპით ვერ ხერხდება მედიუმის, როგორც გრამატიკული კატეგორიის, ერთმნიშვნელობიანი დახასიათება:

"Что касается общего значения среднего залога, то здесь мнения лингвистов почти совпадают. Отказавшись от определения, данного греческими грамматистами, лингвисты

в настоящее время исходят из различия, которого Панини с поразительной для его времени проницательностью установил между **parasmaipada** "слово для другого" (=актив) и **ātmanepada** "слово для себя" (=медиум). Если понимать это различие буквально, оно действительно вытекает из оппозиции, подобных той, которую отмечал индийский грамматист: санскр. yajati "он совершает жертвоприношение" (для кого-либо другого, в качестве жреца) и yajate "он приносит жертву" (для себя самого, в качестве жертвователя). Подобное определение в общих чертах, несомненно, соответствует действительности. Однако оно не применимо в таком виде ко всем фактам, даже в санскрите и не учитывает весьма разнородных значений среднего залога. Если взять индоевропейские языки в целом, то факты представляются часто настолько разнообразными, что для того, чтобы охватить их все, приходится довольствоваться весьма расплывчатой формулой, которая почти дословно повторяется у всех компаративистов: средний залог, по-видимому, указывает только определенное отношение между действием и субъектом, а именно "заинтересованность" субъекта в действии. Более точное определение среднего залога, по-видимому, невозможно, ибо пришлось бы перечислять частные употребления, в которых средний залог имеет узкое значение – посессивности, возвратности, взаимности и т.п. Приходится, таким образом, перескакивать от очень общего определения к очень частным примерам, разделенным на небольшие группы и весьма неоднородным" (ბენვენისტი, 1974, 186). ინდოევროპული მედიალური ზმნების ინვარიანტულ, საერთო სემანტიკურ ნიშანს ე. ბენვენისტი შემდეგნაირად განმარტავს:

"В активном залоге глаголы означают процесс, который исходит из субъекта и развивается вовне. В среднем залоге, который представляет собой диатезу, определяемую через оппозицию с первой, глагол указывает процесс, который развивается в субъекте; субъект является внутренним по отношению к процессу... Здесь субъект выступает как место протекания процесса... субъект одновременно является и центром и производителем процесса; он совершает нечто, что совершается в нем самом" (იქვე, 188).

ე.წ. მედიალური ზმნების ინვარიანტული სემანტიკური ნიშნის ბენვენისტისეული დეფინიციით, რომლითაც წარმოჩნდება ამ ენობრივი ერთეულების იმანენტური ბუნება, შესაძლებელი ხდება მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩენილი, გვარის საპირისპირო ფორმების გარეშე არსებული, media tantum-ის საერთო ფორმულაში მოქცევა და იმ წინააღმდეგობების თავიდან აცილება, რომლებიც ახლავს მედიუმის ადრინდელ განმარტებებს. ეს ტრადიციულად

ქცეული ინტერპრეტაციები ან საერთოდ ვერ საზღვრავენ მედიუმის სტატუსს (მედიუმი არც აქტივია, არც პასივი; ის შუალედურია – დიონისე თრაკიელი), ან მრავალმნიშვნელობიანი მედიუმის მხოლოდ ერთ ფუნქციას ასახელებენ („სიტყვა თავისთვის“ – პანინი). ამასთანავე, ბენვენისტი სწორ შეფასებას აძლევს კომპარატივისტთა საერთო ტენდენციას – მედიუმის გამოცხადებას მოქმედების შესრულებით სუბიექტის დაინტერესებულობის აღმნიშვნელ კატეგორიად, რაც, ჩვენი აზრით, სხვა არაფერია, თუ არა პანინის თვალსაზრისის პერიფრაზი და იმავე წინააღდეგობას აწყდება, რასაც ეს თვალსაზრისი.

ე. ბენვენისტის კონცეფციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მედიუმის სტატუსის დადგენა არ ხერხდება არც აქტივ-პასივის ანუ გვარის სტრუქტურულ-სემანტიკურ ნიშნებთან და არც რომელიმე ისეთ კატეგორიასთან მიმართებით, რომლის სემანტიკა სუბიექტისა და ობიექტის კორელაციით განისაზღვრება. აქედან გამომდინარე, მედიუმის ფუნქცია არ დაიყვანება გვარის ან უკუქცევითობის გრამატიკულ ფუნქციამდე.

ეს თვალსაზრისი ჩვენთვის უაღრესად საყურადღებოა, რადგან, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ქართული მედიალური ზმნა ლინგვისტურ ლიტერატურაში განისაზღვრება ან გვარის, ან უკუქცევითობის გრამატიკულ კატეგორიებთან მიმართებით.

გ. კლიმოვის აზრით, ძველი ინდოევროპული ენების აქტიურ და მედიალურ ზმნათა ოპოზიციის ფუნქცია შეიძლება შეედაროს ექსტროვერტული და ინტროვერტული ვერსიული ფორმების ოპოზიციის ფუნქციას აქტიური წყობის ენებში, რომლებისთვისაც სრულიად უცხოა გვარის გრამატიკული კატეგორია.

"Поскольку в представителях активного строя отсутствует какое-либо противопоставление переходности-непереходности в глаголе, в них неизветсна такая специфическая категория транзитивного глагола номинативных языков, как залог. Даже в морфологической структуре активного глагола, характеризующейся в некоторых из них двуличным принципом спряжения, оказывается невозможным отразить точку зрения только какого-нибудь одного из обоих обозначаемых при этом участников ситуации – субъекта или объекта, вследствие чего реальные отношения действительности здесь всегда получают иконическое отображение. Нетрудно заметить, что положение отражает самую сущность активного строя, структурные компоненты которого не ориентированы на передачу субъектно-объектных отношений.

В то же время чрезвычайно яркой чертой морфологии активного глагола рассматриваемых языков, резко обособляющей его от транзитивного глагола языков эргативной типологии, является функционирование в нем специфической диатезы незалогового характера... Функция этой диатезы сводится к противопоставлению центробежной и нецентробежной версий (extrovert–introvert contrast), уже приобретшего в историко-типологическом исследовании целого ряда языковых семей статус важнейшей структурной характеристики глагола. Форма первой обозначают распространение действия за пределы активного актанта, вторая – его замкнутость в актанте. Для более отчетливого представления о сущности этого противопоставления оно может быть сопоставлено с функцией оппозиции активных и медиальных форм древнеиндоевропейского глагола. По словам Э. Бенвениста, в последней "достаточно ясно вырисовывается основа чисто языкового различия, связанного с отношением между субъектом и процессом. В активном залоге глаголы означают процесс, который исходит из субъекта и развивается вовне. В среднем залоге, который представляет собой диатезу, определяемую через оппозицию с первой, глагол указывает процесс, который развивается в субъекте; субъект является внутренним по отношению к процессу" (ბენვენისტი, 1974, 188).

Из сказанного следует, что в условиях обычной диффузности интенции активного глагола в плане субъектно-объектных отношений версионная диатеза служит важнейшим средством, конкретизирующим семантику глагольной словоформы в этом аспекте" (კლიმოვი, 1977, 139–141).

გ.კლიმოვის აზრით, ექსტროვერტულობა-ინტროვერტულობის მიხედვით უპირისპირდებიან ერთმანეთს აქტიური წყობის ენებში ქართული ***აძინებს*** და ***ძინავს***, ***აღვიძებს*** და ***ღვიძავს***, ***მიჰყავს*** და ***მიდის***, ***ათბობს*** და ***თბება***, ***მიათრევს*** და ***მიხოხავს***... ზმნების სემანტიკური ეკივალენტები (კლიმოვი, 1977, 139–141).

შენიშვნა: ინტროვერტულ ვერსიულ (და არა გვარის) ფორმებთან დაკავშირებულად წარმოიდგენს გ. კლიმოვი არა მხოლოდ ინდოევროპულ მედიუმს. მისი აზრით, შესაძლებელია ქართული ***ი-რბინა, ი-ცურა, ი-ტირა*** ზმნებისა და მათი ი-პრეფიქსის მნიშვნელობის დაკავშირებაც ისტორიული ინტროვერტული ვერსიის სემანტიკასთან (კლიმოვი, 1977, 227).

მედიალურ ზმნათა ის ნაწილი, რომლის სტრუქტურულ-სემანტიკური და ტიპოლოგიური მახასიათებლების კვლევასაც ეძღვნება წარმოდგენილი ნაშრომი, აქტიური სემანტიკის მქონე ზმნებია. ამაზე მიუთითებს მათი ტრადიციული სახელწოდებაც „მედიოაქტივი“.

ამ მხრივაც საგულისხმოა მონაცემები აქტიური ტიპოლოგიის ენებისა, რომელთა სტრუქტურული თავისებურებები მთლიანად მოტივირებულია სახელური და ზმნური ლექსემების ბინარული კლასიფიკაციით – ამ ენობრივი ერთეულების აქტიურობა-ინაქტიურობის მიხედვით დაჯგუფებით. "Активный строй можно коротко определить как такой тип языка, структурные компоненты которого ориентированы на передачу не субъектно-объектных отношений, а отношений, существующих между активным и инактивным участниками пропозиции. В соответствии с этим глаголы лексикализованы в нем по признаку активности-стативности "действия", а не транзитивности-интранзитивности, а субстантивы разделены на активные (одушевленные) и инактивные (неодушевленные). Соответственно, в синтаксисе здесь выступает корреляция активной и инактивной конструкции предложения, а также ближайшего и дальнейшего дополнений, и в морфологии – оппозиция активной и инактивной серий личных показателей глагола или активного и инактивного падежей имени и т.п." (კლიმოვი, 1977, 4).

თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ერთობლივ მონოგრაფიაში "Индоевропейский язык и индоевропейцы", რომელშიც პრაინდოევროპული ენა რეკონსტრუირებულია, როგორც აქტიური ტიპოლოგიის ენა, ქართული მედიოაქტივების სემანტიკური ეკვივალენტები განიხილება აქტიურ ზმნებად:

"Предположение о наличии в индоевропейском двух именных классов, противопоставляемых друг другу по признаку активности-инактивности денотатов, которые выражаются соотвутствующими именами, индуцирует разбиение всего множества глагольных образований на два основных класса, соотносимых с соответствующими именными классами: на класс глагольных форм, сочетающихся с активными именами и на класс глагольных форм, сочетающихся с инактивными именами.

Это приводит, в свою очередь, к естественному делению всего множества глаголов на два семантических класса: на класс глагольных форм с активной семантикой – ходить, гнать/бежать, губить/гибнуть, есть, жить, дышать, говорить, смеяться, убивать, расти и др. (то есть выражающих действие или состояние характерное для активных денотатов)" (გამყრელიძე, ივანოვი, 1984, 275).

სუბიექტის აქტიური მდგომარეობის აღმნიშვნელი გარდაუვალი ზმნების (მედიოაქტივების) სემანტიკურ და სტრუქტურულ-პარადიგმატულ ნიშნებს ქართული ლინგვისტური ტრადიცია გვარის გრამატიკულ კატეგორიასთან მიმართებით განსაზღვრავს, რაც, როგორც წარმოდგენილი ნაშრომის შესავალში

აღვნიშნეთ, სერიოზულ წინააღმდეგობებს აწყდება და ამ პრინციპის გადასინჯვა-შესწორებას მოითხოვს.

თავის მონოგრაფიაში „ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში“ ბ. ჯორბენაძე ხაზს უსვამს ე.წ. მედიოაქტიური ზმნების ტრადიციული განმარტების არაადეკვატურობას იმით, რომ ამ ზმნებს ტოვებს „გვარის ფარგლებში“, მაგრამ მათ სემანტიკას აზუსტებს დამატებითი განმასხვავებელი საკლასიფიკაციო ნიშნით – უკუქცევითობით; ავტორი მედიოაქტივებს მოქმედებითი გვარის უკუქცევით ფორმად მიიჩნევს.

„...შეიძლება ითქვას, რომ ***ატირებს–ტირის***, ***ამღერებს–მღერის*** ტიპის ფორმები ერთმანეთს უპირისპირდებიან არა გვარის (ყველა მოქმედებითი გვარისაა, აქტიურია), არამედ უკუქცევითობის თვალსაზრისით (***ატირებს***, ***ამღერებს*** – უკუქცევია, ***ტირის***, ***მღერის*** – უკუქცევითი). დაპირისპირება თანამედროვე ქართულში ფუნქციურად ხდება (გარდა გამონაკლისი ***ამღერებს–იმღერს*** ტიპის ფორმებისა), მაგრამ ისტორიულად უკუქცევით ფორმებს თავისი ნიშანიც მოეპოვებოდა (ი-ფორმანტი) და დაპირისპირება ფორმობრივადაც გამიჯნული იყო; ზოგჯერ ეს ძველი ვითარება დიალექტშია შემორჩენილი; მაგალითად, ***იცხოვრის*** ტიპის ფორმები აჭარულში ნაცვლად ***ცხოვრობს*** ფორმისა... გვარი გრამატიკული კატეგორიაა, მაგრამ თვით ერთი (მაგალითად, მოქმედებითი) გვარის ფარგლებში შემავალი ყველა ფორმა არ არის ერთგვაროვანი, საჭიროებს დამატებით კლასიფიკაციას. ამ შემთხვევაში ეს დამატებითი კლასიფიკაცია, არსებითად, აღნიშნულ ფორმათა განსხვავებულ ფუნქციას ემყარება, თუმცა აღმოჩნდა, რომ ისტორიულად მათ შორის ფორმობრივი განსხვავებაც უნდა ვივარაუდოთ (ე.ი. ერთი გვარის განსხვავებულ ფორმებს განმასხვავებელი ნიშანიც მოეპოვებოდა, რომელიც უკუქცევითობის თვალსაზრისით აპირისპირებდა მათ. აქედან გამომდინარე, გვარი უფრო ზოგადი კატეგორიაა, ვიდრე უკუქცევითობა, გვარი მოიცავს უკუქცევითობას, მაგრამ უკუქცევითობა ვერ მოიცავს გვარს, იგი მხოლოდ გვარის ერთი ფორმის ფარგლებში მოქმედებს, გვარის მხოლოდ ერთი ფორმის დამატებითი საკლასიფიკაციო ნიშანია. ამდენად, ქართულში ზმნის აქტიურობა-პასიურობის თვალსაზრისით იქნება ორი გვარი: მოქმედებითი და ვნებითი, აქედან მოქმედებითი ორგვარია: უკუუქცევი და უკუქცევითი. უკანასკნელი ისაა, რასაც საშუალ გვარს ან სტატიკურ ფორმებს უწოდებენ.

ამგვარი სისტემის მიხედვით, მაგალითად, რუსულში გვარის გრამატიკული კატეგორია არ არსებობს, აქ მხოლოდ უკუქცევითი და უკუუქცევი ფორმებია, მაგრამ გვარის ფუნქცია (აქტიურობა-პასიურობა) არსებობს და რიგ შემთხვევაში საჭირო ხდება მისი გამოხატვა, მაშინ რუსულში მოქმედებითი გვარის ფუნქციით გამოიყენება ზმნის უკუუქცევი ფორმა, ხოლო ვნებითისა (და მასთან ახლო მდგომი მნიშვნელობების) გამოსახატავად – უკუქცევითი ფორმა. ამის შესაძლებლობას იძლევა ის ფაქტი, რომ რუსულში ყველა უკუქცევითი ფორმა, ჩვეულებრივ, უობიექტოა, ხოლო ობიექტის უქონლობა და ვნებითობა ახლო მდგომი მნიშვნელობებია.

მოქმედებითი გვარის ფარგლებში აღნიშნული უკუუქცევი და უკუქცევითი ფორმების გაერთიანებას სხვა გარემოებაც უწყობს ხელს. მხედველობაში გვაქვს მათი შენაცვლების შესაძლებლობა; სხვაგვარად: იგულისხმება ის შემთხვევები, როცა ზმნის ერთი და იგივე ფორმა შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც უკუუქცევი, ასევე უკუქცევითი მნიშვნელობით, ანუ: როგორც მოქმედებითი, ასევე საშუალი გვარის მნიშვნელობით. ქართულში საკმაოდ მოიპოვება ამ ტიპის ზმნები: ***ცრის*** (შდრ. ფქვილს ***ცრის*** – წვიმა ***ცრის***), ***სცემს*** (შდრ. ჯოხს თავში ***სცემს*** – კაბა კოჭებამდე ***სცემს***), ***წარმოადგენს*** (შდრ. იგი დღეს თავის შრომას ***წარმოადგენს*** – ეს შრომა მნიშვნელოვან შენაძენს ***წარმოადგენს***), ***ახასიათებს*** (შდრ. მასწავლებელი მოსწავლეს ***ახასიათებს*** – მას ცუდი ზნე ***ახასიათებს***) და მისთნ.

ანალოგიურ ფორმათა სიახლოვეზე ადრეც მიუთითებდნენ: ზოგი ზმნა „გარდაუვალადაც იხმარება და გარდამავალადაც; ასეთებია: ***გალობს, გლოვობს, თამაშობს, ლაპარაკობს, ნანობს, ოცნებობს, ფიქრობს*** და სხვა“ (შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, §532). იმ შემთხვევაში, როცა ეს ზმნები „გარდამავლად იხმარებიან“, ისინი ფაქტიურად მოქმედებითი გვარის ფორმებს უტოლდებიან და, ბუნებრივია, უკუქცევითობის მნიშვნელობისაგან დაცლილი იქნებიან, თავად დაიჭერენ უკუუქცევი ფორმების ადგილს ისე, რომ შესაბამისი უკუქცევითი ცალი აღარ ექნებათ...გარდა შენაცვლებისა, ყურადსაღებია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ დანაკლის მწკრივთა ფორმების შევსების საკითხში მედიოაქტივის ფორმათა წარმოებას იზიარებს რამდენიმე გარდამავალი ზმნა, როგორიცაა: ***ანგარიშობს, თაობს, თაკილობს, ქირაობს, ხმარობს*** (მყოფ. ***იხმარს***), ***ჩივის***...“ (ჯორბენაძე,1975,81–85).

მონოგრაფიის ავტორის აზრით, მედიოაქტივებისა და მოქმედებითი გვარის ზმნათა პარადიგმატული ნიშნების მსგავსება ვლინდება „ნამიმღეობარ ფორმათა გამოყენებაშიც, მაგალითად, აქტიური – ***ყიდ-ულ-ობს***. მედიალური – ***ცდ-ილ-ობს***. ამასთან აღსანიშნავია, რომ ამგვარად წარმოებული მოქმედებითი გვარის ყველა ფორმა ფაქტიურად ისევე მწკრივნაკლია და სხვა პარადიგმებში ისევე იცვლის ფუძეს, როგორც მედიალური ფორმები: ***პოულობს–იპოვის–იპოვა***, ***ნახულობს–––ნახავს–ნახა***, ***კითხულობს–წაიკითხავს–წაიკითხა*** და მისთ. ამის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ორპირიანი გარდამავალი ***თამაშობს*** ტიპის ფორმები მართლაც მივიჩნიოთ მოქმედებითი გვარის ფუნქციის გამომხატველად და, ამდენად, მოქმედებითი გვარის ფორმად, მიუხედავად მათი „მწკრივნაკლი“ უღვლილებისა (***თამაშობს–ითამაშებს–ითამაშა***). ასე რომ, მოქმედებითი და „საშუალი“ შეიძლება უღვლილებითაც დაემთხვეს ერთმანეთს, მაგრამ ამგვარ ფორმათა სიმცირისა და აშკარა თავისებურების გამო, ისინი მაინც გამონაკლისებად უნდა ჩაითვალონ. მაშასადამე, ადრე აღნიშნულ დებულებას, რომ აქტივი და მედიუმი ფუნქციითა და უღვლილებით განსხვავდება ერთმანეთისაგან, კვლავ ექნება ძალა და, ამდენად, მათი გამიჯვნის საფუძველიც ეს იქნება, რადგან ფორმით ისინი არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ზოგადად ეს მართლაც ასეა (***ხევს*** – მოქმედებითია, მაგრამ ***ძევს*** – მედიალურია, ***ჭრის*** – მოქმედებითია, ხოლო ***ქრის*** – მედიალური), მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ერთი ძირისაგან (თუ ფუძისაგან) ნაწარმოები მოქმედებითი და „საშუალი“ ფორმები არასდროს ემთხვევიან ერთმანეთს: ***აწუხებს*** – მოქმედებითია, ***წუხს*** – „საშუალი“ (resp. უკუქცევითი მოქმედებითი)“ (იქვე, 83).

მოქმედებითი და „საშუალი“ გვარის ზმნათა უღვლილებაში არსებული განსხვავებულობა, მონოგრაფიის ავტორის აზრით, განპირობებულია ამ ზმნათა ფუნქციური (სემანტიკური) განსხვავებულობით, რაც სვამს თანამედროვე ქართულში მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნის საკითხს, „მაგრამ უკვე რაღაც სხვა (და არა გვარის) თვალსაზრისით. ამჯერად ეს განსხვავება, ერთი მხრივ, დინამიკურობა-სტატიკურობაშია, ხოლო მეორე მხრივ, გარდამავლობა-გარდაუვალობაში: ***აწუხებს*** – დინამიკურია და გარდამავალი, ***წუხს*** – სტატიკური და გარდაუვალი, მაგრამ ისტორიულად ეს განსხვავება სულ სხვა კრიტერიუმს უნდა დამყარებოდა და ეს კრიტერიუმი უკუქცევითობა უნდა ყოფილიყო“ (იქვე, 77).

ბ. ჯორბენაძე ერთმანეთისაგან ასხვავებს უკუქცევითობის გრამატიკულ და ფუნქციურ კატეგორიებს:

„უკუქცევითი ფორმების მოშლის ან სხვა მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევაში მაინც შესაძლებელია ენაში შემორჩეს უკუქცევითობის მნიშვნელობა (რაც, მაგალითად, თანამედროვე ქართულში უმეტესი საშუალი ზმნებისთვისაა დამახასიათებელი) და მაშინ აუცილებელი ხდება უკუქცევითი ფორმისა და უკუქცევითობის, როგორც სემანტიკური კატეგორიის, ერთმანეთისაგან განსხვავება; სხვაგვარად: უკუქცევითობის გრამატიკული და ფუნქციური კატეგორიების გამიჯვნა.

თუ აქედან ამოვალთ, აღმოჩნდება, რომ ***აწუხებს–წუხს*** ფორმები ერთმანეთს უპირისპირდება არა გვარის, არამედ უკუქცევითობის თვალსაზრისით; აწუხებს – უკუუქცევია, ***წუხს*** – უკუქცევითი. დაპირისპირება აწმყოში ამჟამად მხოლოდ ფუნქციურია, უკუქცევითობის ოდინდელი ნიშანი ი- მხოლოდ უღვლილების პარადიგმებში გამოჩნდება (***წუხს–ი-წუხებს–ი-წუხა***...). ამდენად, ***წუხს*** ფორმა გარდაუვალი მოქმედებითი კი არ არის, არამედ უკუქცევითი მოქმედებითია, სადაც სუბიექტი თავისივე მოქმედების ობიექტია. უკუქცევითი ფორმა თავისი მნიშვნელობით სტატიკურიც არის. ეს უკუქცევითი სტატიკური ფორმა (ე.ი. შესაბამისი უკუუქცევი აქტიური დინამიკური ფორმის საოპოზიციო ცალი) შეიძლება გარდამავალიც იყოს: ***ი-ცის*** (სადაც შემორჩენილია უკუქცევითობის პრეფიქსი), ***უწყის*** (სადაც უკუქცევითობის ნიშანი არ დასტურდება) და გარდაუვალიც: ***წუხს, ბიბინებს, ტრიალებს***... გარდაუვალი უკუქცევითობის ფუნქციის მქონე ზმნები ქართულში შეუდარებლად მეტია... უკუქცევითი ფორმების გამოყოფა აწმყოში ამჟამად მხოლოდ მათი ფუნქციის საშუალებით ხერხდება და უკუქცევითობის ი-ნიშანი მხოლოდ უღვლილების დანარჩენ პარადიგმებში გამოჩნდება. ასეა უმრავლეს შემთხვევაში, მაგრამ გამონაკლისები მაინც გვაქვს: ***გლოვობს//ი-გლოვს***, ***მღერის//ი-მღერს***, ***ნანობს//ი-ნანის***, ***ი-ღიმის***, ***ი-ცინის*** და მისთნ. ამდენად, უკუქცევითობის ნიშანი ამ ტიპის (ე.წ. მედიალურ, საშუალ ფორმებში) სპორადულად მაინც გვხვდება. ბუნებრივია, იბადება კითხვა: ამ ზმნებს ეს ნიშანი არ ჰქონდათ და გაუჩნდათ, თუ პირიქით, დანარჩენებსაც ჰქონდათ და დაკარგეს, ხოლო აღნიშნულ რამდენიმე ზმნას შემორჩა? ძველი ქართულისა და ზოგი თანამედროვე დიალექტის მონაცემი გვავარაუდებინებს, რომ ამ ტიპის ზმნებს ეს ნიშანი მოეპოვებოდათ და შემდგომ დაკარგეს. ძველ ქართულში დადასტურდა: ***ისტუენს*** (ახლა: ***სტვენს***), ***იბრდღუენს*** (***ბრდღვინავს***),

იმარხავს (***მარხულობს***), ***ილოცავს*** (***ლოცულობს***), ***იღაღადებს*** (***ღაღადებს***), ***იმრუშებს*** (***მრუშობს***), ***ინადირებს*** (***ნადირობს***) ფორმები. ე.ი. აღმოჩნდა, რომ ძველ ქართულში ი-პრეფიქსი აწმყოს წყებაში დასტურდება ზოგ ისეთ მედიოაქტივ ზმნასთანაც, რომელსაც თანამედროვე ქართულში აწმყოს წრის უთავსართო წარმოება ახასიათებს. ანალოგიური ვითარება შენიშნულია სხვა ქართველურ ენებშიც: სვანური – ***იკლი*** (კოჭლობს), ***იმზირ*** (ლოცულობს), ***იგვნი*** (ტირის); ჭანური – ***ინჩვირს*** (ცურავს), ***ინგორს*** (გორავს), ***იბურბალს*** (ბრუნავს), ***იბირს*** (მღერის); მეგრული – ***იბურჯანს*** (შფოთავს), ***იგურუანს*** (სწავლობს), ***იხვამანს*** (ლოცულობს)“ (იქვე, 79– 80).

ქართული მედიოაქტიური ზმნების საკლასიფიკაციო ნიშნად, გარდა უკუქცევითობისა, ბ. ჯორბენაძე სტატიკურობასაც ასახელებს და გარდამავლობა-გარდაუვალობასაც, მაგრამ თვლის, რომ „დინამიკურ და სტატიკურ ზმნებად კლასიფიკაციის საფუძველიც (ისევე როგორც, მედიალური ზმნების გამოყოფისა – მ.ქ.) ქართულში ფუნქციურია და იგი ფორმობრივ საყრდენს ვერ პოულობს,... დინამიკურ და სტატიკურ ზმნათა ურთიერთგანმასხვავებელი მორფოლოგიური ნიშანი არ ჩანს და მათი დაპირისპირება მხოლოდ ფუნქციას, სემანტიკას ემყარება“ (იქვე, 72). „მართალია, მეშველი ზმნის დართვა ახალ ქართულში სტატიკური ფორმების (***ვზივარ, ზიხარ***, ***ვწევარ, წევხარ***...) ან სტატიკურობასთან გატოლებული ფორმებისთვისაა (იგულისხმება გარდამავალი დინამიკური ზმნის III სერიის ფორმები ***დავუხატავარ, დაუხატავხარ***... ტიპისა) დამახასიათებელი, მაგრამ ვერც წარმოშობით (ძველ ქართულში არ იყო) და ვერც თანამედროვე ვითარებით (სტატიკური ზმნების უმეტეს ნაწილს არ მოეპოვება მეშველი ზმნა) სტატიკურობის ნიშნად ვერ მიიჩნევა. არ დასტურდება იგი სტატიკურ ფორმებზე დაფუძვნებულ პარადიგმებშიც (***ვწუხვარ***, მაგრამ: ***ვწუხდი***, ***ვწუხდე***). ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ დინამიკური და სტატიკური ზმნების გამოყოფა როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში მხოლოდ მათ ფუნქციას (resp. სემანტიკას) ეყრდნობა და გრამატიკული საფუძველი არ მოეპოვება. ოღონდ ეს კია, რომ შეინიშნება სტატიკურობის „გრამატიზაციის“ ძლიერი ტენდენცია, რაც ზმნების ერთ ნაწილში უკვე ჩამოყალიბდა (***ვზივარ, ვწევარ, ვწუხვარ***...), სხვა შემთხვევაში კი შეინიშნება მერყეობა პარალელური ფორმების სახით (***ვმღერი–ვმღერივარ***, ***ვჩივი–ვჩივივარ***...), სადაც მეშველზმნიანი ფორმები უპირატესად დიალექტების კუთვნილებაა. ამდენად, სტატიკურობის „გრამატიზაცია“ ახალი შეძენილი თვისებაა (და შესანიშნავი დადასტურებაა ტენდენციისა, საკუთარი ფორმით მატე-

რიალიზდეს ენაში არსებული ყოველი განყენებული ფუნქცია, მნიშვნელობა)“ (იქვე, 74).

მონოგრაფიაში ჩამოყალიბებული თვალსაზრისით, მედიოაქტიური ზმნა გვარის გრამატიკული კატეგორიის თვალსაზრისით მოქმედებითია, დინამიკურობა-სტატიკურობისა და გარდამავლობა-გარდაუვალობის ფუნქციური (სემანტიკური) კატეგორიების თვალსაზრისით – სტატიკური და გარდაუვალი. რაც შეეხება უკუქცევითობის კატეგორიას, ***წუხს*** მედიოაქტიური ზმნა აწმყოს ჯგუფის მწკრივებში ფუნქციით უკუქცევითია, ხოლო დანარჩენ მწკრივებში გრამატიკულადაც უკუქცევითია, მსგავსად ***იღვწის, იცინის, იბრძვის, იღიმის*** გამონაკლისებისა, რომლებსაც უკუქცევითობის ი-პრეფიქსი უდასტურდებათ ყველა პარადიგმატულ ფორმაში, რადგანაც „ენობრივ სისტემაში არსებობს მხოლოდ ის კატეგორიები, რომელთაც მოეპოვებათ სპეციფიკური მორფოლოგიური გაფორმება; მორფოლოგიური ფორმის გარეშე შეუძლებელია ლაპარაკი ლინგვისტურ, ენობრივ კატეგორიებზე“ (იქვე, 90).

ამდენად, ავტორის აზრით, „უკუქცევითობა გვარის კატეგორიის გარეშე მდგარი ენობრივი წარმონაქმნია, ცალკე, დამოუკიდებელი გრამატიკული კატეგორიაა. იგი არ ემთხვევა არც გვარს, არც გარდამავლობას და არც დინამიკურობა-სტატიკურობას. ეს სულ სხვადასხვა ენობრივი ცნებებია და მათი გაუმიჯნაობა გაუმართლებელი აღრევის მიზეზი შეიძლება გახდეს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს აღნიშნული კატეგორიები (ფუნქციური და გრამატიკული) არასდროს თანხვდებიან ერთმანეთს, პირიქით, ისინი ხშირად ერთ გრამატიკულ ფორმაში არიან წარმოდგენილი, უკეთ: გვარისა და უკუქცევითობის ყოველ ფორმას მუდამ თან ახლავს გარდამავლობისა თუ გარდაუვალობის, დინამიკურობისა თუ სტატიკურობის ფუნქციური გაგებაც. ასე, მაგალითად, მოქმედებითი გვარის მოდელის მქონე ზმნა ფუნქციით უმეტესად აქტიურია და იმავდროულად დამატებითი ფუნქციით შეიძლება იყოს: ა) დინამიკური და გარდამავალი (***წერს, ჩეხს, ხატავს***...), ბ) სტატიკური და გარდამავალი (ამჯერად ქართულში ორად ორი ზმნაა ასეთი: ***იცის*** და ***უწყის***), გ) სტატიკური და გარდაუვალი (***წუხს, ნადირობს, რბის, ცურავს***...)... მოქმედებითი გვარის ზმნა შეიძლება იყოს უკუუქცევი (***წერს, უწერს***...) და უკუქცევითი (ე.წ. სათავისო ქცევისა: ***იწერს, იკეთებს***... ანდა: გარდაუვალი უკუქცევითი: ***იღიმის*** ან კიდევ გარდამავლობის თვალსაზრისით ლაბილური ზმნები: ***იმღერს***//***მღერის***, ***იგლოვს***//***გლოვს*** და ა.შ.“ (იქვე, 91).

ავტორის აზრით, ფუნქციით გარდაუვალი უკუქცევითი ზმნა აღნიშნავს, რომ მოქმედება უბრუნდება თვით სუბიექტს, ხოლო გარდამავალი უკუქცევითი აღნიშნავს, რომ სუბიექტს უბრუნდება მოქმედების შედეგი. „უკუქცევითობას თავისი ნიშანი აქვს ქართულში. ეს ნიშანია ი-პრეფიქსი; იგი შედარებით ახალ წარმოქმნილ კატეგორიებში (ქცევასა – სათავისო ქცევის ნიშნად და ვნებითში – ი-პრეფიქსიანი ვნებითის ნიშნად) განაწილდა, ხოლო საკუთრივ უკუქცევით ზმნათა ერთ ნაწილსდა შემორჩა აწმყოში (***იდიმის, იცინის, იმღერს, იგლოვს, შეიგრძნობს, იძახის*** და მისთნ.), მაგრამ ჩვეულებრივ გამოვლინდება უღვლილების პარადიგმებში (***ბიბინებს–იბიბინებს–იბიბინა***; ***ცხოვრობს–იცხოვრებს––იცხოვრა***; ***დგას–იდგება–იდგა*** და მისთნ.)“ (იქვე, 93).

ჩვენთვის საგულისხმოა ავტორისეული შეფასება ტერმინისა „საშუალი გვარი“: „გვარის კატეგორიის თვალსაზრისით თვით ტერმინი „საშუალი (მედიალური) გვარი“ მოკლებულია ყოველგვარ გრამატიკულ მნიშვნელობას... ე.წ. „საშუალი გვარის“ გამოყოფა იყო ერთგვარი გამოსავალი, ცალკე გამოეყოთ... ფორმები, რომლებიც არც მოქმედებითისა იყო და არც ვნებითი გვარისა... იმის ჩვენება, რომ იგი არც ერთია და არც მეორე, ნაკლებს იძლევა იმისათვის, რომ გავიგოთ, რა არის იგი“ (იქვე, 84)... „მის ნაცვლად შეგვეძლო გვეხმარა „სტატიკური უკუქცევითი ფორმა“. მაგრამ ამ ტიპის ზმნებს ზოგი ისეთი ზმნა ამოუდგა გვერდით, რომელიც მხოლოდ სტატიკურობის თვალსაზრისით გაერთიანდა მათთან, მაგრამ უკუქცევითობის ფუნქცია ფაქტიურად არ მოეპოვება (***სწერია, ხატია*** და მისთნ.)... გამოიყენება ტერმინი „სტატიკური ზმნაც“, მაგრამ იგიც ფუნქციურად ახასიათებს ამ ფორმებს და არა გრამატიკულად. ამიტომ ახალი ტერმინის შემოღებას ამჯერად აჯობებს ტრადიციული „საშუალი“ დავტოვოთ, მაგრამ არა როგორც „გვარი“, არამედ როგორც (მოქმედებითთან ფორმობრივი მსგავსების გამო) „საშუალ-მოქმედებითი (ან უბრალოდ: საშუალი) ფორმა, ვგულისხმობთ რა მოქმედებითი გვარის სტატიკური ვარიანტს (ე.ი. ფორმა ერთნაირია, ფუნქცია – დინამიკურობა-სტატიკურობა – სხვადასხვა)“ (იქვე, 94–95).

ბ. ჯორბენაძის მონოგრაფიაში ჩამოყალიბებული თვალსაზრისი უკუქცევითობის გრამატიკული კატეგორიის, მედიოაქტიური ზმნების სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებებისა და ი-პრეფიქსის ფუნქციის შესახებ განსხვავდება ჩვენს ნაშრომში გატარებული თვალსაზრისისაგან. ჩვენ ნებისმიერ უკუქცევით ზმნას განვიხილავთ წარმოქმნილ ზმნურ ლექსემად, ტრანსფორმად, რომლის მნიშვნელობა მთლიანად განისაზღვრება ამოსავალი ზმნის ლექსიკური

სემანტიკითა და ტრანსფორმაციის წესით. აქედან გამომდინარე, მედიოაქტივს არ ვთვლით უკუქცევით ზმნად, რადგან ის არაწარმოქმნილი, პირველადი ენობრივი ერთეულია და თვითონაა ამოსავალი კაუზატიური მნიშვნელობის გარდამავალი ზმნებისათვის თანამედროვე ქართულში(ქარქაშაძე,2007,132–133). მედიოაქტივი მდგომარეობის გამომხატველი ზმნაა, გარკვეული ტიპის პოსესიური კონსტრუქციაა, რომელიც გულისხმობს, რომ მედიოაქტივით დასახელებული მდგომარეობა ამ მდგომარეობაში მყოფი სუბიექტის „კუთვნილებაა“. ეს სემანტიკა მედიოაქტივებში მარკირებულია ბენეფაქტიურ-პოსესიური ი-პრეფიქსით და, ამდენად, მდგომარეობის კატეგორია ნაშრომში მოიაზრება არა ფუნქციურ (სემანტიკურ), არამედ გრამატიკულ კატეგორიად.

ქართული მედიოაქტივები მდგომარეობის აღმნიშვნელ ლექსემებად, შესაბამისი მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმებისთვის ამოსავალ პირველად ზმნებადაა მიჩნეული მ.ივანიშვილისა **და** ე.სოსელიას ერთობლივ ნაშრომში “ქართული პასიური კონსტრუქციის ზოგიერთი მორფო–სინტაქსური და სემანტიკური თავისებურება”: ”...საშუალი გვარის ფორმები ყველაზე მარტივია მორფოლოგიური თვალსაზრისით და ბუნებრივია, რომ სწორედ ისინი უნდა ჩაითვალოს ზმნის სემანტიკური ჩარჩოს უშუალო ამსახველად. შესაბამისად, მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმები განიხილება, როგორც მეორადი და მათთვის ამოსავალს საშუალი გვარის ფორმა უნდა წარმოადგენდეს... საშუალი გვარის ფორმებით, ძირითადად, გარკვეული სახის მუდმივობა გამოიხატება. უმთავრესად ეს არის დროში შეუზღუდავი მოქმედება (რომლის არც დასაწყისი და არც დასასრული არაა ასახული შესაბამისი ზმნური ფორმის სემანტიკაში) და ამდენად, იგი შეიძლება მოვიაზროთ, როგორც მდგომარეობა აქტივობის გარკვეული ხარისხით... საშუალი გვარის ფორმები ერთპირიანია, ხოლო შესაბამისი მოქმედებითი გვარის–ორპირიანი. ეს უკანასკნელნი სემანტიკურად კაუზატიურ ფორმებს უახლოვდებიან. მათ პირველად კაუზატივებსაც უწოდებენ (გ.მაჭავარიანი, ლექციების კურსი), რამდენადაც მოქმედებითი გვარის ფორმაში აღინიშნება საშუალი გვარის ფორმით გამოხატული მდგომარეობის გარეგანი კაუზატორი...”(ივანიშვილი, სოსელია, 2002,135–136). ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მედიოაქტივად სახელდებულ გარდაუვალ ზმნურ ლექსემებს მდგომარეობის აღმნიშვნელ ზმნებად განიხილავს და გვარის კატეგორიასთან მიმართების გარეშე განსაზღვრავს ამ ზმნების სემანტიკას ა. ჩიქობავა (ჩიქობავა, 1948, 108;

ჩიქობავა, ქეგლ, ტ. I, 1950, 51). იგი მათ „უგვარო სტატიკურ ზმნებს უწოდებს და ენის განვითარების იმ საფეხურის ამსახველად მიიჩნევს, როდესაც ზმნა მინიმალურად განსხვავდებოდა სახელისაგან: ზმნა მდგომარეობას აღნიშნავდა და ეს მდგომარეობა თვისების მსგავსად უცვლელი იყო“ (მელიქიშვილი, 2001, 84). ეს თვალსაზრისი მედიოაქტივების სემანტიკის ტრადიციულ განმარტებასთან დაკავშირებული წინააღმდეგობის დაძლევის, მედიოაქტივად წოდებული ზმნური ერთეულის იმანენტური ბუნების გამოვლენის ცდაა, მაგრამ, როგორც ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს, „მხოლოდ ეს არ არის ამ ახალი სისტემის მიზანი, ძირითადი აქ სხვაა, კერძოდ: შეიქმნას საერთო პრინციპი ზმნის კლასიფიკაციისა ზოგადად ყველა იბერიულ-კავკასიური ენისათვის, უკეთ: იბერიულ-კავკასიურ ენათა ზმნის ზოგადი სისტემის მიხედვით იქნეს განხილული ქართული ზმნაც. სწორედ ამიტომ არის აქ ქართული ზმნის ძირითად საკლასიფიკაციო ერთეულებად მიჩნეული დინამიკურობა და სტატიკურობა, ერთი მხრივ, და გარდამავლობა და გარდაუვალობა, მეორე მხრივ: სტატიკური ყველა ზმნა გარდაუვალია, დინამიკური ზმნა კი შეიძლება იყოს გარდამავალიც და გარდაუვალიც. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, გვარებს მხოლოდ დინამიკური ზმნა განარჩევს: იგი შეიძლება იყოს მოქმედებითი გვარისა (გარდამავალი) და ვნებითი გვარისა (გარდაუვალი)“ (ჯორბენაძე, 1975, 71). აქვე ავტორი მიუთითებს, რომ აფხაზურში და ადიღეურ ენებში დინამიკური და სტატიკური ზმნები სემანტიკურ-გრამატიკული ნიშან-თვისებების მიხედვით უპირისპირდებიან ერთმანეთს, მაშინ როცა, ქართულში დინამიკურ და სტატიკურ ზმნათა განმასხვავებელი მორფოლოგიური ნიშანი არ ჩანს და მათი დაპირისპირება მხოლოდ ფუნქციის, სემანტიკის მიხედვით თუ შეიძლება (იქვე, 72).

მ. სუხიშვილი სტატიკურობის (განგრძობითობის) სემანტიკის გამომხატველად მიიჩნევს -ან სუფიქსს ***დგ-ან-ან, წვ-ან-ან, ჰყვ-ან-ან*** ტიპის ზმნებში (სუხიშვილი, 1975, 230), მაგრამ, ბ. ჯორბენაძის აზრით, ეს -ან დასტურდება დინამიკურ ზმნებში (***მიუძღვ-ან-ა, მოაზმ-ან-ა***), მსგავსად -ავ, -ობ და -ებ სუფიქსებისა, რომლებიც ისევე ფუნქციონირებენ სტატიკურ (***ძინავს, გუგუნებს, თამაშობს***) ზმნებში, როგორც დინამიკურ ზმნებში და, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ვერ მიიჩნევიან დინამიკური ან სტატიკური ზმნური ფუძის მაწარმოებლად (ჯორბენაძე, 1975, 73).

შენიშვნა: 1930 წ. გამოცემულ ქართული ენის გრამატიკაში ა. შანიძე ე.წ. საშუალი გვარის ზმნებს უგვარო ზმნებად მიიჩნევს და, ამდენად, არ რთავს მათ გვარის სისტემაში (შანიძე, 1930, §104).

საგულისხმოა, რომ აქტიური ტიპოლოგიის ენების დესკრიფციულ გრამატიკებში მდგომარეობის აღმნიშვნელი (სტატიკური) ზმნები, რომლებიც ასახელებენ ინაქტიური კლასის არსებითი სახელით გამოხატული სუბიექტის მდგომარეობას ან თვისებას, დახასიათებულია, როგორც ნეიტრალური (neuter) ანუ შუალედური (middle) ზმნები მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამ ზმნებთან ქვემდებარედ შეიძლება გამოჩნდეს როგორც ინაქტიური, ისე აქტიური კლასის სახელები (იხ. კლიმოვი, 1977, 85).

ქართული მედიოაქტივების სემანტიკური ეკვივალენტები აქტიური ენების გრამატიკებში სტატიკურ ზმნებად განიხილება. "В целом состав активных и стативных глаголов по разным представителям активного строя довольно идентичен... К числу стативных здесь (იგულისხმება გუარანი ენა) принадлежат: arərəf "дрожать, трястись", aŋwinə "дурно пахнуть", karẽ "хромать", opewə "дремать", pú "звучать", wotəyerá "цвести", hãsẽ "плакать", pukú "быть высоким, длинным", tuyá "быть старым" и т.п." (იქვე, 87). "В высшей степени интересен факт материального тождества личных глагольных аффиксов инактивного ряда с именными личными аффиксами органической принадлежности... Важнейшей импликацией активности в сфере глагольной морфологии является противопоставление двух функционально различных рядов или серий личных аффиксов (эта черта присутствует во всех ныне известных представителях активной типологии). В соответствии со своей основной функцией соотнесения глагола с именными членами предложения, обозначающими активного и инактивного участников ситуации, они должны быть квалифицированы в качестве активного и инактивного. Личный аффикс активной серии обозначает субъект действия, выраженного активным глаголом, а личный аффикс инактивной – объект действия (разумеется, не только так называемый прямой объект), передающегося активным глаголом и субъект "действия", или точнее – состояния, выраженного стативным глаголом" (იქვე, 132–133)... "Налицо определенная дистрибуция всех перечисленных показателей в глагольной словоформе. В структуре активного глагола чаще всего представлен только личный аффикс активной серии, хотя в некоторых языках (в частности, в тлингит и хайда) помимо него здесь обычно имеется и аффикс инактивной серии, указывающий на объект действия... Напротив, в структуре

стативного глагола может быть представлен только личный аффикс инактивного ряда, служащий указанием на подлежащее (инактивный участник)" (იქვე, 137).

"Характерную черту категориального состава именной морфологии активных языков составляет категория притяжательности, противопоставляющая формы органической (неотчуждаемой) и неорганической (отчуждаемой) принадлежности... Интересно, что притяжательные аффиксы органической принадлежности представлены по языкам аффиксами, тождественными с глагольными личными показателями инактивной серии... Такое тождество должно быть естественным, если учесть, что глагольный аффикс инактивного ряда определенно сигнализирует нераспространяемость, неотчуждаемость "действия" (точнее, состояния или качества) от его предметного референта" (იქვე, 148–150).

აქტიური წყობის ენათა სტატიკური ზმნების მორფოლოგიური სტრუქტურა ცალსახად მიუთითებს, რომ მდგომარეობის გამომხატველი ზმნა გულისხმობს მდგომარეობისა და ამ მდგომარეობაში მყოფი სუბიექტის ბენეფაქტიურ-პოსესიურ ურთიერთდამოკიდებულებას; დასახელებულ მდგომარეობას სტატიკური ზმნა წარმოადგენს სუბიექტის „ორგანულ კუთვნილებად“.

რადგან სუბიექტის მდგომარეობის აღმნიშვნელ ქართულ გარდაუვალ ზმნებს (მედიოაქტივებს) ჩვენ მოვიაზრებთ გარკვეული ტიპის პოსესიურ კონსტრუქციად, ჩვენთვის უაღრესად საინტერესოა პოსესიურ კონსტრუქციათა ტიპოლოგია. აქტიური წყობის ენებში, რომლებშიც ჩამოყალიბებული არ არის მქონებლობის აღმნიშვნელ ზმნათა (verba habendi) კლასი, "содержание поссесивной конструкциии" передается в представителях активной типологии описательными построениями стативного глагола "быть, находиться" в сочетании с именем объекта обладания в притяжательной личной форме" (იქვე, 101).

ე. ბენვენისტი მდგომარეობის აღმნიშვნელ ზმნას განიხილავს ფორმად, რომელშიც მდგომარეობის სემანტიკა უკავშირდება მქონებლობის, მიკუთვნების სემანტიკას, რამდენადაც სუბიექტი წარმოდგება მდგომარეობის პოსესორად.

"По существу, все перфектно-презентные глаголы готского языка можно было бы передать перифрастически с помощью "иметь", указывающего состояние субъекта: wait "я имею сведения", mag "я имею возможность", og "я имею страх (охвачен страхом)", parf "я имею надобность", man "я имею мнение" и т.п. Само "иметь" означает только состояние. Это подтверждается аналогичным явлением на другом конце земного шара, в одном из американо-индейских языков. В языке туника (Луизиана) существует класс глаголов, называемых статическими; их своеобразие состоит в том, что они не могут спрягаться без

местоименных префиксов и, кроме того, требуют префиксов "неотчуждаемого" обладания. Если рассматривать статические глаголы в их семантической дистрибуции, все их можно свести к понятиям состояния: состояния эмоционального ("стыдиться, сердиться, быть возбужденным, счастливым" и т.п.); состояния физического ("быть голодным, замерзшим, пьяным, усталым, старым" и т.п.); состояния умственного ("знать, забывать") и также, если можно так сказать, состояния обладания: "иметь" в целом ряде выражений" (ბენვენისტი, 1974, 214)

მდგომარეობის აღმნიშვნელ (სტატიკურ) ზმნათა სპეციფიკაზე, კერძოდ კი, იმაზე, რომ სტატიკურ ზმნაში მდგომარეობის სემანტიკა უკავშირდება მიკუთვნების სემანტიკას, მეტყველებს სტატიკურ ზმნათა კიდევ ერთი ტიპოლოგიური მახასიათებელი: ენებში, რომლებშიც ზედსართავი სახელი არ არის ფორმირებული დამოუკიდებელ ენობრივ ერთეულად და ზედსართავები არ ქმნიან დამოუკიდებელ ლექსიკურ კლასს, ატრიბუტული სემანტიკა გამოიხატება სტატიკური ზმნით, რომელიც, კონტექსტის მიხედვით, ხან ადიექტივის მნიშვნელობას იძენს, ხან კი – პრედიკატის. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა აქტიურ და მაიზოლირებელ ენათა მონაცემები:

აქტიური ტიპოლოგიის ენათა დესკრიფციულ გრამატიკებში თვისების გამომხატველი სიტყვები, რომელთა აღსანიშნად გამოყენებულია ტრადიციული ტერმინი „ადიექტივი“, არასდროს არ არის წარმოდგენილი დამოუკიდებელ ენობრივ ერთეულად. ე.წ. ადიექტივის პარალელურად ამ გრამატიკებში მითითებულია იმავე ფუძის სტატიკური ზმნის III პირის ფორმა, რომელშიც III პირი აღნიშნულია ინაქტიური რიგის ანუ მიკუთვნების სემანტიკის მქონე პრეფიქსით (გუარანი ენის ქვემოთ მოყვანილი მაგალითები აღებულია გ. კლიმოვის წიგნიდან: "Типология языков активного строя"):

mbarete, i-mbarete – „ძლიერი“, „ძლიერია“;

piru, i-piru – „სუსტი“, „სუსტია“;

poră, i-poră – „ლამაზი“, „ლამაზია“;

vai, i-vai – „უშნო“, „უშნოა“;

yvate, i-jyvate – „მაღალი“, „მაღალია“;

yvỹi, i – ñyvỹi – „დაბალი“, „დაბალია“;

puku, i-puku – „გრძელი“, „გრძელია“;

mbyky, i-mbyky – „მოკლე“, „მოკლეა“ (კლიმოვი, 1977, 104).

აქტიური წყობის ენაში სტატიკური ზმნის ერთ-ერთ მახასიათებელ ნიშნად გ. კლიმოვი ასახელებს ადიექტივის ფუნქციით მისი გამოყენების შესაძლებლობას:

"В связи с характеристикой стативного глагола в рассматриваемых языках необходимо остановиться еще на одной важнейшей черте организации в них лексики, которая заключается в несформированности в них имен прилагательных, вследствие чего соответствующие атрибутивные функции в предложении здесь выполняют основы стативных глаголов" (კლიმოვი, 1977, 103).

სტატიკური ზმნის ზედსართავის ფუნქციით გამოყენებასა და ქართველურ ენებში ზედსართავის სტატიკური ზმნიდან წარმომავლობას ვარაუდობს გ. მაჭავარიანი:

„...სვანურში ***ხოშა*** ახლა „უფროსსაც“ ნიშნავს და „დიდსაც“. ***ხაშა*** და ***ხოშა*** ერთი და იმავე ძირიდან ნაწარმოები ფორმებია... ***ხაშა*** უდრის „შურს, ანუ რაღაც ვიღაცას დიდად ეჩვენება“. ასეთივე მიმართებაა ***ხალა*** და ***ხოლა*** ფორმებს შორის. ***ხალა*** („სწყინს, ცუდად ეჩვენება“) – ***ხოლა*** („ცუდი“). ***ხოჩა*** იხმარება პირიანი ზმნის ფუნქციითაც (***ხოჩა*** ეჯა ეჩის – „იგი მას სჯობს“)... ***ხოჩა*** დროთა მიხედვითაც იცვლება: ***ხოჩ̄ანდა*** („სჯობდა“) – ***ხეჩ̄ენი*** („ემჯობინება“). ასევე ზმნური ფუნქციით გვხვდება: ***ხოლა*** („არ ურჩევნია“), ***მილა*** („არ მირჩევნია“)... ამ შემთხვევაში ზედსართავი ზმნიდან მომდინარეობს... ამდენად ქართულში არის შესაძლებლობა, რომ ზმნა გასუბსტანტივდეს ან გაატრიბუტივდეს. ეს ალბათ იმიტომ არის შესაძლებელი, რომ ზედსართავი ხშირად პრედიკატად გამოიყენება („ეს კაცი უმაღლესია“). ამგვარად, ***ხოჩა*** წარმოშობით თვითონ არის ზმნა, რადგან მას დამხმარე ზმნა არ სჭირდება: *კაცი ესე ხუმჯობე მისა. ამის შემდეგ არის შესაძლებელი ამ ტიპის სახელის მსაზღვრელად გამოყენება.

ასევე ზმნიდან უნდა მომდინარეობდეს ქართული და ზანური შედარებითი ხარისხის ფორმები. ზანურის -უ სუფიქსი, რომელიც სვანური -ა სუფიქსის შესატყვისია, ზმნაშიც უნდა იყოს. უ-ჯგ-უ-შ-ი („უკეთესი“), შდრ.: უ-ჯგ-უ-(ნ) („სჯობს იგი მას“)...

ქართულში შედარებითი ხარისხისათვის გამოყენებულია -ე სუფიქსი. ზანურში მისი კანონზომიერი შესატყვისია -ა. სტატიკური შინაარსის ზმნის აწმყოს ფორმა ქცეული არის შედარებით ხარისხად... ამრიგად, ქართველური ენები განვითარების ადრინდელ საფეხურზე შედარებით ხარისხს მხოლოდ ზმნიდან აწარმოებდნენ. თუ ამოსავალი სახელი იყო, იგი ჯერ ზმნად უნდა

გარდაქმნილიყო. ამ თვალსაზრისით სვანური ყველაზე არქაულ ვითარებას გვიჩვენებს. ამ კატეგორიის საბოლოო ჩამოყალიბება ქართველურ ენათა დიფერენციაციის შემდეგ უნდა მომხდარიყო“ (მაჭავარიანი, 2002, 134–135).

ე. ბენვენისტს ატრიბუტის სემანტიკა დაჰყავს მქონებლობის აღმნიშვნელი პრედიკატული კონსტრუქციის ანუ პოსესიური პრედიკატიული კონსტრუქციის სემანტიკაზე.

"Мы считаем, что "его лук серебрянный" – это стяжение двух логически предшествующих и синтаксически различных предложений, сочленяющим звеном между которыми является местоименный член "его" (или глагол он "имеет"). Одно из них – предикативное предложение качества: "лук серебрянный"; другое – предикативное предложение принадлежности: "серебрянный лук принадлежит кому-то(х)". Это последнее предложение способно иметь формальный вариант: "х имеет серебрянный лук". Атрибутивное предложение имеет своим признаком предикат существования "быть у (принадлежать)" (être à), который необходимо предполагает носителя атрибута, выраженного или невыраженного... почти все прилагательные можно было бы назвать "посессивными" поскольку синтаксически они согласуются с существительным, которое является как бы обладателем качества" (ბენვენისტი, 1974, 251).

ატრიბუტისა და მდგომარეობის აღმნიშვნელი (სტატიკური) ზმნის სტრუქტურულ-სემანტიკურ თავისებურებებთან დაკავშირებული აქ განხილული მოსაზრებებისა და ამ ენობრივი ერთეულების ტიპოლოგიის საფუძველზე ნაშრომში კეთდება შემდეგი დასკვნა: ატრიბუტული სემანტიკის სტატიკური ზმნით გამოხატვა მოტივირებულია იმით, რომ სტატიკური ზმნა მიკუთვნების მნიშვნელობის მქონე ისეთივე პრედიკაციაა, როგორიც – ატრიბუტი; ორივე მათგანი პოსესორად წარმოადგენს იმ სახელს, რომელსაც მიემართება ეს პრედიკაცია, ოღონდ სტატიკური ზმნა – მდგომარეობის პოსესორად, ხოლო ატრიბუტი – თვისებისა.

ტიპოლოგიური მონაცემების მიხედვით, მდგომარეობის სემანტიკის ზმნური ფორმით გამოხატვა ხდება შესაბამისად იმისა, თუ რომელ ფორმალურ ნიშანს იყენებს ენა პოსესიურობის სემანტიკის მარკირებისათვის. წარმოდგენილ ნაშრომში შემოთავაზებული თვალსაზრისით, თანამედროვე ქართულში, ისევე როგორც სხვა ენებში, მდგომარეობის სემანტიკის ზმნური ლექსემით გამოხატვა ხდება სუბიექტის წარმოდგენით დასახელებული მდგომარეობის პოსესორად და, ამდენად, პოსესიურობის ი-პრეფიქსის გამოჩენა ე.წ. მედიოაქტივებში –

ფიზიკური, ემოციური და მენტალური მდგომარეობის აღმნიშვნელ გარდაუვალ ზმნებში – ტიპოლოგიურად სავსებით კანონზომიერია.

მედიოაქტივად სახელდებულ ***იცინის, იჩქარის, იძინებს*** და ა.შ. ტიპის ზმნებს მდგომარეობის აღმნიშვნელ უკუქცევით ზმნებად განიხილავს დ. მელიქიშვილი თავის წიგნში „ქართული ზმნის უღლების სისტემა“, რომელშიც მოცემულია ქართული ენის ზმნური კატეგორიების ზოგადი დახასიათება და აღწერილია ზმნის უღვლილების სისტემა. ზმნათა საკლასიფიკაციო პრინციპად ნაშრომში აღებულია ზმნის სტრუქტურა და კონსტრუქცია და ამის საფუძველზე გამოყოფილია სამი ძირითადი დიათეზა. მედიოაქტივები (ავტოტივები) ერთიანდებიან I დიათეზაში.

ქართული ზმნის ძირითად საკლასიფიკაციო სემანტიკურ ნიშნად ავტორი მიიჩნევს სტატიკურობა-დინამიკურობას. „სტატიკური ზმნა გამოხატავს საგნის მდგომარეობას ან მოქმედების მდგომარეობას (***აქვს, დგას, ზის, წევს, სძინავს, კანკალებს, წუხს, ყვირის, ცხოვრობს, ხატია, წერია, გდია***...). დინამიკური ზმნა კი – მოქმედების პროცესს (***აკეთებს– კეთდება***, ***ათეთრებს – თეთრდება – უთეთრდება***, ***ხატავს – იხატება – ეხატება***, ***აბამს – იბმება – ებმება***, ***ათბობს–თბება–უთბება***, ***შლის–იშლება–ეშლება***).

სტატიკური ზმნები განვითარების უძველეს საფეხურს და ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის უძველეს ნაწილს წარმოადგენენ. სტატიკური ზმნა, თავისი შინაარსიდან გამომდინარე (რამდენადაც იგი მდგომარეობას აღნიშნავს), პრინციპში დროის მიხედვით უცვლელი უნდა იყოს, მაგრამ დინამიკური ზმნების უღლების განვითარებული სისტემის ანალოგიით აწარმოებს დრო-კილოთა ფორმებს. საფიქრებელია, რომ სტატიკური ზმნები ბაზაა დინამიკური ზმნების წარმოებისა ე.წ. კაუზატიური წესით: (***წუხს – ა-წუხ-ებ-ს, დგას – ა-დგ-ენ-ს, ტირის – ა-ტირ-ებ-ს, გდია*** (ძვ. ***ჰგდიეს***) – ***ა-გდ-ებ-ს***). სტატიკური ზმნები, როგორც უძველესი ფორმაცია, ღარიბია მორფოლოგიური კატეგორიებით (ხშირად ირეგულარულია). დინამიკური ზმნები აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ, მორფოლოგიური კატეგორიებით მდიდარია და ძირითადად რეგულარული წარმოება აქვთ – უღლების სისტემა ნორმალურად და სიმეტრიულად აქვთ განვითარებული“ (მელიქიშვილი, 2001, 13).

ავტორის აზრით, გვარის კატეგორიის განსაზღვრასა და აქტივ-პასივის, განსაკუთრებით კი მედიალური ზმნების, როგორც გვარის საოპოზიციო

ცალების გამოყოფას თუ ფორმალურ-სემანტიკური ნიშნების დადგენას, დიდი სირთულეები ახლავს ქართულში.

„საზოგადოდ, გვარის კვალიფიკაცია ეძლევა ისეთ ზმნურ ფორმებს, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებიან სემანტიკისა და სინტაქსის ერთეულებს შორის შესატყვისობის შებრუნების შემთხვევაში – კერძოდ, სუბიექტ–ობიექტისა და ქვემდებარე–დამატების ურთიერთშენაცვლების (კონვერსიის) შემთხვევაში... გვარის კატეგორიის ასეთი გააზრებისა და განსაზღვრის შემთხვევაში ქართულში ამ კატეგორიის გარეთ რჩება დიდი რაოდენობა მთელი რიგი ზმნებისა, რომლებიც გამოხატავენ ადამიანის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას (***წუხს, ტირის, კანკალებს, უყვარს, უჭირს*** და სხვ.). ამ ზმნების მოქმედების აგენსი იგივე პაციენსია (***წუხს*** ის – თვითონვეა მწუხარე, ***კანკალებს*** ის თვითონ, ***ტირის*** ის თვითონ). ამ მხრივ ისინი შინაარსობლივად ძალიან ჰგვანან ისტორიულად უგვარო დინამიკურ ზმნებს, რომელთაც დღეს ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში III ტიპის („თბება“ ტიპის) ვნებითებს უწოდებენ: რაც ***თბება*** და ***გათბა*** (***განვტეფ–განტფა***) თვითონ არის ***გა-მ-თბ-არ-ი***. არ არის შემთხვევითი, რომ ზმნათა ორივე ამ ტიპისაგან მხოლოდ მ-პრეფიქსიანი სასუბიექტო მიმღეობა იწარმოება: ***გამთბარი*** არის ის, ვინც ან რაც გათბა თვითონ, ***მწუხარე*** არის ის, ვინ წუხს (თვითონ). ხოლო ***გათბობილი*** არის ის, რაც გაათბეს, ***შეწუხებული*** არის ის, ვინც შეაწუხეს...

ამ ტიპის ზმნები, თუ შეიძლება ითქვას, მოქმედების მდგომარეობას გამოხატავენ. მათი სუბიექტი თვითმოქმედია, თვითმოძრავია, მისი მოქმედება უკუმიმართებისაა, უკუქცევითია (ამ მოქმედების გამოხატვა გრაფიკულად წრით შეიძლებოდა), ასეთ ზმნებს შეიძლება ***ავტოტივები*** ვუწოდოთ (ი. ზიცარს ეს ტერმინი გამოყენებული აქვს ბასკური უკუქცევითი ზმნებისათვის).

ისინი შინაგანად შეიცავენ პირდაპირ ობიექტს და ამიტომ არასრული კონსტრუქცია აქვთ: ***თამაშობს*** ის – ***ითამაშა*** მან. ობიექტი შეიძლება გარეთ გამოვიდეს, ასე ვთქვათ, ამოტივტივდეს: ***თამაშობს ის – თამაშობს ის მას***, ***სწავლობს ის – სწავლობს ის მას***, ***წუხს ის – წუხს ის მას***, ***ტირის ის – ტირის ის მას***. მაშინ ამავე სტრუქტურის ზმნა პირდაპირ გარდამავალ მიმართებას გამოხატავს, სრული კონსტრუქციისად იქცევა და აქტივთა ჯგუფში გადადის. ასეთი ზმნები ლაბილური კონსტრუქციით ხასიათდებიან და მათ შეიძლება ლაბილურ-გარდამავალი ზმნები ვუწოდოთ... ამ ტიპის ზმნები ბაზისური

ფორმებია ***ა-წუხ-ებ-ს ის მას***, ***ა-ტირ-ებ-ს ის მას***, ***ა-კანკალ-ებ-ს ის მას***, ***ა-მეფ-ებ-ს ის მას***, ***ა-თამაშ-ებ-ს ის მას*** და სხვ. ფორმებისათვის...

ამ ტიპის ზმნებს ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში პირობითად „საშუალი გვარის“ (მედიუმთა) ჯგუფში ათავსებენ, როგორც ფორმალურად აქტივის მოდელის მქონეთ (ისინი აწმყოში -ი, -ავ, -ებ, -ობ თემატური სუფიქსის შემდეგ აქტივთა მსგავსად მხოლოდ პირის ნიშანს დაირთავენ, მაშინ, როდესაც პასივებს თემატური ნიშნის შემდეგ -ი მახასიათებელი დაერთვის)... ამავე დროს, თვლიან, რომ ე.წ. „მედიუმებს“ მხოლოდ აწმყოს ჯგუფის ფორმათა წარმოება შეუძლიათ, დანარჩენ მწკრივებს კი აქტივის (სასუბიექტო) ვერსიის ფორმებისაგან სესხულობენო“ (იქვე, 62–63).

„ავტოტივებისა და სასუბიექტო ვერსიის აქტივების მყოფად-წყვეტილის ჯგუფების ფორმები იდენტურია. ამიტომ ავტოტივებს ამ თვალსაზრისით შეიძლება ეწოდოს მედიოაქტივები“ (იქვე, 67).

I დიათეზაში ***წუხს, იღვიძებს*** ტიპის ავტოტივებთან ერთად ავტორი აერთიანებს აქტივებს, რომელთა მორფოლოგიური სუბიექტი ბრუნვაცვალებადია სერიების მიხედვით და იდენტური სტრუქტურა (მოდელი) აქვთ. „I არასრული დიათეზის – ავტოტივის სტრუქტურა და კონსტრუქცია ამოსავალია I სრული დიათეზის მქონე აქტივის თემატურსუფიქსიანი ფორმებისათვის“ (იქვე, 67).

„ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ტერმინს „საშუალი გვარი“ პირობითად იყენებენ ერთი გარკვეული ჯგუფის ზმნების აღსანიშნავად, რომელთათვისაც ძირითადად სტატიკურობა და უკუქცევითობაა (რეფლექსურობაა) დამახასიათებელი. „საშუალ გვარს“ ცალკე გვარად გამოყოფენ იმდენად, რამდენადაც ამ ტიპის ზმნები ზოგი ნიშნით მოქმედებითს ჰგვანან, ზოგი ნიშნით კი ვნებითს. ამ კრიტერიუმებიდან ამოსვლით, აკაკი შანიძე გამოყოფს ორ ქვეჯგუფს: მედიოაქტივს, რომელიც ნაკლულ ფორმებს აქტივისაგან სესხულობს, და მედიოპასივს, რომელიც ნაკლულ ფორმებს, შესაბამისად, პასივებისაგან სესხულობს. ე.წ. მედიალური ზმნები ქართულში უძველესი ფორმაციის ზმნებია. მათ არნოლდ ჩიქობავა უგვარო სტატიკურ ზმნებს უწოდებს და ენის განვითარების იმ საფეხურის ამსახველად მიიჩნევს, როდესაც ზმნა მინიმალურად განსხვავდებოდა სახელისაგან: ზმნა მდგომარეობას აღნიშნავდა და ეს მდგომარეობა თვისების მსგავსად უცვლელი იყო. ამ ტიპის ზმნების სტატიკური ხასიათი პრინციპში უნდა გამორიცხავდეს დროში ცვალებადობას, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ისინი უბრალოდ სივრცეში მდგომარეობას კი არ გამოხატავენ,

არამედ თუ შეიძლება ითქვას, მოქმედების მდგომარეობას, კერძოდ, ხმის გამოცემას, სულის შინაგან მოქმედებას (ფსიქიკურ მდგომარეობას) ასახავენ. ამ ტიპის ზმნები ქართული ენის აქტიურ ლექსიკურ ფონდს განეკუთვნებიან და ამიტომ სიცოცხლის შესანარჩუნებლად მათ შეძლეს ზმნის უღლების საერთო სისტემაში მოქცევა... „მედიოაქტივები“ როგორც სტრუქტურის, ისე სემანტიკის თვალსაზრისით, ძირეული ფორმებია და ამოსავალია აქტივისათვის. ისინი, ასე ვთქვათ, თვითმოქმედებას, თვითმოძრაობას გამოხატავენ... ამ ზმნებს შინაგანი გარდამავლობა ახასიათებთ, ისინი შინაგანად შეიცავენ პირდაპირ ობიექტს... და ზედაპირზე არასრული კონსტრუქცია აქვთ. ამიტომ თუმცა მათ აბსოლუტური აგებულება აქვთ, მაგრამ კანონზომიერია, რომ მყოფად-წყვეტილის ჯგუფის მწკრივებს ისინი აწარმოებენ ი-პრეფიქსის საშუალებით, რომელიც ავტოტი-ვებშიც და პასივებშიც რეფლექსივის ნიშანია, ხოლო აქტივში სასუბიექტო ვერსიის ფუნქციას იძენს... ამ ტიპის ი-პრეფიქსიანი ფორმები (ისევე, როგორც I სრული დიათეზისა და II დიათეზის ზმნისწინიანი ფორმები) მომავალ დროში გადაირიცხნენ იმ განსხვავებით, რომ ზმნისწინიან ფორმებს სრული ასპექტის მნიშვნელობა აქვთ, ი-პრეფიქსიან მყოფადსა და წყვეტილს კი უსრულისა, როგორც ეს შეეფერება სტატიკურ ზმნებს, რომლებსაც დიურატიული შინაარსი აქვთ... ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ მყოფად-წყვეტილის ი-პრეფიქსიანი ფორმები აქტივისაგან ნასესხებად კი არ ჩავთვალოთ, არამედ ავტოტივ-რეფლექსივის კანონზომიერ ფორმებად, რომელთათვისაც რეფლექსივის (resp. სასუბიექტო ვერსიის) ი-პრეფიქსი ამგვარი მიმართების აღმნიშვნელი ორგანული პრეფიქსია, რომელიც აქტივის სრულ კონსტრუქციაში სასუბიექტო ვერსიის შინაარსს იძენს. ამგვარად, ავტოტივს და აქტივს ფორმალური სტრუქტურა (მოდელი) საერთო აქვთ: R-ავ, R-ი, R-ებ, R-ობ, R-Ø, R[ე/ი]-Ø (***ვიწუხებ – მიწუხს, ძგერს – მიძგერს – უძგერს, ვჩქმეტ – მჩქმეტს – მიჩქმეტს, ბრწყინავს – მიბრწყინავს, ვშფოთავ – შფოთავს– მიშფოთავს, მშუამდგომლობს – მიშუამდგომლებს***), მაგრამ კონსტრუქცია განსხვავებული აქვთ: ავტოტივებს, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, აკლიათ პირდაპირი ობიექტი, რომელსაც შინაგანად შეიცავენ, როგორც რეფლექსივები“ (მელიქიშვილი, 2001, 83–85).

ამდენად, დ. მელიქიშვილის თვალსაზრისით, მედიოაქტივი (ავტოტივი) არის სტატიკური ზმნა, მდგომარეობის გამომხატველი ობიექტჩართული, ობიექტის შინაგანად შემცველი უკუქცევითი ზმნური ლექსემა, რომლის ი-პრეფიქსიანი პარადიგმატული ფორმები აქტივისაგან ნასესხები კი არა, ავტოტივ-რეფლექსივის

ორგანული, ამ ზმნათა უკუქცევითი სემანტიკით განსაზღვრული კანონზომიერი ფორმებია. ეს თვალსაზრისი ძირითადად ემთხვევა ბ. ჯორბენაძის შეხედულებას მედიოაქტივის ფუნქციონალურ-სემანტიკურ მახასიათებლებზე. თვალსაზრისთა შორის განსხვავება ისაა, რომ, ბ. ჯორბენაძის აზრით, მედიოაქტივი უკუქცევითი ზმნაა, მოქმედებითთან ფორმობრივი მსგავსების გამო მოქმედებითი გვარის სტატიკური ვარიანტია, მაგრამ მისი ი-პრეფიქსიანი პარადიგმატული ფორმები შემნაცვლებელი (და არა ორგანული) ფორმებია, „რომლებიც ნაკლულ ნაკვთებს უვსებენ სტატიკურ („საშუალი“ გვარის) ზმნებს“ (ჯორბენაძე და სხვ., 1988, 201).

დ. მელიქიშვილის მსგავსად, მედიოაქტივის ი-პრეფიქსიან პარადიგმატულ ფორმებს ამ ზმნათა საკუთარ და არა ნასესხებ ფორმებად განიხილავს ლ. ნოზაძეც. „...ისტორიულად ***იმეფა, უწამლა*** ტიპის ზმნათა ფორმები ***მეფობს, სწამლობს*** ტიპის ზმნათა საკუთარი ფორმებია (და არა ნასესხები). სხვაობა მათ შორის მეორეულია, წარმოქმნილი ფონეტიკურ ნიადაგზე, კერძოდ, აწმყოს ფორმებში პრეფიქსების დაკარგვის შედეგად“ (ნოზაძე, იკე, 1974, 47). მაგრამ ამ თვალსაზრისის ავტორი მედიოაქტიურ ზმნას სტატიკურ ზმნად არ მიიჩნევს: „არც ფორმათა ისტორია და არც სემანტიკური ანალიზი, ჩვენი აზრით, არ უჭერს მხარს ე.წ. მედიოაქტივ ზმნათა აწმყოს წრის ფორმები მივიჩნიოთ სტატიკური ზმნის ფორმებად. ***ყეფს, ცურავს, ნადირობს, სადილობს, სწამლობს***... დინამიკური, აქტიური ზმნებია ისევე, როგორც ***ხატავს, სწერს, სთხოვს***... სხვაობა მათ შორის პირდაპირი ობიექტის ქონა-არქონაშია. სტატუსის მიხედვით აღნიშნული ზმნები ერთნაირად უპირისპირდებიან საკუთრივ სტატიკურ ზმნებს – ***თესია, წერია, ჰგონია*** და მისთანებს“ (იქვე, 51).

ლ. ნოზაძე საერთოდ არ სვამს „მედიოაქტივების“ უკუქცევით ზმნებად განხილვის საკითხს, მაგრამ, ისევე როგორც ბ. ჯორბენაძე და დ. მელიქიშვილი, ლ. ნოზაძეც მიუთითებს (და თან ამ მკვლევრებზე ადრე) მედიოაქტივების ობიექტჩართულობაზე, თუმცა მათგან განსხვავებულად მოიაზრებს მედიოაქტი-ვების შინაგან ობიექტს: „რაც შეეხება პირდაპირ ობიექტს, იგი, ჩვენი ვარაუდით, ამ ტიპის ზმნებს დაკავშირებული იმ წესით, რაც ნორმაა სხვა გარდამავალი ზმნებისათვის, ე.ი. „გარეგანი ობიექტის“ სახით არ უნდა ჰქონდეთ. ვფიქრობთ, ***იმეფა, ურქინა*** ტიპის ზმნათა სახით საქმე უნდა გვქონდეს წარმოების სხვა წესთან. სიმპტომატურია, რომ ***იმეფა მან, ურქინა მან მას*** ტიპის წარმოება, ძირითადად, ნასახელარ ზმნებს ახასიათებს. ასეთ შემთხვევაში ბუნებრივი ჩანს პირდაპირი ობიექტის უქონლობასა და ზმნის ფუძედ სახელის გამოყენების

ფაქტს შორის შინაგანი კავშირი ვივარაუდოთ (ცხადია, ამ ფაქტს არ შეიძლება რაიმე დამოკიდებულება ჰქონდეს უკუქცევითი ნაცვალსახელის ***თავის*** ოდინდელ არსებობასთან. „პირდაპირი ობიექტი“ ***იმეფა, ურქინა*** ტიპის ზმნებისა უნდა იყოს ის, რაც ამ ზმნათა ფუძეებშია წარმოდგენილი, ე.ი. „პირდაპირი ობიექტი“ აღნიშნულ ზმნებთან „შინაგანი ობიექტის სახით“ უნდა გვქონდეს. ***იმეფა, ისერა, ინადირა, ურქინა, უწამლა...*** ზმნათა „პირდაპირი ობიექტია“, ჩვენი აზრით, ***მეფე, სერი, ნადირი, რქა, წამალი...***“ (იქვე, 47–48).

ჩვენი აზრით, ლ. ნოზაძე სახელისაგან მედიოაქტიური ზმნის წარმოქმნის შესაძლებლობაზე მიუთითებს და არა მედიოაქტივის ობიექტჩართულობაზე, ნასახელარ მედიოაქტივებთან დაკავშირებით კი სრულიად მართებულად მიგვაჩნია ი. მელიქიშვილის შემდეგი მოსაზრება:

„ზმნათა ეს კლასი (ნასახელარ მედიოაქტივთა კლასი – მ.ქ.) უაღრესად პროდუქტიული და პრაქტიკულად შემოუსაზღვრელია. ამდენად, სიის სახით მისი წარმოდგენა შეუძლებელია. -ობ თემის ნიშნის მეშვეობით გარდაუვალი, აქტიური, პროცესუალური ატელიკური ზმნების წარმოება შესაძლებელია ყველა არსებითი და ზედსართავი სახელისაგან და ზმნიზედებისგანაც კი. ხშირია ამ ტიპის წარმოება პროფესიის, საქმიანობის, რანგის, ეროვნების გამომხატველი არსებითი სახელებისაგან (***მეფობს, ბელადობს, წინამძღოლობს, ხელმძღვანელობს, სარდლობს, მასწავლებლობს, დურგლობს, კალატოზობს, ვაჭრობს, მათხოვრობს, პოეტობს, მოგზაურობს, ქართველობს, ფრანგობს...***). ამ ტიპის წარმოება შესაძლებელია პრაქტიკულად ყველა არსებითი სახელისაგან, როცა ენაში ჩნდება შესაბამისი მნიშვნელობის ზმნური პროცესის სახით გამოხატვის საჭიროება (***თევზაობს, ბურთაობს, სახლობს, ქეიფობს...***). ასევე შესაძლებელია მედიოაქტიურ ზმნათა წარმოება -ობ თემის ნიშნის მეშვეობით ყველა ზედსართავისაგან: ***ლამაზობს, ყოყოჩობს, სულელობს, კოხტაობს, ნაზობს, ზარმაცობს, ცელქობს, მხიარულობს, ამაყობს, ბეჯითობს...*** ეს კლასი პრაქტიკულად ღიაა. ყოველი ახალი ნასესხები სიტყვიდანაც შესაძლებელია -ობ თემის ნიშნით მედიოაქტიური კლასის ზმნათა წარმოება. მორფოლოგიური თვალსაზრისით ამ კლასში გამოიყოფა ზმნათა დიდი ჯგუფი, რომლის დაბოლოებასაც -აობ სახე აქვს მიღებული. ამ ზმნათა გარკვეული ნაწილის სახელური საფუძველი ა-ზე დაბოლოებულ ფუძეებს წარმოადგენს: ***გუნდაობს, ციგაობს, ქირაობს, ყირაობს, მასხარაობს, ძიძგილაობს, მუშაობს, კოხტაობს, ბებიაობს, კენწლაობს...*** ან ვ-ს დაკარგვით ა-ზე დაბოლოებული ფუძის სახე მიიღო: ***დავობს, სხვაობს, ზვაობს,***

თაობს, მრეცხაობს. გამოიყოფა ისეთი ზმნებიც, რომლებსაც -ავ თემის ნიშანიც შეიძლება ჰქონდეთ და -აობ დაბოლოებაც. ეს უკანასკნელი პროცესუალობასთან ერთად მათ მრავალგზის შინაარსს ანიჭებს: ***ბუქნავს– ბუქნაობს***, ***გორავს – გორაობს***, ***ცურავს – ცურაობს***, ***ხტუნავს–ხტუნაობს***, ***ყვინთავს–ყვინთაობს***; ვფიქრობთ, რომ იმ შემთხვევაში, როცა ფუძეში ა-ს არსებობას ფონეტიკური საფუძველი არ აქვს, -აობ დაბოლოება მრავალგზისობის ელფერს ჰმატებს ზმნის პროცესუალურ შინაარსს. ასეთებია: ***ბანაობს, ბურთაობს, ბუქნაობს, თოვლაობს, კენჭაობს, ტლინკაობს, ქანაობს, ციგურაობს, ჭყუმპალაობს***... -აობ დაბოლოების მქონე ზმნები (როდესაც ეს დაბოლოება ფონეტიკურად არ არის წარმოქმნილი) განმეორებად, მიმართულების მონაცვლე მოქმედებას გამოხატავენ. ასე რომ, ეს დაბოლოება უკვე გარკვეული ასპექტური შინაარსის მატარებლად არის ჩამოყალიბებული“ (მელიქიშვილი, 2002, 125–126).

მედიოაქტივის „შინაგან ობიექტს“ ლ. ნოზაძისაგან განსხვავებულად განსაზღვრავენ ბ. ჯორბენაძე და დ. მელიქიშვილი, რომელთა თვალსაზრისები, ფაქტობრივად, ემთხვევა ერთმანეთს.

ბ. ჯორბენაძის აზრით, ***წუხს*** ტიპის გარდაუვალი სტატიკური ზმნა „...არსებითად გარდაუვალი მოქმედებითი კი არ არის, არამედ უკუქცევითი მოქმედებითია, სადაც სუბიექტი თავისივე მოქმედების ობიექტია, უკუქცევითი ფორმა თავისი მნიშვნელობით სტატიკურიცაა. ეს უკუქცევითი, სტატიკური ფორმა... გარდამავალიც შეიძლება იყოს: იცის,... უწყის... და გარდაუვალიც: წუხს, ბიბინებს, ტრიალებს...“ (ჯორბენაძე, 1975, 79).

არსებითად ასევე განმარტავს ე.წ. მედიოაქტიური ზმნის სემანტიკას დ. მელიქიშვილი. მისთვისაც ***წუხს, ტირის, კანკალებს*** და ა.შ. მდგომარეობის აღმნიშვნელი ზმნებია „რომელთათვისაც ძირითადად სტატიკურობა და უკუქცევითობაა (რეფლექსურობაა) დამახასიათებელი“ (მელიქიშვილი, 2001, 83). „ამ ზმნების მოქმედების აგენსი იგივე პაციენსია (***წუხს*** ის – თვითონვეა მწუხარე, ***კანკალებს*** ის თვითონ, ***ტირის*** ის თვითონ)... ისინი შინაგანად შეიცავენ პირდაპირ ობიექტს და ამიტომ არასრული კონსტრუქცია აქვთ...“ (იქვე, 62–63).

წუხს, ტირის ტიპის გარდაუვალ პირველად ზმნებში (რომელთა სემანტიკურ სტრუქტურაში არ შეიძლება იგულისხმებოდეს პირდაპირი ობიექტის როლის შემსრულებელი რეფერენტი) „შინაგანი პირდაპირი ობიექტის“ ძიება, სუბიექტის კორეფერენტული პირდაპირი ობიექტის დაშვება, ჩვენი აზრით, მოტივირებულია ***წუხს*** ტიპის სტატიკური ზმნების რეფლექსურობის დამტკიცებისა და ამით ამ

ზმნური ლექსემებისა და აქტივების სტრუქტურულ-ფორმალური მსგავსების ახსნის სურვილით.

ბ. ჯორბენაძისა და დ. მელიქიშვილის თვალსაზრისის მსგავსია გ. ნებიერიძის თვალსაზრისი. თავის ნაშრომში „ქცევის კატეგორია ქართულში (ტრანსფორმაციული ანალიზი)“ გ. ნებიერიძე მედიოაქტიურ ზმნებს წარმოადგენს სუბიექტის კორეფერენტული სიღრმისეული ირიბი ობიექტის შემცველ უკუქცევით (რეფლექსურ) ზმნებად, რომლებიც ზედაპირულ დონეზე უნდა ქმნიდნენ ასეთ სტრუქტურებს:

a. მე ვიჩივლე მე
b. შენ იჩივლე შენ
c. მან$_1$ იჩივლა მას$_1$

მაგრამ ასეთი სტრუქტურების ნაცვლად ზედაპირულ დონეზე გვაქვს:

a. მე ვიჩივლე
b. შენ იჩივლე
c. მან იჩივლა

სიღრმისეული სტრუქტურის ზედაპირულ დონეზე ასეთი რეალიზაცია შეპირობებულია რეფლექსივიზაციის ტრანსფორმაციული წესით, რომლის მიხედვითაც, იშლება „აგენტის იდენტური ირიბი ობიექტი და ორივე მათგანი – აგენტიცა და რეციპიენტიც (ირიბი ობიექტი) ერთიანდება სუბიექტში. ირიბი ობიექტის ასეთი წაშლა განპირობებულია იმით, რომ აგენტსა და რეციპიენტს ერთი და იგივე რეფერენტი აქვთ. თუ აგენტსა და რეციპიენტს სხვადასხვა რეფერენტი აღმოაჩნდებათ, მაშინ, ბუნებრივია, ვერც რეფლექსივიზაციის წესი იმოქმედებს. ამიტომ სასხვისო ქცევის პარადიგმაში, სადაც რეფლექსივიზაციის წესი ვერ მოქმედებს, ირიბი ობიექტი წარმოდგენილია ზედაპირულ დონეზეც. რამდენადაც სათავისო ქცევის პარადიგმაში სუბიექტი აგენტიცაა და რეციპიენტიც, ამდენად, სიღრმისეულ დონეზე ამგვარი სუბიექტი უნდა წარმოვადგინოთ ორგვარად – როგორც აგენტი, ანუ როგორც სუბიექტი იმავე აზრით, რა აზრიც აქვს მას სასხვისო ქცევის პარადიგმაში და როგორც რეციპიენტი, ანუ როგორც ირიბი ობიექტი“ (ნებიერიძე, 1976, 133). ავტორი ამოდის იმ თვალსაზრისიდან, რომ „პირდაპირი ობიექტი ქცევის კატეგორიისათვის ირელევანტური ოდენობაა, რადგანაც... სათავისოა ქცევა, თუ სუბიექტი რეფლექსურ მიმართებას ამყარებს ირიბ ობიექტთან, ე.ი. სუბიექტსა და ირიბ ობიექტს ერთი და იგივე რეფერენტი

აქვთ. სასხვისოა ქცევა, თუ სუბიექტი ირეფლექსურ მიმართებას ამყარებს ირიბ ობიექტთან, ე.ი. სუბიექტსა და ირიბ ობიექტს სხვადასხვა რეფერენტი აქვთ. ამდენად, სათავისო და სასხვისო ქცევების ზუსტი დეფინიციისათვის რელევანტურია მხოლოდ სუბიექტი და ირიბი ობიექტი. რადგანაც ქცევის ასეთი დეფინიცია უგულებელყოფს პირდაპირ ობიექტს, ამიტომ სათავისო და სასხვისო ქცევა შეიძლება ჰქონდეს არა მარტო მოქმედებითი გვარის ზმნებს,... არამედ ვნებითი და საშუალი გვარის ზმნებსაც“ (იქვე, 134). „ერთი სიტყვით, სათავისოა ქცევა იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტსა და ირიბ ობიექტს ერთი და იგივე რეფერენტი აქვთ, ხოლო სასხვისოა ქცევა იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტსა და ირიბ ობიექტს სხვადასხვა რეფერენტი აქვთ. ამრიგად, სათავისო ქცევა შეიძლება განვიხილოთ, როგორც სასხვისო ქცევის კერძო შემთხვევა...“ (იქვე, 133).

რადგან სათავისო ქცევა მოქმედებითი გვარის ზმნების გარდა, „საშუალი გვარის“ ზმნებსაც შეიძლება ჰქონდეს, ხოლო ქცევის კატეგორიისათვის რელევანტურია მხოლოდ სუბიექტი და ირიბი ობიექტი, გ. ნებიერიძე მედიოაქტივის, როგორც სათავისო ქცევის სემანტიკის მქონე ზმნის ლოგიკურ-სემანტიკურ სტრუქტურაში აღადგენს სუბიექტის მოქმედების განმცდელს (რეციპიენტს) – სუბიექტის კორეფერენტულ ირიბ ობიექტს. „მედიოაქტიური ზმნის სასხვისო ქცევის პარადიგმაში სუბიექტის მოქმედებას განიცდის ირიბი ობიექტი, ხოლო სათავისო ქცევის პარადიგმაში სუბიექტის მოქმედებას განიცდის ისევ სუბიექტი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მედიოაქტიური ზმნის სათავისო ქცევის პარადიგმაში სუბიექტი ერთდროულად აგენტიც არის და მოქმედების განმცდელიც (რეციპიენტი), ამიტომ, ვთქვათ, „იჩივლა“ რეფლექსური ზმნაა და ეს რეფლექსურობა გამოიხატება /ი/ ნიშნით ისევე, როგორც მოქმედებითი გვარის ზმნის სათავისო ქცევის ფორმებში“ (იქვე, 136). გ. ნებიერიძისათვის ქცევის კატეგორიის სამწევრა სისტემაში რეფლექსურია მხოლოდ სათავისო, ხოლო მის საპირისპიროდ ირეფლექსურია – საარვისო და სასხვისო.. „სასხვისო იქნება ქცევა, თუ სუბიექტი მხოლოდ აგენტია და ირიბი ობიექტი – მხოლოდ რეციპიენტი, ხოლო საარვისო იქნება ქცევა, თუ სუბიექტი მხოლოდ აგენტია და ირიბი ობიექტი ან არ გვექნება, ანდა არ იქნება რეციპიენტი“ (იქვე, 138).

როგორც ვხედავთ, გ. ნებიერიძე, ისევე როგორც ბ. ჯორბენაძე და დ. მელიქიშვილი, ე.წ. მედიოაქტიურ ზმნას – პირველად, გარდაუვალ ზმნურ ლექსემას – განიხილავს რეფლექსივად, ოღონდ ამისათვის მედიოაქტივის ლოგიკურ-სემანტიკურ სტრუქტურაში იგი აღადგენს სუბიექტის კორეფერენტულ ირიბ ობიექტს,

ბ. ჯორბენაძე და დ. მელიქიშვილი კი აღადგენენ სუბიექტის კორეფერენტულ პირდაპირ ობიექტს. ვფიქრობთ, პირდაპირი ან ირიბი ობიექტის მიჩნევა მედიო-აქტივის სემანტიკური სტრუქტურის შემადგენელ ერთეულად ამჯერადაც მიზნად ისახავს მედიოაქტივის უკუქცევითობის (რეფლექსურობის) ჰიპოთეზის გამყარებას. წინამდებარე ნაშრომში ნებისმიერი ტიპის უკუქცევითი ზმნა – ობიექტჩართულიც და არაობიექტჩართულიც – პირველ რიგში, წარმოქმნილ ენობრივ ერთეულად, უკუქცევით ტრანსფორმად განიხილება და, აქედან გამომდინარე, პირველადი, არაწარმოქმნილი მედიოაქტიური ზმნის უკუქცევითობის მხარდამჭერი ნებისმიერი ჰიპოთეზა ჩვენთვის ნაკლებ დამაჯერებელია.

სპეციალურ ლიტერატურაში ობიექტჩართულ ზმნად მიჩნეულია ამოსავალი გარდამავალი ზმნის სინონიმური გარდაუვალი უკუქცევითი ტრანსფორმი, რომელიც ლექსიკურად შესატყვისი აქტივისგან წარმოიქმნება აქტივის სემანტიკური ვალენტობის შენარჩუნებით, მაგრამ სინტაქსური ვალენტობის დაკლებით. ობიექტჩართული ტრანსფორმის სემანტიკურ (რეფერენტულ და რეფერენტთა როლების) სტრუქტურებში უცვლელად გადმოდის აქტივის სემანტიკური სტრუქტურების ყველა ერთეული, მაგრამ ირღვევა მათი პირდაპირი შესაბამისობა ტრანსფორმის სინტაქსური სტრუქტურის ერთეულებთან: ამოსავალი აქტივის Ag(აგენსი) სემანტიკური ერთეული დერივატის სინტაქსურ სტრუქტურაში ქვემდებარედ არის წარმოდგენილი, მაგრამ დანარჩენი სემანტიკური ერთეულები: Pt(პაციენსი) და/ან Ad(ადრესატი) არ გამოიხატებიან მათი იერარქიის შესატყვისი აქტანტებით და, ამდენად, დერივატის სინტაქსურ სტრუქტურაში შეუვსებელი რჩება პირდაპირი და/ან ირიბი დამატების პოზიციები. ამ ტიპის უკუქცევით დერივატთან, ლექსიკური მნიშვნელობის შესაბამისად, ან საერთოდ იკრძალება Pt(დაAd) როლის შემსრულებელი რეფერენტის (რეფერენტების) წარმოდგენა სინტაქსურად, ან დასაშვებია მისი/მათი გამოჩენა ფაკულტატური უბრალო დამატების სახით(იანკო-ტრინიცკაია, 1962,171-202; გენიუშენე, 1981, 168-171; კოზინცევა, 1981, 85; ქარქაშაძე, 2010, 123-133). სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებული თვალსაზრისით ობიექტჩართული უკუქცევითი ზმნებია:

ქართ. იკრიჭება, იცოხნება, ირტყმევინება, ილოცება;

რუს. ***нахмурился*** „მოიღუშა“ , ***чешется*** ”იქექება”;

სომხ. ***xožorvec*** „შეიჭმუხნა“;

ლიტვ. ***kandžiojasi*** „იკბინება“;

ფრანგ. ***se conformer*** „ეგუება“, ***se meubler*** “ავეჯით იწყობს ბინას”.

ამ ტიპის უკუქცევით დერივატებს ნაშრომში “Деривационная, семантическая и синтаксическая классификация местоименных глаголов французского языка” ე.კორდი განიხილავს გარდაუვალ რეფლექსურ-პოსესიურ ფორმებად:

“Эти глаголы образуются от прямопереходных МГ(местоименный глагол), сочетающихся с одушевленными именами в позиции П(подлежащее). Сравнительно с НГ(нерефлексивный глагол), МГ включают в свою лексему значение объекта и соответственно утрачивают валентность на прямое дополнение” (კორდი, 1981, 236).

ობიექტჩართული უკუქცევითი შეიძლება წარმოიქმნას როგორც ორ, ისე სამვალენტიანი გარდამავალი ზმნისგან და ეს სინტაქსური ვალენტობის შემამცირებელი ტრანსფორმაცია ამოსავალი გარდამავალი ზმნისა და მისი გარდაუვალი ტრანსფორმის შემდეგ მიმართებებს ქმნის:

I.$V_{tr(2)}$[Ag(ქვ),Pt(დპ)]=>$V_{intr(1)}$[Ag(ქვ),Pt(X)];

II.$V_{tr(2)}$[(Ag(ქვ),Pt(დპ)]=>$V_{intr(1)}$[Ag(ქვ),Pt(დუ)];

III.$V_{tr(3)}$ [Ag(ქვ),Pt(დპ),Ad(დი)]=>$V_{intr(1)}$[Ag(ქვ),Pt(დუ),Ad(X)];

IV.$V_{tr(3)}$[Ag(ქვ),Pt(დპ),Ad(დი)]=>$V_{intr(1)}$[Ag(ქვ),Pt(დუ),Ad(დუ)];

V. $V_{tr(3)}$[Ag(ქვ),Pt(დპ),Ad(დი)]=>$V_{intr(1)}$[Ag(ქვ),Pt(X),Ad(X)],

სადაც:

$V_{tr(2)}$ - ორვალენტიანი გარდამავალი ზმნა;

$V_{tr(3)}$ -სამვალენტიანი გარდამავალი ზმნა;

$V_{intr(1)}$ - ერთვალენტიანი გარდაუვალი ტრანსფორმი;

Ag - ზმნით დასახელებული სიტუაციის აქტიური მონაწილე, რომლის გამო სხვა მონაწილეს ან თვითონ მას რაღაც ემართება;

Pt - ზმნით დასახელებული სიტუაციის პასიური მონაწილე, რომელსაც Ag-ის ზემოქმედებით ან ხილული მიზეზის გარეშე რაღაც ემართება;

Ad - ზმნით დასახელებული სიტუაციის პასიური მონაწილე, რომლის სასარგებლოდ ან “საზიანოდ” ხორციელდება Ag-ის მოქმედება;

ქვ – ქვემდებარე; დპ – პირდაპირი დამატება; დი –ირიბი დამატება; დუ – უბრალო დამატება;

X – ცარიელი სინტაქსური პოზიცია.

აღნიშნული თვალსაზრისით, ობიექტჩართული უკუქცევითი ზმნაა ყველა ქვემოთ მითითებული წარმოქმნილი სინტაქსური კონსტრუქციის პრედიკატული ლექსემა:

Ag(ქვ),Pt(დპ) => Ag(ქვ),Pt(X)

ბიჭი(ქვ) შმუშნის მხრებს(დპ) => ბიჭი(ქვ) ***იშმუშნება***;

ნიკა(ქვ) იქექავს თავს(დპ) = > ნიკა(ქვ) ***იქექება***;

Ag(ქვ),Pt(დპ),Ad(დი) => Ag(ქვ),Pt(დუ),Ad(X)

შვილი(ქვ) ოჯახს(დი) ატყობინებს ამბავს(დპ) => შვილი(ქვ) ***იტყობინება*** ამბავს(დუ);

Ag(ქვ),Pt(დპ),Ad(დი) => Ag(ქვ),Pt(X),Ad(X)

ბიჭი(ქვ) ხელს(დპ) ურტყამს ყველას(დი) => ბიჭი(ქვ) ***ირტყმევინება***(სასაუბ).

ამოსავალი აქტივის ის სემანტიკური ერთეულები, რომლებიც ტრანსფორმაციის შედეგად უკანა პლანზე გადავიდნენ და წარმოდგნენ უბრალო დამატების სახით ან საერთოდ აღარ გამოიხატნენ ობიექტჩართული დერივატის სინტაქსურ სტრუქტურაში, მაინც ასოცირდებიან დასახელებულ სიტუაციასთან, რადგან დერივაციისას არ იცვლება ამოსავალი ზმნის სემანტიკური სტრუქტურები. ამ სემანტიკური ერთეულების კონკრეტული ან განზოგადებული მნიშვნელობა, განმარტების თანახმად, იმპლიცირებულია ობიექტჩართული დერივატის ლექსემით (იანკო-ტრინიცკაია,1962, 171-202; გენიუშენე,1981,168-170; კოზინცევა,1981,85).

უკანა პლანზე გადაწეული სემანტიკური ერთეულის (ერთეულების) მნიშვნელობის ლექსემით დაკონკრეტების ხარისხის მიხედვით, ობიექტჩართულ ტრანსფორმებს ყოფენ სემანტიკურ კლასებად. მაგალითად, ***იშმუშნება*** ტიპის უკუქცევითები ხასიათდებიან სინტაქსურად არგამოხატული სემანტიკური ერთეულის მნიშვნელობის ლექსემით განსაზღვრის მაქსიმალურად მაღალი ხარისხით. ამ უკუქცევითის წარმომქმნელია სულიერი არსების სხეულის ერთ კონკრეტულ ნაწილზე შესასრულებელი სპეციფიკური მოქმედების აღმნიშვნელი გარდამავალი ზმნა ***შმუშნის.*** როცა მისი ტრანსფორმირების შედეგად დასახელებულ სიტუაციასთან ასოცირებული სამოქმედო ობიექტი (პაციენსი) სინტაქსურად აღარ გამოიხატება, ამ სემანტიკური ერთეულის, როგორც სიტუაციის აუცილებელი მონაწილის, მნიშვნელობა საგნობრივად კონკრეტდება ***იშმუშნება*** ტრანსფორმის ლექსემით.

სულიერი არსების სხეულის ნაწილებზე შესასრულებელი სპეციფიკური მოქმედების აღმნიშვნელი გარდამავალი ზმნის და მისი ტრანსფორმის სამოქმედო ობიექტის მნიშვნელობა მაქსიმალურად შეზღუდულია, რადგან განისაზღვრება სხეულის მხოლოდ ერთი კონკრეტული ნაწილით, რომელიც "სპეციფიკური" გარდამავალი ზმნის სინტაქსურ სტრუქტურაში პირდაპირი დამატებით გამოიხატება, ხოლო ამ გარდამავალი ზმნის "სპეციფიკური" ობიექტჩართული დერივატი მასზე ლექსემით მიანიშნებს.

საყოფაცხოვრებო აქტივობის აღმნიშვნელი გარდამავალი ზმნისგან წარმოქმნილი ობიექტჩართული უკუქცევითი კი, "სპეციფიკური" ობიექტჩართული ტრანსფორმისგან განსხვავებით, ლექსემით ვეღარ მიუთითებს სინტაქსურად არგამოხატული სემანტიკური ერთეულების კონკრეტულ მნიშვნელობაზე, რადგან მისი წარმომქმნელი გარდამავალი ზმნის პაციენსის და/ან ადრესატის მნიშვნელობათა სიმრავლე ერთზე მეტი ელემენტისგან შედგება:

ცოხნის (თივას,ბალახს, ჩალას...) => ***იცოხნება;***

ქექავს (ქაღალდებს, მიწას, ნაგავს...) =>***იქექება***

(ოჯახს, მეგობარს,...) ***ატყობინებს*** (ამბავს, სიახლეებს...) =>

იტყობინება (ამბავს, სიახლეებს,...)

ამჯერად საქმე გვაქვს სემანტიკური პირდაპრი ობიექტის ან ადრესატის მნიშვნელობის დეკონკრეტიზაციასთან, სინტაქსურად არგამოხატული სემანტიკური ერთეულის (ერთეულების) მნიშვნელობა დერივატის ლექსემით ვეღარ კონკრეტდება. დერივატის ლექსემით ამჯერად ივარაუდება სინტაქსურად არგამოხატული სემანტიკური ერთეულების პოტენციური მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, საყოფაცხოვრებო აქტივობების აღმნიშვნელი ობიექტჩართული ზმნები მათთან სინტაქსურად არდაკავშირებული სემანტიკური ერთეულების მნიშვნელობაზე ლექსემით მინიშნების საკმაოდ დაბალი ხარისხით ხასიათდებიან.

ობიექტჩართულ უკუქცევითებს უკანა პლანზე გადაწეული სემანტიკური ერთეულების მნიშვნელობაზე ლექსემით მინიშნების განსხვავებული პოტენცია რომ გააჩნიათ, ამაზე საკმაოდ კარგად მიუთითებს ამ ზმნურ ლექსემათა სალექსიკონო განმარტებებიც.

შდრ.:

ა) ***იღრიჯება*** = ***სახეს ღრეჯს*** (ქეგლ);

ბ) ***იცოხნება*** = ***ცოხნის***, ღეჭავს ***რასმე*** (ქეგლ).

პირველი (ა) ჯგუფის ობიექტჩართული უკუქცევითის ლექსემა სამოქმედო ობიექტის მხოლოდ ერთ კონკრეტულ მნიშვნელობას(***სახეს***) გულისხმობს, მეორე (ბ) ჯგუფის ობიექტჩართული უკუქცევითის ლექსემა კი მის მხოლოდ ზოგად მნიშვნელობაზე(***რასმე***) მიანიშნებს.

ობიექტჩართული უკუქცევითი ომონიმური ზმნაა, რადგან გარკვეულ კონტექსტში შეუძლია პასივის სემანტიკის გამოხატვა. თუ ამოსავალი აქტივის Ag სემანტიკური ერთეული ტრანსფორმაციის შედეგად ქვემდებარედ აღარ წარმოდგება, მისი სინტაქსური პოზიცია დერივატის სინტაქსურ სტრუქტურაში გამოტოვებული იქნება ან გამოიხატება უბრალო დამატების სახით, ხოლო ქვემდებარის პოზიციას Pt სემანტიკური ერთეულის გამომხატველი პირდაპირი დამატება დაიკავებს, უკუქცევითი დერივატი პასივის სემანტიკას შეიძენს.

მაგალითად:

ბიჭი(ქვ) ***ხუჭავს***(აქტივი) ***თვალებს***(დპ) => ***თვალები***(ქვ) ***იხუჭება***(პასივი)

"სპეციფიკური" ობიექტჩართული უკუქცევითები, რომლებიც თავიანთი ლექსემით აკონკრეტებენ უკანა პლანზე გადასული სემანტიკური ერთეულის მნიშვნელობას, სინტაქსურად არასდროს არ გამოხატავენ ამ ერთეულს. მაგ., იხუჭება, ინაბება, იკვანწება და ა.შ. ზმნებთან დაუშვებელია სამოქმედო ობიექტის წარმოდგენა უბრალო დამატების სახით. არ გვხვდება კონსტრუქციები: *იხუჭება თვალებს ან თვალებით, *ინაბება სულს, *жмурится глазами – იხუჭება თვალებით , * скалится зубами – იკრიჭება კბილებით.

ამ სპეციფიკური ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ობიექტჩართული უკუქცევითებისაგან განსხვავებით, ის გარდაუვალი ობიექტჩართული ტრანსფორმები, რომლებიც ლექსემით ვერ აკონკრეტებენ Pt როლის მქონე რეფერენტის სემანტიკას და მხოლოდ მის პოტენციურ მნიშვნელობას გულისხმობენ, გარკვეულ კონტექსტში უშვებენ ამ სემანტიკური ერთეულის სინტაქსურ რეალიზაციას, ფაკულტატური უბრალო დამატების სახით მის წარმოდგენას კონსტრუქციაში. დასაშვებია: ქართ. ***იქექება ქაღალდებში***, ***იძლევა ბრძანებას***, ***იღეჭება კევს***, ***იტყობინება ამბებს;*** რუს. ***копается в яме*** "იქექება ორმოში", ***застегнулся на все пуговицы*** "შეიკრა ყველა ღილი".

მიუხედავად აქტანტებთან კონექციისა, მიუხედავად იმისა, უშვებს თუ არა უკანა პლანზე გადაწეული ან არგამოხატული სემანტიკური ერთეულების სინტაქსურ რეპრეზენტაციას, ამოსავალი ზმნის Ag => (ქვ) მიმართების

შემნარჩუნებელი ობიექტჩართული გარდაუვალი ზმნა ამოსავალი აქტივის იდეოგრაფიულ სინონიმად გვევლინება:

ქართ. ***განაბავს სულს = გაინაბება***=სუნთქვას შეიკრავს, გაჩუმდება (ქეგლ)***;***

კვანწავს ხელებს = იკვანწება = მოხდენილად შლის ხელებს (ქეგლ)***;***

რუს. ***жмурит глаза = жмурится*** **"**ჭუტავს, ხუჭავს თვალებს", ***скалит зубы= скалится*** "ღრჭენს, კრეჭს კბილებს" (რუსულ-ქართული ლექსიკონი).

ლიტვ. ***uzmerke = uzsimerke*** "დახუჭა თვალები" (გენიუშენე, 1981, 168)

ეს სინონიმური წყვილები ასახელებენ ერთსა და იმავე, მაგრამ ლოგიკური აქცენტებით განსხვავებულ სიტუაციებს: ამოსავალი აქტივი ლოგიკურ აქცენტს Pt(და Ad) როლის შემსრულებელი, სინტაქსურად გამოხატული რეფერენტისა და დასახელებული მოქმედების მიმართებაზე აკეთებს, ხოლო მის ობიექტჩართულ ტრანსფორმს, რომელსაც სინტაქსურ კონსტრუქციაში უკანა პლანზე აქვს გადაწეული ან სინტაქსურად არ აქვს გამოხატული Pt(და/ან Ad) სემანტიკური ერთეულების შესატყვისი რეფერენტები, აქცენტი დასახელებული მოქმედებისა და ამ მოქმედების სუბიექტის კორელაციაზე გადააქვს და დერივატის ლექსემით მითითებული მოქმედების შესრულებას სუბიექტის სახასიათო ნიშნად წარმოადგენს, რადგან მიზანზე ორიენტირების გარეშე დასახელებული ნებისმიერი მოქმედება მხოლოდ მოქმედების სუბიექტთან დაკავშირებულად მოიაზრება. შესაბამისად, ამოსავალი გარდამავალი ზმნის სინონიმურ გარდაუვალ დერივატად გარდაქმნის ენობრივი ფუნქცია, ჩვენი აზრით, უნდა იყოს მიზანმიმართული მოქმედების წარმოდგენა დროში შეუზღუდავ მიზანმიუმართავ პროცესად, რომელიც აღიქმება სუბიექტის დამახასიათებელ ჩვევად თუ თვისებად და რომელიც გარკვეულ მუდმივობას გულისხმობს. ამ ზმნებს იშვიათად ეწარმოებათ სრული ასპექტის ფორმები, რადგან სისრულე და მუდმივობა ერთმანეთთან ძნელად შეთავსებადი ცნებებია.

განსაზღვრების თანახმად, ობიექტჩართულია ამოსვალი აქტივის სინონიმური უკუქცევითი ტრანსფორმი, რომელიც ქვემდებარის პოზიციაში წარმოადგენს ამოსავალი ზმნის სემანტიკურ აგენსს, ხოლო ტრანსფორმაციის შედეგად უკანა პლანზე გადაწეული ან სინტაქსურად არგამოხატული Pt(და Ad) სემანტიკური ერთეულების შესატყვისი რეფერენტების კონკრეტულ ან განზოგადებულ მნიშვნელობაზე მიანიშნებს ლექსემით. ამ განსაზღვრებით თუ ვიხელმძღვანელებთ, ***იკრიჭება*** ან ***იხუჭება*** ტიპის ტრანსფორმებისა და მათი

ამოსავალი გარდამავალი ზმნების სინონიმურობას, იმას, რომ გარდაუვალ ობიექტჩართულ ტრანსფორმებს აქვთ ლექსიკურად შესატყვისი აქტივებით დასახელებული სიტუაციების გამოხატვის უნარი, ჩვენი აზრით, განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი: ა) ამ გარდაუვალი ტრანსფორმებისა მათი ამოსავალი გარდამავალი ზმნების სემანტიკური სტრუქტურების იდენტურობა, ბ) ამოსავალი აქტივის შესაბამისობის: Ag => (ქვ) შენარჩუნება და გ) ამ ტრანსფორმების "ობიექტჩართულობა" ანუ უკანა პლანზე გადაწეული ან სინტაქსურად არგამოხატული რეფერენტების მნიშვნელობაზე ლექსემით მინიშნების უნარი.

ამდენად, ობიექტჩართული დერივატის ძირითად სტრუქტურულ და სემანტიკურ მახასიათებლებად ითვლება: ა) ობიექტჩართული გარდაუვალი ზმნა წარმოქმნილი ლექსემაა და მისი სემანტიკა ამოსავალი გარდამავალი ზმნის სემანტიკის, აქტანტების მნიშვნელობისა და გარდაქმნის წესის ფუნქციაა; ბ) ობიექტჩართული დერივატის სინტაქსურ სტრუქტურაში ამოსავალი ზმნის Ag –ის შესატყვისი რეფერენტი ისევ ქვემდებარის პოზიციაში რჩება; გ)ამოსავალი აქტივის დანარჩენ სემანტიკურ ერთეულებს ტრანსფორმაციის შედეგად ან საერთოდ უწყდებათ სინტაქსური კავშირი დერივატთან, ან უდაბლდებათ სინტაქსური რანგი და აღარ გამოიხატებიან მათი იერარქიის შესატყვისი აქტანტით; დ)ტრანსფორმაციის შედეგად უკანა პლანზე გადასული ან სინტაქსურად არგამოხატული ბაზისური სემანტიკური ერთეულის კონკრეტულ ან განზოგადებულ მნიშვნელობაზე მიანიშნებს დერივატის ლექსემა; ე)გარდაუვალი ობიექტჩართული დერივატი ამოსავალი აქტივის სინონიმური, აქტიური სემანტიკის მქონე ზმნაა; ვ)აქტიური სემანტიკის ობიექტჩართულ გარდაუვალ უკუქცევითს სინტაქსურ კონსტრუქციაში შეიძლება გაუჩნდეს პასივის გაგება, შესაბამისად იმისა, რომელი კლასის სახელითაა გამოხატული კონსტრუქციის ქვემდებარე – აქტიურობის პოტენციის მქონე არსებათა კლასის თუ საგანთა კლასის.

გარდა სემანტიკური კლასიფიკაციისა, ობიექტჩართული უკუქცევითები ექვემდებარებიან სინტაქსურ კლასიფიკაციასაც. საკლასიფიკაციო ნიშანად ამ შემთხვევაში აღებულია აქტანტებთან ობიექტჩართული დერივატის კონექციის პრინციპი – უკანა პლანზე გადასული ან სინტაქსურად არგამოხატული სემანტიკური ერთეულების სინტაქსური რეპრეზენტაციის წესი.

აქტიური სემანტიკის მქონე გარდაუვალ ზმნებს, ამოსავალი გარდამავალი ზმნის სინონიმურ ობიექტჩართულ დერივატებს ქართული ენათმეცნიერული

ტრადიცია დეპონენსურ ზმნებად მიიჩნევს. “დეპონენსის სახელით აღნიშნავენ ზმნას, რომელსაც ფორმა პასივისა აქვს და მნიშვნელობა–აქტივისა...არის რიგი ზმნებისა, რომელთაც დეპონენსური ხასიათი აქვთ და მარტო აწმყოს წრის მწკრივებში იხმარებიან: იბღვირება, იგინება, იკბინება, ილანძღება, ილოღნება, ილოცება(=ლოცავს), იტყუება, იმუქრება, ისწავლება, ირწმუნება, იფიცება, იღრინება, იცემება, იცოხნება, იწერება, იჭყიტება, იხედება, იხვეწება...”(შანიძე, 1980, 296). ა. შანიძე მიუთითებს, რომ დეპონენსი ლექსიკურად შესატყვისი გარდამავალი ზმნის სინონიმური გარდაუვალი ფორმაა: “სიტყვები “ერობისთვის იგინებიან, ილანძღებიან” აქტიურად ასე გადმოიცემა: ერობას აგინებენ, ლანძღავენ. მაშასადამე, აქ ფორმას გარდამავლობაც აღარ აქვს, რადგანაც პირდაპირი ობიექტი უბრალო დამატებად არის ქცეული (“ერობისთვის”), მაგრამ გაგება მაინც აქტიური აქვთ, რამდენადაც “ღვდლები იგინებიან და ილანძღებიან” კი არ ნიშნავს, რომ მღვდლები გინებისა და ლანძღვის ობიექტები იყვნენ სხვათაგან, არამედ სუბიექტები, ე.ი. ისინია რომ აგინებენ და ლანძღავენ ერობას... **იგინება** შეიძლება ვნებითიც იყოს და დეპონენსიც... საზოგადოდ დეპონენსური ფორმის დანიშნულებაა თავიდან აირიდოს რელაცია ანუ მიმართება ობიექტისადმი... ვახტანგ VI-ის “ვეფხისტყაოსნის თარგმანში” ხშირია ხმარება ”ისწავლება” ზმნისა, რომელსაც იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც “ასწავლის” ფორმას, ოღონდ უირიბ-ობიექტოდ...”(იქვე, 297).

როგორც ვხედავთ, ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში დეპონენსის სახელით აღნიშნული ზმნა განისაზღვრება თითქმის ყველა იმ ძირითადი ნიშნით, რომლებიც მიჩნეულია ობიექტჩართული დერივატის დამახასიათებელ ნიშნებად, მაგრამ ქართულ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში დეპონენსის სტრუქტურულ-სემანტიკური ნიშნები არ ზუსტდება მისი წარმომქმნელი გარდამავალი ზმნის სტრუქტურულ და სემანტიკურ ნიშნებთან მიმართებაში, არ არის გათვალისწინებული, იცვლება თუ არა ამოსავალი გარდამავალი ზმნის სემანტიკური ან სინტაქსური ვალენტობა დეპონენსური ზმნის წარმოქმნისას და თუ იცვლება – რა პრინციპით, რის გარეშეც, ვფიქრობთ, გაძნელდება ერთი მხრივ დეპონენსის აქტიური სემანტიკის და მეორე მხრივ დეპონენსისა და მისი ამოსავალი გარდამავალი ზმნის სინონიმურობის ახსნა.

აქტიური სემანტიკის მქონე გარდაუვალ ობიექტჩართულ ზმნებს განიხილავენ აგრეთვე ანტიპასივის ფორმებადაც (Haspelmath, 2002, 214-217; სოსელია, ქარქაშაძე, 2013, 305-309).

ანტიპასივის (ისევე, როგორც პასივის) ფორმა წარმოიქმნება ლექსიკურად შესატყვისი აქტივის ფორმისგან სინტაქსური ვალენტობის დაკლებით. ანტიპასივის მორფო-სინტაქსური კატეგორია, როგორც თვითონ სახელწოდება მიუთითებს, პასივის კატეგორიის საწინააღმდეგო, მაგრამ გარკვეულწილად პასივის მსგავსი პრინციპით ცვლის ამოსავალი გარდამავალი ზმნის სინტაქსურ ვალენტობას. ანტიპასივი Pt და/ან Ad როლების მქონე რეფერენტებს ისეთივე სინტაქსურ მიმართებებს ამყარებინებს ზმნასთან, როგორსაც პასივი – Ag როლის მქონე რეფერენტს. თუ აქტივი=>პასივი ტრანსფორმაციის შედეგად Pt როლის მქონე რეფერენტი ქვემდებარის სახით გამოიხატება სინტაქსურ კონსტრუქციაში, ვალენტობის შემცირება კი ხდება Ag-ის შესატყვისი რეფერენტის სინტაქსური რანგის დაქვეითების ან მისი სინტაქსური პოზიციის ელიმინაციის ხარჯზე, აქტივი=>ანტიპასივი გარდაქმნის შედეგად Ag სემანტიკური როლის მქონე რეფერენტი ქვემდებარის პოზიციაში რჩება, ვალენტობის შემცირება კი უკავშირდება დანარჩენი სემანტიკური ერთეულების სინტაქსური რანგის დაქვეითებას ან მისი/მათი სინტაქსური პოზიციის ელიმინაციას.

მაგალითად:

პასივი: ag(**ქვ**)Pt(**დპ**) => Ag (**დუ**) Pt(**ქვ**)

ყინვა**(ქვ)** სუსხავს კანს**(დპ)** => ყინვისგან**(დუ)** კანი**(ქვ)** ისუსხება

ანტიპასივი: Ag**(ქვ)** Pt **(დპ)** => Ag**(ქვ)**Pt(X), X-ცარიელი სინტაქსური პოზიცია.

ყინვა**(ქვ)** სუსხავს კანს**(დპ)** => ყინვა**(ქვ)** ისუსხება.

როგორც ვხედავთ, დეპონენსიც, ობიექტჩართული უკუქცევითიც და ანტიპასივის ფორმაც ერთი სახეობის, მაგრამ განსხვავებული კრიტერიუმებით შეფასებული ზმნებია. ვფიქრობთ, მეთოდურად გამართლებული უნდა იყოს ***იკრიჭება***, ***ირტყმევინება*** ტიპის ობიექტჩრთული უკუქცევითების ანტიპასივის მორფო-სინტაქსური კატეგორიის ტერმინებში აღწერა, რადგან ობიექტჩართული უკუქცევითების (დეპონენსების) ანტიპასივის ფორმებად განხილვის შემთხვევაში დადგება პასივთან შეპირისპირებით მათი ფორმალური და სემანტიკური ნიშნების დაზუსტების საკითხი, რაც, ჩვენი აზრით, მართებულია, რადგან, განსხვავებულობის გარდა, საერთოც საკმაოდ აქვთ ანტიპასივს (ობიექტჩართულ ზმნას) და პასივს: ამ ფორმათა წარმოქმნისას არ იცვლება ამოსავალი გარდამავალი ზმნის სემანტიკური სტრუქტურა; ორივე ფორმის მნიშვნელობა დაკავშირებულია ამოსავალი ზმნის აქტანტური იერარქიის შეცვლასთან და

განისაზღვრება ამ იერარქიის შეცვლის მსგავსი პროცედურებით. ეს კი გარკვეულწილად ხსნის პასივისა და ანტპასივის ფორმათა მორფოლოგიურ მსგავსებას, რაც რეგულარულად დასტურდება ენებში.

მედიოაქტივების, გარდაუვალი ობიექტჩართული ზმნებისა და გარდამავალი უკუქცევითი ზმნური ლექსემების ურთიერთმიმართების გასარკვევად და მედიოაქტივების პარადიგმატულ ფორმებში ბენეფაქტიურ-პოსესიური მნიშვნელობის ი-პრეფიქსის ფუნქციის დასაზუსტებლად წარმოდგენილ ნაშრომში მედიოაქტივები და უკუქცევითი ზმნები აღვწერეთ და შევაპირისპირეთ დიათეზათა თანამედროვე თეორიის კრიტერიუმებით. ამ უნივერსალურ-ტიპოლოგიური კონცეფციის თანახმად, ნებისმიერი ზმნა არის სამდონიანი დიათეზა – რეფერენტული, რეფერენტთა როლებისა და სინტაქსური დონის ერთეულთა ურთიერთმიმართება, ხოლო ამოსავალი (ბაზისური) დიათეზის ერთეულთა პირდაპირი შესაბამისობის ამა თუ იმ ტრანსფორმაციული წესით შეცვლა არის დერივაცია, ახალი ზმნის (დიათეზის) წარმოქმნა; ნებისმიერი წარმოქმნილი ზმნის სემანტიკა ამოსავალი ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის, აქტანტების სემანტიკისა და გარდაქმნის წესის ფუნქციაა; იზოლირებულად აღებული ვერც ერთი ზმნა (დიათეზა) ვერ ჩაითვლება უკუქცევითად (რეფლექსივად) ბაზისურ გარდამავალ დიათეზასთან მისი მიმართების გარკვევის, ბაზისური დიათეზის ტრანსფორმაციის წესის განსაზღვრის გარეშე;

დიათეზათა თანამედროვე კონცეფციის კრიტერიუმებით შესაძლებელია ნებისმიერი ტიპის ზმნურ ლექსემათა ერთსახოვანი აღწერა და მათი შედარება-შეპირისპირება.

დიათეზათა თანამედროვე კონცეფცია ჩამოყალიბდა განსხვავებული სტრუქ-ტურის ენობრივი სისტემების უკუქცევით, რესიპროკულ და პასიურ კონსტრუქ-ციათა აღწერისა და შეპირისპირების საფუძველზე. ამ კონცეფციის ძირითადი დებულებები მითითებულია ვ. ხრაკოვსკის რედაქციით გამოქვეყნებული კოლექტიური მონოგრაფიის "Залоговые конструкции в разноструктурных языках" შესავალ წერილში:

"Для более адекватного описания синтаксических употреблений глагольных лексем в АК (აქტიური კონსტრუქცია), ПК (პასიური კონსტრუქცია) и в особенности и РК (რეფლექსური კონსტრუქცია) и в $Р_ц$К (რესიპროკული კონსტრუქცია) диатезу необходимо трактовать как соответствие единиц не двух уровней: семантического и синтаксического, а трех: 1) референтного, или уровня участников абстрактных ситуаций

(другие термины: партиципанты, исполнители), 2) семантического, или уровня ролей и 3) синтаксического, или уровня актантов. Ранее референтный уровень не включался в диатезу и учитывался лишь при характеристике исходной АК, в которой каждый партиципант имеет своего референта. Если при описании соотношения АК и ПК референтным уровнем можно было пренебречь, что на практике и делалось, то при описании соотношения АК, РК и $Р_ц$К без обращения к этому уровню нельзя дать адекватного описания рефлексивного и реципрокного преобразования...

В связи с предлагаемой трактовкой диатез необходимо заметить следующее. Среди многих конструктивных критических замечаний в адрес теории диатез, разбор которых должен стать темой отдельной работы, одно относится к принятой системе обозначений для семантических ролей. Было высказано мнение, что субъект и объекты, будучи обобщением большого числа конкретных семантических ролей, сами семантическими ролями не являются. Действительно, в семантической сфере между субъектом и объектом, с одной стороны, и такими конкретными ролями, как агенс, пациенс, экспериенцер, бенефициант, адресат и т.п., – с другой, существуеют одно – многозначные соответствия. Аналогично и в синтаксической сфере между подлежащим и дополнениями, с одной стороны, и такими конкретными обозначениями, как имя в прямом падеже, имя в косвенном падеже с предлогом, имя в косвенном падеже без предлога и т.п., – с другой, существуют одно – многозначные соответствия... Мы прибегаем к терминам обобщенных семантических ролей и обобщенных синтаксических актантов, ... чтобы могли в широком классе случаев обнаруживать одну и ту же диатезу... Термины конкретных семантических ролей для этой цели не подходят, ибо, хотя они и "объективнее" терминов обобщенных семантических ролей, тем не менее число этих ролей достаточно велико (в некоторых концепциях насчитывается до 50 ролей), и к тому же до сих пор нет их единой номенклатуры, которая бы удовлетворяла всех лингвистов, занимающихся этой проблематикой...

Учитывая изложенное, будем называть диатезой соответствие единиц трех уровней: 1) уровня референтов, единицы которого обозначаются, как А, Б, В...; 2) уровня обобщенных семантических ролей референтов, единицы которого обозначаются, как Sb, Ob_1, Ob_2, Ob_3,…; 3) уровня участников языковой структуры (=имен референтов, т.е. актантов, единицы которого обозначаются как П, $Д_{пр}$, $Д_к$,...

Теоретические выводы:

1. Все соотносительные конструкции образуются глагольными лексемами, называющими одно и то же действие, в толкование которого естественно входят одни и те же

роли. Соответственно во всех этих конструкциях употребляются словоформы одной и той же глагольной лексемы.

2. И в ПК, и в РК и в $Р_ц$К могут употребляться либо те же глагольные словоформы, что и в исходной АК, либо специальные пассивные, рефлексивные и реципрокные словоформы, сигнализирующие о новом соответствии между ролями, референтами и актантами, т.е. о новой диатезе. Следовательно, изменение диатезы обязательно маркируется на синтаксическом уровне и факультативно на морфологическом.

3. Для диатез глагольных словоформ в исходной АК характерно одно – однозначное соответствие между ролями, референтами и актантами. Для диатез глагольных словоформ в производной ПК также характерно одно – однозначное соответствие между ролями, референтами и актантами, однако два актанта (первый и какой-либо непервый) соотносятся не с теми референтами, что в исходной АК. Для диатез глагольных словоформ в производных РК и $Р_ц$К характерно уже неодно – однозначное соответствие между референтами и ролями и между референтами и актантами.

4. ПК и АК имеют различные синтаксические структуры. В синтаксической структуре ПК, в частности, появляется специфическое агентивное дополнение, которого нет в АК. Нерецессивные РК и $Р_ц$К имеют такую же синтаксическую структуру, что и АК. Рецессивные РК и $Р_ц$К имеют почти такую же синтаксическую структуру, что и АК: в них один из непервых актантов (второй или третий) либо элиминируется, либо понижается в ранге, становясь при этом в ряде случаев факультативным.

5. И пассивное, и рефлексивное, и реципрокное преобразование затрагивают два актанта исходной АК, однако если в пассивном преобразовании всегда участвует первый актант и какой-либо из остальных актантов (чаще всего второй), то и в рефлексивном и в реципрокном преобразовании участие первого актанта не строго обязательно, хотя статистически оно наиболее частотно.

6. В ПК и АК актантные позиции заполняются одними и теми же лексемами. В РК и $Р_ц$К в отличие от исходной АК лексема в позиции какого-либо из непервых актантов либо редуцируются, либо замещаются служебным прономинальным словом.

7. Пассивное преобразование не является универсальным, поскольку имеются языки, в которых отсутствуют ПК. Рефлексивное и реципрокное преобразование, очевидно, относится к числу универсальных. Во всяком случае нам не известны описания языков, в которых бы отсутствовали РК и $Р_ц$К.

8. В случае если один референт выполняет две роли, употребление РК в тексте обязательно. Также естественно употребление в тексте $Р_ц$К, если два референта выполняют

по две одни и те же роли. Что касается ПК, то, поскольку в ней имеет место такое же соответствие между референтами и ролями глагольной лексемы, что и в соотносительной исходной АК, при построении текста имеется определенная свобода выбора между АК и ПК.

9. И ПК и РК и $Р_ц$К являются производными по отношению к исходной АК. Однако РК и $Р_ц$К в свою очередь – исходные для производных пассивных РК и $Р_ц$К" (ხრაკოვსკი, 1981, 10–36).

წარმოქმნილი ზმნური ლექსემის ფუნქციისა და სემანტიკის განსაზღვრისას ამოსავალი გარდამავალი ზმნის სემანტიკური და სინტაქსური (სიღრმისეული და ზედაპირული) აქტანტების პირდაპირ შესაბამისობაში (დიათეზაში) მომხდარი ცვლილებების გათვალისწინების საკითხს სვამს აგრეთვე ი. მელჩუკი თავის ნაშრომში "Aspects of the Theory of Morphology".

ამჯერადაც დიათეზად მოიაზრება ზმნური ლექსემის სემანტიკური და სინტაქსური აქტანტების კორელაცია. "თითოეულ ლექსემას აქვს ერთი, ძირითადი, ბაზისური დიათეზა, რომელიც წარმოადგენს ზმნის ლექსიკოგრაფიულ, სალექსიკონო განმარტებას (მელჩუკი,2006,181). . . ხოლო მოცემული ლექსემის სიტყვაფორმებს (ალოლექსებს) შეიძლება ჰქონდეთ განხვავებული დიათეზები (მელჩუკი,1998,163). . . ისინი მიიღება ამ ლექსემის სხვადასხვა მოდიფიკაციით. ბაზისური დიათეზა წარმოქმნილი დიათეზისგან განსხვავდება სამი ნიშნით: 1. ყველა სემანტიკური აქტანტი გამოიხატება სინტაქსურად; 2. ყოველი სემანტიკური აქტანტი შეესატყვისება ცალკეულ რეფერენტს; 3. სემანტიკური როლების იერარქია (A > Pt > Ben(ბენეფაქტივი) > სხვა დანარჩენი) შეესატყვისება სინტაქსური აქტანტების იერარქიას (ქვ > პირ. დამატება > ირ. დამატება >სხვა დანარჩენი)"(ბარათაშვილი, 2013, 67). ამ თვალსაზრისითაც, როგორც ვხედავთ, დერივატის სემანტიკა მოიაზრება ამოსავალი ზმნის სემანტიკური და სინტაქსური აქტანტების ურთიერთმიმართებისა და ბაზისური (ამოსავალი) დიათეზის მოდიფიკაციის ფუნქციად.

დიათეზათა უნივერსალურ-ტიპოლოგიური კონცეფციის კრიტერიუმები, რომლებითაც შესაძლებელია ზმნათა ერთსახოვანი აღწერა და კლასიფიკაცია, ჩამოყალიბდა განსხვავებული ტიპოლოგიის ენათა მონაცემების გაანალიზების საფუძველზე. ეს კრიტერიუმები გარკვეული ცვლილებით იქნა გამოყენებული ქართული უკუქცევითებისა და მედიოაქტივების სტრუქტურულ-სემანტიკური

ნიშნების კვლევისას, რაც განაპირობა ქართული ზმნური სისტემის სპეციფიკამ, მაგრამ ამ ზმნათა სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლები ძირითადად მაინც დიათეზათა აღნიშნული კონცეფციის კრიტერიუმებით განისაზღვრა. ამასთანავე გათვალისწინებულ იქნა მდგომარეობის აღმნიშვნელი ზმნების ტიპოლოგიაც და ასე იქნა ნაჩვენები, რომ თანამედროვე ქართულში მედიოაქტივი და უკუქცევითი ზმნა სტრუქტურულ-სემანტიკური ნიშნებით ერთმანეთისგან არსებითად განსხვავებული ენობრივი ერთეულებია; მედიოაქტივი ფიზიკური, ემოციური და მენტალური მდგომარეობის გამომხატველი პირველადი ზმნაა და მისი რომელიმე სახის უკუქცევით ანუ წარმოქმნილ ზმნურ ლექსემად განხილვა ტიპოლოგიურადაც და მეთოდურადაც წინააღმდეგობრივია.

თავი II

გარდამავალი უკუქცევითი ზმნები თანამედროვე ქართულში

ფიზიკური, ემოციური და მენტალური მდგომარეობის აღმნიშვნელი მედიოაქტიური (***იცინის, იცდის, იბრძვის*** და ა.შ.) და გარდამავალი უკუქცევითი ზმნების (***იშენებს, ისესხებს, ითხოვს, ივარცხნის*** და ა.შ.) ურთიერთმიმართების საკითხი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთ-ერთი დასაზუსტებელი საკითხია, რადგან, მიუხედავად საკითხის კვლევის ხანგრძლივი ისტორიისა, დღემდე არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი: მედიოაქტივი პირველადი, ძირეული ზმნაა თუ წარმოქმნილი უკუქცევითი ზმნური ლექსემა, მედიოაქტივის პარადიგმატული ფორმები მედიოაქტივის სემანტიკით განსაზღვრული ორგანული ფორმებია თუ დეფექტური პარადიგმის შესავსებად ნასესხები უკუქცევითი ფორმები; მედიოაქტივებისა და გარდამავალი უკუქცევითების რომელი ინვარიანტული სემანტიკური ნიშანი განაპირობებს ბენეფაქტიურ-პოსესიური ი-პრეფიქსის გამოჩენას როგორც მედიოაქტივის, ისე გარდამავალი უკუქცევითის პარადიგმატულ ფორმებში; ტიპოლოგიურად რამდენად კანონზომიერია მედიოაქტიური ზმნის მიჩნევა უკუქცევით (რეფლექსურ) ზმნად და რამდენად იცავს მედიოაქტივი მდგომარეობის სემანტიკის ზმნური ლექსემით გამოხატვის ენებში მოქმედ წესს.

დაგროვილ კითხვებზე პასუხის გასაცემად, ჩვენი აზრით, საჭიროა ქართული მედიოაქტივებისა და გარდამავალი უკუქცევითების ერთგვაროვანი პრინციპებით აღწერა-კლასიფიკაცია და ამასთანავე მედიოაქტიური, ატელიკური პროცესუალური ზმნების, სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლების ტიპოლოგიის გათვალისწინება.

ქართული ენის მედიოაქტივებისა და გარდამავალი უკუქცევითების ურთიერთმიმართების განსაზღვრისას ვიხელმძღვანელებთ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიათეზათა უნივერსალურ-ტიპოლოგიური კონცეფციის კრიტერიუმებით, რომლებიც იძლევიან ნებისმიერი ენის უკუქცევითი და არაუკუქცევითი ზმნური კონსტრუქციების ერთსახოვანი რეპრეზენტაციისა და შეპირისპირების შესაძლებლობას და ამის საფუძველზე შევეცდებით იმის გარკვევას, არის თუ არა ქართული მედიოაქტივი უკუქცევითი ზმნური ლექსემა.

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად არ ისახავს ქართული ენის მედიოაქტიური და გარდამავალი უკუქცევითი ზმნების ამომწურავ კლასიფიკაციას. ამ ენობრივი ერთეულების ურთიერთმიმართებისა და ძირითადი სინტაქსურ-სემანტიკური მახასიათებლების დასადგენად საკმარისად ჩავთვალეთ მათი ერთსახოვანი აღწერა, გარდამავალი უკუქცევითი ზმნის რამდენიმე სახეობის განსაზღვრა და ლექსიკურად შესატყვის გარდამავალ ზმნასთან გარდამავალი უკუქცევითისა და მედიოაქტივის მიმართებების მსგავსება-განსხვავებულობის გამოვლენა.

წინასწარ განვმარტავთ რამდენიმე ამოსავალ დებულებას:

I. ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას ვუწოდებთ ზმნის ინდივიდუალურ, სხვა ზმნური ლექსემისაგან მის განმასხვავებელ მნიშვნელობას, რომელიც განისაზღვრება აქტანტებთან ზმნის ინდივიდუალური შეთავსებადობით. მაგალითად, ***დაიჭირა*** ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა რეალიზდება სიტაქსურ კონსტრუქციაში აქტანტებთან მისი კონექციის შესაბამისად:

ა) ~ ***წიგნი = ხელში აიღო წიგნი;***

ბ) ~ ***ტაქსი = დაიქირავა ტაქსი;***

გ) ~ ***ყინვები = გაგრძელდა ყინვები;***

დ) ~ ***ადგილი = დაიკავა ადგილი.***

II. თანამედროვე ქართულში მედიოაქტივი და სათავისო ქცევის ზოგი ფორმა ომონიმურ წყვილებს ქმნიან და კონტექსტის გარეშე შეუძლებელია მათი გარჩევა: ***იპრიალებს (ფეხსაცმელს)*** – სათავისო; ***იპრიალებს (იატაკი)*** – მედიოაქტივი. ომონიმიის თავიდან ასაცილებლად საანალიზო ზმნურ ლექსემას

ნაშრომში წარმოვადგენთ აქტანტებთან ერთად და ამდენად, ჩვენი კვლევის ობიექტი იქნება ოპოზიცია, რომელსაც ქმნის ამოსავალი არაუკუქცევითი სინტაქსური კონსტრუქცია მისგან წარმოქმნილ უკუქცევით სინტაქსურ კონსტრუქციასთან:

ა) ***გაახსენა დედამ შვილს მოვალეობა ⇒ გაიხსენა დედამ მოვალეობა;***

ბ) ***გოგონამ დაბანა ძმას ხელები ⇒ გოგონამ დაიბანა ხელები;***

გ) ***კაცმა ააშენა სახლი ⇒ კაცმა აიშენა სახლი;***

დ) ***დაახურა გოგომ ძმას ქუდი ⇒ დაიხურა გოგომ ქუდი;***

ე) ***ასესხა კაცმა მეზობელს ფული ⇒ ისესხა მეზობელმა კაცისგან ფული;***

ვ) ***სთხოვა ბიჭმა მეგობარს წიგნი ⇒ ითხოვა ბიჭმა მეგობრისაგან წიგნი;***

ზ) ***გაიცინა გოგომ ⇒ გააცინა ბიჭმა გოგო.***

III. ბენეფაქტიურ-პოსესიური მნიშვნელობის ი-პრეფიქსი ნაშრომში განიხილება დერივაციულ, სიტყვაწარმოებით პრეფიქსად, ხოლო გარდამავალი უკუქცევითი ზმნა – წარმოქმნილ ენობრივ ერთეულად, დერივატად.

დერივაციასა და ფლექსიას ერთმანეთისაგან განასხვავებს რამდენიმე ნიშანი: ფლექსია არ ცვლის სიტყვის პარადიგმატულ კლასს, ხოლო დერივაციამ შეიძლება გადაიყვანოს სიტყვა სხვა პარადიგმატულ კლასში. ფლექსია უფრო „გარეგანია“, არ მონაწილეობს სიტყვის შინაგანი სტრუქტურის შექმნაში, ხოლო დერივაცია განაპირობებს სიტყვის პარადიგმატულ სტრუქტურას (გამყრელიძე და სხვ. 2003, 182). დერივაციისა და ფლექსიის ეს ერთი განმასხვავებელი ნიშანი განაპირობებს მეორეს: ფლექსია და დერივაცია სხვადასხვა ხარისხით არის დამოკიდებული სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობაზე. რადგან ფლექსია „გარეგანია“, მას ნაკლებად განსაზღვრავს სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა. მაგალითად, ფლექსიური ზმნური კატეგორიების: დროის, რიცხვის და კილოს გაგება, მცირე გამონაკლისის გარდა, აქვს ნებისმიერი ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ზმნას, დერივაცია კი თითქმის მთლიანად დამოკიდებულია ამოსავალი ზმნის ლექსიკურ-სემანტიკურ თავისებურებაზე. მაგ., პოსესიური სათავისოები წარმოიქმნებიან, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, მხოლოდ იმ ზმნებისაგან, რომლებიც აღნიშნავენ სულიერი არსების სხეულზე ან მის ნაწილებზე შესრულებად მოქმედებას (მიზანმიმართულს ან უნებლიეს):

დედამ დაბანა შვილს ხელები ⇒ დედამ დაიბანა ხელები

ძაღლმა ლეკვს ატკინა ფეხი ⇒ ძაღლმა იტკინა ფეხი

უკუქცევითი ზმნის სინტაქსურ-სემანტიკური მახასიათებლები განისაზღვრება არა მხოლოდ ამოსავალი ზმნის ლექსიკური მნიშვნელობით, არამედ ზმნის აქტანტების სემანტიკითაც:

ა) ***მოაჭრა დედამ გოგონას ნაწნავი ⇒ მოიჭრა დედამ ნაწნავი***

ბ) ***მოაჭრა დედამ პურს ყუა ⇒ მოიჭრა დედამ ყუა***

(ა) ოპოზიციაში უკუქცევითი ***მოიჭრა*** ზმნა გულისხმობს სუბიექტისა და ობიექტ-პოსესორის, ხოლო (ბ) ოპოზიციაში – სუბიექტისა და ობიექტ-ბენეფიციარის კორეფერენტულობას.

ამდენად, წარმოქმნილი გარდამავალი უკუქცევითი ზმნის მნიშვნელობა წინამდებარე ნაშრომში მოიაზრება ამოსავალი არაუკუქცევითი ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის, აქტანტების სემანტიკისა და ამოსავალი ზმნის ტრანსფორმაციის წესის ფუნქციად.

IV. უკუქცევით გარდამავალ ზმნაში ი-პრეფიქსი ასრულებს ორ ფუნქციას – სემანტიკურს და სტრუქტურულს. თუ ტრანსფორმაციისას ამოსავალი ზმნის მნიშვნელობა რთულდება სემანტიკური კომპონენტით „თავისას“/„თავისი ინტერესებისათვის“ და ამასთან იცვლება ამოსავალი სინტაქსური კონსტრუქციის აქტანტების რიცხვიც, მაშინ ტრანსფორმში რეალიზებულია ი-პრეფიქსის ორივე ფუნქცია. თუ გარდაქმნისას იცვლება ამოსავალი ზმნის მნიშვნელობა, აქტანტების რაოდენობა კი უცვლელი რჩება, მაშინ ი-პრეფიქსი ტრანსფორმში წარმოდგენილია მხოლოდ სემანტიკური ფუნქციით. მაგ., ***მოაჭრა მან მას თმა ⇒ მოიჭრა მან თმა*** გარდაქმნისას ი-პრეფიქსი ტრანსფორმში ასრულებს როგორც სემანტიკურ, ისე სტრუქტურულ ფუნქციას, რადგან ტრანსფორმაციისას ამოსავალი ზმნის მნიშვნელობა რთულდება სემანტიკური კომპონენტით „თავისი“ და ხდება ირიბი დამატების ელიმინაცია. ***მოკლა მან ის ⇒ მოიკლა მან თავი*** გარდაქმნისას კი ტრანსფორმში ი-პრეფიქსი მხოლოდ სემანტიკური ფუნქციით არის წარმოდგენილი. ის ართულებს ამოსავალი ზმნის მნიშვნელობას სემანტიკური კომპონენტით „თავისი“, სუბიექტს წარმოგვიდგენს პოსესორად, მაგრამ არ ეკისრება აქტანტების რიცხვის შემცირების მარკირება, რადგან ტრანსფორმში შევსებულია ამოსავალი კონსტრუქციის სინტაქსური ვალენტობის განმსაზღვრელი ყველა აქტანტის პოზიცია.

V. ფორმალურ უკუქცევითს ვუწოდებთ ზმნურ ლექსემას, რომელშიც წარმოდგენილია პოსესიურ-ბენეფაქტიური ი-პრეფიქსი, მაგრამ გარდამავალი არაუკუქცევითი შესატყვისის უქონლობის გამო ვერ მონაწილეობს ოპოზიციაში:

არაუკუქცევითი ⇒ უკუქცევითი. თანამედროვე ქართულში ფორმალური უკუქცევითებია: ***ი-ცის, ი-წყებს, ი-ნახავს*** და ა.შ.

სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ აღინიშნა, რომ უკუქცევით ზმნათა სტრუქტურულ-სემანტიკური ნიშნების დადგენა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ლექსიკურად შესატყვის გარდამავლებთან მათი შეპირისპირებით (ხრაკოვსკი, 1981, 13–38). "Видимо, можно утверждать, что взятая изолированно, ни одна конструкция не может считаться рефлексивной. РК прежде всего производна; она не может существовать и не может рассматриваться без соответствующей исходной конструкции" (ბისტროვი, სტანკევიჩი, 1981, 270).

რადგან ჩვენი ამოცანაა გარდამავალი უკუქცევითების გამიჯვნა მედიოაქტივებისაგან სწორედ ლექსიკურად შესატყვის გარდამავლებთან მათი არაერთგვაროვანი მიმართების საფუძველზე, ფორმალური უკუქცევითები ჩვენი საკვლევი სფეროს მიღმა რჩებიან. "В природе языковых фактов, поскольку они знаки, – реализоваться в оппозициях и быть значимыми лишь в силу этого" (ბენვენისტი, 1974, 191).

გარდამავალ უკუქცევით ზმნათა აღწერის პრინციპები

თანამედროვე ქართული ენის გარდამავალ უკუქცევით ზმნათა სტრუქტურულ-სემანტიკური ნიშნების განსაზღვრისას ჩვენ ვეყრდნობით დიათეზათა უნივერსალურ-ტიპოლოგიურ კონცეფციას, რომელიც ფორმულირებულია ა. ხოლოდოვიჩის (ხოლოდოვიჩი, 1970, 40–51), ვ. ხრაკოვსკისა (ხრაკოვსკი, 1981, 10–36) და ი. მელჩუკის (მელჩუკი, 1998; მელჩუკი, 2006) პუბლიკაციებში და რომელიც წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია მოდიფიცირებული სახით, ქართული ენის გარდამავალი უკუქცევითების თავისებურებათა გათვალისწინებით.

აღნიშნული კონცეფციის ამოსავალი ცნებაა ***დიათეზა*** – ზმნის სინტაქსური, სემანტიკური როლებისა და რეფერენტული დონეების ერთეულთა ურთიერთმიმართება. ნებისმიერი ტიპის უკუქცევითი ზმნის მახასიათებელი ნიშნების ადეკვატური განსაზღვრისათვის აუცილებელია ამოსავალი არაუკუქცევითი და წარმოქმნილი უკუქცევითი კონსტრუქციების რეპრეზენტაცია სამივე მითითებულ დონეზე, რადგან ტრანსფორმაციის დროს ამ დონეების ერთეულთა

ურთიერთმიმართებაში მომხდარი ცვლილებები განსაზღვრავენ ტრანსფორმის – უკუქცევითი ზმნის – სტრუქტურულ და სემანტიკურ თავისებურებებს.

სინტაქსური დონის ერთეულებია ზმნასთან დაკავშირებული აქტანტები. ქართული ენის გარდამავალი უკუქცევითების წარმოქმნის პროცესის აღსაწერად აუცილებელია და საკმარისი შემდეგი აქტანტების გამოყოფა: ქვემდებარე (**ქვ**), პირდაპირი დამატება (**დპ**), ირიბი დამატება (**დირ**), უბრალო დამატება (**დუბ**) და ადგილის გარემოება (**გარ**). აქტანტები ქმნიან დიათეზის სინტაქსურ სტრუქტურას.

სინტაქსური (აქტანტური) სტრუქტურა იცვლება თითქმის ყველა ტიპის გარდამავალი უკუქცევითის წარმოქმნისას თანამედროვე ქართულში.

სემანტიკური როლების დონეზე ერთეულებად მოიაზრება ზმნით დასახელებული სიტუაციის მონაწილეთა (რეფერენტთა) როლები. ისინი დიათეზაში ქმნიან სემანტიკური როლების სტრუქტურას. ჩვენი მიზნებისათვის საკმარისია შემდეგი როლების მითითება: მოქმედების სუბიექტი (**Sb**), ობიექტი (**O**), ადრესატი (**Ad**) და მოქმედების ადგილი (**Loc**).

სუბიექტს ვუწოდებთ ზმნით დასახელებული სიტუაციის აუცილებელ აქტიურ მონაწილეს, რომლის გამო სიტუაციის სხვა მონაწილეს ან თვითონ მას რაღაც ემართება. სუბიექტი განზოგადებული სახელწოდებაა კონკრეტული როლების: აგენსი (Ag), კაუზატორი (Ca), ექსპერიენცერი (Ex) და სხვ.

ობიექტს ვუწოდებთ სიტუაციის პასიურ მონაწილეს, რომელსაც სუბიექტის ზემოქმედებით ან ხილული მიზეზის გარეშე რაღაც მოსდის. ობიექტი განზოგადებული სახელწოდებაა შემდეგი კონკრეტული როლებისა: პაციენსი (Pt), ადრესატი (Ad), კაუზაციის რეციპიენტი (Rca), კონტრაგენსი (ContrAg), პირდაპირი ობიექტი (O^d), ირიბი ობიექტი (O^{ind}) და სხვ.

მკვლევართა მიერ აღიარებულია სემანტიკური როლების განზოგადების უპირატესობა. "Мы хотим иметь сравнительно небольшое число диатез, с тем, чтобы могли в широком классе случаев обнаружить одну и ту же диатезу" (უსპენსკი, 1977, 75).

სემანტიკური როლების სტრუქტურა არ იცვლება გარდამავალი უკუქცევითი ზმნის წარმოქმნისას.

რეფერენტული დონის ერთეულები – რეფერენტები, ზმნით დასახელებული სიტუაციის მონაწილეები, ქმნიან რეფერენტულ სტრუქტურას, რომელიც განისაზღვრება რეფერენტების თვისებრივი მახასიათებლებით. ჩვენი მიზნებისათვის აუცილებელია გამოიყოს რეფერენტთა სამი კლასი: 1) პოტენტები

(**Pot**) – რეფერენტები, რომლებსაც გააჩნიათ აქტიურობის პოტენცია. ამ კლასს ვყოფთ ორ ქვეკლასად: სულიერ პოტენტთა (**Anim**) და პირთა (**Pers**) ქვეკლასებად; 2) საგნები (**NonP**); 3) მთელის ნაწილები (**Part**) – სულიერი არსების სხეული ან მისი ნაწილები. რეფერენტული სტრუქტურა იცვლება მხოლოდ გარკვეული ტიპის გარდამავალი უკუქცევითი ზმნის წარმოქმნისას.

ქვემოთ ნაჩვენები იქნება, რომ, საზოგადოდ, რეფერენტთა თვისებრივი მახასიათებლები განსაზღვრავენ ამოსავალი და, შესაბამისად, წარმოქმნილი უკუქცევითი ზმნის სემანტიკას, მაგრამ, თუ რომელიმე რეფერენტის თვისებრივი მახასიათებლების მითითება არაარსებითია გარდამავალი უკუქცევითი ზმნის წარმოქმნისას, მაშინ ასეთი რეფერენტი აღინიშნება პირობითი სიმბოლოებით: **A, B, C,...**

ამდენად, გასაანალიზებელ სინტაქსურ კონსტრუქციებს ნაშრომში წარმოვადგენთ სამდონიანი დიათეზების სახით ანუ წარმოვაჩენთ ზმნური ლექსემის სინტაქსური, სემანტიკური როლებისა და რეფერენტული დონეების ერთეულთა ურთიერთმიმართებას. მაგ., კონსტრუქციას – **დედამ ჩააცვა შვილს კაბა** – შეესაბამება დიათეზა:

$Pers_1$	$Pers_2$	NonP
Sb	O_1	O_2
ქვ	დ$_{ირ}$	დ$_{ვ}$

ამავე დიათეზის რეპრეზენტაცია შესაძლებელია ასეც:

$$(\mathrm{Pers}_1 = \mathrm{Sb} = \text{ქვ})(\mathrm{Pers}_2 = \mathrm{O}_1^{\mathrm{d}} = \text{დ}_{\text{ირ}})(\mathrm{NonP} = \mathrm{O}_2^{\mathrm{ind}} = \text{დ}_{\text{ვ}})$$

გარდამავალ უკუქცევით ზმნათა კლასიფიკაციის პრინციპები

ამოსავალ არაუკუქცევით დიათეზაში გვაქვს სინტაქსური, სემანტიკური როლებისა და რეფერენტული დონეების ერთეულთა პირდაპირი შესაბამისობა. ამ დიათეზის უკუქცევითად გარდაქმნისას ირღვევა ერთეულების პირდაპირი შესაბამისობა, რადგან იცვლება ამოსავალი დიათეზის რომელიმე ორი ან სამივე დონის ერთეულთა რიცხვი და ნომენკლატურა. ***დავარცხნა ⇒ დაივარცხნა*** ტიპის

გარდაქმნისას იცვლება ამოსავალი დიათეზის სამივე დონის ერთეულთა მიმართება, რადგან ერთით მცირდება რეფერენტული და სინტაქსური დონეების ერთეულთა რიცხვი:

$$\left(\mathrm{Pers}_1 = \mathrm{Sb} = \text{ქვ}\right)\left(\mathrm{Pers}_2 = \mathrm{O}_1^{\mathrm{ind}} = \text{დ}_{\text{ირ}}\right)\left(\mathrm{Part} = \mathrm{O}_2^{\mathrm{d}} = \text{დ}_{\text{ვ}}\right) \Rightarrow$$
$$\Rightarrow \left(\mathrm{Pers}_1 = \mathrm{Sb} = \mathrm{O}_1^{\mathrm{ind}} = \text{ქვ}\right)\left(\mathrm{Part} = \mathrm{O}_2^{\mathrm{d}} = \text{დ}_{\text{ვ}}\right)$$

უკუქცევითი ტრანსფორმების დაჯგუფება ხდება ამოსავალ დიათეზაში მომხდარი ცვლილებების მიხედვით. კლასიფიკაცია ორ ეტაპს გულისხმობს: კლასიფიკაციის პირველ – სინტაქსურ ეტაპზე უკუქცევითი ტრანსფორმები კლასებად ნაწილდებიან ამოსავალი დიათეზის სინტაქსური სტრუქტურის შეცვლა-შენარჩუნების მიხედვით. საერთოდ, აქტანტები უკუქცევით ტრანს-ფორმში გამოჩენის სხვადასხვა სიხშირით ხასიათდებიან, რაც, პირველ რიგში, განპირობებულია ამოსავალი ზმნის ლექსიკური მნიშვნელობითა და შემდეგ – გარდაქმნის ტიპით.

შესაბამისად იმისა, თუ რომელი აქტანტის პოზიციაა შევსებული წარმოქმნილი დიათეზის სინტაქსურ სტრუქტურაში უფრო ხშირად, აქტანტებს ენიჭებათ იერარქიული რანგები. რადგან ნებისმიერი ტიპის უკუქცევითი დიათეზაში შევსებულია ქვემდებარის პოზიცია, რადგან არ არსებობს უქვემდებარო უკუქცევითი დიათეზა, პირველი – უმაღლესი რანგი ენიჭება ქვემდებარეს. II რანგისაა პირდაპირი დამატება. ამ აქტანტის პოზიცია შეუვსებელი რჩება გარდაუვალი უკუქცევითი ტრანსფორმის დიათეზაში, მაგრამ შევსებულია გარდამავალი უკუქცევითი დიათეზის სინტაქსურ სტრუქტურაში, ეს ზმნები კი რიცხობრივად დიდ კლასს ქმნიან ენებში. ტიპოლოგიური მონაცემების მიხედვით, ენებში უკუქცევითი დიათეზები ირიბი დამატებით რაოდენობრივად გაცილებით ნაკლებია ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების შემცველ დიათეზებზე. ამიტომ ირიბ დამატებას ენიჭება III რანგი. უბრალო დამატებას ან ადგილის გარემოებას ენიჭება ყველაზე დაბალი – IV რანგი. გარდაქმნისას შეიძლება ამაღლდეს ან დაქვეითდეს ამოსავალი დიათეზის ამა თუ იმ აქტანტის რანგი.

აქტანტები ქმნიან მოწესრიგებულ სიმრავლეს: I აქტანტია ქვემდებარე; II აქტანტი – პირდაპირი დამატება, ხოლო III აქტანტი – ირიბი დამატება [გამყრელიძე და სხვ. 2003, 254].

ქართული ენის გარდამავალი უკუქცევითების წარმოქმნისას ამოსავალი დიათეზის სინტაქსური სტრუქტურა შეიძლება უცვლელი დარჩეს ან შეიცვალოს მხოლოდ III აქტანტის ელიმინაციის გამო.

მეორე ანუ სემანტიკურ ეტაპზე გარდამავალი უკუქცევითი ტრანსფორმების კლასებად დაყოფა ხდება ამოსავალი დიათეზის სემანტიკური როლების ან რეფერენტულ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების მიხედვით. რეფერენტულ სტრუქტურაში შეიძლება მოხდეს რომელიმე ერთი რეფერენტის ელიმინაცია, ხოლო სემანტიკური როლების სტრუქტურაში – რომელიმე რეფერენტის როლის გაორმაგება, რომელიმე ორ რეფერენტს შორის როლების გაცვლა ან რომელიმე რეფერენტის როლის დაზუსტება ამა თუ იმ სემანტიკური კომპონენტით. რეფლექსივიზაციამ შეიძლება შეცვალოს ამოსავალი დიათეზის რეფერენტული სტრუქტურა, მაგრამ იგი ვერ ცვლის როლების სტრუქტურას.

ქართული გარდამავალი უკუქცევითების წარმოქმნისას ამოსავალი დიათეზის რეფერენტული სტრუქტურის ერთეულთა რაოდენობა ან არ იცვლება, ან მცირდება ერთით, ხოლო სემანტიკური როლების სტრუქტურა არ იცვლება.

გარდამავალი უკუქცევითების სინტაქსური კლასიფიკაცია

ამოსავალი დიათეზის გარდაქმნისას სინტაქსურ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების მიხედვით, ქართული ენის გარდამავალი უკუქცევითები იყოფა ორ კლასად:

I. გარდამავალი უკუქცევითები, რომლებიც წარმოიქმნებიან ამოსავალი დიათეზის ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების შენარჩუნებითა და ირიბი დამატების ელიმინაციით (დ$_{ირ}$→Ø);

II. გარდამავალი უკუქცევითები, რომლებსაც მთლიანად შენარჩუნებული აქვთ ამოსავალი დიათეზის სინტაქსური სტრუქტურა.

პირველ სინტაქსურ კლასში ხვდებიან სამვალენტიანი კონსტრუქციებისაგან წარმოქმნილი გარდამავალი უკუქცევითები. ი-პრეფიქსით ამ უკუქცევითებში მარკირებულია აქტანტების რიცხვის შემცირება ირიბი დამატების სინტაქსური პოზიციის ელიმინაციის გამო და ამოსავალი ზმნის მნიშვნელობის გართულება

სემანტიკური კომპონენტით „თავისას“/„თავისი ინტერესებისათვის“. ეს სემანტიკური კომპონენტი არ ცვლის ამოსავალი დიათეზის სემანტიკური როლების სტრუქტურას, მაგრამ სუბიექტის როლის შემსრულებელ რეფერენტს ობიექტის როლის შემსრულებლადაც წარმოგვიდგენს ანუ ი-პრეფიქსით ხდება სუბიექტის როლის გაორმაგების მარკირებაც. აქედან გამომდინარე, პირველი სინტაქსური კლასის გარდამავალ უკუქცევითებში ი-პრეფიქსი წარმოდგენილია როგორც სტრუქტურული, ისე სემანტიკური ფუნქციით.

მეორე სინტაქსურ კლასს ქმნიან გარდამავალი უკუქცევითები, რომლებიც წარმოიქმნებიან ორვალენტიანი გარდამავალი კონსტრუქციებისაგან. ამ კლასის უკუქცევითების სინტაქსურ კონსტრუქციაში პირდაპირი დამატების პოზიცია ზოგჯერ შევსებულია „თავი“ უკუქცევითი ნაცვალსახელით. ი-პრეფიქსი მეორე სინტაქსური კლასის უკუქცევითებში ასრულებს მხოლოდ სემანტიკურ ფუნქციას. ამ პრეფიქსით მარკირებულია სემანტიკური კომპონენტი „თავისას“ – „თავისთვის“ ანუ ამოსავალი ზმნის მნიშვნელობის გართულება სუბიექტის პოსესორად ან ბენეფიციარად წარმოდგენის გამო.

გარდამავალი უკუქცევითების სემანტიკური კლასიფიკაცია

გარდამავალ უკუქცევით ზმნათა ყოველი სინტაქსური კლასი რამდენიმე სემანტიკურ კლასად იყოფა. სემანტიკური კლასიფიკაციისას გასათვალისწინებელია:

ა) ამოსავალი დიათეზის სემანტიკური როლების სტრუქტურასა და რეფერენტულ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები;

ბ) ამოსავალ და წარმოქმნილ დიათეზათა რეფერენტების თვისებრივი მახასიათებლები;

გ) გარდამავალი უკუქცევითი ზმნის სემანტიკა და მისი მიმართება ამოსავალი ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობასთან;

დ) ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი, რომელსაც მიეკუთნება ამოსავალი ზმნა.

ამოსავალი გარდამავალი ზმნების მორფო-სინტაქსური მახასიათებლები

გარდამავალი უკუქცევითების ამოსავალი არაუკუქცევითი გარდამავალი კონსტრუქცია უნდა იყოს არანაკლებ ორვალენტიანი. ოპოზიციაში ***ნეიტრალური ქცევა⇒სათავისო*** არაუკუქცევითი წევრი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ქცევითი დაპირისპირების შემქმნელი ნებისმიერი გარდამავალი ზმნით, თვით მეორეული წარმოების ა-პრეფიქსიანი ზმნითაც, რომელშიც ა-პრეფიქსი აჩენს ირიბი ობიექტური პირის გაგებას და ზრდის ზმნის სინტაქსურ ვალენტობას. ***წერს და აწერს, წყვეტს და აწყვეტს*** სუბიექტ-ობიექტთა კუთვნილება-დანიშნულების თვალსაზრისით თანაბრად უპირისპირდებიან სათანადო ინიან გარდამავალ უკუქცევითებს (სათავისოებს).

გარკვეული ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ზმნებს სინტაქსურ ვალენტობას ზმნისწინიც უცვლის. მაგ., ***აშენებს ის მას – დააშენებს ის მას მას***, ***აბამს ის მას – მიაბამს ის მას მას***. ამ ტიპის უზმნისწინო ორვალენტიანი გარდამავლებისაგან წარმოქმნილი გარდამავალი უკუქცევითები ინარჩუნებენ ამოსავალი დიათეზის სინტაქსურ სტრუქტურას და შედიან მეორე სინტაქსურ კლასში, ხოლო სამვალენტიანი კონსტრუქციებისაგან წარმოქმნილი სათავისოები მოხვდებიან პირველ სინტაქსურ კლასში. ამათ სინტაქსურ სტრუქტურაში, განსხვავებით ამოსავალი სინტაქსური სტრუქტურისაგან, ირიბი დამატების პოზიცია აღარ იქნება შევსებული.

თანამედროვე ქართულში გვხვდება გარდამავალი ზმნები, რომლებიც კონტექსტის მიხედვით იცვლიან ვალენტობას – ხან ორვალენტიანები არიან, ხან სამვალენტიანები და ორივე შემთხვევაში ქმნიან ქცევით დაპირისპირებას: ***გადაასხა მან მას წყალი / გადაასხა მან წყალი***. ამ ტიპის ორვალენტიანი ზმნის ტრანსფორმაციით წარმოქმნილი სათავისოები შევლენ მეორე სინტაქსურ კლასში, ხოლო ამ ტიპის სამვალენტიანი კონსტრუქციის ტრანსფორმაციით მიღებული სათავისოები შევლენ პირველ სინტაქსურ კლასში: ***გადაასხა მან მას წყალი ფეხზე ⇒ გადაისხა მან წყალი ფეხზე*** (I სინტაქსური კლასი); ***გადაასხა მან ღვინო ბოთლში ⇒ გადაისხა მან ღვინო ბოთლში*** (II სინტაქსური კლასი). ამ ტიპის სათავისოებს განსხვავებული შეიძლება ჰქონდეთ სემანტიკური კლასებიც:

გადაისხა მან წყალი თავზე (პოსესიური სათავისო), ***გადაისხა ღვინო თავისთვის ბოთლში*** (ბენეფაქტიური სათავისო). გარკვეული ლექსიკური მნიშვნელობის გარდამავალი ზმნა, კონტექსტის მიხედვით, სუბიექტის როლის შემსრულებლად ხან პოტენტთა კლასის რეფერენტს (Pot) გულისხმობს, ხან – საგანთა კლასის რეფერენტს (NonP). ამ ტიპის ზმნა სათავისოდ გარდაიქმნება, როცა მას სუბიექ-ტის როლის შემსრულებლად პოტენტთა კლასის რეფერენტი ეგულისხმება: ***მოტეხა კაცმა ტოტი*** ⇒ ***მოიტეხა კაცმა ტოტი***, მაგრამ ***მოტეხა ქარმა ტოტი*** ⇒ ***X***.

ზოგი ამოსავალი გარდამავალი ზმნაც და მისგან წარმოქმნილი სათავისოც პოლისემიურია:

$$\text{აგონებს} = \begin{matrix}\text{1. ახსენებს}\\ \text{2. ხმას აწვდის}\end{matrix} \Rightarrow \text{იგონებს} = \begin{matrix}\text{1. იხსენებს}\\ \text{2. ჩმახავს, ტყუის}\end{matrix}$$

გარდამავალი უკუქცევითი კონსტრუქციების სინტაქსური და სემანტიკური მახასიათებლების კვლევისას საგულისხმოა და ღირებული მხოლოდ ის ოპოზი-ციები, რომელთა არაუკუქცევით და უკუქცევით წევრებს ლექსიკურ-სტილური ერთგვაროვნება ახასიათებთ.

ირიბი დამატების ელიმინაციით წარმოქმნილი სათავისოები

ამ ტიპის უკუქცევითი ზმნები (სათავისოები) წარმოიქმნებიან სამვალენ-ტიანი გარდამავალი კონსტრუქციებისაგან. ტრანსფორმაციის დროს იცვლება ამოსავალი დიათეზის სინტაქსური სტრუქტურა ($\text{დ}_{\text{ირ}}$→Ø), ამიტომ ეს სათავისოები მიეკუთვნებიან გარდამავალ უკუქცევითთა პირველ სინტაქსურ კლასს. მათთვის ამოსავალია საყოფაცხოვრებო საქმიანობის, ფსიქიკური ზემოქმედებისა და სულიერი არსების სხეულზე შესრულებადი მოქმედებების აღმნიშვნელი გარდამავალი ზმნური ლექსემები. ამ ტიპის ზმნის სათავისოდ გარდაქმნისას წარმოქმნილი დიათეზის როლების სტრუქტურაში ხდება ფუნქციური ხასიათის ცვლილება: ამოსავალი ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის შესაბამისად, ირიბი ობიექტის სემანტიკური როლი რთულდება პოსესორის (Pos), ბენეფიციარის (Ben) ან რეციპიენტის (Rc) ფუნქციის დამატებით, რაც განსაზღვრავს უკუქცევითი ტრანსფორმის სემანტიკურ თავისებურებებს და,

აქედან გამომდინარე, მის სემანტიკურ კლასს. ი-პრეფიქსით ამ სათავისოებში მარკირებულია რეფერენტის როლის გაორმაგება – სუბიექტისა და ირიბი ობიექტის როლებში ერთი რეფერენტის წარმოდგენა ანუ სუბიექტისა და ირიბი ობიექტის კორეფერენტულობა და, შესაბამისად, აქტანტების რიცხვის შემცირება ერთი ერთეულით. ირიბი ობიექტის როლის დამატებითი ფუნქციის მიხედვით, პირველი სინტაქსური კლასის გარდამავალი უკუქცევითი ტრანსფორმები (სათავისოები) იყოფიან სამ სემანტიკურ ჯგუფად:

ა) სათავისოები, რომლებიც გულისხმობენ სუბიექტისა და ობიექტ-პოსესორის კორეფერენტულობას;

ბ) სათავისოები, რომლებიც გულისხმობენ სუბიექტისა და ობიექტ-ბენეფიციარის კორეფერენტულობას;

გ) სათავისოები, რომლებიც გულისხმობენ სუბიექტისა და ობიექტ-რეციპიენტის კორეფერენტულობას.

ა) სათავისოები, რომლებიც გულისხმობენ სუბიექტისა და ობიექტ-პოსესორის კორეფერენტულობას

სამვალენტიან ამოსავალ დიათეზაში ამ სათავისოთა წარმოქმნისას ხდება შემდეგი სახის ცვლილებები:

$$(Pot_1=Sb=ქვ)\ (Pot_2=O^{ind}(Pos)=დ_{ირ})\ (Part=O^{d}=დ_3)\ \Rightarrow$$

$$\Rightarrow (Pot_1=Sb=O^{ind}(Pos)=ქვ)\ (Part=O^{d}=დ_3)$$

რადგან ეს სათავისოები გულისხმობენ ირიბი ობიექტის როლის შევსებას პოსესორის ფუნქციით (resp. არა სტრუქტურულ, არამედ ფუნქციურ ცვლილებას), მათ პირობითად შეიძლება ვუწოდოთ პოსესიური სათავისოები. ი-პრეფიქსი პოსესიურ სათავისოებში, რომლებიც წარმოიქმნებიან სამვალენტიანი სინტაქსური კონსტრუქციებისაგან, წარმოდგენილია როგორც სტრუქტურული, ისე სემანტიკური ფუნქციით – აღნიშნავს ამოსავალ რეფერენტულ და სინტაქსურ სტრუქტურათა ერთეულების რიცხვს შემცირებას ერთი ერთეულით და ამასთანავე ამოსავალი ზმნის მნიშვნელობის გართულებას სემანტიკური კომპონენტით „თავისი“. ეს სათავისოები ქმნიან ორ სემანტიკურ ქვეჯგუფს. პირველი სემანტიკური ქვეჯგუფის პოსესიური სათავისოები წარმოიქმნებიან

სამვალენტიანი სინტაქსური კონსტრუქციებისაგან, რომელთა II აქტანტი III აქტანტის ორგანულ კუთვნილებას ასახელებს:

დაბანა დედამ მას პირი ⇒ დაიბანა დედამ პირი

დავარცხნა დამ მას თმები ⇒ დაივარცხნა დამ თმები

დააქნა დედამ მას ფრჩხილები ⇒ დაიქნა დედამ ფრჩხილები

გადაპარსა დალაქმა მას თავი ⇒ გადაიპარსა დალაქმა თავი

ატკინა ბიჭმა მას ხელი ⇒ იტკინა ბიჭმა ხელი

მოაგლიჯა ძაღლმა კატას კუდი ⇒ მოიგლიჯა ძაღლმა კუდი

შენიშვნა: სულიერი არსების სხეულის ან მისი ნაწილის მოძრაობის აღმნიშვნელ ზოგიერთ გარდამავალ ზმნას არ შეესატყვისება პოსესიური სათავისო. მაგ., არ ითქმის *მან დაიხამხამა წამწამები, *მან გამოიყო ხელი, *მან დაიკრიჭა კბილები, *მან აიწია თავი, *მან აიხილა თვალი, *მან დაიღო პირი. მსგავსი მოვლენა დასტურდება ინდოევროპულ ენებშიც. სულიერი არსების სხეულის ნაწილების მოძრაობის აღმნიშვნელი გარდამავალი ზმნებისაგან ლიტვურში არ წარმოიქმნება უკუქცევითი კონსტრუქციები: *Petras pasikele glava *„პეტრამ აიწია თავი“ [გენიუშენე, 1981, 179]. თანამედროვე ფრანგულში სხეულის ნაწილების მოძრაობის აღმნიშვნელი გარდამავალი ზმნები, განსხვავებით სხვა გარდამავლებისაგან, წარმოქმნიან არატიპურ უკუქცევით კონსტრუქციებს [კორდი, 1981, 232].

მეორე სემანტიკური ქვეჯგუფის პოსესიური სათავისოები წარმოიქმნებიან სამვალენტიანი არაუკუქცევითი კონსტრუქციებისაგან, რომლებიც გულისხმობენ პოსესიურ მიმართებას III აქტანტსა და იმ რეფერენტს შორის, რომელიც სინტაქსურ კონსტრუქციაში ადგილის გარემოების ან უბრალო დამატების სახითაა წარმოდგენილი. ამ ქვეჯგუფის სათავისოების წარმოქმნისას ამოსავალ დიათეზში ხდება შემდეგი ცვლილებები:

$(Pot_1=Sb=ქვ)\ (Pot_2=O^{ind}(Pos)=დ_{ირ})\ (A=O^{d}=დ_{ვ})\ (Part=Loc=დ_{უბ}/გ_{ად}) \Rightarrow$

$\Rightarrow (Pot_1=Sb=O^{ind}(Pos)=ქვ)\ (A=O^{d}=დ_{ვ})\ (Part=Loc=დ_{უბ}/გ_{ად})$

ამ დაპირისპირებულ სინტაქსურ კონსტრუქციებში IV აქტანტი ობლიგატორულია ან ფაკულტატური. პოსესიური სათავისოები, წარმოქმნილი ობლიგატორული IV აქტანტის შემცველი სამვალენტიანი კონსტრუქციებისაგან,

გამოხატავენ ორგანულ ან არაორგანულ კუთვნილებაზე შესრულებად მოქმედებებს:

ბიჭმა შეასხა გოგოს თვალში წყალი ⇒ ბიჭმა შეისხა თვალში წყალი

კაცმა შემოადგა ბიჭს მხარზე კოკა ⇒ კაცმა შემოიდგა მხარზე კოკა

დედამ დააფინა შვილს ტილო შუბლზე ⇒ დედამ დაიფინა ტილო შუბლზე

ძაღლმა დაადო ბიჭს თავი ფეხზე ⇒ ძაღლმა დაიდო თავი ფეხზე

დედამ ჩამოსწმინდა შვილს სახიდან მური ⇒ დედამ ჩამოიწმინდა სახიდან მური

ქალმა დააკერა კაბაზე ღილი ⇒ ქალმა დაიკერა კაბაზე ღილი

ქალმა შეასვა მხარზე კაცს ბავშვი ⇒ ქალმა შეისვა მხარზე ბავშვი

შენიშვნა: ამ ტიპის კონსტრუქციებში პირდაპირი დამატების შესატყვისი რეფერენტი შეიძლება მიეკუთვნებოდეს როგორც პირთა (Pers), ისე საგანთა (NonP) ან მთელის ნაწილთა (Part) კლასს. რადგან ამ ტიპის ოპოზიციებში არაარსებითია პირდაპირი დამატების შესატყვისი რეფერენტის თვისებრივი ნიშნები, ის აღინიშნება A სიმბოლოთი.

პოსესიური სათავისოები, წარმოქმნილი ფაკულტატური ადგილის გარემოების ან უბრალო დამატების შემცველი სამვალენტიანი სინტაქსური კონსტრუქციებისაგან, ასახელებენ სულიერი არსების ორგანულ კუთვნილებაზე შესრულებად მოქმედებებს. ამ სემანტიკური ქვეჯგუფის სათავისოებშიც და მათ ამოსავალ კონსტრუქციებშიც ადგილის გარემოების ან უბრალო დამატების ფაკულტატურობა განპირობებულია იმით, რომ მოქმედების ადგილი იმპლიცირებულია პირდაპირი დამატების სემანტიკით:

კაცმა მოახურა ქალს პალტო (მხრებზე) ⇒ კაცმა მოიხურა პალტო (მხრებზე)

დედამ დაახურა შვილს ქუდი (თავზე) ⇒ დედამ დაიხურა ქუდი (თავზე)

დედამ მოარგო შვილს კაბა (ტანზე) ⇒ დედამ მოირგო კაბა (ტანზე)

მამამ გადაჰკიდა ბიჭს თოფი (მხარზე) ⇒ მამამ გადაიკიდა თოფი (მხარზე)

ბიჭმა შემოაკრა ძმას ქამარი (წელზე) ⇒ ბიჭმა შემოიკრა ქამარი (წელზე)

ძაღლმა მოაცილა ლეკვს რწყილები (ტანიდან) ⇒ ძაღლმა მოიცილა რწყილები (ტანიდან)

შენიშვნა: პოსესიურ სათავისოებში, რომლებიც ორვალენტიანი გარდამავალი კონსტრუქციებისაგან არის წარმოქმნილი, ი-პრეფიქსი წარმოდგენილია მხოლოდ სემანტიკური ფუნქციით, რადგან ამ სათავისოებში მთლიანად შენარჩუნებულია ამოსავალი დიათეზის რეფერენტული და სინტა-

ქსური სტრუქტურები. წარმოქმნილი დიათეზის სემანტიკური როლების სტრუქტურაში სუბიექტი ითავსებს პოსესორის სემანტიკურ ფუნქციას და ი-პრეფიქსით ტრანსფორმში მარკირებულია პოსესიურობის პრედიკაციული მიმართების წარმოქმნა სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის როლების შესატყვის რეფერენტებს შორის. ამ შემთხვევაში ხდება ამოსავალი დიათეზის ასეთი გარდაქმნა:

(Pot=Sb=ქვ) (Part=O^d=დ$_3$) ⇒ (Pot=Sb(Pos)=ქვ) (Part=O^d=დ$_3$)

ამოსავალი გარდამავალი კონსტრუქციისაგან განსხვავებით, ტრანსფორმი გულისხმობს, რომ II აქტანტი I აქტანტის ორგანული კუთვნილებაა:

სტილისტი ვარცხნის თმებს ⇒ სტილისტი ივარცხნის თმებს

ძაღლი ლოკავს პატრონის ფეხს ⇒ ძაღლი ილოკავს ფეხს

ორვალენტიანი ამოსავალი კონსტრუქციის ტრანსფორმაციით მიღებული პოსესიური სათავისოები ხვდებიან II სინტაქსურ კლასში. ამ ტიპის სათავისოებს ამოსავალი ზმნის ლექსიკური მნიშვნელობისა და აქტანტების სემანტიკის შესაბამისად ეცვლებათ სემანტიკური ჯგუფი (იხ. ქვემოთ).

ბ) სათავისოები, რომლებიც გულისხმობენ სუბიექტისა და ობიექტ-ბენეფიციარის კორეფერენტულობას

ამ სემანტიკური ჯგუფის სათავისოები წარმოიქმნებიან ყოფითი საქმიანობის გამომხატველი სამვალენტიანი სინტაქსური კონსტრუქციებისაგან ირიბი დამატების ელიმინაციით და გულისხმობენ ერთდროულად ორი როლის – სუბიექტისა და ობიექტ-ბენეფიციარის როლებს შემსრულებელ რეფერენტს. ი-პრეფიქსით ამ ჯგუფის სათავისოებში მარკირებულია ამოსავალი დიათეზის რეფერენტებისა და აქტანტების რიცხვის შემცირება ერთი ერთეულით და ამოსავალი ზმნური ლექსემის მნიშვნელობის გართულება სემანტიკური კომპონენტით „თავისთვის“/„თავისი ინტერესებისათვის“. რადგან ეს სათავისოები გულისხმობენ ბენეფიციარის სემანტიკური ფუნქციით ირიბი ობიექტის როლის შევსებას, მათ პირობითად ვუწოდებთ ბენეფაქტიურ სათავისოებს. მათი წარმოქმნისას ამოსავალ დიათეზაში ხდება შემდეგი სახის ცვლილებები:

(Pot$_1$=Sb=ქვ) (Pot$_2$=O^{ind}(Ben)=დ$_{ირ}$) (NonP=O^d=დ$_3$) ⇒

⇒ (Pot$_1$=Sb=O^{ind}(Ben)=ქვ) (A=O^d=დ$_3$)

ბენეფაქტიური სათავისოებისა და მათი წარმომქმნელი სამვალენტიანი კონსტრუქციების ოპოზიციებია:

დედამ დაავალა შვილს საქმე ⇒ დედამ დაივალა საქმე

კაცმა შეარჩინა მეზობელს ვალი ⇒ კაცმა შეირჩინა ვალი

მამამ შესძინა შვილს ქონება ⇒ მამამ შეიძინა ქონება

დედამ ბავშვი ანდო მეზობელს ⇒ დედამ ინდო ბავშვი

მამამ ჩააბარა ბავშვი აღმზრდელს ⇒ მამამ ჩაიბარა ბავშვი

ძაღლმა მოაშორა მგელი ფარას ⇒ ძაღლმა მოიშორა მგელი

შენიშვნა: ბენეფაქტიურ სათავისოებში, რომლებიც წარმოიქმნებიან ორვალენტიანი არაუკუქცევითი კონსტრუქციებისაგან, ი-პრეფიქსი ასრულებს მხოლოდ სემანტიკურ ფუნქციას – ამოსავალი ზმნის მნიშვნელობას ართულებს სემანტიკური კომპონენტით „თავისთვის“, „თავისი ინტერესებისათვის“ ანუ სუბიექტური როლის შემსრულებელს წარმოგვიდგენს ბენეფიციარად. ეს სათავისოები ხვდებიან მეორე სინტაქსურ კლასში, რადგან მათი წარმოქმნისას არ იცვლება ამოსავალი დიათეზის სინტაქსური სტრუქტურა. ამ შემთხვევაში ამოსავალი და წარმოქმნილი დიათეზები ქმნიან შემდეგი ტიპის ოპოზიციას:

(Pot=Sb=ქვ) (A=O^{d}=დკ) ⇒ (Pot=Sb(Ben)=ქვ) (A=O^{d}=დკ)

მამამ ააშენა სახლი ⇒ მამამ აიშენა სახლი

ქალმა მოქსოვა წინდა ⇒ ქალმა მოიქსოვა წინდა

გოგონამ დაწნა კალათი ⇒ გოგონამ დაიწნა კალათი

კაცმა დაასხა ღვინო ⇒ კაცმა დაისხა ღვინო

ჩიტმა ააშენა ბუდე ⇒ ჩიტმა აიშენა ბუდე

ეს სათავისოები ქართულში ქმნიან რიცხობრივად დიდ კლასს. ამოსავალი ზმნის ლექსიკური მნიშვნელობისა და აქტანტების სემანტიკის შესაბამისად, ბენეფაქტიურ სათავისოებს ეცვლებათ როგორც სემანტიკური ჯგუფი, ისე სინტაქსური კლასი:

გოგონამ დაწნა კალათი ⇒ გოგონამ ***დაიწნა*** *კალათი* (II სინტაქსური კლასის ბენეფაქტიური სათავისო)

გოგონამ დაწნა ნაწნავი ⇒ გოგონამ ***დაიწნა*** *ნაწნავი* (II სინტაქსური კლასის პოსესიური სათავისო)

კაცმა დაასხა ღვინო ⇒ კაცმა ***დაისხა*** *ღვინო* (მეორე სინტაქსური კლასის ბენეფაქტიური სათავისო)

კაცმა გადაასხა ქალს ღვინო ხელზე ⇒ კაცმა ***გადაისხა*** *ღვინო ხელზე* (პირველი სინტაქსური კლასის პოსესიური სათავისო)

ბენეფაქტიური სათავისოების წარმოქმნისას არაარსებითია პირდაპირი ობიექტის შესატყვისი რეფერენტის თვისებრიობა, ამიტომ ის აღინიშნება A სიმბოლოთი, მაგრამ ბენეფაქტიური სათავისოს წარმოქმნა/არწარმოქმნა დამოკიდებულია ამოსავალი დიათეზის სუბიექტის როლის შემსრულებელი რეფერენტის თვისებრიობაზე – ეს რეფერენტი უნდა მიეკუთვნებოდეს პოტენტთა კლასს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბენეფაქტიური სათავისო ვერ წარმოიქმნება: კაცმა ჩაკეტა კარი ⇒ კაცმა ჩაიკეტა კარი; ქარმა ჩაკეტა კარი ⇒ X.

გ) სათავისოები, რომლებიც გულისხმობენ სუბიექტისა და ობიექტ-რეციპიენტის კორეფერენტულობას

ამ სემანტიკური ჯგუფის სათავისოები წარმოიქმნებიან მენტალური პროცესების, ფსიქიკური ზემოქმედების აღმნიშვნელი სამვალენტიანი სინტაქსური კონსტრუქციებისაგან ირიბი დამატების ელიმინაციით და გულისხმობენ სუბიექტისა და ობიექტ-რეციპიენტის კორეფერენტულობას. ამ სათავისოებს პირობითად, სხვა ჯგუფის სათავისოებისაგან განსასხვავებლად, რეციპიენტულ სათავისოებს ვუწოდებთ, რადგან ირიბი ობიექტის როლის შესრულება ამ შემთხვევაში გულისხმობს რეციპიენტის ფუნქციის შესრულებასაც. მათი წარმოქმნისას ამოსავალ დიათეზაში მომხდარი ცვლილებები აღიწერება ასე:

$$(Pers_1=Sb=ქვ)\ (Pers_2=O^{ind}(Rc)=დ_{ირ})\ (A=O^{d}=დ_3) \Rightarrow$$

$$\Rightarrow (Pers_1=Sb=O^{ind}(Rc)=ქვ)\ (A=O^{d}=დ_3)$$

დედამ შთააგონა შვილს სიყვარული ⇒ დედამ შთაიგონა სიყვარული

ძმამ გაახსენა დას ბავშვობა ⇒ ძმამ გაიხსენა ბავშვობა

მამამ ბიჭს მოაგონა წინაპრები ⇒ მამამ მოიგონა წინაპრები

ბიჭმა ძმას მოანდომა თამაში ⇒ ბიჭმა მოინდომა თამაში

მამამ შვილს შეაყვარა კითხვა ⇒ მამამ შეიყვარა კითხვა

მამამ ბიჭს შეაძულა სიზარმაცე ⇒ მამამ შეიძულა სიზარმაცე

ექიმმა შეაზიზღა ავადმყოფს წამალი ⇒ ექიმმა შეიზიზღა წამალი

ი-პრეფიქსი რეციპიენტულ სათავისოებში წარმოდგენილია როგორც სტრუქტურული, ისე სემანტიკური ფუნქციით. ეს პრეფიქსი ამოსავალი ზმნის მნიშვნელობას ძირითადად ართულებს სემანტიკური კომპონენტით „თავისი მიზნებისათვის“, „თავისი ინტერესებისათვის“. რეციპიენტული სათავისოები შედიან პირველ სინტაქსურ კლასში, რადგან მათი წარმოქმნისას ამოსავალი დიათეზის სინტაქსური სტრუქტურის ერთეულთა რიცხვი მცირდება ერთით.

გარდამავალი უკუქცევითი კონვერსივები

სპეციალურ ლიტერატურაში სათავისოებად განიხილებიან გარკვეული სემანტიკის მქონე ზმნები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სემანტიკური და სინტაქსური სტრუქტურების ორგანიზების პრინციპით განსხვავდებიან სათავისოებისაგან და გამორჩეული ტიპის დაპირისპირებებს ქმნიან შესატყვის არაუკუქცევით გარდამავლებთან. მხედველობაში გვაქვს **იყიდა**, **ისესხა**, **იშვილა** და მსგავსი უკუქცევითი ზმნები, რომლებიც არა მხოლოდ გრამატიკული, არამედ ლექსიკური მნიშვნელობითაც უპირისპირდებიან შესატყვის არაუკუქცევით გარდამავალ ზმნებს. მაგ., ***მიჰყიდა*** ლექსიკურად სხვაა და ***იყიდა*** – სხვა. ლექსიკური მნიშვნელობით ასევე არ ემთხვევიან ერთმანეთს ***გააშვილა*** და ***იშვილა***, ***გაასესხა*** და ***ისესხა***. ზოგი მკვლევარი არც მიიჩნევს ***ასესხა⇒ისესხა***, ***გააშვილა⇒იშვილა*** ტიპის დაპირისპირებებს ქცევით დაპირისპირებებად, მაგრამ არც იმას განმარტავს, თუ რა სახის ფუნქციურ-სემანტიკური მიმართება უნდა ვიგულისხმოთ აქ (ჯორბენაძე, 1983, 134).

წინამდებარე ნაშრომში ვერ მოხერხდება ***ასესხა⇒ისესხა*** ტიპის მიმართებათა ამომწურავი დახასიათება. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მითითებულ ოპოზიციათა ყველა თავისებურებას განსაზღვრავს აგენსისა და კონტრაგენსის – ამ როლების შემსრულებელთა, აუცილებელ აქტიურ მონაწილეთა, არსებობა ოპოზიციის თითოეული წევრის სემანტიკური როლების სტრუქტურაში. ამ ოპოზიციის წევრები ასახელებენ ერთსა და იმავე სიტუაციას, რომელსაც ქმნიან

ერთი და იგივე მონაწილეები შებრუნებული როლებით. ***ასესხა⇒ისესხა*** ტიპის ოპოზიცია არის როლებისა და აქტანტების ერთგვაროვანი, მაგრამ შებრუნებული სტრუქტურების მქონე დიათეზათა ოპოზიცია: ***ასესხა*** სიტუაციის რეალიზაციისათვის აუცილებელია გამსესხებლისა (Ag) და მსესხებლის (ContrAg) არსებობა და აქტივობა. ***ისესხა*** სიტუაციის განხორციელებისთვისაც აუცილებელია გამსესხებლის (ContrAg) და მსესხებლის (Ag) არსებობა და აქტივობა. ორივე სიტუაცია გულისხმობს რაღაცის დროებით გაცემა-მიღებას, ოღონდ, ***ასესხა*** სიტუაციის შემთხვევაში რაღაცის დროებით გაცემა-მიღებას განაპირობებს მსესხებლის არსებობა და მისი ინიციატივა, ხოლო ***ისესხა*** სიტუაციის შემთხვევაში – გამსესხებლის არსებობა და მისი ინიციატივა.

ამდენად, დაპირისპირება ***ასესხა მან მას ფული ⇒ ისესხა მან მისგან ფული*** სემანტიკური როლებისა და აქტანტების შებრუნებული სტრუქტურების მქონე კონსტრუქციათა ანუ კონვერსივთა დაპირისპირებაა. აქვე იმის აღნიშვნაც მიგვაჩნია საჭიროდ, რომ „თუ ტრანსფორმირებული კონსტრუქციის თანდებულბრუნვიანი სახელი ტრანსფორმია ამოსავალი კონსტრუქციის პრედიკატის სემანტიკით განსაზღვრული ერთ-ერთი უთანდებულო სახელისა, მაშინ ეს თანდებულიანი სახელი აქტანტად უნდა იქნეს მიჩნეული ისევე, როგორც ამავე კონსტრუქციის პრედიკატთან დაკავშირებული უთანდებულო სახელები“ (გამყრელიძე, 1979, 39). ამ თვალსაზრისით, ***ასესხა მან მას ის ⇒ ისესხა მან მისგან ის*** ტიპის გარდაქმნისას არ იცვლება ამოსავალი სინტაქსური სტრუქტურის ვალენტობა. ამასთან თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთი გარდაქმნისას ამოსავალი დიათეზის არც სემანტიკური როლების სტრუქტურისა და არც რეფერენტული სტრუქტურის შემადგენლობა იცვლება, მაშინ გასაგები გახდება, რატომ უწოდა ზ. ჰარისმა He sold me a book ⇒ A bought a book from him ტიპის გარდაქმნას „კვაზიტრანსფორმაცია“ (აპრესიანი, 1974, 256).

როცა ***ისესხა, იყიდა*** ტიპის გარდამავალი უკუქცევითები წარმოიქმნებიან სამვალენტიანი ამოსავალი კონსტრუქციებისაგან, ხდება ამოსავალი დიათეზის ქვემდებარის რანგის დაქვეითება. იგი გარდაიქმნება თანდებულბრუნვიან უბრალო დამატებად: ***პეტრემ მეზობელს ფული ასესხა ⇒ მეზობელმა პეტრესგან ფული ისესხა.*** ამოსავალ და წარმოქმნილ დიათეზათა დაპირისპირებას ექნება შემდეგი სახე:

$$(Pers_1=Ag=ქვ)\ (Pers_2=ContrAg=დ_{ირ})\ (A=O^d=დ_3)\ \Rightarrow$$

$\Rightarrow$ ($Pers_2$=Ag=ქვ) ($Pers_1$=ContrAg=$დ_{უბ}$) (A=O^d=$დ_3$)

ორვალენტიან ***გაასვსხა, გაყიდა*** დიათეზებში კონტრაგენსი ჰიპოთეტურია. ის იგულისხმება ამოსავალი დიათეზის სემანტიკური როლების სტრუქტურაში, მაგრამ კონტრაგენსის შესატყვისი აქტანტის პოზიცია შეუვსებელი რჩება სინტაქსურ სტრუქტურაში. იგივე ხდება წარმოქმნილ უკუქცევით დიათეზაშიც:

($Pers_1$=Ag=ქვ) ($Pers_2$=ContrAg=Ø) (A=O^d=$დ_3$) $\Rightarrow$

$\Rightarrow$ ($Pers_2$=Ag=ქვ) ($Pers_1$=ContrAg=Ø) (A=O^d=$დ_3$)

ასესხა⇒ისესხა, მიჰყიდა⇒იყიდა, გააქირავა⇒იქირავა ტიპის კონვერსიებში სიტუაცია ყოველთვის წარმოჩენილია აგენსური მონაწილის პოზიციიდან. აგენსის როლის შემსრულებელი რეფერენტის შესატყვისი აქტანტი სინტაქსურ სტრუქტურაში ყოველთვის ქვემდებარედაა წარმოდგენილი, ხოლო კონტრაგენსის როლის შემსრულებელი რეფერენტის შესატყვისი აქტანტის – ირიბი დამატების –გამოჩენა სინტაქსურ სტრუქტურაში დამოკიდებულია ამოსავალი კონსტრუქციის ვალენტობაზე. ***ასესხა⇒ისესხა*** ტიპის მიმართებათა აქ მითითებული სემანტიკური ნიშნები, ვფიქრობთ, საკმარისია ***ნეიტრალური ქცევა⇒სათავისო*** ტიპის მიმართებებისაგან მათ გასამიჯნად, მაგრამ აღვნიშნავთ კიდევ რამდენიმეს.

ისესხა, იყიდა უკუქცევითებისაგან განსხვავებით, სათავისოები ინარჩუნებენ ამოსავალი არაუკუქცევითი ზმნების ლექსიკურ მნიშვნელობას. ამიტომაც შესაძლებელია სათავისოების თანაბარმნიშვნელობიანი პერიფრაზირება ამოსავალი ზმნითა და უკუქცევითი ნაცვალსახელით:

მან შთაიგონა = მან შთააგონა თავის თავს

მან დაიკერა ღილი კაბაზე = მან დააკერა ღილი თავის კაბას

ნეიტრალური ქცევა⇒სათავისო ტიპის ოპოზიციებში დაპირისპირებული ზმნები არ ასახელებენ ორმხრივი ობლიგატორული კავშირის მქონე სიტუაციებს, ამიტომ არაუკუქცევითი წევრით დასახელებული სიტუაცია არ გულისხმობს უკუქცევითი წევრით დასახელებულ სიტუაციას: ***მან დაწერა ის*** არ ნიშნავს, რომ მან ის აუცილებლად თავისთვის დაიწერა, ***მან დააკერა ღილი*** არ ნიშნავს, რომ მან აუცილებლად თავის ტანსაცმელზე დაიკერა ღილი.

სულ სხვა ვითარებაა ***გაყიდა⇒იყიდა*** ტიპის ოპოზიციებში. უკუქცევითი წევრის ტოლმნიშვნელობიანი პერიფრაზირება არაუკუქცევითი წევრითა და უკუქცევითი ნაცვალსახელით აქ დაუშვებელია:

მან იყიდა ≠ მან გაყიდა თავისი (ან თავისთვის)

მან ისესხა ≠ მან გაასესხა თავისი (ან თავისთვის)

ასესხა⇒ისესხა ტიპის წყვილებში ორივე ზმნა ასახელებს ორმხრივი ობლიგატორული კავშირის მქონე, ერთმანეთით განპირობებულ სიტუაციებს, ამიტომ არაუკუქცევითი კონსტრუქციით დასახელებული სიტუაცია გულისხმობს უკუქცევითი კონსტრუქციით დასახელებულ სიტუაციას და პირიქით: ***მან ასესხა ფული*** ნიშნავს, რომ ***ვიღაცამ ისესხა მისგან ფული***, ***მან ისესხა ფული*** ნიშნავს, რომ ***ვიღაცამ მას ასესხა ფული***.

ნებისმიერი ტიპის სათავისოში აუცილებლად იგულისხმება სემანტიკური კომპონენტი „თავისთვის“ ან „თავისი“/„თავისას“, ***ისესხა*** ან ***იყიდა*** უკუქცევითები კი აუცილებლობით არ გულისხმობენ მითითებულ სემანტიკურ კომპონენტს. ***მან ისესხა*** არ ნიშნავს, რომ მან აუცილებლად თავისთვის ისესხა. მაგ., ***ქალმა ბავშვთა სახლის დასახმარებლად ისესხა ფული***. სათავისოების წარმოქმნისას სემანტიკური როლების სტრუქტურაში ხდება რომელიმე რეფერენტის როლის გაორმაგება ან რომელიმე რეფერენტის როლის დაზუსტება ამა თუ იმ სემანტიკური კომპონენტით. ***ასესხა⇒ისესხა*** გარდაქმნის დროს კი ხდება რეფერენტთა როლების შეცვლა.

ამდენად, სათავისოებისა და ***ისესხა, იყიდა*** ტიპის გარდამავალი უკუქცევითების წარმოქმნის პროცესებისა და ამ ზმნათა სემანტიკურ-სინტაქსური მახასიათებლების არსებით განსხვავებულობას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ საკმაოდ ძნელია ***ისესხა, იყიდა*** ტიპის გარდამავალი უკუქცევითების ***დაიბანა, აიშენა, გაიხსენა*** ტიპის სათავისოებად მიჩნევა.

შენიშვნა:

საგულისხმოა, რომ ინდოევროპულ ენათა აქტიური და მედიალური ზმნების დაპირისპირებას ე. ბენვენისტი განიხილავს „გარეგანი დიათეზისა“ (აქტივი) და „შინაგანი დიათეზის“ (მედიუმი) სემანტიკურ ოპოზიციად. "При помоши подобных оппозиций можно выражать самые различные оттенки,... через них всегда определяется положение субъекта относительно процесса в зависимости от того, является ли он по отношению к процессу внешним или внутренним, и субъект характеризуется как действующее лицо (агент), если он просто действует – при активном залоге – или если он действует, воздействуя на самого себя, – при среднем залоге". „გარეგან“ და „შინაგან“ დიათეზათა სემანტიკურ დაპირისპირებას ძველი ინდოევროპული ენები იყენებდნენ სხვადასხვა მიზნით, რომელთაგან მხოლოდ ერთ-ერთია yajati

„მსხვერპლს წირავს (სხვისთვის, როგორც ქურუმი)“ – yajate „მსხვერპლს წირავს (თავისთვის, როგორც მსხვერპლის გამღები, შემწირველი)“ ტიპის სემანტიკური განსხვავებულობის გამოხატვის ფუნქცია (შდრ. საარვისო–სათავისო ქცევითი დაპირისპირების ფუნქცია ქართველურ ენებში). ამასთანავე, როგორც აღნიშნავს ე. ბენვენისტი, „გარეგანი დიათეზის“ და „შინაგანი დიათეზის“ სემანტიკური ოპოზიცია ინდოევროპულ ენებში ემსახურება ერთი და იმავე ზმნური ლექსემით ისეთი ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებების გამოხატვას, როგორებიცაა: გასესხება–სესხება; გაყიდვა–ყიდვა, გაქირავება–დაქირავება და სხვა (შდრ. ქართ.: გაყიდა–იყიდა, გაასესხა–ისესხა და ა.შ.). „გარეგანი“ და „შინაგანი“ დიათეზების ამ ფუნქციას ე. ბენვენისტი მიჯნავს ინდოევროპული აქტივ-მედიუმის დაპირისპირების ყველა სხვა ფუნქციისაგან: "...мы констатируем, что языки древнего типа использовали диатезу в различных целях. Одни из них заключается в противопоставлении, отмеченном Панини, между категорией "для другого" и категорией "для себя"... таких, как санскр. yajati и yajate. В этой конкретной оппозиции, охватывающей большое количество слов, мы... видим не общую формулу категории, а лишь один из способов ее использования. Существуют и другие, не менее реальные: например, возможность использовать некоторые разновидности возвратности для обозначения процесса, который затрагивает субъект, но притом так, что субъект не расценивает себя как объект, понятия, аналогичные франц. s'emparer de "овладеть (чем-либо) ", se saiser de "приняться (за что-либо)" и способные к разнообразной нюянсировке. Наконец, в форме этой диатезы языки выражали лексические противопоставления полярных понятий, где один и тот же глагол благодаря Флексиям мог означать и "взять" и "дать": санскр. dati "он дает": ādāte "он получает"; греч. μισθού "сдавать внаем": μισθούσθαι "брать внаем"; ... лат. licet "(предмет) продается с торгов": licetur "(человек) покупает с торгов" (ბენვენისტი, 1974, 189–191).

ამოსავალი ზმნის სინონიმური სათავისოები

ჩვენი ამოცანა, როგორც უკვე ვთქვით, არ არის ქართული გარდამავალი უკუქცევითი ზმნების ამომწურავი კლასიფიკაცია. ჩვენი მიზანია სათავისოებისა და მედიოაქტიური ზმნების ურთიერთმიმართების გარკვევა თანამედროვე ქართულში. ამიტომ ვიფარგლებით სათავისოთა მხოლოდ იმ სემანტიკური ჯგუ-ფების დახასიათებით, რომლებიც მითითებულია სპეციალურ ლიტერატურაში.

ამჯერად შევეცდებით სათავისოებად მიჩნეული კიდევ ერთი ტიპის ზმნათა სტრუქტურულ-სემანტიკური ნიშნების დაზუსტებას.

ა. შანიძე ცალკე ჯგუფად გამოყოფს სათავისოებს: ***მოიპარა, მოიტაცა, იკითხა, ითხოვა,...*** და მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში სათავისო ქცევის ფორმით ხდება საარვისოს ირიბი ობიექტის გამორიცხვა [შანიძე, 1980, 329]. ირიბი ობიექტის გამორიცხვა, უფრო ზუსტად: ქცევის კატეგორიის სემანტიკის გამოსახატავად ამოსავალ დიათეზაში ირიბი დამატების სინტაქსური პოზიციის წაშლა ხდება არა მხოლოდ ***იკითხა, ითხოვა*** ტიპის უკუქცევითების წარმოქმნის, არამედ პოსესიური, ბენეფაქტიური და რეციპიენტული სათავისოების წარმოქმნის დროსაც. ამიტომ ირიბი დამატების პოზიციის წაშლა-შენარჩუნება ამ შემთხვევაში საკლასიფიკაციო ნიშნად ვერ გამოდგება და ***ითხოვა*** ტიპის ფორმებს ვერ გამიჯნავს იმ სათავისოებისაგან, რომლებიც წარმოიქმნებიან სამვალენტიანი გარდამავალი კონსტრუქციებისგან.

ჰკითხა⇒იკითხა, სთხოვა⇒ითხოვა და სხვა ამგვარი ოპოზიციების მთავარი მახასიათებელი ნიშანია ამ ოპოზიციათა წევრების ორმხრივი, თანაბარმნიშვნელობიანი პერიფრაზირების შესაძლებლობა, რითაც ისინი განსხვავდებიან სათავისოებისაგან, რომელთა პერიფრაზირება შესაძლებელია შესატყვისი არაუკუქცევითი წევრითა და უკუქცევითი ნაცვალსახელით, მაგრამ არაუკუქცევითი წევრის სათავისოთი პერიფრაზირებისას არ ვიღებთ თანაბარმნიშვნელობიან სინტაქსურ კონსტრუქციებს:

ჩაიბარა მან ბავშვი = ჩააბარა მან საკუთარ თავს ბავშვი

ჩააბარა მან მას ბავშვი ≠ ჩაიბარა თვითონ მან ბავშვი

ორმხრივი თანაბარმნიშვნელობიანი პერიფრაზირების შესაძლებლობით დაპირისპირება ***სთხოვა⇒ითხოვა*** ჰგავს ***მიჰყიდა⇒იყიდა*** ტიპის მიმართებას:

მიჰყიდა მან მას ის ⇔ იყიდა მან მისგან ის

სთხოვა მან მას ის ⇔ ითხოვა მან მისგან ის

მაგრამ ***მიჰყიდა–იყიდა*** ტიპის გარდამავალი კონვერსივებისაგან განსხვავებით, ***სთხოვა*** და ***ითხოვა*** დიათეზების სემანტიკური როლების სტრუქტურებში აგენსის გვერდით არ იგულისხმება კონტრაგენსი და ამიტომ ***სთხოვა⇒ითხოვა*** ტიპის მიმართებები ვერ ჩაითვლება ობლიგატორულად დაკავშირებული, ერთმანეთით განპირობებული სიტუაციების აღმნიშვნელ ზმნათა მიმართებებად: შეიძლება ვინმეს რაიმე სთხოვო, მაგრამ მან არ გათხოვოს.

სთხოვა⇒ითხოვა ტიპის კონსტრუქციათა ოპოზიციები ერთგვაროვანი რეფერენტული, სემანტიკური როლებისა და სინტაქსური სტრუქტურების მქონე დიათეზების დაპირისპირებებია და, აქედან გამომდინარე, ერთნაირი სემანტიკური და სინტაქსური ვალენტობის მქონე კონსტრუქციებია:

$$(Pers_1=Sb=ქვ)\ (Pers_2=O^{ind}(Ben)=დ_{ირ})\ (NonP=O^{d}=დ_{3})\ \Rightarrow$$

$$\Rightarrow\ (Pers_1=Sb=ქვ)\ (Pers_2=\ O^{ind}(Ben)=დ_{ირ})\ (NonP=O^{d}=დ_{3})$$

ისეთი ზმნური ლექსემები, რომლებსაც ერთგვაროვანი სემანტიკური და სინტაქსური სტრუქტურები აქვთ და ლექსიკური მნიშვნელობის საკმარისად დიდი ნაწილი აკავშირებთ, სპეციალურ ლიტერატურაში სინონიმურ ზმნურ ლექსემებად განიხილება (აპრესიანი, 1974, 221–223). სინონიმები შეიძლება ურთიერთშენაცვლებადი იყოს, მათ შორის არსებული განსხვავებები შეიძლება ნეიტრალიზებული იქნეს გარკვეულ პოზიციაში, მაგრამ, საზოგადოდ, სინონიმია ურთიერთშენაცვლებადობას აუცილებლობით არ გულისხმობს (გამყრელიძე და სხვ. 2003, 365).

ამ თვალსაზრისით, ***სთხოვა⇒ითხოვა, მოსტაცა⇒მოიტაცა, მოპარა⇒მოიპარა*** და ა.შ. სინონიმურ ზმნურ ფორმათა დაპირისპირებებად უნდა იქნეს განხილული და არა ქცევის კატეგორიის სემანტიკით განსხვავებულ ლექსემათა დაპირისპირებებად. საგულისხმოა, რომ ა. შანიძე მითითებული ოპოზიციების ი-პრეფიქსიან წევრებს სათავისოებად მოიაზრებს, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ „ასეთი სათავისო მნიშვნელობით საარვისოს უახლოვდება“ (შანიძე, 1980, 329).

შენიშვნა:

ძველი ბერძნული ენის მედიალური ზმნების ცალკეული კონტექსტური მნიშვნელობის განსაზღვრის მეთოდისაგან განსხვავებით, ი. პერელმუტერი თავის მონოგრაფიაში "Общеиндоевропейский и греческий глагол" ბერძნული მედიუმის ფუნქციონალურ-სემანტიკურ ნიშნებს საზღვრავს ლექსიკურად შესატყვის აქტივთან მისი შეპირისპირების საფუძველზე და აჩვენებს, რომ საკმაოდ ბევრ მედიალურ ზმნას, რომლებიც გამოხატავენ სუბიექტ-ობიექტის ისეთივე კუთვნილებით ურთიერთმიმართებას, როგორსაც ქართული სათავისო ქცევა, სათანადო აქტივის სინონიმური მნიშვნელობა აქვს და გამონათქვამის აზრის შეუცვლელად ენაცვლება აქტიურ შესატყვისს. ურთიერთშენაცვლებადი ზმნური ლექსემებია: παρασκεναζω (აქტივი) „ვამზადებ“ და მისი მედიალური ფორმა; ἐπιδείκνυμι (აქტივი) „ვაჩვენებ“ და მისი მედიალური შესატყვისი და ა.შ. ამგვარ

მედიალურ ზმნებს ავტორი მკვეთრად მიჯნავს სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის კორეფერენტულობის აღმნიშვნელი პირდაპირრეფლექსური სემანტიკის მქონე მედიუმებისაგან (λούομαι „ვიბან“,...), ირიბრეფლექსური სემანტიკის მქონე მედიუმებისაგან (παριστόμαι „ვიდგამ“,...); პასივის მნიშვნელობის მქონე მედიუმებისაგან (κατεψηφίσθη „დასჯილ იქნა“,...); აქტივის კონვერსიული გარდამავალი მედიალური ფორმისაგან (δανείζομαι „ვსესხულობ“,...); რესიპროკული მნიშვნელობის მქონე მედიალური ფორმისაგან (μάχομαι „ვებრძვი“, „ვექიშპები“,...); სუბიექტის მდგომარეობის აღმნიშვნელი მედიუმებისაგან εὐφραίνομαι „ვხარობ“,...). ურთიერთშენაცვლებად აქტიურ და მედიალურ ფორმებთან დაკავშირებით კეთდება დასკვნა: "Если медиальная форма глагола выступает в пассивном значении, мы не можем заменить ее в данном предложении на активную форму, при такой замене мы получим либо неправильную фразу, либо высказывание, имеющее иной смысл. То же самое произойдет и в тех случаях, где медиальная форма выступает в значении прямого рефлексива или же обозначает состояние..., а также при оппозиции типа γαμέω/γαμέομαι

Иначе обстоит дело с косвенным рефлексивом. Если не во всех, то все же в очень многих случаях мы можем заменить медиальную форму глагола, выступающую в значении косвенного рефлексива, на активную форму данного глагола, не изменяя при этом сколько-нибудь существенным образом смысла высказывания... С известным правом можно, пожалуй, говорить о факультативном характере данной оппозиции, противопоставляющем ее прочим функционально-семантическим оппозициям актива и медия, имеющим облигаторный характер" (პერელმუტერი, 1977, 138–153).

სთხოვა⇒ითხოვა ტიპის ოპოზიციები გარკვეული გრამატიკული მნიშვნელობით განსხვავებული იდეოგრაფიული სინონიმების ოპოზიციებია. მნიშვნელობათა ნაწილობრივ განსხვავებულობას ამ ოპოზიციებში ქმნის ი-პრეფიქსის გრამატიკული ფუნქცია – მოქმედების შემოფარგვლა სუბიექტით ან მისი ინტერესების სფეროთი. ამ გრამატიკული შინაარსით დატვირთულ ზმნურ ლექსემაში, რომელსაც სხვა გარდამავალი უკუქცევითებისაგან განსასხვავებლად ამოსავალი ზმნის სინონიმურ სათავისოს ვუწოდებთ, ი-პრეფიქსით აქცენტირებულია სუბიექტის როლის შემსრულებლის მომეტებული დაინტერესება ამა თუ იმ მოქმედებით, საპირისპიროდ სინონიმური არაუკუქცევითი ზმნისა, რომლის სუბიექტად წარმოდგენილი მონაწილე შედარებით ნეიტრალურია მოქმედებისა თუ მისი შედეგის მიმართ.

ამისავალი ზმნის სინონიმურ სათავისოს და უკუქცევით გარდამავალ კონვერსივს ერთმანეთთან და პოსესიურ, ბენეფაქტიურ ან რეციპიენტულ სათავისოსთან აახლოებს მხოლოდ უკუქცევითობის გრამატიკული კატეგორიის მნიშვნელობა. ნებისმიერი მათგანი სუბიექტის როლის შემსრულებლისგან განსხვავებული მონაწილისკენ მიმართულ მოქმედებას უპირისპირებს სუბიექტის როლის მქონე მონაწილის სფეროთი შემოფარგლულ მოქმედებას და ყველა შემთხვევაში ი-პრეფიქსით აღნიშნულია, რომ სუბიექტად მიჩნეული მონაწილე „შინაგანია“ და არა „გარეგანი“ ზმნური კონსტრუქციით დასახელებული მოქმედებისათვის [ბენვენისტი, 1974, 190].

ამდენად, დიათეზათა უნივერსალურ-ტიპოლოგიური კონცეფციის კრიტერიუმებით ქართული ენის გარდამავალი უკუქცევითი კონსტრუქციების აღწერამ შესაძლებელი გახადა იმის ჩვენება, რომ უკუქცევითი გარდამავალი კონვერსივი (იყიდა, ისესხა,...), გარდამავალი უკუქცევითი სინონიმი (ითხოვა, იკითხა,...) და პოსესიური (დაივარცხნა, დაიბანა,...), ბენეფაქტიური (ჩაიბარა, ჩაიწერა,...), რეციპიენტული (შთაიგონა, გაიხსენა,...) სათავისოები ამოსავალი არაუკუქცევითი დიათეზის სხვადასხვაგვარი ცვლილებით წარმოიქმნებიან; მათ არაერთგვაროვანი სემანტიკური და სინტაქსური სტრუქტურები გააჩნიათ და ამ ზმნური ლექსემებით სხვადასხვაგვარად რეალიზდება თანამედროვე ქართულ ენაში უკუქცევითობის გრამატიკული კატეგორია.

თავი III

მედიოაქტივი და გარდამავალი უკუქცევითი ზმნა

ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში მედიოაქტივების სემანტიკა უკუქცევითობის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკასთან კავშირში მოიაზრება, ამიტომ მედიოაქტიური ზმნების სტრუქტურულ-სემანტიკურ ნიშნებსაც შევაფასებთ იმავე კრიტერიუმებით, რომელი კრიტერიუმებითაც წინამდებარე ნაშრომში შეფასდა გარდამავალი უკუქცევითების სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლები – მედიოაქტივების სემანტიკურ ნიშნებსაც განვსაზღვრავთ ლექსიკურად შესატყვის გარდამავლებთან მიმართების საფუძველზე.

მედიოაქტიური ზმნები გარდაუვალი ზმნებია. სემანტიკურად ეს ზმნები შეიძლება დახასიათდეს, როგორც აქტიური, პროცესუალური, ატელიკური ანუ

უმიზნო ზმნები. ამ ზმნებით გამოიხატება პროცესი, რომელიც რაიმე გარკვეული მიზნის მიღწევას არ გულისხმობს (მელიქიშვილი, 2002, 123). მედიოაქტივები ასახელებენ მონოტონურ პროცესს ან მოქმედებას, რომელიც ერთგვაროვანია თავის ყოველ მონაკვეთში და არ აქვს არანაირი პერსპექტივა, გარდა მონოტონური გრძლიობისა (ივანიშვილი, სოსელია, 1955, 135; ქარქაშაძე, 2005, 253).

მიუხედავად იმისა, რომ მედიოაქტივები გარდაუვალი ზმნებია, ზოგიერთ მათგანს გარკვეულ კონტექსტში უჩნდება სემანტიკური პირდაპირი ობიექტის როლის შემსრულებლის გაგება, მაგრამ კონტექსტის გარეშე მედიოაქტივი გარდამავალ ზმნად არ მოიაზრება. მედიოაქტივით დასახელებული მოქმედების ობიექტი „არ არის გარდასაქმნელი ობიექტი“ (მელიქიშვილი, 2002, 122), მას არაფერი არ „ემართება“ სუბიექტის მოქმედების შედეგად. მაგ., **ბიჭი კარგად თამაშობს ჭადრაკს**, **მსახიობმა იცეკვა „ტანგო“** და ა.შ. როცა პრედიკატი მედიოაქტიური ზმნით არის წარმოდგენილი წინადადებაში და მას არ ახლავს პირდაპირი დამატება, შეუძლებელია ლაპარაკი პირდაპირი დამატების ელიფსისზე, რადგან ეს წინადადება სტრუქტურულად სრულია: **კატამ დაიკნავლა, გოგონა იცინის, კაცი ბრაზობს** და ა.შ.

მედიოაქტივებისაგან განსხვავებით, სათავისოები გარდამავალი ზმნებია და მედიოაქტივების პარადიგმატული ფორმების სათავისოებად განხილვის შემთხვევაში ასახსნელი რჩება მედიოაქტიურ პარადიგმაში დროითი ან ასპექტობრივი შინაარსით დატვირთვისას სათავისოების გარდაუვალ კონსტრუქციებად გარდაქმნის ენობრივი საფუძველი, რაც, ფაქტობრივად, გადაუჭრელ ამოცანად გვესახება.

ქართული ზმნის მკვლევრებმა დიდი ხანია მიაქციეს ყურადღება იმ ფაქტს, რომ გარდამავალი ზმნების ერთი ნაწილი ქართულში წარმომდგარია სათანადო ფუძის მედიოაქტივებისაგან. ა-პრეფიქსის ერთ-ერთ ფუნქციად აკ. შანიძე მიიჩნევს მედიოაქტივებისაგან გარდამავალი ზმნების წარმოებას: „აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ... ა-პრეფიქსი გამოყენებულია გარდამავალ ზმნათა საწარმოებლად გარდაუვალი ფუძეებისაგან: დუღს→ადუღებს, წუხს→აწუხებს, ... და სხვ.“ (შანიძე, 1980 326). მედიოაქტივებს გარდამავალი ზმნებისათვის ამოსავალ ზმნებად მიიჩნევს ბ. ჯორბენაძეც: „მოქმედებითი გვარის ის ზმნები, რომელთაც შესაბამისი „საშუალი“ ფორმა შეესატყვისება, ამ „საშუალი“ ფორმისაგან არის ნაწარმოები“ (ჯორბენაძე, 1975, 128). ქართულ მედიოაქტივებთან დაკავშირებულ უკანასკნელ პუბლიკაციებშიც ხაზგასმულია, რომ მედიოაქტივი ძირეული ზმნაა

და ამოსავალია სათანადო გარდამავალი კონსტრუქციისათვის (ნოზაძე, 2005, 192–193; მელიქიშვილი, 2001, 84; ივანიშვილი, სოსელია, 2002, 133–140). ტიპოლოგიური მონაცემების მიხედვითაც ასეა: ქართული მედიოაქტივების სემანტიკურად ეკვივალენტურ გარდაუვალ ზმნებს ენაში თუ ეძებნება გარდამავალი შესატყვისი, ეს უკანასკნელი მეორეულია (პერელმუტერი, 1978, 121–122). მედიოაქტივებს ქართულში და ქართული მედიოაქტივების სემანტიკურ ეკვივალენტებს ინდოევროპულ ენებში მათგან წარმოქმნილი აქტივები უპირისპირდებიან, როგორც კაუზატივები (ბენვენისტი, 1974, 189; ივანიშვილი, სოსელია, 2002, 135–136; პერელმუტერი, 1978, 121).

ამგვარად, მედიოაქტივი და სათავისო ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ლექსიკურად შესატყვის გარდამავლებთან მიმართების თვალსაზრისით: მედიოაქტივი ისე მიემართება სათანადო გარდამავალს, როგორც ამოსავალი კონსტრუქცია – ტრანსფორმს, ხოლო სათავისო, როგორც ტრანსფორმი – ამოსავალ კონსტრუქციას.

ოპოზიციის ნეიტრალური ქცევა⇒სათავისო ერთ-ერთ მახასიათებლად ჩვენ დავასახელეთ ქცევის თვალსაზრისით ნეიტრალური საპირისპირო გარდამავალი ზმნით სათავისოს პერიფრაზირების შესაძლებლობა (იხ. ზემოთ). მედიოაქტივს კი სათანადო გარდამავალი ზმნით სინონიმური პერიფრაზირება არ უხერხდება. ნეიტრალური ქცევა – სათავისო და მედიოაქტივი – აქტივი მიმართებების ამ განსხვავებულობის განმაპირობებელი მიზეზი ნათლად ჩანს (1) და (2) დიათეზების (1') და (2') დიათეზებად გარდაქმნის დროს:

ქალმა შეკერა კაბა ⇒ ქალმა შეიკერა კაბა

(1) (Pers=Sb=ქვ) (NonP=O^d=დ$_3$) ⇒ (1') (Pers=Sb(Ben)=ქვ) (NonP=O^d=დ$_3$)

გოგომ გაიცინა ⇒ გოგო გააცინა ბიჭმა

(2) (Pers$_1$=Sb=ქვ) ⇒ (2') (Pers$_1$= O^d(Rca)=დ$_3$) (Pers$_2$=Sb(Ca)=ქვ)

ტრანსფორმაცია (1)⇒(1') არის სემანტიკურად მარტივი საარვისოს გარდაქმნა სემანტიკურად რთულ სათავისოდ. ამ გარდაქმნისას რთულდება ამოსავალი ზმნის სემანტიკა; ამოსავალი კონსტრუქციის სუბიექტი ტრანსფორმშიც სუბიექტის პოზიციაზე რჩება; არ იცვლება ამოსავალი დიათეზის სემანტიკური როლების სტრუქტურა. სათავისოს მნიშვნელობა მთლიანად მოიცავს საარვისოს მნიშვნელობას და, ამასთან, გულისხმობს სემანტიკურ კომპონენტს „თავისი“. სწორედ ეს ქმნის საარვისოთი და უკუქცევითი ნაცვალსახელით სათავისოს

პერიფრაზირების შესაძლებლობას, მაგრამ გამორიცხავს სათავისოთი საარვისოს პერიფრაზირებას.

მიმართება (2)⇒(2') არის სემანტიკურად მარტივი მედიოაქტივის მიმართება სემანტიკურად რთულ აქტივთან. ამ გარდაქმნისას იცვლება ბაზისური დიათეზის სემანტიკური და სინტაქსური სტრუქტურები: იზრდება რეფერენტების, როლებისა და აქტანტების რიცხვი ანუ იზრდება ამოსავალი დიათეზის სემანტიკურ და სინტაქსურ სტრუქტურათა ვალენტობა. ამოსავალი მედიოაქტივის სუბიექტი გადადის პირდაპირი ობიექტის – კაუზაციის რეციპიენტის პოზიციაზე და სუბიექტის პოზიციას წარმოქმნილი დიათეზის სემანტიკური როლების სტრუქტურაში იკავებს დამატებით შემოსული პირი-მედიოაქტივით დასახელებული სიტუაციის კაუზატორი. ტრანსფორმი (აქტივი) სრულად იმეორებს ამოსავალი მედიოაქტივის მნიშვნელობას – აღნიშნავს კაუზაციის რეციპიენტის ყოფნას გარკვეულ პროცესში და ამასთანავე ასახელებს მონაწილეს (Ca), რომელმაც კაუზაციის ობიექტი (Rca) ჩართო ამ პროცესში. ამიტომაც არ ხერხდება მედიოაქტივით დასახელებული სიტუაციისა და ამ სიტუაციის კაუზატორის მითითების გარეშე აქტივის მნიშვნელობის პერიფრაზირება: ***ის აცინებს*** = ის (Ca) იქცევა ისე, რომ ვიღაც (Rca) იცინის; ***ის აწუხებს*** = ის (Ca) იქცევა ისე, რომ ვიღაც (Rca) წუხს (შდრ. ივანიშვილი, სოსელია, 2002, 136).

ამდენად, მედიოაქტივი და სათავისო არაერთგვაროვან მიმართებებს ქმნიან ლექსიკურად შესატყვის გარდამავალ ზმნებთან. სათანადო გარდამავალთან მიმართებაში მედიოაქტივი ამოსავალია და სემანტიკურად მარტივი, ხოლო სათავისო ტრანსფორმია და სემანტიკურად რთული. რაკი მედიოაქტივი პირველადი, არაწარმოქმნილი კონსტრუქციაა, ის ვერ განიხილება ვერც ერთი ტიპის უკუქცევით ფორმად, რადგან ნებისმიერი უკუქცევითი ფორმა ტრანს-ფორმია, წარმოქმნილი კონსტრუქციაა. ბენეფაქტიურ-პოსესიური ი-პრეფიქსის სემანტიკაც განსხვავებულად რეალიზდება ამ ზმნებში: გარდამავალ უკუქცევით ტრანსფორმში, სათავისოში, ი-პრეფიქსი წარმოდგენილია როგორც სტრუქტუ-რული, ისე სემანტიკური ფუნქციით, რადგან აღნიშნავს ამოსავალი დიათეზის აქტანტების რიცხვის ერთით შემცირებას და ამასთანავე, ამოსავალი ზმნის მნიშვნელობის გართულებას სემანტიკური კომპონენტით „თავისას“ ან „თავისთვის“ და ამოსავალი ზმნის დიათეზის სუბიექტს წარმოადგენს დასახელებული მოქმედების შედეგის პოსესორად; ფიზიკური, ემოციური და

მენტალური მდგომარეობის აღმნიშვნელ პირველად ზმნაში, მედიოაქტივში, ი-პრეფიქსი წარმოდგენილია მხოლოდ სემანტიკური ფუნქციით – აღნიშნავს დასახელებულ ატელიკურ პროცესში სუბიექტის როლის შემსრულებლის მყოფობას; ამ პრეფიქსით მდგომარეობის გამომხატველ ზმნებში მარკირებულია მდგომარეობისა და მის სუბიექტად წარმოდგენილი მონაწილის ბენეფექტიურ-პოსესიური ურთიერთმიმართება.

თვალსაზრისი, რომლის თანახმად ქართული მედიოაქტივების პარადიგმატული ფორმები უკუქცევითი, კერძოდ, სათანადო აქტივისგან ნასესხები სათავისო ქცევის ფორმებია, რამდენიმე სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდება: 1) მედიოაქტივთა ერთ ნაწილს (***ელავს, დავობს, წვიმს, ქუხს, ცრუობს*** და ა.შ.) საერთოდ არ ეძებნება თანამედროვე ქართულში ლექსიკურად შესატყვისი აქტივი და, ამდენად, მედიოაქტივთა ი-პრეფიქსიანი ***იელვა, იდავა, იწვიმა, იქუხა, იცრუა*** ფორმების განხილვა ენაში არარსებული აქტივების სათავისო ქცევის ფორმებად, რომლებსაც მედიოაქტივის პარადიგმაში ეკარგებათ ქცევის გაგება, ალოგიკურია; 2) მედიოაქტივები გარდაუვალი ზმნებია, სათავისოები კი – გარდამავალი. თუ დავუშვებთ, რომ მედიოაქტივთა პარადიგმაში ქცევით ხდება ასპექტის გამოხატვა, მაშინ ისიც უნდა დავუშვათ, რომ მედიოაქტივის პარადიგმატულ ფორმებში დადასტურებული ი-პრეფიქსი სათავისოს ი-პრეფიქსია, თვით ეს ფორმები კი – სათავისოები, რომლებიც ასპექტური შინაარსით დატვირთვისას გარდაუვალ ზმნებად გარდაიქმნებიან. ეს ეწინააღმდეგება ასპექტური სემანტიკის გამოხატვის პრინციპებს თანამედროვე ქართულში, სადაც ასპექტური სემანტიკის ცვლა არ არის დაკავშირებული გარდამავლობის მიხედვით ზმნის ცვლასთან, სინტაქსურ სტრუქტურაში პირდაპირი დამატების ჩართვა-გამორიცხვასთან; 3) თუ ქცევის ი-პრეფიქსი მედიოაქტივის პარადიგმაში სრული ასპექტის გამოხატვას ემსახურება, მაშინ ის არ უნდა ჩანდეს აწმყოს ჯგუფის უსრული აპექტის ***ი-ცინის, ი-ბრძვის, ი–ღვწის*** ფორმებში. რადგან ბენეფაქტიურ-პოსესიური ი-პრეფიქსი დასტურდება მედიოაქტივის პარადიგმის როგორც სრული, ისე უსრული ასპექტის ფორმებში, ი-პრეფიქსთან სრული ასპექტის სემანტიკის გამოხატვის ფუნქციის დაკავშირება მეთოდურად წინააღმდეგობრივია; 4) თუ მედიოაქტივის პარადიგმაში ქცევის ი-პრეფიქსით სრული ასპექტის მნიშვნელობა გამოიხატება, მაშინ აორისტისა და მყოფადის ჯგუფის სრული ასპექტის მედიოაქტიური ფორმები ი-პრეფიქსთან ერთად აღარ უნდა ირთავდნენ ზმნისწინს – ასევე სრული ასპექტის გამომხატველს ახალ

ქართულში: ***ი-ლხენს – მო-ი-ლხენს – მო-ი-ლხინა; ი-ცინის – გა-ი-ცინებს – გა-ი-ცინა; წკრიალებს – გა-ი-წკრიალებს – გა-ი-წკრიალა; ხმაურობს – გა-ი-ხმაურებს – გა-ი-ხმაურა*** და ა.შ. მედიოაქტივების პარადიგმის მყოფად-აორისტის ჯგუფის ფორმებში ი-პრეფიქსთან ერთად ზმნისწინის გამოჩენა იმაზე მიუთითებს, რომ მედიოაქტივების ი-პრეფიქსს ასპექტის სემანტიკის გამოხატვის ფუნქცია არ აქვს თანამედროვე ქართულში.

ყველა ეს წინააღმდეგობა მარტივად მოიხსნება, თუკი მედიოაქტიური პარადიგმის ი-პრეფიქსიან ფორმებს ამ პარადიგმის ორგანულ, საკუთარ ფორმებად განვიხილავთ და ი-პრეფიქსის ფუნქციას ქცევის ან ასპექტის გრამატიკული კატეგორიის ფუნქციასთან დაკავშირებულად არ წარმოვადგენთ.

მედიოაქტიური ზმნა გამოხატავს ატელიკურ პროცესს (მელიქიშვილი, 2002, 123). ეს პროცესი მიმდინარეობს სუბიექტის როლის შემსრულებელში, ის არის ამ პროცესის სარეალიზაციო ადგილია.

ე. ბენვენისტის თვალსაზრისით, ინდოევროპული მედიალური ზმნები, რომელთა შორის იგულისხმებიან ქართული მედიოაქტივების სემანტიკური ეკვივალენტები, აღნიშნავენ პროცესს, "который развивается в субъекте; субъект является внутренним по отношению к процессу, ... субъект является одновременно и центром и производителем процесса; он совершает нечто, что совершается в нем самом" (ბენვენისტი, 1974, 188).

ამ მოსაზრებას მხარს უჭერს გარდაუვალ ატელიკურ (სტატიკურ) ზმნათა ორი ტიპოლოგიური მახასიათებელი: 1) ენებში, რომლებშიც ზედსართავი სახელები არ ქმნიან დამოუკიდებელ ლექსიკურ კლასს, ატრიბუტული სემანტიკა გამოიხატება ატელიკური პროცესების აღმნიშვნელი გარდაუვალი ზმნებით (გრინბერგი, 1970, 146–147). ამ ენებში (აქტიური წყობის ენები, ვიეტნამური) ერთსა და იმავე კონსტრუქციას ხან ატრიბუტული, ხან კი პრედიკატული სემანტიკა აქვს და მხოლოდ ფართო კონტექსტით განისაზღვრება მისი მნიშვნელობა (ბისტროვი, სტანკევიჩი, 1981, 104; კლიმოვი, 1977, 105). ატრიბუტული სემანტიკის გარდაუვალი პრედიკაციული კონსტრუქციით გამოხატვის ფაქტს სვანურშიც აფიქსირებს გ. მაჭავარიანი (მაჭავარიანი, 2002, 134). ატელიკური პროცესების აღმნიშვნელი სტატიკური ზმნების ეს ტიპოლოგიური მახასიათებელი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ: თუ ენა უშვებს ატრიბუტული სემანტიკისა და ატელიკური პროცესის თუ მდგომარეობის ერთი და იმავე გარდაუვალი ზმნით გამოხატვის შესაძლებლობას, მაშინ ამ ზმნით

დასახელებული ატელიკური პროცესი (მდგომარეობა) ისეთივე კუთვნილებით მიმართებაშია ზმნის სუბიექტთან, როგორშიც თვისება თავის პოსესორთან; როგორც პოსესორია თვისების სარეალიზაციო არე, ისე სუბიექტია ის არე, რომელშიც რეალიზდება ატელიკური პროცესი (მდგომარეობა); 2) აქტიური წყობის ენებში ატელიკური პროცესების, მდგომარეობის გამომხატველ ზმნებში სუბიექტი აღინიშნება ინაქტიური პირის ნიშნებით, რომლებიც ემთხვევიან ორგანული კუთვნილების გამომხატველ სახელურ აფიქსებს (კლიმოვი, 1977, 150), რაც ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ სტატიკური გარდაუვალი ზმნით დასახელებული მდგომარეობა სუბიექტის „ორგანული კუთვნილებაა“, რომ ეს პროცესი თუ მდგომარეობა არც ერთ ეტაპზე არ სცილდება სუბიექტის სფეროს (სტატიკური ზმნების შესახებ იხ. ზემოთ: გვ. 26–32).

ლექსიკურად შესატყვის გარდამავალ ზმნებთან ქართული მედიოაქტივებისა და გარდამავალი უკუქცევითების არაერთგვაროვანი მიმართებებისა და მდგომარეობის აღმნიშვნელი გარდაუვალი ზმნების ტიპოლოგიური მახასიათებლების გათვალისწინებით ვასკვნით: გარდამავალი უკუქცევითები, კერძოდ, სათავისოები, მედიოაქტივებისაგან განსხვავებული ენობრივი ერთეულებია თანამედროვე ქართულში; მედიოაქტივები ატელიკური (უმიზნო) პროცესების, ფიზიკური, ემოციური და მენტალური მდგომარეობის აღმნიშვნელი ზმნებია, რომლებიც გულისხმობენ დასახელებულ პროცესსა თუ მდგომარეობაში სუბიექტის როლის შემსრულებლის ყოფნას და ამ მდგომარეობას წარმოგვიდგენენ მის „ორგანულ კუთვნილებად“; მედიოაქტივები პირველადი ზმნებია და მათი ი-პრეფიქსიანი ფორმები მედიოაქტიური პარადიგმის ორგანული ფორმებია; მედიოაქტივების ი-პრეფიქსის განხილვა ქცევითი ან ასპექტური სემანტიკის გამომხატველ პრეფიქსად წინააღმდეგობრივია; ბენეფაქტიურ-პოსესიური მნიშვნელობის ი-პრეფიქსით მედიოაქტივებში ხდება სუბიექტად წარმოდგენილი მინაწილისათვის ატელიკური პროცესის, მდგომარეობის მიკუთვნების მარკირება; ამ პრეფიქსით გამოიხატება სუბიექტის როლის შემსრულებლისა და ფიზიკური, ემოციური და მენტალური მდგომარეობის პოსესიური ურთიერთმიმართება და მიკუთვნების სემანტიკის მქონე პრედიკაციულ ერთეულად წარმოდგება ახალი ქართული ენის მედიოაქტიურ ზმნებში.

ნებისმიერი ტიპის გარდამავალ უკუქცევითს – აქტიური მოქმედების გამომხატველ წარმოქმნილ ზმნას – საგნის ან პირის მდგომარეობის

აღმნიშვნელ პირველად მედიოაქტიურ ზმნასთან აახლოებს მხოლოდ ერთი სემანტიკური ნიშანი: ორივე ზმნაში სუბიექტის როლის შემსრულებელი მოიაზრება პოსესორად. გარდამავალი უკუქცევითი ამ მონაწილეს დასახელებული მოქმედების შედეგის პოსესორად წარმოადგენს, ხოლო მედიოაქტივი – ატელიკური აქტიური მოქმედებისა თუ პროცესის პოსესორად. როგორც გარდამავალი უკუქცევითის, ისე მედიოაქტიური ზმნის პოსესიური სემანტიკა მარკირებულია ი-პრეფიქსით; ორივე შემთხვევაში ამ პრეფიქსით აღინიშნება სუბიექტის როლში წარმოდგენილი მონაწილის სფეროთი სიტუაციის შემოსაზღვრულობა.

თავი IV

ობიექტჩართული ზმნები თანამედროვე ქართულში

ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში, როგორც აღვნიშნეთ, არაერთხელ დაისვა ქართული მედიოაქტივების შინაგანად გარდამავალ, შინაგანი პირდაპირი ობიექტის შემცველ ზმნებად განხილვის საკითხი, მაგრამ შინაგანი პირდაპირი ობიექტის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით: „... „მედიოაქტივები“ როგორც სტრუქტურის, ისე სემანტიკის თვალსაზრისით, ძირეული ფორმებია და ,ამოსავალია აქტივისათვის. ისინი, ასე ვთქვათ, თვითმოქმედებას, თვითმოძრაობას გამოხატავენ და ამიტომ მათ ავტოტივები ვუწოდეთ. ამ ზმნებს შინაგანი გარდამავლობა ახასიათებთ: ისინი შინაგანად შეიცავენ პირდაპირ ობიექტს (***აკანკალებს ის მას***, მაგრამ ***კანკალებს ის თვითონ, ამეფებს ის მას***, მაგრამ ***მეფობს ის თვითონ***...) და ზედაპირზე არასრული კონსტრუქცია აქვთ“ (მელიქიშვილი, 2001, 84). ასევე: „პირდაპირი ობიექტი ***იმეფა, ურქინა*** ტიპის ზმნებისა უნდა იყოს ის, რაც ამ ზმნათა ფუძეშია წარმოდგენილი, ე. ი. პირდაპირი ობიექტი აღნიშნულ ზმნებთან „შინაგანი ობიექტის“ სახით უნდა გვქონდეს. ***იმეფა, ისერა, ინადირა, ურქინა, უწამლა***... ზმნათა პირდაპირი ობიექტია, ჩვენი აზრით, მეფე, სერი, ნადირი, რქა, წამალი...“ (ნოზაძე, 1974, 48–51). სხვა თვალსაზრისით კი, ***ლაპარაკობს, მარხულობს, ვარჯიშობს, მეფობს***,... მედიოაქტივების შინაგანი გარდამავლობის მტკიცება შესაძლებელია იმის საფუძველზე, რომ ეს ზმნები დროის, სივრცის ან ზომის აღმნიშვნელ

სახელებს მართავენ პირდაპირი ობიექტის ბრუნვებში – სახელობითსა და მიცემითში: ბევრი ისმინე, მაგრამ ცოტა ილაპარაკე; კაი ხანი იმარხულეთ; ბევრი ივარჯიშა; დიდი ხანი იმეფა (იხ. სუხიშვილი, 1999, 30).

მედიოაქტივთა სემანტიკურ სტრუქტურაში პირდაპირი ობიექტის სემანტიკური როლის შემსრულებელი რეფერენტის არსებობის დასაბუთების შემთხვევაში, მართლაც, გამოიკვეთებოდა მნიშვნელოვანი ენობრივი მოვლენის, კერძოდ, თანამედროვე ქართულში მედიოაქტივებისა და აქტივების ფუნქციონალურ-სტრუქტურული მსგავსების ამხსნელი სერიოზული არგუმენტი, რომ არა ორი გარემოება: 1) მკვლევრები სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ ქართულ მედიოაქტივთა შინაგან პირდაპირ ობიექტს და, აქედან გამომდინარე, გაურკვეველი რჩება, მედიოაქტიური ზმნით დასახელებული სიტუაციის რომელ მონაწილეს უნდა მიეწეროს შინაგანი პირდაპირი ობიექტის სემანტიკური როლი; 2) ტიპოლოგიური მონაცემების მიხედვით, შინაგანი ობიექტის შემცველი, უფრო ზუსტად, ობიექტჩართული ზმნები სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლებით არსებითად განსხვავდებიან იმ უმიზნო-პროცესუალური გარდაუვალი ზმნებისაგან, რომლებიც, ქართული ლინგვისტური ტრადიციის თანახმად, მედიოაქტიური ზმნებია.

წინამდენარე ნაშრომში ქართული ენის ობიექტჩართული ზმნების სტრუქტურულ-სემანტიკური ნიშნები განისაზღვრა ობიექტჩართულ ზმნათა ინტერპრეტაციისა და კლასიფიკაციის თანამედროვე პრინციპებით, კერძოდ, დიათეზათა თანამედროვე თეორიის კრიტერიუმებით; გათვალისწინებულ იქნა ობიექტჩართულ ზმნათა ტიპოლოგიური მახასიათებლებიც და ასე გაეცა პასუხი კითხვებს: რომელი ზმნა შეიძლება ან არ შეიძლება ჩაითვალოს ობიექტჩართულად თანამედროვე ქართულში? ობიექტჩართული ზმნური ლექსემაა თუ არა ქართული მედიოაქტივი?

ლინგვისტურ ლიტერატურაში ტერმინი „ობიექტჩართული ზმნა“ გვხვდება როგორც ვიწრო, ისე ფართო მნიშვნელობით. ზოგი მკვლევარი ობიექტჩართულად მიიჩნევს მხოლოდ იმ გარდაუვალ უკუქცევითებს, რომლებიც წარმოიქმნებიან Pt სემანტიკური როლის შემსრულებელი რეფერენტის მნიშვნელობის საგნობრივად დამაკონკრეტებელი სპეციფიკური ლექსიკური სემანტიკის მქონე გარდამავალი ზმნებისაგან. "Включенно-объектные глаголы образуются от исходных НГ (არარეფლექსური ზმნა), обозначающих ситуации, вторым участником которых не может быть лицо. Второй участник ситуации, называемый именем в позиции $Д_{пр}$

(პირდაპირი დამატება) при НГ, оказывается элементом, функционально связанным с действием... В ИК (ამოსავალი კონსტრუქცია) имя в позиции $Д_{пр}$ не может заменено на личное местоимение, денотативно тождественное субъекту. Образование конструкции с РГ (რეფლექსური ზმნა) не влечет появления "дополнительного" смысла, устраняется лишь конкретная, лексически выраженная информация о втором участнике действия... Конструкция с РГ синонимична конструкции с производящим НГ... Конструкции этого типа образуются в армянском языке с немногочисленными глаголами: **artahajtvel** "высказаться", **bacatrvel** "объясняться", **krknvel** "повторяться", **šejvel** "отклониться (от пути)". В русском языке включенно-объектными считаются конструкции, образованные с помощью глаголов, передающих изменение выражение лица: Петя **наморщился, нахмурился, прищурился, вытаращился** и др." (Козинцева, 1981, 85–86).

მკვლევართა უმეტესობის აზრით, ამოსავალი გარდამავალი ზმნის სინონიმური ობიექტჩართული უკუქცევითი შეიძლება წარმოიქმნას არა მხოლოდ რუს. **хмурит** „ჭმუხნის“, ლიტვ. **uzmerki** „ხუჭავს“, ქართ. ***ჭუტავს*** ტიპის სპეციფიკური მოქმედების აღმნიშვნელი ზმნებისაგან, არამედ ისეთი გარდამავლებისგანაც, რომელთა ლექსემებით საგნობრივად არ კონკრეტდება პირდაპირი ობიექტის სემანტიკური როლის შემსრულებელი რეფერენტის მნიშვნელობა (იანკო-ტრინიცკაია, 1962, 171–202; გენიუშენე, 1976, 136; გენიუშენე, 1981, 167–170; კორდი, 1981, 236–237). ეს თვალსაზრისი, რომელსაც ტიპოლოგიური მონაცემებიც უჭერენ მხარს, საკმაოდ აფართოებს ტერმინ „ობიექტჩართული ზმნის“ ფუნქციონირების არეს. წარმოდგენილი ნაშრომიც ამ თვალსაზრისს ეთანხმება.

დიათეზათა უნივერსალურ-ტიპოლოგიური კონცეფციის საფუძველზე შე-საძლებელია ობიექტჩართულ ზმნათა სტრუქტურული და სემანტიკური მახასიათებლების საკმაოდ ზუსტად განსაზღვრა და იმის ჩვენება, რომ ობიექტჩართულობა ენებში საკმაოდ გავრცელებული მორფო-სინტაქსური ფენომენია. სხვადასხვა ენის ობიექტჩართული ზმნების დიათეზათა თეორიის კრიტერიუმებით აღწერა-შეპირისპირებისას ირკვევა, რომ ა) ობიექტჩართული ზმნა აქტიური სემანტიკის მქონე უკუქცევითი ტრანსფორმია, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ბაზისური დიათეზის შესაბამისობა: Sb=>(ქვ), ხოლო სემანტიკა ამოსავალი ზმნით დასახელებული სიტუაციის დანარჩენი მონაწილეებისა, რომლებიც ტრანსფორმაციის შედეგად სინტაქსურად აღარ გამოიხატებიან ან უკანა პლანზე არიან გადაწეული (გამოიხატებიან მათი

იერარქიისათვის შეუსაბამო დაბალი რანგის აქტანტებით), იმპლიცირებულია ტრანსფორმის ლექსიკური მნიშვნელობით; ბ) ობიექტჩართული ზმნის წარმოქმნისას არ იცვლება ბაზისური დიათეზის სემანტიკური სტრუქტურების ერთეულთა რაოდენობა და ურთიერთმიმართება და, აქედან გამომდინარე, ობიექტჩართული ტრანსფორმი და მისი წარმომქმნელი გარდამავალი ზმნა, სემანტიკური ვალენტობის თვალსაზრისით, იდენტური ზმნური ლექსემებია; გ) ობიექტჩართული ზმნის სინტაქსური ვალენტობა ნაკლებია ამოსავალი ზმნის სინტაქსურ ვალენტობაზე, რადგან ობიექტჩართული ტრანსფორმის ლექსემით იმპლიცირებული სემანტიკური Pt(და Ad) როლის შემსრულებელი რეფერენტი (რეფერენტები) პირდაპირი და/ან ირიბი დამატების სახით აღარ არის წარმოდგენილი დიათეზის სინტაქსურ სტრუქტურაში; დ) ობიექტჩართული ტრანსფორმი და მისი წარმომქმნელი გარდამავალი ზმნა სინონიმური ზმნური ლექსემებია. ისინი აღწერენ ერთსა და იმავე, მხოლოდ ლოგიკური აქცენტებით განსხვავებულ სიტუაციებს. ამოსავალი გარდამავალი ზმნა, რომელიც პირდაპირ (და ირიბ) დამატებას ითავსებს კონსტრუქციაში, აქცენტს სინტაქსურად გამოხატული სემანტიკური ობიექტისა (ობიექტების) და დასახელებული მოქმედების მიმართებაზე აკეთებს; რადგან ობიექტჩართული ზმნის წარმოქმნა დაკავშირებულია პირდაპირი (და/ან ირიბი) ობიექტის სემანტიკური როლის მქონე რეფერენტის უკანა პლანზე გადაწევასთან ან მისი სინტაქსური პოზიციის ელიფსისთან, ობიექტჩართული ტრანსფორმით ლოგიკური აქცენტი სუბიექტისა და დასახელებული მოქმედების ურთიერთმიმართებაზე კეთდება და მოქმედების შესრულებას სუბიექტის დამახასიათებელი თვისების მნიშვნელობა ენიჭება; ე) ობიექტჩართული ტრანსფორმის სემანტიკა ამოსავალი ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის, აქტანტების სემანტიკისა და ბაზისური დიათეზის ტრანსფორმაციის წესის ფუნქციაა.

ამდენად, დიათეზათა უნივერსალურ-ტიპოლოგიური კონცეფცია, რომლის საფუძველზეც წინამდებარე ნაშრომში განისაზღვრა ქართული ენის ობიექტჩართული ზმნების სემანტიკა და ფუნქცია, ობიექტჩართულ ზმნას განიხილავს გარდაუვალ უკუქცევით ტრანსფორმად, მის სტრუქტურულ-სემანტიკურ მახასიათებლებს კი ადგენს მხოლოდ და მხოლოდ ამოსავალი გარდამავალი ზმნის სტრუქტურულ-სემანტიკურ მახასიათებლებთან მიმართებაში და ტრანსფორმაციისას ბაზისურ დიათეზაში მომხდარი ცვლილებების მიხედვით მიჯნავს ობიექტჩართულ უკუქცევითებს სხვა ტიპის უკუქცევითებისაგან.

ობიექტჩართული უკუქცევითი ზმნის აღწერის პრინციპები

დიათეზათა თანამედროვე თეორიის თანახმად, ყოველი ზმნა გულისხმობს რეფერენტული, სემანტიკური როლებისა და სინტაქსური დონეების ერთეულთა გარკვეულ შესაბამისობას, განსაზღვრულს ზმნის ლექსიკური მნიშვნელობით. ამ სამი დონის ერთეულთა ურთიერთმიმართებას ეწოდება დიათეზა (ხრაკოვსკი, 1981, 10). ნებისმიერი ზმნა არის დიათეზა – ბაზისური(ამოსავალი) ან წარმოქმნილი. ბაზისური დიათეზის ამა თუ იმ ტრანსფორმაციული წესით გარდაქმნას უკავშირდება ახალი ზმნური ლექსემის, ახალი დიათეზის წარმოქმნა. ნებისმიერი უკუქცევითი ტრანსფორმის სემანტიკა, უპირველეს ყოვლისა, ამოსავალი ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობაზე, მისი აქტანტების სემანტიკასა და ამოსავალი დიათეზის ტრანსფორმაციისას მომხდარ ცვლილებებზეა დამოკიდებული.

დიათეზის რეფერენტული დონის ერთეულებია ზმნით დასახელებული სიტუაციის მონაწილეები – რეფერენტები. ისინი დიათეზაში ქმნიან რეფერენტულ სტრუქტურას, რომელიც განისაზღვრება რეფერენტთა თვისებრივი მახასიათებლებით.

ობიექტჩართული უკუქცევითების თავისებურებათა წარმოსაჩენად საკმარისია გამოიყოს რეფერენტთა სამი ჯგუფი: 1) აქტიურობის პოტენციის მქონე რეფერენტები (Pot). ეს ჯგუფი იყოფა პირთა (Pers) და სულიერ პოტენტთა (Anim) ქვეჯგუფებად; 2) სულიერი არსების სხეული ან მისი ნაწილები (Part); 3) საგნები (NonP). როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამოსავალი დიათეზის რეფერენტული სტრუქტურის ერთეულთა თვისებრიობაზეა დამოკიდებული, ტრანსფორმი ობიექტჩართული უკუქცევითის მნიშვნელობას შეიძენს თუ, მაგალითად, პასივის.

ამოსავალი დიათეზის რეფერენტული სტრუქტურა არ იცვლება ობიექტჩართული უკუქცევითის წარმოქმნისას.

შენიშვნა: როცა რომელიმე რეფერენტის თვისებრივი მახასიათებლის მითითება არაარსებითია ობიექტჩართული უკუქცევითის წარმოქმნისთვის, რეფერენტი აღინიშნება პირობითი სიმბოლოებით: A, B, C,...

სემანტიკური როლების დონეზე ერთეულებად მოიაზრება რეფერენტთა როლები. ისინი დიათეზაში ქმნიან სემანტიკური როლების სტრუქტურას. ჩვენი მიზნებისათვის საკმარისია განისაზღვროს შემდეგი სემანტიკური როლები: სუბიექტი (**Sb**), ობიექტ**ი (O),** ადრესატი (**Ad**), მოქმედების ადგილი (**Loc**). **სუბიექტი** განზოგადებული სახელია რამდენიმე კონკრეტული როლის: აგენსის (**Ag**), კაუზატორის (**Ca**), ექსპერიენცერის (**Ex**) და სხვ., **ობიექტი** კი განზოგადებული სახელწოდებაა ისეთი კონკრეტული სემანტიკური როლების, როგორებიცაა: პაციენსი(**Pt**), ადრესატი(**Ad**), პირდაპირი ობიექტი (**O**^{d}), ირიბი ობიექტი (**O**^{i}) და სხვ.

ობიექტჩართულ დიათეზად გარდაქმნისას არ იცვლება ბაზისური დიათეზის სემანტიკური როლების სტრუქტურა.

სინტაქსური დონის ერთეულებია წინადადების წევრები, ზმნასთან სინტაქსური ვალენტობით დაკავშირებული აქტანტები, რომლებიც დიათეზაში ქმნიან სინტაქსურ (აქტანტურ) სტრუქტურას. ობიექტჩართული უკუქცევითების სინტაქსური ქცევის დასახასიათებლად აუცილებელია და საკმარისი შემდეგი აქტანტების გამოყოფა: ქვემდებარე (**ქვ**), პირდაპირი დამატება (**დპ**), ირიბი დამატება (**დი**), უბრალო დამატება (**დუ**). თანდებულიან თუ უთანდებულო აქტანტს, ამოსავალი აქტივის II და/ან III აქტანტის ტრანსფორმს, ნაშრომის ამ ნაწილში განვიხილავთ უბრალო დამატებად, რადგან იგი არც ერთ სინტაქსურ გარემოცვაში ზმნაში არ გამოიხატება ობიექტური პირის ნიშნით.

“აქტანტები ქმნიან მოწესრიგებულ სიმრავლეს: I აქტანტია ქვემდებარე, II აქტანტი – პირდაპირი დამატება; ხოლო III აქტანტი – ირიბი დამატება“ (გამყრელიძე და სხვ., 2003, 254). საერთოდ, აქტანტები უკუქცევითის სინტაქსურ სტრუქტურაში გამოჩენის სხვადასხვა სიხშირით ხასიათდებიან. შესაბამისად იმისა, თუ რომელი აქტანტის პოზიციაა უფრო ხშირად შევსებული უკუქცევითი ტრანსფორმის დიათეზის სინტაქსურ სტრუქტურაში, აქტანტებს ენიჭებათ იერარქიული რანგები. რადგან ნებისმიერი ტიპის უკუქცევითი დიათეზის სინტაქსურ სტრუქტურაში შევსებულია ქვემდებარის პოზიცია, უმაღლესი I

რანგი ენიჭება ქვემდებარეს. II რანგისაა პირდაპირი დამატება. ამ აქტანტის პოზიცია ყოველთვის შეუვსებელია ობიექტჩართული უკუქცევითის დიათეზაში, მაგრამ შევსებულია, მაგალითად, გარდამავალი უკუქცევითი დიათეზების სინტაქსურ სტრუქტურაში, გარდამავალი უკუქცევითები კი რიცხობრივად დიდ კლასებს ქმნიან ენებში. ტიპოლოგიური მონაცემების მიხედვით, ობიექტჩართული უკუქცევითი დიათეზები ირიბი დამატებით რაოდენობრივად გაცილებით ნაკლებია ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების შემცველ უკუქცევით დიათეზებზე. ამიტომ ირიბ დამატებას ენიჭება III რანგი. უბრალო დამატებასა და ადგილის გარემოებას ენიჭებათ დაბალი მეოთხე რანგი. ამოსავალი დიათეზის გარდაქმნისას შეიძლება ამაღლდეს ან დაქვეითდეს დიათეზის ამა თუ იმ აქტანტის სინტაქსური რანგი.

ნებისმიერი ობიექტჩართული უკუქცევითის წარმოქმნისას იცვლება ამოსავალი დიათეზის სინტაქსური სტრუქტურა.

თანამედროვე ქართულში ობიექტჩართული უკუქცევითი და პასივი ზოგჯერ ომონიმურ წყვილებს ქმნიან და კონტექსტის გარეშე არ განირჩევიან:

(კატა) იკაწრება – ობიექტჩართული უკუქცევითი; ***(მაგიდა) იკაწრება*** – პასივი; ***(გოგონა) იხუჭება*** – ობიექტჩართული უკუქცევითი; ***(თვალი) იხუჭება*** – პასივი. ომონიმიის თავიდან ასაცილებლად ზმნურ ლექსემებს წარმოვადგენთ აქტანტებთან ერთად და, ამდენად, ჩვენი კვლევის საგანი იქნება მიმართებები:

(ა) ***ბიჭი კრეჭს კბილებს ⇒ ბიჭი იკრიჭება;***

(ბ) ***მოხუცი ლოდნის პურს ⇒ მოხუცი ილოდნება;***

(გ) ***კაცი ხარჯავს ფულს ⇒ კაცი იხარჯება;***

(დ) ***მდვდელი ლოცავს მრევლს ⇒ მდვდელი ილოცება;***

(ე) ***ბანკი ლტოლვილებს აძლევს სესხს ⇒ ბანკი იძლევა სესხს;***

(ვ) ***ბიჭი ყველას ურტყამს ჯოხს ⇒ ბიჭი ირტყმევინება (ჯოხს).***

ამოსავალი სინტაქსური კონსტრუქციის მიმართებას წარმოქმნილ სინტაქსურ კონსტრუქციასთან წარმოვადგენთ სამდონიან დიათეზათა მიმართების სახით. მაგ., სინტაქსურ კონსტრუქციათა (ა) მიმართება წარმოდგება, როგორც ამოსავალი და წარმოქმნილი დიათეზების შემდეგი შესაბამისობა:

(Pers=Sb=ქვ) (Part=O^d=დპ) ⇒ (Pers=Sb=ქვ) (Part=O^d=X)

შენიშვნა: X – სიმბოლოთი აღინიშნება ამა თუ იმ რეფერენტის შეუვსებელი სინტაქსური პოზიცია.

ობიექტჩართულობის მარკერი თანამედროვე ქართულში

ბაზისური დიათეზის ობიექტჩართულ დიათეზად გარდაქმნა თანამედროვე ქართულში ძირითადად მარკირებულია ბენეფაქტიურ-პოსესიური მნიშვნელობის მქონე ი-პრეფიქსითა და შედარებით იშვიათად –დ სუფიქსით.

ობიექტჩართული უკუქცევითის წარმოქმნას უკავშირდება: ა) ბაზისური დიათეზის სინტაქსური ვალენტობის შემცირება: ბაზისურ დიათეზაში აქტანტების რაოდენობის კლება ან აქტანტების სინტაქსური რანგის დაქვეითება; ბ) პირდაპირი ობიექტის როლის მქონე მონაწილისა და დასახელებული მიზანმიმართული მოქმედების ურთიერთმიმართებიდან ლოგიკური აქცენტის გადატანა სუბიექტისა და მოქმედების ურთიერთმიმართებაზე და დასახელებული მოქმედების წარმოდგენა სუბიექტის დამახასიათებელ თვისებად. აქედან გამომდინარე, ობიექტჩართულ უკუქცევითში ი-პრეფიქსი და დ-სუფიქსი ასრულებს ორ ფუნქციას: სტრუქტურულს – აღნიშნავს ამოსავალი დიათეზის აქტანტების რაოდენობის შემცირებას და სემანტიკურს – აღნიშნავს სუბიექტსა და მოქმედებას შორის ბენეფაქტიურ-პოსესიური მიმართების დამყარებას.

ობიექტჩართული უკუქცევითების კლასიფიკაციის პრინციპები

ამოსავალ დიათეზაში გვაქვს რეფერენტული, სემანტიკური როლებისა და სინტაქსური დონეების ერთეულთა პირდაპირი შესაბამისობა. ობიექტჩართული უკუქცევითის წარმოქმნისას ირღვევა რეფერენტულ და სინტაქსურ დონეთა ერთეულების პირდაპირი შესაბამისობა.

ობიექტჩართული უკუქცევითი ტრანსფორმების კლასიფიკაცია ხდება ამოსავალ დიათეზაში მომხდარი ცვლილებების მიხედვით. კლასიფიკაცია ორ ეტაპს გულისხმობს: სინტაქსურსა და სემანტიკურს. პირველ – სინტაქსურ ეტაპზე ობიექტჩართული უკუქცევითები კლასებად იყოფიან ამოსავალი დიათე-

ზის სინტაქსური სტრუქტურის ერთეულების (აქტანტების) შენარჩუნება-არშენარჩუნების მიხედვით.

ობიექტჩართული უკუქცევითის წარმოქმნა თანამედროვე ქართულში დაკავშირებულია ბაზისური დიათეზის II (და III) აქტანტის ელიფსისთან ან უბრალო დამატების სახით წარმოდგენასთან.

მეორე ანუ სემანტიკურ ეტაპზე ობიექტჩართული უკუქცევითები კლასებად იყოფიან უკანა პლანზე გადაწეულ ან სინტაქსურად არგამოხატულ რეფერენტთა სემანტიკის დეტერმინაციის პრინციპის მიხედვით.

ქართული ენის ობიექტჩართული უკუქცევითების წარმოქმნისას არ იცვლება ამოსავალი დიათეზის არც რეფერენტული და არც სემანტიკური როლების სტრუქტურა, მაგრამ იცვლება გარკვეული რეფერენტის (რეფერენტების) სემანტიკის განსაზღვრულობის ხარისხი. ობიექტჩართული უკუქცევითები სემანტიკურ კლასებად იყოფა სემანტიკური პირდაპირი (და ირიბი) ობიექტის შესატყვისი რეფერენტის (რეფერენტების) მნიშვნელობის დაკონკრეტება-განზოგადების ხარისხის მიხედვით.

ობიექტჩართული უკუქცევითების სინტაქსური კლასიფიკაცია

ბაზისური დიათეზის გარდაქმნისას სინტაქსურ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების მიხედვით, საანალიზოდ აღებული ობიექტჩართული უკუქცევითები დავყავით ორ სინტაქსურ კლასად:

I. ობიექტჩართული უკუქცევითები, რომლებიც წარმოიქმნებიან ბაზისური დიათეზის Sb-ის როლის მქონე რეფერენტის წარმოქმნილ დიათეზაში ქვემდებარედ წარმოდგენით და პირდაპირი დამატების გამოტოვებით წარმოქმნილ სინტაქსურ სტრუქტურაში;

II. ობიექტჩართული უკუქცევითები, რომლებიც წარმოიქმნებიან ბაზისური დიათეზის Sb-ის როლის შემსრულებელი რეფერენტის წარმოქმნილ დიათეზაში I აქტანტის პოზიციაში დატოვებით, მაგრამ დანარჩენი სემანტიკური ერთეულების სინტაქსური პოზიციების ელიფსისით ან ფაკულტატური უბრალო დამატების სახით წარმოდგენით.

I სინტაქსური კლასის ობიექტჩართული უკუქცევითები წარმოიქმნებიან სინტაქსურად ორვალენტიანი გარდამავალი ზმნებისაგან; II სინტაქსურ კლასში ხვდებიან სინტაქსურად სამვალენტიანი გარდამავალი ზმნებისაგან წარმოქმნილი ობიექტჩართული უკუქცევითები.

ობიექტჩართული უკუქცევითების სემანტიკური კლასიფიკაცია

ობიექტჩართული უკუქცევითების სემანტიკური კლასიფიკაციისას ვითვალისწინებთ:

(ა) ამოსავალი გარდამავალი ზმნის ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფს;

(ბ) ბაზისურ და წარმოქმნილ დიათეზათა რეფერენტული სტრუქტურის ერთეულების თვისებრიობას;

(გ) ობიექტჩართული ტრანსფორმით დასახელებული მოქმედების მიმართებას ამოსავალი გარდამავალი ზმნით დასახელებულ მოქმედებასთან.

(დ) სემანტიკური Pt (დაAd) როლის შემსრულებელი რეფერენტის (რეფერენტების) მნიშვნელობის ობიექტჩართული უკუქცევითის ლექსემით დაკონკრეტების ხარისხს.

უკანა პლანზე გადაწეული ან სინტაქსურად არგამოხატული რეფერენტის (რეფერენტების) სემანტიკის დაკონკრეტება-განზოგადების შესაბამისად, ნაშრომში განხილული ობიექტჩართული უკუქცევითები დავყავით სამ სემანტიკურ კლასად:

ა) უკუქცევითები, რომელთა ლექსემებით იმპლიცირებულია Pt როლის მქონე რეფერენტის ერთი კონკრეტული მნიშვნელობა;

ბ) უკუქცევითები, რომელთა ლექსემებით იმპლიცირებულია Pt როლის შემსრულებელი რეფერენტის პოტენციური მნიშვნელობა.

გ) უკუქცევითები, რომლებიც ლექსემით მიუთითებენ უკანა პლანზე გადაწეული ან სინტაქსურად არგამოხატული Pt და Ad სემანტიკური ერთეულების შესატყვისი რეფერენტების პოტენციურ მნიშვნელობაზე.

სინტაქსურად არგამოხატული ან უკანა პლანზე გადასული რეფერენტის(რეფერენტების) მნიშვნელობის განსაზღვრულობის ხარისხის მიხედვით, ობიექტჩართული უკუქცევითების I სინტაქსური კლასი იყოფა ორ სემანტიკურ კლასად: ა)უკუქცევითები, რომლებიც ლექსემით მიუთითებენ Pt-ის შესატყვისი რეფერენტის კონკრეტულ მნიშვნელობაზე; ბ)უკუქცევითები, რომლებიც ლექსემით მიუთითებენ Pt-ის შესატყვისი რეფერენტის პოტენციურ მნიშვნელობაზე.

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად არ ისახავს ქართული ენის ობიექტ-ჩართული ზმნების ამომწურავ კლასიფიკაციას. ქართული ობიექტჩართული ზმნებისა და მედიოაქტივების ურთიერთმიმართების გარკვევისათვის საკმარისად მიგვაჩნია ობიექტჩართულ ზმნათა აღწერისა და კლასიფიკაციის პრინციპების დაზუსტება და ამის საფუძველზე ობიექტჩართულ ზმნათა რამდენიმე სახეობის გამოვლენა-დახასიათება.

ა) I სინტაქსური კლასის უკუქცევითი, რომლის ლექსემით იმპლიცირებულია Pt როლის მქონე რეფერენტის კონკრეტული მნიშვნელობა

ეს ობიექტჩართული უკუქცევითები წარმოიქმნებიან ორვალენტიანი გარდამავალი ზმნებისაგან, რომლებიც აღნიშნავენ სულიერი არსების სხეულზე ან მის რომელიმე კონკრეტულ ნაწილზე შესასრულებელ სპეციფიკურ მოქმედებას და ლექსიკური მნიშვნელობით საგნობრივად აკონკრეტებენ Pt როლის შემსრულებელი რეფერენტის სემანტიკას. I აქტანტად ამ ზმნებთან წარმოდგენილია აქტიურობის პოტენციის მქონე რეფერენტის სახელი, ხოლო II აქტანტად – Part კლასის რეფერენტის აღმნიშვნელი სახელური ლექსემა. ესენია: ***ჭუტავს (თვალებს), ჭმუხნის (შუბლს), კრეჭს (კბილებს), მანჭავს (სახეს), კვანწავს (ხელებს), ნაბავს (სულს), [ი]შმუშნის (მხრებს), ხუჭავს (თვალებს), პრუწავს (ტუჩებს)*** და ა.შ. ეს სპეციფიკური გარდამავალი ზმნები თავიანთი ლექსიკური მნიშვნელობით აკონკრეტებენ, სხეულის რომელი ნაწილის აღმნიშვნელ სახელს შეითავსებენ II აქტანტად სინტაქსურ კონსტრუქციაში. დასაშვებია: ***დაკრიჭა კბილები*** და არა ***დაკრიჭა ხელები, დაჭყიტა თვალები*** და არა ***დაჭყიტა მხრები*** და ა.შ. თითოეული ამ ზმნათაგან სულიერი არსების

სხეულის ერთი კონკრეტული ნაწილის მოძრაობას ასახელებს და უფრო ფართო მნიშვნელობით, ზოგადად, მოძრაობის აღსანიშნავად არ გამოიყენება ენაში.

„სპეციფიკური“ გარდამავალი ზმნების “სპეციფიკური” ობიექტჩართული ტრანსფორმები წარმოიქმნებიან ბაზისური დიათეზის I აქტანტის ქვემდებარის პოზიციაში დატოვებით, მაგრამ პირდაპირი დამატების ლიკვიდაციით და, ამდენად, ერთიანდებიან I სინტაქსურ კლასში. ეს გარდაუვალი ტრანსფორმები სინტაქსურ კონსტრუქციაში პირდაპირი დამატების შეთავსების გარეშეც ისევე ასახელებენ აქტიურ მოქმედებას და ისევე გულისხმობენ Pt როლის მქონე რეფერენტს, როგორც სათანადო ამოსავალი გარდამავლები, მაგრამ ამ რეფერენტის მნიშვნელობაზე ისინი ლექსემით მიუთითებენ.

⌈და⌉კრეჭს კბილებს (ტუჩების გახსნით კბილებს გამოაჩენს, ულაზათოდ გაიცინებს) ⇒ ⌈გა⌉იკრიჭება (ულაზათოდ გაიცინებს, კბილებს გამოაჩენს, გაიღრიჭება) – ქეგლ;

⌈გა⌉ნაბავს სულს (სუნთქვას შეიკრავს, მიჩუმდება) ⇒ ⌈გა⌉ინაბება (სუნთქვას შეიკრავს, გაჩუმდება) – ქეგლ;

⌈და⌉ღრეჭს სახეს (სახის ნაკვთებს დამანჭავს) ⇒ ⌈და⌉იღრიჭება (სახეს დაიღრეჭს, დაიმანჭება) – ქეგლ;

⌈და⌉კვანწავს ხელებს (მოხდენილად გაშლის ხელებს) ⇒ იკვანწება (მოხდენილად შლის ხელებს) – ქეგლ;

იშმუშნის მხრებს (მხრებს იჩეჩს) ⇒ იშმუშნება (მხრებს იჩეჩს) – ქეგლ;

⌈შე⌉ჭმუხნის შუბლს (შეკრავს შუბლს, მოღუშავს სახეს) ⇒ ⌈შე⌉იჭმუხნება (შეკრავს შუბლს, მოიღუშება) – ქეგლ.

როგორც ვხედავთ, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც დაფიქსირებულია, რომ სულიერი არსების სხეულზე ან მის რომელიმე ნაწილზე შესასრულებელი “სპეციფიკური” მოქმედებების აღმნიშვნელი გარდამავალი ზმნები და აქტიური სემანტიკის მქონე მათი გარდაუვალი ტრანსფორმები ერთნაირად გულისხმობენ სამოქმედო ობიექტს (Part კლასის რეფერენტს), რაც ქმნის მათი თანაბარმნიშვნელობიანი პერიფრაზირების შესაძლებლობას. ამ გარდამავალ ზმნებსა და მათ გარდაუვალ ტრანსფორმებს განასხვავებს მხოლოდ ის, რომ ***იღუშება*** ტიპის უკუქცევითები გარდაუვალი სემანტიკის გამო პირდაპირი დამატებით ვერ ასახელებენ სინტაქსურ კონსტრუქციაში Part კლასის რეფერენტს, მაშინ როცა შესატყვის გარდამავლებთან ეს რეფერენტი

კონსტრუქციაში აუცილებლად არის წარმოდგენილი პირდაპირი დამატების სახით. ამოსავალი გარდამავალი ზმნით დასახელებულ მოქმედებასთან ფუნქციონალურად დაკავშირებული რეფერენტი თვისებრივად და საგნობრივად დაკონკრეტებულია ტრანსფორმის ლექსემით ანუ ამ რეფერენტის გაგება „ჩართულია" ტრანსფორმის ლექსიკურ მნიშვნელობაში.

ამ სემანტიკური კლასის ობიექტჩართული უკუქცევითი ტრანსფორმი და მისი წარმომქმნელი გარდამავალი ზმნა იდეოგრაფიულად სინონიმური ზმნური ლექსემებია. ამ სემანტიკური კლასის ნებისმიერი უკუქცევითი და ლექსიკურად მისი შესატყვისი გარდამავალი ზმნა გულისხმობს ერთი და იმავე სუბიექტის ერთსა და იმავე კონკრეტულ ობიექტზე შესასრულებელ ერთგვაროვან მოქმედებას: ***იკრიჭება*** ზმნა, ***კრეჭს*** ზმნის მსგავსად, გულისხმობს კბილებზე შესასრულებელ მოქმედებას – კბილების გამოჩენით ულაზათოდ გაცინებას; ***იღრიჭება*** უკუქცევითი, ***ღრეჭს*** გარდამავალი ზმნის მსგავსად, აღნიშნავს სახეზე შესასრულებელ მოქმედებას, კერძოდ, სახის ნაკვთების დამანჭვას და ა.შ. აქედან გამომდინარე, „სპეციფიკური" გარდამავლები და მათი ობიექტჩართული გარდაუვალი ტრანსფორმები სემანტიკური ვალენტობის თვალსაზრისით იდენტური ზმნური ლექსემებია. ეს იდეოგრაფიული სინონიმები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ სინტაქსური ქცევით: სინტაქსურ კონსტრუქციაში I სემანტიკური კლასის ობიექტჩართულ უკუქცევითთან დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულით, IV რანგის აქტანტით, არასდროს არ არის წარმოდგენილი სამოქმედო ობიექტი (სულიერი არსების სხეული ან მისი ნაწილი), ამ ობიექტის გაგება იმპლიცირებულია უკუქცევითის ლექსიკური მნიშვნელობით. ამოსავალი „სპეციფიკური" ზმნით აგებულ სინტაქსურ კონსტრუქციაში კი ინფორმაცია სამოქმედო ობიექტზე აუცილებლად მოწოდებულია პირდაპირი დამატებით და ამდენად, „სპეციფიკური" გარდამავალი ზმნის ობიექტჩართული ტრანსფორმის სინტაქსური ვალენტობა ერთით ნაკლებია ამოსავალი ზმნის სინტაქსურ ვალენტობაზე: ***ქალი კვანწავს ხელებს ⇒ ქალი იკვანწება; კაცი ღრეჭს სახეს ⇒ კაცი იღრიჭება; ბიჭი ღმეჭს სახეს ⇒ ბიჭი იღმიჭება*** და სხვ.

ადამიანის სხეულზე ან მის ნაწილზე შესასრულებელი სპეციფიკური მოქმედების აღმნიშვნელი გარდამავალი ზმნის დიათეზის მიმართება ამ გარდამავალი ზმნის ობიექტჩართული ტრანსფორმის დიათეზასთან წარმოდგება შემდეგი სახით:

(Pot=Sb=ქვ) (Part=O^{d}=დპ) ⇒ (Pot=Sb=ქვ) (Part=O^{d}=X)

რადგან ობიექტჩართული ტრანსფორმის სემანტიკური ვალენტობით განსაზღვრული პირდაპირი ობიექტი პირდაპირ დამატებად არ წარმოდგება ტრანსფორმის სინტაქსურ სტრუქტურაში, „სპეციფიკური“ გარდამავალი ზმნის ობიექტჩართული ტრანსფორმით, განსხვავებით ამოსავალი ზმნისგან, აქცენტირებულია არა პირდაპირ ობიექტზე ორიენტირებული მოქმედება, არამედ სუბიექტის ყოფნა ამ მოქმედებაში და ეს მოქმედება იძენს სუბიექტის მახასიათებელი ჩვევის მნიშვნელობას.

ბენეფაქტიურ-პოსესიური ი-პრეფიქსით I სემანტიკური კლასის ობიექტ-ჩართულ უკუქცევითებში მარკირებულია ამოსავალი დიათეზის სინტაქსური სტრუქტურის ერთეულთა რაოდენობის ერთით შემცირება და პოსესიური მიმართების დამყარება სუბიექტსა და დასახელებულ მოქმედებას შორის, მოქმედების შემოფარგვლა სუბიექტის სფეროთი. აქედან გამომდინარე, I სემანტიკური კლასის უკუქცევითებში ი-პრეფიქსი წარმოდგენილია ორი ფუნქციით – სტრუქტურულითა და სემანტიკურით.

შენიშვნა: ჩვენთვის საგულისხმოა, რომ ქართული “სპეციფიკური” ობიექტჩართული უკუქცევითების ლიტვურ სემანტიკურ ეკვივალენტებს ეძლევა პოსესიური სემანტიკის მქონე უკუქცევითების კვალიფიკაცია (გენიუშენე, 1981, 168).

ილუშება ტიპის ობიექტჩართული უკუქცევითის წარმომქმნელი გარდამა-ვალი ზმნით დასახელებული მოქმედება ლოკალიზებულია სუბიექტის სხეულის ერთ რომელიმე ნაწილში, ხოლო ობიექტჩართული უკუქცევითი ამ მოქმედებას მთელ სუბიექტზე გავრცელებულად, სუბიექტის თვისებად წარმოადგენს. I სემანტიკური კლასის ობიექტჩართული უკუქცევითების ეს სემანტიკური ნიშანი ზოგ ენაში (ფრანგულში, სომხურში, რუსულში, ლიტვურში, ქართულში) მორფო-სინტაქსურად გამოიხატება, ზოგში კი, მაგალითად, ვიეტნამურში – ლექსიკურად: ვიეტნ. Tôi co chân „მე მოვკუნტე ფეხები“ ⇒ Tôi co minh „მე მოვიკუნტე“ (=„მე მოვკუნტე სხეული“; minh „სხეული“) (იხ. ბისტროვი, სტანკევიჩი, 1981, 111).

„სპეციფიკური“ გარდამავალი ზმნებისაგან წარმოქმნილი ობიექტჩართული უკუქცევითის ლექსიკური მნიშვნელობით იმპლიცირებული პირდაპირი ობიექტის შესატყვისი რეფერენტი – მთელის ნაწილი – მეტონიმიურად მიუთითებს სუბი-

ექტზე – მთელზე და ამიტომაც მოიაზრება ობიექტჩართული უკუქცევითით დასახელებული მოქმედება სუბიექტის მახასიათებელ მანერად თუ ჩვევად.

მაგალითები:

„მიყვარს ... გაზაფხულის სუნი, ახლად ამომავალი ბალახი, ... უცოდველად რომ ამოუჩენია თავი და ... ***ინაბება,*** მაგრამ ... მიბნედილ სახეზე გამოუთქმელი ტრფიალება გადაჰფენია“ (ვაჟა, „ხმელი წიფელი“);

„ძლიერ შეწუხებული ვიყავი, ვიტანჯებოდი, ***ვიღმიჭებოდი,*** ვიგრიხებოდი, შველა არსაიდან იყო“ (ვაჟა, „ერემ-სერემ-სურემიანი“);

„უნდა მაშინ ნახოთ ჩვენი მამალი, როცა გაიმარჯვებს, ... როგორ გაივლ-გამოივლის, ... ***გაიბღინძება***, მკერდს წინ გამოიშვერს...“ (ვაჟა, „ჩვენი მამალი“);

„კოპალის მთაზე გამოჩნდა / კაცი მთასავით მძვინვარე, / ***მიიზლაზნება*** ზოვივით, / პირქუში, არა-მცინარე“ (ვაჟა, „გოგოთურ და აფშინა“).

„ნასიმინდარში ***დაიპლაკვნებიან*** ინდაურები,...“ (რ. ინანიშვილი, „ჩემი მეგობარი“);

„მაღლა იდგნენ, ***იღრიჭებოდნენ*** და ისევ იქნევდნენ ხელებს...“ (რ. ინანი-შვილი, „ცუდი სიზმარი“).

იბღვირება ტიპის ობიექტჩართულ უკუქცევითებს ტრადიციულად დეპო-ნენსებს უწოდებენ. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ დეპონენსები აქტივის მნიშვნელობის გამომხატველი ზმნებია, რომლებსაც ფორმა პასივის აქვთ და გარკვეულ კონტექსტში მნიშვნელობაც პასივის უჩნდებათ (შანიძე, 1980, 297; ჯორბენაძე, 1983, 139–140).

ობიექტჩართული უკუქცევითები და პასივის სემანტიკის მქონე გარდაუვალი ზმნები ამოსავალი დიათეზის სხვადასხვაგვარი ტრანსფორმაციით წარმოიქმნე-ბიან, განსხვავებულ სემანტიკურ-ფუნქციონალურ მიმართებებს ქმნიან სათანადო გარდამავლებთან და, აქედან გამომდინარე, განსხვავებული სემანტიკურ-სინტაქსური ფენომენებია.

ობიექტჩართული უკუქცევითების თავისებურებათა სრულად გამოსავლენად საჭიროა იმ ენობრივი ფაქტორის დაზუსტება, რომელიც განაპირობებს ერთი და იმავე უკუქცევითი ტრანსფორმის ხან აქტივის, ხან კი პასივის მნიშვნელობით გამოყენების პოტენციას.

პასივის სემანტიკის მქონე ზმნის წარმოქმნის შესაძლებლობა, ისევე როგორც ობიექტჩართული უკუქცევითისა, დამოკიდებულია ამოსავალი ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობასა და აქტანტების სემანტიკაზე.

პასივად გარდაქმნადი გარდამავალი ზმნები ძირითადად აღნიშნავენ:

ა) მიზანმიმართულ მოქმედებას ობიექტის შესაქმნელად – ***აშენებს, კერავს, წერს,*** ...

ბ) მიზანმიმართულ მოქმედებას ობიექტის მდგომარეობის გარდასაქმნელად ან ობიექტის გამოსაყენებლად – ***ალამაზებს, ხარჯავს, ღეჭავს,*** ...

გ) მიზანმიმართულ მოქმედებას ობიექტის შესაძენად ან გასასხვისებლად – ***აძლევს, იძენს, გასცემს***, ...

დ) მიზანმიმართულ მენტალურ საქმიანობას – ***იაზრებს, გეგმავს, აცნობიერებს***, ...

ე) ობიექტისადმი დამოკიდებულებით განსაზღვრულ მიზანმიმართულ მოქმედებას – ***ამტყუნებს, ანდობს, წყევლის,*** ...

ვ) ობიექტის აღქმა-შეგრძნებასთან დაკავშირებულ აქტივობებს – ***ხედავს, გრძნობს, ამჩნევს,*** ...

ზ) მეტყველებასთან დაკავშირებულ აქტივობებს – ***ხსნის, განმარტავს, გამოთქვამს,*** ...

გარდამავალი ზმნების ეს ლექსიკურ-სემანტიკური კლასიფიკაცია, რა თქმა უნდა, ინტუიციურია და არ არის სრული, მაგრამ საკმარისია მიახლოებითი წარმოდგენის შესაქმნელად ქართული ენის იმ გარდამავალ ზმნურ ლექსემებზე, რომლებიც ყველაზე ხშირად გარდაიქმნებიან პასივებად. პასივად გარდაქმნადი ზმნების სუბიექტის შესატყვისი სახელი შეიძლება იყოს როგორც ვინ-ჯგუფის, ისე – რა-ჯგუფის. სუბიექტის აქტივობა, ამ შემთხვევაში, განისაზღვრება ამოსავალი ზმნის ლექსიკური მნიშვნელობით და არა სუბიექტის შესატყვისი სახელის სემანტიკური ჯგუფით: ***ქარიშხალმა დაანგრია სახლი ⇒ სახლი დაინგრა (ქარიშხლისგან); მშენებელმა დაანგრია სახლი ⇒ სახლი დაინგრა (მშენებლის მიერ).***

"Итак, первичным фактором создающим потенцию пассивного преобразования, является семантика физического действия, совершаемого активным субъектом с инертным (по данному действию) объектом... Глаголы физического действия и глаголы не-действия по своим потенциям к пассивному преоразованию как бы относяться к двум полюсам, между которыми распологаются другие смысловые группы глаголов (например, глаголы отчуждения и присвоения, речи, восприятия, глаголы интеллектуальной, эмоциональной и психической деятельности, движения и положения в пространстве и

др.), которые в различных языках либо употребляются в ПК (პასიური კონსტრუქცია) либо нет" (ხრაკოვსკი, 1981, 9).

ამოსავალი ზმნით დასახელებული მოქმედების სემანტიკა ობიექტჩართული უკუქცევითის წარმოქმნას გაცილებით მეტად ზღუდავს, ვიდრე პასივის წარმოქმნას. ობიექტჩართულ უკუქცევითებად გარდაიქმნებიან მხოლოდ ის გარდამავალი ზმნები, რომლებიც ობიექტზე სუბიექტის აქტიურ მიზანმიმართულ მოქმედებას აღნიშნავენ, პასივად გარდაქმნის პოტენცია კი თანამედროვე ქართულში გააჩნიათ მედიოაქტიურ ატელიკურ ზმნებსაც, რომლებიც ძირითადად გამოხატავენ საგნისთვის / პირისთვის დამახასიათებელ მდგომარეობას: ***გორავს ⇒ გორდება; შრიალებს ⇒ (ა)შრიალდება*** (იხ. ივანიშვილი, სოსელია, 2002, 134–135).

ობიექტჩართული უკუქცევითის I აქტანტი ძირითადად Pot კლასის რეფერენტის სახელია და იშვიათად – NonP კლასის რეფერენტის, მაგრამ ეს რეფერენტი, ნებისმიერ შემთხვევაში, სიტუაციის აქტიურ მონაწილედ მოიაზრება, რაც მხოლოდ და მხოლოდ ამოსავალი ზმნით დასახელებული მოქმედების აქტიური სემანტიკით არის განპირობებული: ***ბიჭი კრეჭს კბილებს ⇒ ბიჭი იკრიჭება; ჭინჭარი სუსხავს კანს ⇒ ჭინჭარი ისუსხება; შრომა გვაძლევს ნაყოფს ⇒ შრომა იძლევა ნაყოფს.***

აქტიური დიათეზის პასიურ დიათეზად ტრანსფორმირებისას არ იცვლება არც რეფერენტული და არც როლების სტრუქტურა, იცვლება მხოლოდ ამოსავალი დიათეზის რეფერენტული და სინტაქსური სტრუქტურების ერთეულთა მიმართება – ამოსავალი დიათეზის სუბიექტის როლის შემსრულებელი რეფერენტი პასიურ დიათეზაში უკანა პლანზეა გადაწეული და წარმოდგენილია არა I აქტანტით, არამედ ფაკულტატური უბრალო დამატებით ან გამოტოვებულია მისი სინტაქსური პოზიცია, ხოლო ამოსავალი დიათეზის II აქტანტს პასიურ დიათეზაში რანგი უმაღლდება და I აქტანტის პოზიციაში გადადის.

აქტიური და მისგან წარმოქნილი პასიური დიათეზები ერთმანეთთან შემდეგ მიმართებებს ქმნიან:

(A=Sb=ქვ) (B=O^{d}=დპ) ⇒ (A=Sb=X) (B=O^{d}=ქვ)

(A=Sb=ქვ) (B=O^{d}=დპ) ⇒ (A=Sb=დუ) (B=O^{d}=ქვ)

მაგალითები:

ხელოსანმა დაგრიხა მავთული ⇒ მავთული დაიგრიხა (ხელოსნის მიერ);

მთავრობამ დაგეგმა რეფორმების გატარება ⇒ რეფორმების გატარება დაიგეგმა (მთავრობის მიერ);

ვერავინ ამჩნევს ცვლილებებს ⇒ ცვლილებები არ შეიმჩნევა;

მიწისძვრამ დაანგრია ციხე ⇒ ციხე დაინგრა (მიწისძვრისაგან).

როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, არც I სემანტიკური კლასის ობიექტჩართული უკუქცევითების წარმოქმნისას არ იცვლება ამოსავალი დიათეზის რეფერენტული და რეფერენტთა როლების სტრუქტურები; ამ შემთხვევაშიც ცვლილება ეხება მხოლოდ ამოსავალი დიათეზის სინტაქსურ სტრუქტურას: ბაზისური დიათეზის სუბიექტი (Sb) ობიექტჩართული ტრანსფორმის დიათეზაში ისევ I აქტანტით გამოიხატება, ხოლო ბაზისური დიათეზის Pt სემანტიკური ერთეულის შესატყვისი რეფერენტი სინტაქსურად აღარ გამოიხატება, გამოტოვებულია მისი სინტაქსური პოზიცია და მისი მნიშვნელობა მითითებულია ტრანსფორმის ლექსემით. პასივის სემანტიკის მქონე უკუქცევითის წარმოქმნისას ამოსავალი დიათეზის სხვაგვარ ცვლილებასთან გვაქვს საქმე და ეს სხვაობა არსებითია: ბაზისური დიათეზის სუბიექტის შესატყვისი რეფერენტი პასივის დიათეზაში არა I აქტანტით, არამედ ფაკულტატური IV რანგის აქტანტით გამოიხატება ან საერთოდ არ გამოიხატება სინტაქსურად. პასივის დიათეზაში I აქტანტით ბაზისური დიათეზის სემანტიკური პირდაპირი ობიექტის როლის შემსრულებელი რეფერენტი სახელდება. ობიექტჩართული უკუქცევითის I აქტანტი, ასე ვთქვათ, "ნასუბიექტარია", პასივისა კი – "ნაობიექტარი". II აქტანტის პოზიცია შეუვსებელია როგორც ობიექტჩართული უკუქცევითის, ისე პასივის დიათეზაში, მაგრამ პირველ შემთხვევაში ეს ხდება ამოსავალი დიათეზის II აქტანტის შესატყვისი რეფერენტის სემანტიკის ლექსიკური მნიშვნელობით გამოხატვის შედეგად, მეორე შემთხვევაში კი – ამოსავალი დიათეზის II აქტანტის სინტაქსური რანგის ამაღლების გამო. პასივის წარმოქმნისას არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება ამოსავალი დიათეზის რეფერენტთა თვისებრიობას, მაშინ როცა ამოსავალი დიათეზის რეფერენტთა თვისებრიობა აქტიური სემანტიკის მქონე ობიექტჩართული უკუქცევითის წარმოქმნის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია.

სულიერი არსების სხეულზე ან მის კონკრეტულ ნაწილზე შესასრულებელი მოქმედების აღმნიშვნელი გარდამავალი ზმნისაგან წარმოქმნილი უკუქცევითი, I აქტანტის შესატყვისი რეფერენტის თვისებრიობის შესაბამისად, აქტიური

სემანტიკის მქონე ობიექტჩართული გარდაუვალი ზმნაც შეიძლება იყოს და პასივის მნიშვნელობის მქონე ზმნური ლექსემაც:

„ფიროსმანი ***მოიღუშა***, დაპატარავდა, ასე გაუნძრევლად იჯდა...“ (რ. ინანიშვილი, „ფიროსმანი“), ***მოიღუშა*** – ობიექტჩართული უკუქცევითი;

„უეცრივ ***მოიღუშებოდა*** მისი მკაცრი და შავი სახე“ (გ. ლეონიძე, „ჩორეხი“), ***მოიღუშებოდა*** – პასივი.

„სპეციფიკური“ გარდამავალი ზმნებისაგან წარმოქმნილ უკუქცევითს, მიუხედავად იმისა, ობიექტჩართული ზმნის მნიშვნელობა ექნება თუ პასივის, ეწარმოება სასხვისო ქცევის ფორმა.

მაგალითები:

„ჰარი პილს საყელო აუწევია და ***მებღვირება***“ (რ. ინანიშვილი, „ჩემი საყვარელი დეიდა“), ***მებღვირება*** – ობიექტჩართული უკუქცევითის სასხვისო ქცევის ფორმა;

„სიცილის დროს წყლისფერი გახარებული თვალები ***ეხუჭებოდა***“ (რ. ინანიშვილი, „ძახილი მთაში“), ***ეხუჭებოდა*** – პასივის სასხვისო ქცევის ფორმა;

„პანტეს შუბლი ***შეეჭმუხნა***, სქელი წარბები ***მოექუფრა***“ (ნ. წულეისკირი, „დავით აღმაშენებლის ქვა“), ***შეეჭმუხნა, მოექუფრა*** – პასივის სასხვისო ქცევის ფორმები.

აქ წარმოდგენილ სინტაქსურ კონსტრუქციებში უკუქცევითი ზმნა პასივის ან პასივის სასხვისო ქცევის სემანტიკას გამოხატავს, თუ მისი I აქტანტი გარდამავალი ზმნის II აქტანტს დაემთხვევა და Part კლასის რეფერენტი შეესაბამება, მაგრამ აქტიური სემანტიკის მქონე ობიექტჩართულ ზმნურ ლექსემად წარმოგვიდგება, თუ მისი I აქტანტი ამოსავალი ზმნის I აქტანტს, Pot კლასის რეფერენტის შესატყვის აქტანტს დაემთხვევა.

იღუშება, იბღვირება ტიპის გარდაუვალი უკუქცევითის უნარი, გამოხატოს ამოსავალი ზმნით დასახელებული მოქმედების იდენტური აქტიური მოქმედება, ამოსავალი გარდამავალი ზმნის იდეოგრაფიულ სინონიმად წარმოდგეს ენაში და ამასთანავე გარკვეულ კონტექსტში შეიძინოს პასივის სემანტიკა ანუ სემანტიკური პირდაპირი ობიექტის როლის შემსრულებლის პოზიციიდან წარმოაჩინოს ამოსავალი გარდამავალი ზმნით დასახელებული მოქმედება, ცალსახად მიუთითებს მის დიათეზაში პირდაპირი ობიექტის როლის მქონე რეფერენტის არსებობაზე, ამ ტიპის უკუქცევითისა და მისი ამოსავალი ზმნის სემანტიკური სტრუქტურების იდენტურობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში

იბღვირება, იღუშება და ა.შ. უკუქცევითები ვერც ამოსავალი ზმნის სინონიმის და ვერც პასივის მნიშვნელობით ვერ გამოჩნდებოდნენ სინტაქსურ კონსტრუქციაში.

ამოსავალი გარდამავალი ზმნისა და მისი ტრანსფორმების – ობიექტ-ჩართული უკუქცევითისა და პასივის მნიშვნელობის მქონე უკუქცევითის სამდონიან დიათეზებად რეპრეზენტაციით ადვილად დასანახი ხდება, რომ ამ სამ ზმნურ ლექსემას ერთნაირი სემანტიკური, მაგრამ განსხვავებული სინტაქსური სტრუქტურები აქვთ, რომ სახეზეა ერთი სემანტიკური სტრუქტურის სამგვარი სინტაქსური რეალიზაცია.

სინტაქსურ კონსტრუქციათა მიმართებები:

მამა ჭმუხნის შუბლს [აქტივი] ⇒ 1. მამა იჭმუხნება [ობიექტჩართული]
2. შუბლი იჭმუხნება [პასივი]

გულისხმობენ დიათეზათა შემდეგ მიმართებებს:

(Pot = Sb = ქვ) (Part = OB = დპ) [აქტივი] ⇒ 1. (Pot = Sb = ქვ)(Part = OB = X) [ობიექტჩართული]
2. (Pot = Sb = X)(Part = OB = ქვ) [პასივი]

როგორც ვხედავთ, უკუქცევითი ტრანსფორმი სინტაქსურ კონსტრუქციაში ობიექტჩართულის მნიშვნელობას შეიძენს თუ პასივისას, დამოკიდებულია ამოსა-ვალი ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობაზე, აქტანტების სემანტიკასა და ამოსავალი დიათეზის ტრანსფორმაციის წესზე. რაკი ამოსავალ გარდამავალ ზმნას, მისგან წარმოქმნილ ობიექტჩართულ უკუქცევითსა და პასივის მნიშვნელობის მქონე უკუქცევითს იდენტური სემანტიკური სტრუქტურები აქვთ, რომელიმე გარდამა-ვალი ზმნის გარდაუვალმა ტრანსფორმმა, აქტანტების სემანტიკის შესაბამისად, როგორც აქტიური, ისე პასიური მოქმედების გამოხატვა რომ შეძლოს, მას შენარჩუნებული უნდა ჰქონდეს ბაზისური დიათეზის სემანტიკური (რეფერენ-ტული და რეფერენტთა როლების) სტრუქტურები და პირიქით, თუ გარდაუვალი ტრანსფორმის დიათეზაში უცვლელად არ წარმოდგებიან ამოსავალი დიათეზის სემანტიკური სტრუქტურები, ეს ტრანსფორმი ამოსავალი გარდამავალი ზმნის ვერც პასიურ ფორმად ჩაითვლება და ვერც ობიექტჩართულ გარდაუვალ სინონიმად. აქედან გამომდინარე, პრედიკატებს: ***იჭმუხნება, იმანჭება*** და ა.შ. როგორც აქტივის, ისე პასივის მნიშვნელობის გამოხატვა შეუძლიათ იმდენად, რამდენადაც ამ უკუქცევითებსა და სათანადო ამოსავალ ზმნებს იდენტური სემანტიკური სტრუქტურები აქვთ; ამოსავალი დიათეზის მსგავსად, მათ დიათე-ზაშიც წარმოდგენილია პირდაპირი ობიექტის როლის მქონე რეფერენტი და,

ამასთანავე, მათი ლექსიკური მნიშვნელობით არ იზღუდება I აქტანტის სემანტიკა: I აქტანტად ამ პრედიკატებთან დასაშვებია როგორც Pot, ისე Part კლასის რეფერენტის სახელი. I სემანტიკური კლასის ზოგიერთი ობიექტჩართული უკუქცევითი, მაგალითად, *იტვრინება*, პასივის მნიშვნელობით არ იხმარება, რადგან I აქტანტად ვერ ითავსებს Part კლასის რეფერენტის აღმნიშვნელ სახელურ ლექსემას.

„სპეციფიკური“ გარდამავალი ზმნისგან წარმოქმნილი გარდაუვალი უკუქცევითის პასივის მნიშვნელობით გამოყენებისას უკუქცევითის I აქტანტით საგნობრივად კონკრეტდება ამოსავალი დიათეზის პირდაპირი ობიექტი, რომელიც ამავე უკუქცევითის ობიექტჩართული მნიშვნელობით გამოყენებისას უკუქცევითის ლექსიკური სემანტიკით არის ნაგულისხმევი. I სემანტიკური კლასის ობიექტჩართული უკუქცევითები თანამედროვე ქართულში უმეტესად სათანადო ამოსავალი ზმნების გარდაუვალი სინონიმის მნიშვნელობით გვხვდებიან და აქტიურ მოქმედებებს აღნიშნავენ. „სპეციფიკური“ გარდამავალი ზმნის პასიური ფორმაც და ობიექტჩართული ტრანსფორმიც სხეულზე ან სხეულის რომელიმე ნაწილზე შესასრულებელ მოქმედებას გამოხატავს, მაგრამ პასიური ფორმა მოქმედებისა და სამოქმედო ობიექტის მიმართებაზე აკეთებს აქცენტს, ხოლო ობიექტჩართული ტრანსფორმი – მოქმედებისა და სუბიექტის რელაციაზე.

ბ) I სინტაქსური კლასის ობიექტჩართული უკუქცევითი, რომლის ლექსემით იმპლიცირებულია Pt როლის მქონე რეფერენტის პოტენციური მნიშვნელობა

ამ სემანტიკურ კლასში გაერთიანებული ობიექტჩართული უკუქცევითები წარმოიქმნებიან ორპირიანი გარდამავალი ზმნებისაგან, რომელთა ლექსიკური მნიშვნელობით საგნობრივად არ კონკრეტდება II აქტანტის შესატყვისი რეფერენტის სემანტიკა. ისინი აღნიშნავენ საყოფაცხოვრებო საქმიანობას და მათთან II აქტანტად დასაშვებია როგორც Pot, ისე NonP კლასის რეფერენტის სახელი. ობიექტჩართულ უკუქცევითებად გარდაქმნისას ამ გარდამავალ ზმნათა დიათეზები ზუსტად ისე იცვლებიან, როგორც სულიერი არსების სხეულზე ან მის ნაწილზე შესასრულებელი მოქმედების აღმნიშვნელი „სპეციფიკური“ გარდამავალი ზმნების დიათეზები, მაგრამ ამჯერად ამოსავალი დიათეზის პირდაპირი

ობიექტის როლის მქონე რეფერენტი კუთვნილებით მიმართებაში არ არის სუბიექტის როლის მქონე რეფერენტთან და თანაც ტრანსფორმაციისას მცირდება პირდაპირი ობიექტის როლის შემსრულებელი რეფერენტის სემანტიკის განსაზღვრულობის ხარისხი. II სემანტიკური კლასის ობიექტჩართული უკუქცევითები წარმოიქმნებიან ამოსავალი დიათეზის შესაბამისობის: Sb=>ქვ შენარჩუნებითა და პირდაპირი დამატების ელიფსისით, ამიტომ ისინი მიეკუთნებიან I სინტაქსურ კლასს.

II სემანტიკური კლასის უკუქცევითები შეიძლება დაიყოს ორ ქვეკლასად:

(ა) ობიექტჩართული უკუქცევითები, რომლებიც რეფერენტის პოტენციურ მნიშვნელობას გარკვეულ კონტექსტში გამოხატავენ ფაკულტატური IV რანგის აქტანტით–ამოსავალი აქტივის II აქტანტის ტრანსფორმით;

(ბ) ობიექტჩართული უკუქცევითები, რომლებიც Pt როლის მქონე რეფერენტის პოტენციური მნიშვნელობის გამოსახატავად სინტაქსურ კონსტრუქციაში არ ითავსებენ ფაკულტატურ IV რანგის აქტანტს – ამოსავალი გარდამავალი ზმნის II აქტანტის ტრანსფორმს და თავიანთი ლექსემებით აღნიშნული რეფერენტის მხოლოდ პოტენციურ მნიშვნელობაზე მიუთითებენ.

II სემანტიკური (ა) ქვეკლასის ობიექტჩართული უკუქცევითები და მათი წარმომქმნელი დიათეზები ერთმანეთთან შემდეგ მიმართებას ქმნიან:

(Pot=Sb=ქვ) (NonP=O^d=დპ) ⇒ (Pot=Sb=ქვ) (NonP=O^d=X)

ამოსავალი დიათეზის ამგვარი გარდაქმნა იგულისხმება, როცა საკვების მიღება-შეთვისების აღმნიშვნელი ***ღეჭავს, ლოღნის, ცმუცნის*** და ა.შ. გარდამავალი ზმნებისაგან წარმოიქმნებიან მათი სინონიმური, აქტიური სემანტიკის მქონე უკუქცევითები: ***იღეჭება, ილოღნება, იცმუცნება*** და ა.შ., რომლებიც ლექსემით გულისხმობენ სემანტიკური პირდაპირი ობიექტის შესატყვისი რეფერენტის–შესათვისებელი საკვების საგნობრივად დაუკონკრეტებელ, განზოგადებულ მნიშვნელობას.

ბაჭია ***ცმუცნის*** კომბოსტოს (ბალახს, სტაფილოს,...) ⇒ ბაჭია ***იცმუცნება*** (=ტუჩების ცმაცუნით, ოდნავი მოძრაობით ჭამს რაღაცას);

ქათამი ***კენკავს*** მარცვლებს (სიმინდს, ფეტვს,...) ⇒ ქათამი ***იკენკება*** (=ნისკარტით იღებს, კენკავს რაღაცას და ყლაპავს);

პაპა ***ლოღნის*** პურს (ვაშლს, საჭმელს,...) ⇒ პაპა ***ილოღნება*** (=გაჭირვებით ჭამს, ლოღნის რაღაცას);

კამეჩი ***ცოხნის*** თივას (ბალახს, ფოთლებს,...) ⇒ კამეჩი ***იცოხნება*** (=ზანტად ღეჭავს, ცოხნის რაღაცას);

ლომი ***ჯიჯგნის*** ნანადირევს (ირემს, შველს,...) ⇒ ლომი ***იჯიჯგნება*** (=კბილებით გლეჯს, ჯიჯგნის რაღაცას და ჭამს).

ამავე ქვეკლასში შედიან ***იქექება, იჩიჩქნება*** უკუქცევითი ზმნები, რომლებიც ლექსიკური მნიშვნელობით საგნობრივად ისევე ვერ აკონკრეტებენ სამოქმედო ობიექტს, როგორც ***იცმუცნება, ილოღნება*** ტიპის ობიექტჩართული უკუქცევითები. მათი ლექსემები მხოლოდ პოტენციურ სამოქმედო ობიექტს გულისხმობენ: ***იქექება*** (ქაღალდებში, წიგნებში, ნაგავში, თავში,...); ***იჩიჩქნება*** (მიწაში, ორმოში, ცხვირში,...). ეს ობიექტჩართული უკუქცევითებიც NonP კლასის რეფერენტზე შესასრულებელ იმავე აქტიურ მოქმედებას ასახელებენ, რომელსაც სათანადო გარდამავალი ზმნები: ***ქექავს*** ქაღალდებს, წიგნებს = ***იქექება*** ქაღალდებში, წიგნებში; ***იქექავს*** თავს, ზურგს, თმებს = ***იქექება*** თავში, ზურგში, თმებში; ***ჩიჩქნის*** მიწას, ორმოს, ნაცარს = ***იჩიჩქნება*** მიწაში, ორმოში, ნაცარში; ***იჩიჩქნის*** კბილებს, ცხვირს = ***იჩიჩქნება*** კბილებში, ცხვირში.

ღეჭავს, ცოხნის, ქექავს და ა.შ. გარდამავალი ზმნების ობიექტჩართულ უკუქცევითებად გარდაქმნისას ამოსავალი დიათეზის I აქტანტი უკუქცევითის დიათეზაშიც I აქტანტად რჩება, ხოლო ამოსავალი დიათეზის II აქტანტი წარმოქმნილი დიათეზის სინტაქსურ სტრუქტურაში აღარ ჩანს, რადგან მისი შესატყვისი NonP კლასის რეფერენტის განზოგადებული გაგება ერთვება ტრანსფორმის ლექსიკურ მნიშვნელობაში. განსხვავებით I სემანტიკური კლასის "სპეციფიკური" ობიექტჩართული უკუქცევითებისაგან, II სემანტიკური კლასის (ა) ქვეკლასის ობიექტჩართული უკუქცევითების ლექსიკური მნიშვნელობით საგნობრივად აღარ კონკრეტდება ჩართული პირდაპირი ობიექტი, მაგრამ ინფორმაცია ამოსავალი დიათეზის ამ რეფერენტის თვისებრიობაზე (ა) ქვეკლასის უკუქცევითებს მაინც შენარჩუნებული აქვთ და, აქედან გამოიმდინარე, მათ მიერ დასახელებული აქტიური მოქმედებები სამოქმედო ობიექტისგან განყენებულად მაინც ვერ მოიაზრება. ამ მოსაზრებას ენობრივი რეალობაც ეთანხმება: აქტიური მოქმედების აღმნიშვნელ ***ღეჭება, იცოხნება, იქექება*** ტიპის უკუქცევითს სინტაქსურ კონსტრუქციაში შეიძლება შეუთავსდეს თანდებულიანი ან უთანდებულო IV აქტანტი, რომელიც ტრანსფორმია ამ უკუქცევითის წარმომქმნელი გარდამავალი ზმნის II აქტანტის, საგნობრივადაც მისი იდენტურია და გამომხატველია უკუქცევითის სემანტიკური პირდაპირი ობიექტის

შესატყვისი რეფერენტის სემანტიკის: ***ბიჭი დეჭავს კევს ⇒ ბიჭი იდეჭება კევს; ქათამი ქექავს მიწას ⇒ ქათამი იქექება მიწაში.*** წარმოქმნილ დიათეზაში პირდაპირი ობიექტის შესატყისი რეფერენტის სინტაქსური რეალიზაცია, რაც დამახასიათებელია **იცოხნება *იდეჭება, იქექება*** ტიპის უკუქცევითებისათვის, მიანიშნებს იმაზე, რომ ამ უკუქცევითების ლექსემებში დაცულია გარკვეული ინფორმაცია სათანადო ამოსავალი ზმნის პირდაპირი ობიექტის შესატყვისი რეფერენტის შესახებ, რომ ამ უკუქცევითებსა და მათ წარმომქმნელ გარდამავალ ზმნებს არა მხოლოდ სემანტიკური, არამედ სინტაქსური პოტენციაც მსგავსი აქვთ, რადგან ამოსავალი ზმნის სინტაქსური ვალენტობით განსაზღვრული აქტანტის ტრანსფორმი, უთანდებულო იქნება ის თუ თანდებულიანი, წარმოქმნილ კონსტრუქციაშიც აქტანტია (იხ. გამყრელიძე, 1979, 39). ამ თვალსაზრისით ***ბიჭი დეჭავს კევს*** და ***ქათამი ქექავს მიწას*** ორაქტანტიანი კონსტრუქციების შესაბამისი ტრანსფორმები: ***ბიჭი იდეჭება კევს*** და ***ქათამი იქექება მიწაში*** ასევე ორაქტანტიანი კონსტრუქციებია. ისინი სინტაქსურ დონეზე სრულად წარმოადგენენ ამოსავალი კონსტრუქციების პრედიკატთა დიათეზების რეფერენტულ სტრუქტურას.

იცოხნება, იდეჭება, იქექება ტიპის აქტიური მოქმედების გამომხატველი უკუქცევითები გარკვეულ კონტექსტში პასივის მნიშვნელობას შეიძენენ, თუ მათი I აქტანტი ამოსავალი ზმნის II აქტანტს დაემთხვევა:

ნახევრად მოხარშულ ხორცს ძნელად ***⌈და⌉ლეჭავ***(აქტივი) ⇒ ნახევრად მოხარშული ხორცი ძნელად ***⌈და⌉იდეჭება*** (პასივი);

ქათამი ნაგავს ***⌈გადა⌉ქექავს***(აქტივი) ⇒ ნაგავი ***⌈გადა⌉იქექება*** (პასივი).

იგივე უკუქცევითები ობიექტჩართულ ზმნურ ლექსემებად წარმოგვიდგებიან, თუ მათ I აქტანტად ამოსავალი ზმნის I აქტანტი გამოჩნდება:

„შენ რა, ცუდად ხომ არა ხარ ბიჭო, – მიუბრუნდა ანგია ბიძინას, – აბა რატო ასე უგემურად ***იდეჭები?“*** (რ. ინანიშვილი, „მოწმენდილი ცა“).

– ნუ ***იქექები,*** სირცხვილია!

აღნიშნულ უკუქცევითებს, აქტანტების სემანტიკის შესაბამისად, ხან აქტიური, ხან კი პასიური მოქმედების გამოხატვის პოტენცია არ ექნებოდათ, შენარჩუნებული რომ არ ჰქონდეთ ამოსავალი გარდამავალი ზმნის სემანტიკური ვალენტობა და მათ დიათეზის სემანტიკურ სტრუქტურაში წარმოდგენილი რომ არ იყოს პირდაპირი ობიექტის როლის შემსრულებელი რეფერენტი. პასიური

მოქმედების გამოხატვისას ***იღეჭება, იცოხნება*** და ა.შ. უკუქცევითები ინფორმაციას ამ რეფერენტის შესახებ I აქტანტით გადმოსცემენ, ხოლო როცა ეს უკუქცევითები აქტიურ მოქმედებას ასახელებენ, ამ რეფერენტის პოტენციური მნიშვნელობაზე მათი ლექსემები მიანიშნებენ.

II სემანტიკური კლასის (ბ) ქვეკლასში, რომელიც აერთიანებს ფაკულტატური IV რანგის აქტანტის–ამოსავალი აქტივის II აქტანტის ტრანსფორმის ვერშემთავსებელ უკუქცევითებს, შედიან ***ალაგებს*** (= წესრიგში მოჰყავს) და ***ხარჯავს*** გარდამავალი ზმნებისაგან წარმოქმნილი უკუქცევითებიც: ***ლაგდება*** და ***იხარჯება***. ისინი ზოგ შემთხვევაში იმავე აქტიურ მოქმედებებს ასახელებენ, რომლებსაც მათი ამოსავალი გარდამავალი ზმნები და ამ გარდამავლების იდეოგრაფიულ სინონიმებად გვევლინებიან, გარკვეულ კონტექსტში კი პასივის სემანტიკას გამოხატავენ.

ალაგებს და ***ხარჯავს*** გარდამავალი ზმნების ლექსიკური მნიშვნელობით საგნობრივად არ კონკრეტდება სამოქმედო ობიექტი: ***ალაგებს (წიგნებს, თაროს, ოთახს, ჭურჭელს*** და ა.შ.); ***ხარჯავს (შემოსავალს, ქონებას, ხელფასს, ფულს, დროს, ენერგიას*** და ა.შ.).

რომელიმე ამ გარდამავალი ბაზისური დიათეზის გარდაქმნისას თუ I აქტანტი არ შეიცვლის პოზიციას და ტრანსფორმის დიათეზაშიც I აქტანტად დარჩება, ხოლო ინფორმაცია პოტენციური სამოქმედო ობიექტის შესახებ გადმოცემული იქნება ტრანსფორმის ლექსიკური მნიშვნელობით, წარმოიქმნება აქტიური მოქმედების გამომხატველი, ამოსავალი გარდამავალი ზმნის დენოტატურად სინონიმური ობიექტჩართული უკუქცევითი:

ჩვენ ახალი წლისთვისაც ვერ ***დავლაგდით*** = ჩვენ ახალი წლისთვისაც ვერ დავალაგეთ წიგნები, ჭურჭელი, ტანსაცმელი, ავეჯი და ა.შ.

„კესოც ადრე ამდგარიყო, მაგრამ მინამ ***მილაგდ-მოლაგდებოდა,*** ჩაიცვამ-დაიხურავდა, კარგა ხანი გავიდა“ (ილია, „ოთარაანთ ქვრივი“). კესო ... მინამ მილაგდ-მოლაგდებოდა = კესო სანამ მიალაგებდა ნივთებს, ოთახს და ა.შ.

„მამრიკაც უხვად ***იხარჯებოდა*** მიცვლილი ჩორეხის ხარჯზე“ (გ. ლეონიძე, „ჩორეხი“). მამრიკაც უხვად იხარჯებოდა = მამრიკაც უხვად ხარჯავდა ჩორეხის დანატოვარს.

იხარჯება ან ***ლაგდება*** უკუქცევითები პასივის მნიშვნელობის მქონე გარდაუვალ ზმნებად აღიქმებიან, როცა მათი I აქტანტის პოზიციას ამოსავალი დიათეზის II აქტანტი დაიკავებს:

ის ***ხარჯავს***(აქტივი) ქონებას ⇒ ქონება ***იხარჯება*** (პასივი);

ის ***ალაგებს*** ოთახს ⇒ ოთახი ***ლაგდება*** (პასივი).

II სემანტიკური კლასის (ბ) ქვეკლასში შედიან ობიექტზე ვერბალური ან აღქმითი ზემოქმედების აღმნიშვნელი გარდამავალი ***არწმუნებს, წყევლის, სუსხავს*** და ა.შ. ზმნებისგან წარმოქმნილი ***ირწმუნება, იწყევლება, ისუსხება*** და ა.შ. ობიექტჩართული უკუქცევითები. ამ გარდამავლებისა და მათი გარდაუვალი ტრანსფორმების სემანტიკით ერთნაირად იგულისხმება მიმართება პირდაპირ ობიექტთან, მაგრამ ***ირწმუნება, იწყევლება, ისუსხება*** ტიპის გარდაუვალი უკუქცევითის წარმოქმნისას მაქსიმალურად მცირდება ბაზისური დიათეზის პირდაპირი ობიექტის როლის შემსრულებელი რეფერენტის თვისებრივი და საგნობრივი განსაზღვრულობის ხარისხი. ამჯერად ტრანსფორმის ლექსიკური მნიშვნელობით იგულისხმება პოტენციური სამოქმედო ობიექტის არსებობა და ეს ობიექტი IV რანგის ფაკულტატური აქტანტითაც არასდროს არ გამოიხატება სინტაქსურ კონსტრუქციაში. ასეთ ობიექტჩართულ უკუქცევითებს I სემანტიკური კლასის სხვა ობიექტჩართული უკუქცევითებისაგან განსასხვავებლად გარდაუვალ აბსოლუტივებს ვუწოდებთ. გარდაუვალი აბსოლუტივები პირდაპირი ობიექტის როლის შემსრულებელი რეფერენტის სემანტიკის განზოგადების ყველაზე მაღალი ხარისხით ხასიათდებიან.

გარდაუვალი ობიექტჩართული აბსოლუტივების დერივაციისას ბაზისური და წარმოქმნილი დიათეზების ისეთივე მიმართება იქმნება, როგორიც I სინტაქსური კლასის სხვა ობიექტჩართული უკუქცევითების დერივაციისას:

(A=Sb=ქვ) (B=O^{d}=დპ) ⇒ (A=Sb=ქვ) (B=O^{d}=X)

გარდა ***ირწმუნება, იწყევლება, ისუსხება*** უკუქცევითებისა, აბსოლუტივებია აქტიური მოქმედების აღმნიშვნელი გარდაუვალი ტრანსფორმები: ***ილოცება, იკბინება, იკაწრება, იხედება, იგესლება, ილანძღება, იჩხვლიტება*** და სხვ. გარდაუვალი ობიექტჩართული აბსოლუტივების წარმომქმნელი გარდამავალი ზმნების I აქტანტის შესატყვისი რეფერენტი ძირითადად Pot კლასისაა, იშვიათად – NonP კლასის. ამ გარდამავალი ზმნების ლექსიკური მნიშვნელობით არ იზღუდება II აქტანტის სემანტიკა და მათთან სინტაქსურ კონსტრუქციაში II აქტანტად დასაშვებია როგორც Pot, ისე NonP კლასის რეფერენტთა აღმნიშვნელი სახელები. ობიექტჩართულ აბსოლუტივად გარდაქმნისას არ იცვლება ამოსავალი დიათეზის რეფერენტული და რეფერენტთა როლების სტრუქტურები და ამ სტრუქტურათა ერთეულების პირდაპირი შესაბამისობა.

ბაზისური დიათეზის I აქტანტი ობიექტჩართული აბსოლუტივის დიათეზაშიც I აქტანტის პოზიციაში რჩება, მაგრამ აბსოლუტივის ლექსიკური მნიშვნელობით მოწოდებული ინფორმაცია Pt როლის მქონე რეფერენტის სემანტიკის შესახებ იმდენად ზოგადია, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია გარდაუვალი აბსოლუტივით დასახელებული სიტუაციის ამ მონაწილის თვისებრივი მახასიათებლების განსაზღვრა. ეს მხოლოდ კონტექსტით ხერხდება.

გარდაუვალი ობიექტჩართული აბსოლუტივი და მისი ამოსავალი გარდამავალი ზმნა ერთსა და იმავე აქტიურ მოქმედებას ასახელებს; ისინი იდეოგრაფიულად სინონიმური ზმნური ლექსემები არიან, ოღონდ ობიექტჩართული აბსოლუტივის ლექსიკური მნიშვნელობით მხოლოდ ივარაუდება პოტენციური სამოქმედო ობიექტის არსებობა. სწორედ ამას უნდა უკავშირდებოდეს ის ენობრივი ფაქტი, რომ გარდაუვალი აბსოლუტივით დასახელებული აქტიური მოქმედების შესრულება სუბიექტის ზოგად მახასიათებელ თვისებად აღიქმება:

ძაღლი ***კბენს*** გამვლელებს (ბავშვს, მეზობელს,...) = ძაღლი ***იკბინება;***

გველი ***გესლავს*** მსხვერპლს (ადამიანს, ირემს, ბარტყს,...) = გველი ***იგესლება;***

ჭინჭარი ***სუსხავს*** კანს (ხელებს, მწერს,...) = ჭინჭარი ***ისუსხება;***

მღვდელი ***ლოცავს*** მრევლს (ქალს, მოხუცს, ბავშვს,...) = მღვდელი ***ილოცება;***

ამ თვალით ვერ ***ვხედავ*** ვერაფერს (ვერც საგნებს, ვერც ადამიანებს) = ამ თვალით ვერ ***ვიხედები;***

დედაბერი ***წყევლის*** ყველას (ქალს, კაცს, მეზობელს,...) = დედაბერი ***იწყევლება;***

ამოსავალი ზმნის სემანტიკური ვალენტობისა და სემანტიკური ერთეულების შესაბამისობის უცვლელად შენარჩუნებით ***იკბინება, ისუსხება*** ტიპის უკუქცევითს ექმნება იმის პოტენცია, რომ ამოსავალი ზმნის იდეოგრაფიულ სინონიმად წარმოდგეს და ამასთანავე გარკვეულ კონტექსტში პასივის მნიშვნელობა შეიძინოს – პირდაპირი ობიექტის პოზიციიდან წარმოაჩინოს ამოსავალი გარდამავალი ზმნით დასახელებული აქტიური მოქმედება. ***კბენს, სუსხავს, ლანძღავს*** და ა.შ. გარდამავალი ზმნებისგან წარმოქმნილი გარდაუვალი უკუქცევითი სინტაქსურ კონსტრუქციაში ობიექტჩართულ აბსოლუტივებად მოიაზრება, როცა მისი I აქტანტი ამოსავალი გარდამავალი ზმნის I აქტანტს

დაემთხვევა, სემანტიკური პირდაპირი ობიექტის შესატყვისი რეფერენტის ჰიპოთეტური მნიშვნელობა კი ნაგულისხმევი იქნება მისი ლექსემით. ამ გარდამავალი ზმნების უკუქცევითი ტრანსფორმები პასივის სემანტიკას შეიძენენ, თუკი მათ I აქტანტად ამოსავალი გარდამავალი ზმნის II აქტანტი წარმოდგება, ხოლო ამოსავალი ზმნის I აქტანტს რანგი დაუქვეითდება და ფაკულტატური IV რანგის აქტანტის სახით გამოჩნდება ან საერთოდ არ იქნება სინტაქსურად რეალიზებული:

ყინვა სუსხავს კანს ⇒ ***1. ყინვა ისუსხება (აბსოლუტივი);***
2. ყინვისაგან კანი ისუსხება (პასივი);

კატა კაწრავს მაგიდას ⇒ ***1. კატა იკაწრება (აბსოლუტივი);***
2. მაგიდა იკაწრება (პასივი);

მღვდელი დალოცავს ოჯახს => ***1. მღვდელი დაილოცება(აბსოლუტივი)***
2. ***ოჯახი დაილოცება(პასივი)***

იხედება (აბსოლუტივი)

„გული რად ***იხედება*** გარეთ ორის თვალითა, რად?“ (ილია, „ოთარაანთ ქვრივი“);

„ჩვენ კი აღარც იქით ***ვიხედებით***, აღარც აქეთ“ (ილია, „ოთარაანთ ქვრივი“);

„თან ***იხედება*** გვერდზედა, / დემურსა ძინავ ტკბილადა“ (ვაჟა, „სისხლის ძიება“).

იხედება (პასივი):

„– აქედან ***იხედება*** ის ადგილი?

– აი აგერ გახლავთ, მეფეო!“ (ნ. ლორთქიფანიძე, „რაინდები“).

შენიშვნა: „პასივად გააზრებული ფორმა თავის მხრივ შესაძლებლობას იძლევა კონსტრუქციაში (უბრალო დამატების სახით) შემოტანილ იქნას სულიერი პირი, რომელიც მოქმედების შემსრულებლად, აგენსად გაიგება: „წერილი იწერება ვიღაცის მიერ“, „შეშა იჭრება კაცის მიერ“... მართალია, ხშირად, თვით პასიური მნიშვნელობის დროს, კონსტრუქციაში აგენსის შემოტანა (ვიღაცის მიერ) ხელოვნურია (არნ. ჩიქობავა, 1950, გვ. 060), ზოგი მათგანი მეტყველებაში არც გვხვდება და, ამდენად, გრამატიკოსის მიერ თვალნათლივობისათვის შექმნილ

> თეორიულ დაშვებას წარმოადგენს, მაგრამ, ჯერ ერთი, ამგვარი დაშვება ენისავე შესაძლებლობას, ტენდენციას ითვალისწინებს და, გარდა ამისა, არცთუ ისე იშვიათად ანალოგიური კონსტრუქციები მეტყველების რეალურ ფაქტს წარმოადგენენ: „მეც ეს ლექსი დავუწერე ერთ ქვრივ ყმაწვილ კაცს, რომელიც იგზნებოდა ქალის სიყვარულისგან“ (რ. ერისთავი)... „დადასტურებულია, რომ წვრილად დაღერღილი მარცვლეული ღორების მიერ უკეთ იჭმება და ინელება“ (ქეგლ)...“ (ჯორბენაძე, 1983, 140–141).

ამ კონსტრუქციების გარდაუვალი პრედიკატები ვერც აბსოლუტივის და ვერც პასივის სემანტიკის გამოხატვას ვერ შეძლებდნენ, მათ დიათეზებში წარმოდგენილი რომ არ იყოს პირდაპირი ობიექტის როლის შემსრულებელი რეფერენტი. ობიექტჩართული აბსოლუტივის მნიშვნელობის გამომხატველ ყველა უკუქცევითს არ აქვს პასივის მნიშვნელობით სინტაქსურ კონსტრუქციაში გამოჩენის პოტენცია. ***ირწმუნება, იფიცება, ივედრება*** უკუქცევითების ლექსიკური მნიშვნელობა გამორიცხავს რომელიმე კონტექსტში პასივებად მათი გააზრების შესაძლებლობას. აქტიური მოქმედების აღმნიშვნელი ეს ტრანსფორმები ყოველთვის აბსოლუტივებად – სათანადო ამოსავალი ზმნების ობიექტჩართულ სინონიმებად წარმოდგებიან ენაში. სინტაქსურ კონსტრუქციაში მათთან არასდროს არ ჩანს IV აქტანტი – ამოსავალი გარდამავალი ზმნის II აქტანტის ტრანსფორმი.

პოტენციური სამოქმედო ობიექტის შესახებ ინფორმაციის ლექსიკური მნიშვნელობით გამოხატვა და პირდაპირი ობიექტის შესატყვისი II აქტანტის გარეშე აქტიური მოქმედების დასახელება, გარდაუვალი ობიექტჩართული აბსოლუტივების გარდა, გარდამავალ ზმნებსაც შეუძლიათ. ასეთ შემთხვევაში ლაპარაკობენ გარდამავალი ზმნის აბსოლუტივის მნიშვნელობით გამოყენებაზე: "Многие переходные глаголы могут употребляться как непереходные, например, мальчик уже пишет и читает; сестра по вечерам играет на рояле. Для такого употребления... не имеется установившегося термина, но можно говорить об абсолютивном употреблении переходных глаголов" (რუსული ენის გრამატიკა, 1952, 33).

როდესაც სინტაქსურ კონსტრუქციაში გარდამავალ ზმნასთან დამოუკიდებელი ლექსემით არის წარმოდგენილი სემანტიკური პირდაპირი ობიექტის როლის შემსრულებელი რეფერენტი, ზმნით დასახელებული მოქმედების მიმართულება და მიზანი დაკონკრეტებულია. წინადადებაში – „ის კითხულობს გაზეთს“

მოქმედება ორიენტირებულია გაზეთზე და არა წიგნზე, წერილზე ან სხვა რომელიმე წასაკითხ ობიექტზე. ხოლო წინადადებაში – „ის უკვე კარგად კითხულობს“ Pt როლის მქონე რეფერენტი დამოუკიდებელი ლექსემით – II აქტანტით არ არის დაკონკრეტებული. ამ შემთხვევაში ზმნა „კითხულობს“ აბსოლუტივად წარმოდგება, ასახელებს პოტენციურ, ჰიპოთეტურ ობიექტზე მიმართულ მოქმედებას და გულისხმობს: „შეუძლია ზმნით დასახელებული მოქმედების შესრულება“ ან „დაკავებულია ზმნით დასახელებული მოქმედებით“. პირველი წინადადების მიზანია სამოქმედო ობიექტის დაკონკრეტება, ლოგიკური აქცენტის სამოქმედო ობიექტზე გაკეთება; მეორეს მიზანი კი – თვითონ მოქმედების აქცენტირება.

როცა გარდამავალი ზმნა აბსოლუტივად წარმოდგება სინტაქსურ კონსტრუქციაში და არ ითავსებს II აქტანტს, პოტენციური სამოქმედო ობიექტის გაგებას ზმნა მაინც ინარჩუნებს. ზოგად ინფორმაციას სინტაქსურად არგამოხატული რეფერენტის თვისებრიობის შესახებ ამ შემთხვევაში შეიცავს გარდამავალი აბსოლუტივის ლექსიკური მნიშვნელობა.

მაგალითები:

„გამოცდები გვაქვს, ღამეებს ვათენებთ, ხმამაღლა ***ვკითხულობთ*** და ***ვყვებით***“ (რ. ინანიშვილი, „ჩურჩხელები“).

„სადამდეც კი ხელი მიუწვდებოდა, ***რწყავდა, გვიდა...***“ (რ. ინანიშვილი, „ბიჭი“).

„ძმა წყალსაქაჩში მუშაობს, მხოლოდ მე ***ვსწავლობ***“ (რ. ინანიშვილი, „ნატვრა“).

„რამდენიმე დღეს კი ***უწოვებია*** დედას და მერე დაწყებულა ჩემი ვაინაჩრობა, ხან ძალუაჩემი ***მაწოვებდა*** თურმე, ... ხან მეზობელი პატარძლები“ (რ. ინანიშვილი, „ხაშმი“).

„ხო, ***ვხატავ*** ხანდახან, აი, როცა გეცალოს, შემოიარე ჩემსას“ (რ. ინანიშვილი, „უცნაური“).

„კიდევ კარგი, მთვარე ***ანათებდა***, თორემ ამ დროს არც თუ უხიფათო იყო ოთახში გასვლა“ (რ. ინანიშვილი, „ბებია – ჩემი მზე“).

„თან ***სვამდა***, თურმე, წლისთავზე გაციებულა ნასვამი“ (რ. ინანიშვილი, „ჩვენი წარმომავლობა“).

ისევე როგორც გარდაუვალი ობიექტჩართული უკუქცევითები, გარდამავალი ობიექტჩართული ზმნები – გარდამავალი აბსოლუტივები, ერთმანეთისგან

განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ რამდენად აკონკრეტებენ სამოქმედო ობიექტის მნიშვნელობას თავიანთი ლექსემებით. წინადადებებში: ***ბავშვი სწრაფად და გამართულად კითხულობს; დედა მშვენივრად კერავს; ის იშვიათად ხატავს*** – აბსოლუტივის მნიშვნელობით გამოყენებული გარდამავალი ზმნები (***კითხულობს, კერავს, ხატავს***) თავიანთი ლექსიკური მნიშვნელობით გულისხმობენ არა რომელიმე კონკრეტულ, არამედ მხოლოდ პოტენციურ სამოქმედო ობიექტს. ამათგან განსხვავებით, ზმნა ***სვამს*** აბსოლუტივის მნიშვნელობით თუ არ წარმოდგა სინტაქსურ კონსტრუქციაში, მასთან II აქტანტად დასაშვები იქნება ნებისმიერი ამ სახელთაგან: რძე, წვენი, ჩაი, წამალი, არაყი, ღვინო და სხვა. როცა იგივე ზმნა აბსოლუტივად მოიაზრება კონსტრუქციაში, მისი ლექსემა სამოქმედო ობიექტად გულისხმობს მხოლოდ ალკოჰოლურ სასმელს: ***ბევრს სვამს; სამი წელია, რაც აღარ სვამს; აღარც სვამს და აღარც ეწევა.***

საგულისხმოა, რომ გარდამავალ აბსოლუტივებს, გარდაუვალი აბსოლუტივების მსგავსად, სრული ასპექტის გაგება არ აქვთ, რაც განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ აბსოლუტივი ამა თუ იმ მოქმედების შესრულებას სუბიექტის ჩვევად, თვისებად წარმოადგენს, ხოლო ჩვევისა და თვისების სემანტიკა ძნელად შეთავსებადია სისრულის სემანტიკასთან.

გარდამავალი თუ გარდაუვალი აბსოლუტივებისა და, საერთოდ, ნებისმიერი ტიპის ობიექტჩართული ზმნის ფუნქციონირება ენაში მიუთითებს იმაზე, რომ სამოქმედო ობიექტზე შესასრულებელი აქტიური მოქმედების გამოხატვა (გარკვეული სემანტიკური ელფერით) ენას შეუძლია სინტაქსურ კონსტრუქციაში სემანტიკური პირდაპირი ობიექტის II აქტანტით წარმოდგენის გარეშეც. გამონათქვამები: 1) ***ჭინჭარი სუსხავს კანს***, 2) ***ჭინჭარი სუსხავს***, 3) ***ჭინჭარი ისუსხება*** ერთსა და იმავე სიტუაციას ასახელებენ, მაგრამ ამათგან ინფორმაცია პირდაპირი ობიექტის შესახებ დამოუკიდებელი ლექსემით მოწოდებულია მხოლოდ პირველ გამონათქვამში. დანარჩენი ორი, სამოქმედო ობიექტის მნიშვნელობის განზოგადების თვალსაზრისით, ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდება; არც ერთი მათგანისთვის არ არის არსებითი, თუ რას სუსხავს ჭინჭარი, მთავარია, თვითონ მოქმედების – დასუსხვის შესაძლებლობის ან დასუსხვის, როგორც ჭინჭრის თვისების წარმოჩენა. განასხვავებს გარდამავალ და გარდაუვალ ობიექტჩართულ ზმნებს ის, რომ გარდამავალი აბსოლუტივების ლექსიკურ მნიშვნელობაში პირდაპირი ობიექტის როლის მქონე რეფერენტის

სემანტიკის "ჩართვა" მარკირებულია სინტაქსურად, კერძოდ, პირდაპირი დამატების ლიკვიდაციით სინტაქსურ კონსტრუქციაში, ხოლო გარდაუვალი აბსოლუტივის ობიექტჩართულობა მარკირებულია სინტაქსურადაც (პირდაპირი დამატების ლიკვიდაციით) და მორფოლოგიურადაც (სუბიექტისათვის მოქმედების დანიშვნა-მიკუთვნების აღმნიშვნელი აფიქსებით).

შენიშვნა: ობიექტჩართული უკუქცევითები ენაში გამოიყენებიან გარკვეული პოსესიური მნიშვნელობის გამოსახატავად – სუბიექტის წარმოსადგენად ამა თუ იმ მოქმედების შესრულების პოტენციის მქონედ. ამიტომაც გარდაუვალი ობიექტჩართული ზმნის სემანტიკა ტიპოლოგიურად მარკირებულია იმავე მორფოლოგიური საშუალებებით, რომლებსაც ენა იყენებს სუბიექტის სფეროთი მოქმედების შემოფარგვლის, სუბიექტსა და მოქმედებას შორის დამყარებული პოსესიურ-ბენეფაქტიური მიმართების აღსანიშნად:

რუს. ***нахмурился*** „მოიღუშა" (უკუქცევითობის ся-სუფიქსი);

სომხ. ***xožorvec*** „შეიჭმუხნა" (უკუქცევითობის v-სუფიქსი);

ლიტვ. ***kandžiojasi*** „იკბინება" (უკუქცევითობის si-მარკერი);

ფრანგ. ***se conformer*** „ეგუება" (უკუქცევითობის მარკერი se-ნაცვალსახელი);

ქართ. ***ილოცება*** (უკუქცევითობის ი-მარკერი).

როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი ობიექტჩართული აბსოლუტივები აქტიური მოქმედების შესრულების პოტენციას სუბიექტის თვისებად წარმოადგენენ და, ამდენად, ლოგიკურ აქცენტს სუბიექტისა და მოქმედების ურთიერთმიმართებაზე აკეთებენ, განსხვავებით სათანადო ამოსავალი გარდამავალი ზმნებისაგან, რომლებიც თავიანთი სემანტიკით მოქმედებისა და სამოქმედო ობიექტის კორელაციას უსვამენ ხაზს.

გ) II სინტაქსური კლასის ობიექტჩართული უკუქცევითი, რომელიც ლექსემით მიუთითებს Pt და Ad სემანტიკური ერთეულების შესატყვისი რეფერენტების პოტენციურ მნიშვნელობაზე

ამ სემანტიკურ კლასში შედიან ობიექტჩართული უკუქცევითები, რომელთა ლექსემებით იმპლიცირებულია Pt და Ad როლების მქონე რეფერენტთა პოტენციური მნიშვნელობები. III სემანტიკური კლასის ობიექტჩართული უკუქცევითები წარმოიქმნებიან გადაცემა-გასხვისებასთან დაკავშირებული საქმიანობისა და ადრესატის მიმართ აგრესიული მოქმედებების აღმნიშვნელი სამვალენტიანი ზმნებისაგან და ისევე გულისხმობენ ადრესატის სასარგებლოდ ან საზიანოდ პირდაპირ ობიექტზე შესასრულებელ აქტიურ მოქმედებებს, როგორც სათანადო ამოსავალი ზმნები. ეს უკუქცევითები და მათი წარმომქმნელი გარდამავალი ზმნები მცირერიცხოვან ჯგუფებს ქმნიან თანამედროვე ქართულში. მხედველობაში გვაქვს აქტიური სემანტიკის მქონე ***იძლევა, იწერება, ირტყმევინება*** ტიპის უკუქცევითები და მათი წარმომქმნელი ***აძლევს, სწერს, არტყამს*** გარდამავალი ზმნური ლექსემები. ამ გარდამავალი ზმნების დიათეზაში I აქტანტს შეესაბამება Pot კლასის რეფერენტი, ხოლო II და III აქტანტებად მათთან დასაშვებია როგორც Pot, ისე NonP კლასის რეფერენტთა სახელები. არც ამ გარდამავალი ზმნებისგან წარმოქმნილი ობიექტჩართული უკუქცევითების ლექსიკური მნიშვნელობით არ იზღუდება II და III აქტანტის სემანტიკა.

ამ კლასის ობიექტჩართული ტრანსფორმები წარმოიქმნებიან გარდამავალი ზმნებისგან I აქტანტის შენარჩუნებითა და II–III აქტანტების სინტაქსური პოზიციების ლიკვიდაციით, მაგრამ ისინი სინტაქსურ კონსტრუქციაში პირდაპირი და ირიბი დამატებების შეთავსების გარეშეც ასახელებენ ადრესატის სასარგებლოდ ან საზიანოდ პირდაპირ ობიექტზე შესასრულებელ აქტიურ მოქმედებას.

III სემანტიკური კლასის ობიექტჩართული უკუქცევითის წარმოქმნისას ამოსავალ დიათეზაში ხდება შემდეგი ცვლილებები:

(Pot=Sb=ქვ) (A=O^d=დპ) (B=O^{ind}=დი) ⇒ (Pot=Sb=ქვ) (A=O^d=X) (B=O^{ind}=X);

(Pot=Sb=ქვ) (A= O^d=დპ) (B=O^{ind}=დი) ⇒ (Pot=Sb=ქვ) (A= O^d = დუ) (B=O^{ind}=X);

მაგალითები:

მამა ხშირად ***გვწერს*** წერილებს ⇒ მამა ხშირად ***იწერება;***

რატომ ***გვირტყამ*** მუშტებს? ⇒ რატომ ***ირტყმევინები*** (მუშტებს)?

ეს ამოსავალი გარდამავალი კონსტრუქციები და მათი გარდაუვალი ტრანსფორმები სინონიმური კონსტრუქციებია. მათი პრედიკატები ერთსა და იმავე სიტუაციებს ასახელებენ, ერთნაირად გულისხმობენ მიმართებას პირდაპირ ობიექტთან და ადრესატთან, მაგრამ ამ სემანტიკური როლების მქონე რეფერენტების სინტაქსურ დონეზე II და III აქტანტებით წარმოდგენის შესაძლებლობა აქვთ მხოლოდ ამოსავალი კონსტრუქციების გარდამავალ პრედიკატებს. წარმოქმნილი კონსტრუქციების პრედიკატების სემანტიკური ვალენტობით განსაზღვრული პირდაპირი და ირიბი ობიექტები კი არასდროს არ სახელდება სინტაქსურ კონსტრუქციაში II და III აქტანტებით. აქ მითითებული ორივე გარდაუვალი პრედიკატი ლექსიკური მნიშვნელობით მიანიშნებს პირდაპირი და ირიბი ობიექტების შესატყვისი რეფერენტების პოტენციურ მნიშვნელობაზე ანუ ორივე ზმნური ლექსემის ლექსიკურ მნიშვნელობით ნაგულისხმევია პირდაპირი ობიექტისა და ადრესატის შესატყვისი რეფერენტების არსებითი, მაგრამ მეტად ზოგადი ნიშნები, რაც, პირველ რიგში, განპირობებულია ამ პრედიკატებით დასახელებული მოქმედებების სემანტიკით, მათი ამოსავალი გარდამავალი ზმნის აქტანტების მნიშვნელობითა და ტრანსფორმაციის წესით.

რადგან III სემანტიკური კლასის ობიექტჩართული უკუქცევითები წარმოიქმნებიან სათანადო ამოსავალი ზმნების პირდაპირი და ირიბი დამატებების სინტაქსური პოზიციების წაშლით, მათი სინტაქსური ვალენტობა ორით ნაკლებია ამოსავალი ზმნის სინტაქსურ ვალენტობაზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, III სემანტიკური კლასის ობიექტჩართული უკუქცევითი და მისი წარმომქმნელი გარდამავალი ზმნა სემანტიკური ვალენტობით სავსებით მსგავსი, მაგრამ სინტაქსური ვალენტობით განსხვავებული სინონიმური ზმნური ლექსემებია, რომლებიც სინტაქსურ დონეზე სხვადასხვაგვარად წარმოადგენენ დასახელებული სიტუაციის სემანტიკით განსაზღვრულ პირდაპირ და ირიბ ობიექტებს.

ჩვენ მიერ III სემანტიკურ კლასში გაერთიანებული ობიექტჩართული უკუქცევითებისა და მათი შესაბამისი ამოსავალი ზმნების სინონიმურობა თანამედროვე ქართული ენის განმარტებით ლექსიკონებშიც ფიქსირდება ამ ზმნური ლექსემების თანაბარმნიშვნელობიანი პერიფრაზირებით:

არტყამს (იხ. დაარტყამს) გრდმ. მოქნევით დაჰკრავს, ზედ დაახლის – ***ირტყმევინება*** გრდუვ. არტყამს, სცემს ვისმე (ქეგლ).

მისწერს (აწმ. სწერს) გრდმ. წერილობით შეატყობინებს რასმე – ***იწერება*** გრდუვ. სწერს ვისმე, წერილობით იტყობინება (ქეგლ).

აქ განხილული ***სწერს*** და ***ირტყმევინება*** ობიექტჩართული უკუქცევითები და მათი სინონიმური გარდამავალი ზმნური ლექსემები ერთმანეთისაგან მხოლოდ ლოგიკური აქცენტებით განსხვავდებიან. გარდამავალი ზმნა აქცენტს სინტაქსურად გამოხატული ობიექტებისა და დასახელებული მოქმედების მიმართებაზე აკეთებს, ხოლო მისი ობიექტჩართული ტრანსფორმით აქცენტი სუბიექტის როლში წარმოდგენილი რეფერენტის და მოქმედების მიმართებაზე გადადის და დასახელებული მოქმედება, ძირითადად, ამ რეფერენტის მახასიათებელ ჩვევად აღიქმება. ობიექტჩართულობა ამჯერადაც წარმოგვიდგება მორფო-სინტაქსურ კატეგორიად, რომელიც ენაში ქმნის აქტიური ტრანზიტული ზმნის სემანტიკის ინტრანზიტული ზმნური ლექსემით გამოხატვის, კორელაციის: მოქმედება ↔ ობიექტი უკანა პლანზე გადაწევისა და კორელაციის: მოქმედება ↔ სუბიექტი აქცენტირების შესაძლებლობას; ამჯერადაც ხდება დასახელებული სიტუაციის მეტონიმიური, აქტანტების შემცირებული რაოდენობით გამოხატვა. კონსტრუქციაში პირდაპირი და ირიბი დამატებების სინტაქსური პოზიციების წაშლას უკავშირდება დასახელებული მოქმედებისა და სუბიექტის როლის შემსრულებლის რელაციის აქცენტირება, მაგრამ არ უკავშირდება დასახელებული მოქმედების პირდაპირი და ირიბი ობიექტების როლების მქონე რეფერენტებისგან განყენებულად აღქმა. ვფიქრობთ, სწორედ ესაა საფუძველი ამ კლასის ობიექტჩართული უკუქცევითებისა და მათი ამოსავალი გარდამავალი ზმნების სინონიმურობისა.

III კლასის ობიექტჩართულ უკუქცევითებს, სხვა ობიექტჩართული უკუქცევითების მსგავსად, ძირითადად აწმყოს ჯგუფის უსრული ასპექტის ფორმები მოეპოვებათ, რაც განპირობებულია ამ გარდაუვალი ზმნური ლექსემების სემანტიკით: ეს ლექსემები მოქმედებას უმთავრესად წარმოადგენენ სუბიექტის როლში წარმოდგენილი რეფერენტის დამახასიათებელ უნარ-ჩვევად და, ამდენად, დროში შეუზღუდავ სიტუაციად.

ამ კლასის ობიექტჩართული უკუქცევითი სინტაქსურ კონსტრუქციაში არცთუ იშვიათად ითავსებს ფაკულტატური IV რანგის აქტანტებს – ამოსავალი დიათეზის პირდაპირი და ირიბი დამატებების საგნობრივად იდენტურ

ტრანსფორმებს, რომლებიც აკონკრეტებენ უკუქცევითის ლექსიკური მნიშვნელობით იმპლიცირებული პოტენციური სამოქმედო ობიექტების სემანტიკას. ასეთი სინტაქსური კონსტრუქციების არსებობა კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის ამოსავალი სამვალენტიანი ზმნისა და მისი გარდაუვალი ობიექტჩართული ტრანსფორმის იდეოგრაფიულ სინონიმურობას.

III სემანტიკური კლასის ობიექტჩართულ უკუქცევითთან IV რანგის აქტანტის სახით კონსტრუქციაში უფრო ხშირად წარმოდგენილია ამოსავალი დიათეზის პირდაპირი ობიექტის და იშვიათად – ირიბი ობიექტის როლის მქონე მონაწილე. ირიბი ობიექტის როლის შემსრულებელი რეფერენტის განზოგადებული გაგება, როგორც წესი, ნაგულისხმევია უკუქცევითის ლექსიკური მნიშვნელობაში.

მაგალითები:

ის ***აძლევს*** მას პირობას ⇒ ის პირობას ***იძლევა*** (=აძლევს ვისმე – ქეგლ);

ის ***ატყობინებს*** მას ამბავს ⇒ ის ამბავს ***იტყობინება*** (=ატყობინებს ვისმე – ქეგლ);

ის ***უთვლის*** მას მოკითხვას ⇒ ის მოკითხვას ***ითვლევინება*** (=უთვლის ვისმე – ქეგლ);

ის ***არტყამს*** მას ჯოხს ⇒ ის ჯოხს ***ირტყმევინება*** (=არტყამს ვისმე – ქეგლ);

ის ***ჰკრავს*** მას ხელს ⇒ ის ხელს ***იკვრევინება*** (=ჰკრავს ხელს, ფეხს – ქეგლ).

შენიშვნა: ა. შანიძე საგანგებოდ მიუთითებს, რომ ზოგი გარდაუვალი ზმნა მისი წარმომქმნელი სემანტიკურად სამვალენტიანი ზმნის სინონიმური ტრანსფორმია ქართულში: „ვახტანგ VI-ის „ვეფხისტყაოსნის თარგმანში“ ხშირია ხმარება „ისწავლება“ ზმნისა, რომელსაც იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც „ასწავლის“ ფორმას, ოღონდ უირიბ-ობიექტოდ, როგორც არის, რუს. учит: „აქა ნადირობის რიგს ისწავლება“, „ყოვლს სასწავლოს ისწავლება“, „ბატონ-ყმობის ხუმრობას და ლაპარაკს და შექცევას ისწავლება“ (შანიძე, 1980, 297–298).

ობიექტჩართულ უკუქცევითთან სინტაქსურ კონსტრუქციაში IV რანგის აქტანტებით შეიძლება წარმოდგენილ იქნას ამოსავალი სამვალენტიანი ზმნის ორივე ობიექტი.

მაგალითები:

ბანკი მხოლოდ სტუდენტებს ***აძლევს*** დაბალპროცენტიან სესხს ‖ ბანკი მხოლოდ სტუდენტებისათვის ***იძლევა*** დაბალპროცენტიან სესხს;

გაზეთი მთელი კვირის ამინდის პროგნოზსაც ***აუწყებს*** დაინტერესებულ მკითხველს ‖ გაზეთი მთელი კვირის ამინდის პროგნოზსაც ***იუწყება*** დაინტერე-სებული მკითხველისათვის.

როცა სინტაქსურ კონსტრუქციაში ობიექტჩართული უკუქცევითი ითავსებს IV რანგის აქტანტს (აქტანტებს), მატულობს ამ ობიექტჩართული უკუქცევითის სემანტიკური ვალენტობით განპირობებული პირდაპირი თუ ირიბი ობიექტის შესატყვისი რეფერენტების მნიშვნელობათა განსაზღვრულობის ხარისხი და ხაზი ესმება იმას, რომ III სემანტიკური კლასის ობიექტჩართული უკუქცევითი სათანადო ამოსავალი ზმნის იდეოგრაფიული სინონიმია, რომ ის და მისი წარმომქმნელი ზმნა სინტაქსური ქცევით მსგავსი ზმნური ლექსემებია, მაგრამ სინტაქსურ დონეზე ისინი სხვადასხვაგვარად გამოხატავენ დასახელებული სიტუაციის მონაწილეთა შორის არსებულ რელაციებს.

სამვალენტიანი გარდამავალი ზმნებისგან წარმოქმნილ უკუქცევით ტრანსფორმებს, I აქტანტის სემანტიკისა და ამოსავალი ზმნის ტრანსფორმაციის წესის შესაბამისად, ხან აქტივის მნიშვნელობა აქვთ, ხან კი – პასივის. კერძოდ, ***ისწავლება, იწერება*** გარდაუვალი უკუქცევითები ომონიმური ზმნური ლექსემებია და მხოლოდ ფართო კონტექსტითაა შესაძლებელი იმის გარკვევა, აქტივის მნიშვნელობა აქვთ მათ თუ პასივისა.

მაგალითები:

აქ ყველა საგანი ინგლისურ ენაზე ***ისწავლება*** (პასივის სემანტიკა);

მოძღვარი წესსა და რიგს ***ისწავლება*** (აქტივის სემანტიკა);

ამის შესახებ გაზეთებში აღარაფერი ***იწერება*** (პასივის სემანტიკა);

ძმა უცნაურ ამბებს ***იწერება*** (აქტივის სემანტიკა).

ისწავლება ან ***იწერება*** აქტიური სემანტიკის მქონე ობიექტჩართული ზმნური ლექსემაა, როცა მის დიათეზაში სათანადო ამოსავალი ზმნის სემანტიკური ვალენტობით განსაზღვრული ყველა რეფერენტი როლების შეუცვლელად არის წარმოდგენილი; მისი I აქტანტის სახით წარმოდგენილია სემანტიკური Sb-ის როლის მქონე რეფერენტი, მაგრამ სინტაქსურად არგამოხატული ყველა ან ერთ-ერთი რეფერენტის პოტენციური მნიშვნელობა იმპლიცირებულია დერივატის ლექსემით. ეს უკუქცევითები პასივის მნიშვნელობის მქონედ აღიქმება, როცა მათ დიათეზაში უცვლელად მეორდება

სათანადო ამოსავალი ზმნის ყველა სემანტიკური სტრუქტურა, მაგრამ მათი I აქტანტის პოზიციას სინტაქსურ სტრუქტურაში ამოსავალი ზმნის II აქტანტი იკავებს. როგორც ვხედავთ, ***ისწავლება*** და ***იწერება*** უკუქცევითებს როგორც აქტივის, ისე პასივის მნიშვნელობის გამოხატვა შეუძლიათ, პირველ რიგში, იმის საფუძველზე, რომ ამ უკუქცევითებსა და სათანადო ამოსავალ ზმნებს იდენტური სემანტიკური ვალენტობა და სტრუქტურები გააჩნიათ და, ამასთანავე, მათი ლექსიკური მნიშვნელობით არ იზღუდება I აქტანტის სემანტიკა: I აქტანტად ამ უკუქცევითებთან დასაშვებია როგორც Pot, ისე NonP კლასის რეფერენტის სახელი.

III სემანტიკური კლასის ობიექტჩართული უკუქცევითების ერთ ნაწილი ვერ გამოხატავს პასივის სემანტიკას, რაც, პირველ რიგში, განპირობებულია ამ უკუქცევითების ლექსიკური მნიშვნელობითა და მათი აქტანტების შესატყვისი რეფერენტების თვისებრიობით. ეს უკუქცევითებია: ***იუწყება, იტყობინება, იძლევა, ირტყმევინება*** და ა.შ. ამ ზმნური ლექსემების I აქტანტად დასაშვებია მხოლოდ Pot კლასის, აქტიურობის პოტენციის მქონე რეფერენტის სახელი, მაშინაც კი, როცა მითითებული უკუქცევითების I აქტანტს NonP კლასის რეფერენტი შეესატყვისება, ეს აქტანტი მეტონიმიურად მიუთითებს პოტენტზე ან პოტენტთა ჯგუფზე. ფრაზა ***ბანკი იძლევა სესხს*** გულისხმობს: ბანკში სესხის გაცემის ოპერაციის მწარმოებელი (ან მწარმოებელთა ჯგუფი) იძლევა სესხს; ***გაზეთი იუწყება*** ნიშნავს: კორესპონდენტი (ან კორესპონდენტთა ჯგუფი) გაზეთში გამოქვეყნებული რეპორტაჟით იუწყება.

ზმნით დასახელებული მოქმედების პასივად გააზრების საფუძველს ქმნის ზმნის I აქტანტის შესაბამისი რეფერენტის მოქმედების მიზნად გააზრების შესაძლებლობა. ***იტყობინება, იძლევა, იუწყება*** და ა.შ. უკუქცევითების I აქტანტს კი ყოველთვის შეესაბამება აქტიურობის პოტენციის მქონე რეფერენტი, რომელიც დასახელებული მიზანმიმართული მოქმედების შემსრულებლად აღიქ-მება და არა მიზნად. ამდენად, ამ უკუქცევითების ლექსიკური მნიშვნელობებითა და მათი I აქტანტის სემანტიკით არის განპირობებული ის ენობრივი ფაქტი, რომ ამ ზმნურ ლექსემებს მხოლოდ აქტივის სემანტიკის გამოხატვა შეუძლიათ და არასდროს არ უჩნდებათ პასივის გაგება.

იტყობინება, იუწყება და III სემანტიკური კლასის ნებისმიერი სხვა ობიექტჩართული უკუქცევითი იმავე აქტიურ მოქმედებას აღნიშნავს, რომელსაც შესაბამისი ამოსავალი ზმნური ლექსემა, მაგრამ ამ მოქმედებას დროში შეუზ-

ღუდავი სიტუაციის, სუბიექტის როლში წარმოდგენილი მონაწილის ზოგადი შესაძლებლობის თუ მახასიათებელი თვისების შინაარსს ანიჭებს, განსხვავებით ამოსავალი გარდამავალი ზმნისაგან, რომელიც ადრესატად გააზრებული მონაწილის სასარგებლოდ ან საზიანოდ პირდაპირი ობიექტის შესატყვის რეფერენტზე შესასრულებელ მოქმედებას დროში ლოკალიზებულ სიტუაციად წარმოადგენს.

ამგვარად, წარმოდგენილ ნაშრომში ობიექტჩართული ზმნა განისაზღვრა, როგორც აქტიური სემანტიკის მქონე გარდაუვალი დერივატი, რომელიც წარმოიქმნება ამოსავალი გარდამავალი ზმნის სინტაქსური ვალენტობის შემცირებით, მაგრამ მიმართების: Sb=>(ქვ) შენარჩუნებით. მისი წარმოქმნისას ირღვევა ამოსავალი დიათეზის სემანტიკური და სინტაქსური სტრუქტურების ერთეულთა პირდაპირი შესაბამისობა. ობიექტჩართული დერივატი სემანტიკური ვალენტობის თვალსაზრისით ამოსავალი გარდამავალი ზმნის იდენტურია, მაგრამ, Sb-ის როლის შემსრულებლის გარდა, წარმოქმნილი ობიექტჩართული დიათეზის არც ერთ სხვა რეფერენტს არ აქვს შენარჩუნებული პირდაპირი შესაბამისობა სინტაქსური სტრუქტურის ერთეულებთან, რადგან ისინი ან საერთოდ არ გამოიხატებიან სინტაქსურად ან გამოიხატებიან ფაკულტატური უბრალო დამატების სახით, ამოსავალი ზმნის II და III აქტანტების ტრანსფორმებით. სინტაქსურად არგამოხატული ან უკანა პლანზე გადაწეული Pt და/ან Ad სემანტიკური როლების მქონე რეფერენტთა მნიშვნელობა იმპლიცირებულია დერივატთა ლექსემებით. მიუხედავად იმისა, რომ ობიექტჩართული დერივატის დიათეზაში ამოსავალი ზმნის ყველა რეფერენტი არ არის გამოხატული მისი იერარქიის შესაბამისი აქტანტით, იგი მაინც ასახელებს იმავე აქტიურ მოქმედებას, რომელსაც ამოსავალი ზმნა და ამდენად, მის სინონიმურ ლექსემად ფუნქციონირებს ენაში.

ობიექტჩართული დერივატის მნიშვნელობა ამოსავალი ზმნის მნიშვნელობის, აქტანტების სემანტიკისა და ტრანსფორმაციის წესის ფუნქციაა.

ობიექტჩართულობა მორფო-სინტაქსური კატეგორიაა თანამედროვე ქართულში. მისი ენობრივი ფუნქციაა ამა თუ იმ აქტიური მოქმედების წარმოდგენა Sb-ის როლში წარმოდგენილი რეფერენტის დამახასიათებელ ჩვევად თუ თვისებად ან ამ მონაწილის წარმოდგენა დასახელებული აქტიური მოქმედების შესრულების პოტენციის მქონედ. ამ კატეგორიის მნიშვნელობა თანამედროვე ქართულში გამოიხატება ი- პრეფიქსით, პრედიკაციული ფუნქციის

მქონე მორფოლოგიური ერთეულით. ი-პრეფიქსი ზმნით დასახელებულ მოქმედებას პოსესიურ მიმართებას ამყარებინებს სინტაქსურ სტრუქტურაში ქვემდებარედ კოდირებულ რეფერენტთან. ამავე მორფოლოგიურ საშუალებას იყენებს ყველა ის ზმნური კატეგორია (პასივი, მედიოაქტივი, სათავისო ქცევა), რომელთა გრამატიკული მნიშვნელობა განისაზღვრება ზმნით დასახელებული მოქმედებისა და სინტაქსურ სტრუქტურაში ქვემდებარედ წარმოდგენილი რეფერენტის პოსესიური ურთიერთმიმართებით.

ობიექტჩართული დერივატი ომონიმური ზმნაა. გარკვეული ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ამ უკუქცევითმა სინტაქსურ კონსტრუქციაში შეიძლება შეიძინოს პასივის სემანტიკა, მაგრამ მის უპირველეს ფუნქციად ენაში მაინც რჩება პირდაპირი და ირიბი დამატებების გარეშე ამოსავალი გარდამავალი ზმნით დასახელებული აქტიური მოქმედების გამოხატვა.

გარდამავალი ზმნით დასახელებული აქტიური მოქმედების გამოხატვა მისი სინონიმური გარდაუვალი ობიექტჩართული დერივატით, ჩვენი აზრით, არის მეტონიმიური გარდასახვა – სრული აქტანტური სტრუქტურის მნიშვნელობის გამოხატვა შემცირებული აქტანტური სტრუქტურის მნიშვნელობით და ამ მეტონიმიური გარდასახვის ენობრივი ფუნქციაა მიზანმიმართული და დროში ლოკალიზებული აქტიური მოქმედების გარდაქმნა მიზანმიუმართავ და დროში განშლად, გრძლივ აქტიურ პროცესად.

ჰიპოთეტური სამოქმედო ობიექტის შესახებ ინფორმაციის ლექსემით გამოხატვა და Pt როლის მქონე რეფერენტის შესატყვისი II აქტანტის გარეშე აქტიური მოქმედების დასახელება, გარდაუვალი ობიექტჩართული უკუქცევითების – გარდაუვალი აბსოლუტივების – გარდა, გარდამავალ ზმნებსაც შეუძლიათ. ასეთ შემთხვევაში ლაპარაკობენ გარდამავალი ზმნის აბსოლუტივის მნიშვნელობით გამოყენებაზე.

როდესაც გარდამავალ ზმნასთან II აქტანტით არის წარმოდგენილი Pt როლის შემსრულებელი რეფერენტი, ზმნით დასახელებული მოქმედების მიმართულება და მიზანი დაკონკრეტებულია. წინადადებაში: "***ის ხატავს პეიზაჟს***" მოქმედება ორიენტირებულია პეიზაჟზე და არა სხვა რომელიმე დასახატ ობიექტზე. ხოლო წინადადებაში: "***ის უკვე კარგად ხატავს***" სამოქმედო ობიექტი II აქტანტით არ არის გამოხატული. ამ შემთხვევაში "ხატავს" აბსოლუტივად წარმოდგება, ასახელებს ჰიპოთეტურ სამოქმედო ობიექტზე მიმართულ მოქმედებას და გულისხმობს: "შეუძლია დასახელებული მოქმედების

შესრულება” ან “დაკავებულია დასახელებული მოქმედებით”. პირველი გამონათქვამის მიზანია ლოგიკური აქცენტის გაკეთება სამოქმედო ობიექტზე, მეორეს მიზანი კი – თვითონ მოქმედების აქცენტირება.

გარდამავალი აბსოლუტივები, გარდაუვალი ობიექტჩართული ზმნების მსგავსად, განირჩევიან სამოქმედო ობიექტის მნიშვნელობის ლექსემით დაკონკრეტების ხარისხით და არ ეწარმოებათ სრული ასპექტის ფორმები. გარდამავალ და გარდაუვალ აბსოლუტივებს განასხვავებს ის, რომ გარდამავალი აბსოლუტივის ლექსემაში Pt როლის მქონე რეფერენტის მნიშვნელობის “ჩართვა” მარკირებულია სინტაქსურად – პირდაპირი დამატების ელიფსისით, ხოლო გარდაუვალი ზმნის ობიექტჩართულობა მარკირებულია სინტაქსურადაც (პირდაპირი დამატების ელიფსისით) და მორფოლოგიურადაც (სუბიექტისა და მოქმედების პოსესიური ურთიერთმიმართების აღმნიშვნელი აფიქსით).

ობიექტჩართული უკუქცევითი და ანტიპასივი

იბღვირება, იცოხნება, ილოცება, ირტყმევინება ტიპის ობიექტჩართულ უკუ-ქცევითებს ტრადიციულად დეპონენსებს უწოდებენ და მიუთითებენ, რომ დეპო-ნენსები აქტივის მნიშვნელობის გამომხატველი ზმნებია, რომლებსაც ფორმა პასივის აქვთ და გარკვეულ კონტექსტში მნიშვნელობაც პასივის უჩნდებათ (იხ. ზემოთ).

სამწუხაროდ, მკვლევრები იფარგლებიან დეპონენსების მახასიათებელი სტრუქტურული ნიშნების კონსტატაციით და არ განმარტავენ იმ ძირითად ფაქტორს, რომლითაც მოტივირებულია ამ ზმნების ხან აქტივის და ხან პასივის მნიშვნელობით ფუნქციონირება ენაში.

როგორც ვაჩვენეთ, დეპონენსად წოდებული აქტიური სემანტიკის მქონე ობიექტჩართული ზმნა ტრანსფორმია. მას და მის ამოსავალ გარდამავალ ზმნას იდენტური სემანტიკური (რეფერენტული და რეფერენტთა როლების) სტრუქტურები აქვთ. სწორედ ესაა იმის საფუძველი, რომ დეპონენსი განსხვავებული პარადიგმატული ქცევის მქონე ლექსემებად – ხან პასივის ფორმად, ხან კი აქტივის, ამოსავალი გარდამავალი ზმნის სინონიმურ გარდაუვალ ტრანსფორმად წარმოდგება ენაში.

როდესაც დეპონენსი, გარდაუვალი ტრანსფორმი, ამოსავალი გარდამავალი ზმნის Ag როლის მქონე რეფერენტს სინტაქსურ კონსტრუქციაში ქვემდებარის პოზიციაში წარმოადგენს, ხოლო დანარჩენ ბაზისურ Pt და/ან Ad სემანტიკური ერთეულების შესატყვის რეფერენტებს უკანა პლანზე გადაწევს ან გამოტოვებს, დეპონენსი აქტიური სემანტიკის მქონე გარდაუვალ ზმნად წარმოდგება. თუ დეპონენსი Ag-ის როლის მქონე რეფერენტს უკანა პლანზე გადაწევს ან საერთოდ არ წარმოაჩენს სინტაქსურ კონსტრუქციაში, ხოლო Pt როლის მქონე რეფერენტს "დააწინაურებს" და ქვემდებარის პოზიციაზე გადაიყვანს, დეპონენსს პასივის გაგება უჩნდება.

აქტიური სემანტიკის მქონე დეპონენსის ამოსავალი გარდამავალი ზმნის Pt და/ან Ad როლის(როლების) მქონე რეფერენტი(რეფერენტები) შეიძლება, საერთოდ არ იყოს წარმოდგენილი ან უბრალო დამატების სახით შეგვხვდეს სინტაქსურ კონსტრუქციაში.

"საზოგადოდ, დეპონენსის დანიშნულებაა, თავიდან აირიდოს რელაცია ანუ მიმართება ობიექტისადმი (შანიძე, 1980, 297) და ისე გამოხატოს ამოსავალი გარდამავალი ზმნით დასახელებული სიტუაცია.

გარდაუვალ უკუქცევითებს, რომლებიც Pt და/ან Ad როლის (როლების) შემსრულებელი რეფერენტის (რეფერენტების) სინტაქსური რეალიზაციის გარეშე ახერხებენ ამოსავალი ზმნით მითითებული სიტუაციის აღნიშვნას, რუსულ სპეციალურ ლიტერატურაში უწოდებენ სუბიექტურ(субъектный) ან ნასუბიექტარ(отсубъектный) ობიექტჩართულ უკუქცევითებს იმის ხაზგასასმელად, რომ ეს უკუქცევითები ამოსავალი აქტივის Sb-ის როლის მქონე რეფერენტს ქვემდებარის პოზიციაში ინარჩუნებენ (იანკო-ტრინიცკაია, 1962, 171-202; კოზინცევა, 1981, 83-85).

ეს ზმნები (დეპონენსები) ანტიპასივებადაც განიხილებიან. ანტიპასივის ფორმა ამოსავალი მოქმედებითი გვარის ზმნისგან წარმოიქმნება სინტაქსური ვალენტობის დაკლებით. ვალენტობის შემცირება ხდება Pt (და Ad) როლის მქონე რეფერენტის სინტაქსური რანგის დაქვეითების ან მისი სინტაქსურ კონსტრუქციაში მისი პოზიციის ელიმინაციის ხარჯზე: თუ ბაზისური დიათეზის სინტაქსურ სტრუქტურაში Pt როლის მქონე რეფერენტი ფუნქციონირებს, როგორც პირდაპირი დამატება, ანტიპასივის კონსტრუქციაში იგი უკანა პლანზე გადადის, აღარ არის ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებული სემანტიკური

ერთეული და შეიძლება შეგვხვდეს უბრალო დამატების სახით ან საერთოდ არ იყოს წარმოდგენილი. შესაბამისად, წარმოქმნილ კონსტრუქციაში დარჩენილი Sb-ის როლის მქონე რეფერენტი ფუნქციონირებს, როგორც ქვემდებარე (ჰესპელმათი, 2002, 214-215; სოსელია, ქარქაშაძე, 2013, 307).

თუ აქტივი =>პასივი ტრანსფორმაციისას ვალენტობის შემცირება ხდება Sb-ის როლის მქონე რეფერენტის სინტაქსური რანგის დაქვეითების ან მისი სინტაქსური პოზიციის წაშლის ხარჯზე, აქტივი=>ანტიპასივი გარდაქმნის დროს ვალენტობის დაქვეითება უკავშირდება Pt როლში წარმოდგენილი რეფერენტის სინტაქსური რანგის დაქვეითებას ან მისი სინტაქსური პოზიციის ელიფსისს.

ამდენად, ანტიპასივი Pt –ის შესაბამის რეფერენტს ზუსტად ისევე გამოტოვებს ან უკანა პლანზე გადაწევს სინტაქსურ კონსტრუქციაში, როგორც პასივი – Sb–ის შესაბამის რეფერენტს.

აქტიური სემანტიკის მქონე გარდაუვალი უკუქცევითების აღწერა ანტიპასივის მორფო-სინტაქსური კატეგორიის ტერმინებში, ჩვენი აზრით, უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე მათი სტრუქტურულ-სემანტიკური ნიშნების განსაზღვრა ობიექტჩართულობის ან დეპონენსის კატეგორიებთან მიმართებაში, რადგან ანტიპასივის ფორმებად ობიექტჩართული უკუქცევითების (დეპონენსების) განხილვისას კარგად ჩანს ის სტრუქტურული ცვლილებებიც, რომლებიც ახლავს აქტივის გარდამავალი ფორმის გარდაქმნას აქტიური სემანტიკის მქონე გარდაუვალ უკუქცევითად და ამასთანავე ჩანს, რომ ანტიპასივს და პასივს განსხვავებულის გარდა, საერთო ნიშნებიც აქვთ: ორივე კატეგორიის მნიშვნელობა დაკავშირებულია ბაზისური დიათეზის აქტანტური იერარქიის შეცვლასთან და განისაზღვრება ამ იერარქიის შეცვლის მსგავსი პროცედურებით, რითაც ერთგვარად იხსნება აქტიური სემანტიკის მქონე ანტიპასივისა და პასივის მნიშვნელობის მქონე ზმნური ლექსემების ის ფორმალური მსგავსება, რაც რეგულარულად დასტურდება ენებში.

ამის მიუხედავად, წარმოდგენილ ნაშრომში აქტიური სემანტიკის მქონე გარდაუვალი უკუქცევითების სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლები განისაზღვრა ობიექტჩართულობის მორფო-სინტაქსური კატეგორიის ტერმინებში მხოლოდ იმიტომ, რომ ქართული ენის მკვლევართა ერთი ნაწილი ქართულ მედიოაქტივებს აღწერს ობიექტჩართულობის კატეგორიასთან მიმართებით, ხოლო ამჯერად ჩვენი ერთ-ერთი მიზანი კი იმის გარკვევაა, არის თუ არა ქართული მედიოაქტივი ე.წ. ობიექტჩართული ზმნა.

საზოგადოდ, აქტიური სემანტიკის მქონე წარმოქმნილ გარდაუვალ ზმნას, რომელსაც, დიათეზაში შენარჩუნებული აქვს ამოსავალი აქტივის მიმართება: Sb=>(ქვ) და ამოსავალი აქტივის გარდაუვალი სინონიმის ფუნქცია აკისრია ენაში, დეპონენსად განვიხილავთ, ანტიპასივად თუ ობიექტჩართულ ან სუბიექტურ უკუქცევითად, ყველა შემთხვევაში იგი მოიაზრება გარდაუვალ ტრანსფორმად, რომელიც ამოსავალი აქტივისგან წარმოიქმნება ვალენტობის დაკლებით, აქტივის Sb-ის შესატყვისი რეფერენტის ქვემდებარის პოზიციაში დატოვებით, მაგრამ სხვა ბაზისური სემანტიკური ერთეულების სინტაქსური პოზიციების წაშლის ან უბრალო დამატებებად მათი წარმოდგენის ხარჯზე ანუ ამოსავალი დიათეზის სემანტიკური და სინტაქსური სტრუქტურების ერთეულთა პირდაპირი შესაბამისობის დარღვევით.

Reflexiva tantum

ფორმალური უკუქცევითი (ფორმალური ანტიპასივი)

ობიექტჩართული გარდაუვალი ზმნების სტრუქტურულ-სემანტიკური ნიშნების კვლევასთან დაკავშირებული აღმოჩნდა აქტიური სემანტიკის მქონე ერთვალენტიანი ზმნების ერთი ჯგუფის გრამატიკული სტატუსის განსაზღვრის საკითხი. ამ ზმნებს Sb-ის სემანტიკური როლის მქონე რეფერენტი ქვემდებარის სახით აქვთ წარმოდგენილი დიათეზის სინტაქსურ სტრუქტურაში, თავიანთი სემანტიკის გამოსახატავად კი გამოყენებული აქვთ პოსესიური მიმართებების ისეთივე ფორმალურ-მორფოლოგიური საშუალებები, როგორიც ობიექტჩართულ ზმნებს (ანტიპასივებს), პასივებს ან გარდამავალი უკუქცევით ზმნებს, მაგრამ ლექსიკურად შესატყვისი გარდამავალი ფორმები არ ეძებნებათ ენაში. აქედან გამომდინარე, მათ ვერც გარდამავალი ზმნისგან წარმოქმნილ გარდაუვალ დერივატებად მივიჩნევთ და ვერც მათი სტრუქტურულ-სემანტიკური ნიშნების განსაზღვრა ვერ მოხერხდება რომელიმე ზემოთ დასახელებულ, მაგალითად, ანტიპასივის კატეგორიასთან მიმართებაში. მხედველობაში გვაქვს შემდეგი ტიპის ზმნები: ქართ. ***იცრემლება***, ***იღრუბლება***, ***იცინგლება***; რუს. ***гордится*** "ამაყობს", ***телится***"ხბოს იგებს"; ლიტვ. ***bravasi*** "დაბრკოლებების გადალახვით შედის, იპარება".

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ზმნის სალექსიკონო ერთეულად არჩეულია აწმყოს მწკრივის ფუძე, რომელიც, როგორც ცნობილია, ამოსავალია მასდარისთვის(სახელზმნისთვის). მასდარი კი, რომელიც არის ზმნის სემანტიკური ჩარჩოს განმსაზღვრელი, ლექსიკონში განმარტებულია, როგორც სახელი ამოსავალი გარდამავალი ზმნის აწმყოს მწკრივის III პირის მხოლობითი რიცხვის ფორმით დასახელებული მოქმედებისა და თუ ენაში ასეთი ფორმა არ მოიპოვება, მაშინ მასდარისთვის ამოსავლად სახელდება გარდაუვალი ზმნის ფუძე და მასდარის მნიშვნელობა განიმარტება, როგორც სახელი ამ გარდაუვალი ზმნის აწმყოს მწკრივის III პირის მხოლობითი რიცხვის ფორმით დასახელებული მოქმედებისა.

მაგალითად :

ქსოვა – სახელი ქსოვ-ს (გარდმ.) ზმნის მოქმედებისა;

ღრენა – სახელი იღრინებ-ა (გარდუვ.) ზმნის მოქმედებისა;

ქეგლ-ში ზმნის სალექსიკონო ერთეულის შერჩევის პრინციპზე დაყრდნობით ამოვკრიფეთ და წარმოდგენილ ნაშრომში მივუთითეთ აქტიური სემანტიკის მქონე გარდაუვალი ზმნები, რომლებსაც საპირისპირო გარდამავალი შესატყვისის უქონლობის გამო ეძლევათ Reflexiva tantum-ის კვალიფიკაცია. ესენია: ***იბადრება***, ***იბუსკნება***, ***იმუქრება***, ***იჭაჭება***, ***იჭინთება***, ***იღრინება***, ***იღრუბლება***, ***იშოტება*** და სხვა. ეს ზმნები მცირერიცხოვან ჯგუფებს ქმნიან ენებში და, როგორც უკვე ვთქვით, ვერ განიხილებიან ანტიპასივებად, თუმცა გარკვეულ სტრუქტურულ და სემანტიკურ სიახლოვეს ავლენენ ანტიპასივის ზმნურ კატეგორიასთან:

I. Reflexiva tantum, ისევე როგორც ანტიპასივის ფორმა, ატელიკური გარდაუვალი ზმნაა. იგი ასახელებს დროში შეუზღუდავ აქტიურ პროცესს და აღნიშნავს Ag-ის მიზანმიუმართავ აქტიურობას, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში Ag-ის დამახასიათებელი ჩვევის მნიშვნელობა აქვს;

II. ისევე როგორც ანტიპასივის ფორმებთან, Reflexiva tantum-თანაც ქვემდებარის პოზიციაში წარმოდგენილია აქტივობის პოტენციის მქონე სახელი.

შეადარეთ :

ბიჭი იხუჭება – ანტიპასივი;

ქალი იცრემლება – Reflexiva tantum.

III. Reflexiva tantum იყენებს იმავე მორფოლოგიურ-გამომსახველობით საშუალებებს, რომლებსაც ანტიპასივი, რაც ამ ორი კატეგორიის ზმნათა ფუნქციურ-სემანტიკური მსგავსების საკითხს სვამს.

შეადარეთ:

ი-ცოხნ-ებ-ა – ანტიპასივი;

ი-მუქრ-ებ-ა – Reflexiva tantum.

IV.Reflexiva tantum-ის მნიშვნელობის, ისევე როგორც ანტიპასივის მნიშვნელობის, ერთმნიშვნელობიანი, ორმხრივი პერიფრაზირება შესაძლებელია მოქმედებითი გვარის ზმნით.

მაგალითად :

იცოხნება (ანტიპასივი)=***კუჭიდან ამობრუნებულ საჭმელს ღეჭავს*** (ქეგლ)

იბუსკნება (Reflexiva tantum)=***მადიანად ჭამს*** (ქეგლ)

იცრემლება (Reflexiva tantum)=***ცრემლებს ღვრის*** (ქეგლ)

V. Reflexiva tantum ერთპირიანი ზმნაა, რომელიც ვერ ითავსებს და არც შეუძლია შეითავსოს პირდაპირი დამატება სინტაქსურ კონსტრუქციაში. აქტანტებთან კონექციის თვალსაზრისით ის ჰგავს ანტიპასივის (იგივე დეპონენსურ, იგივე ობიექტჩართულ) იმ ფორმას, რომელიც სინტაქსურად მხოლოდ ქვემდებარეს უკავშირდება.

VI. ანტიპასივის ფორმა ომონიმური ფორმაა. ლექსიკური მნიშვნელობის შესაბამისად, გარკვეულ კონტექსტში მას შეძლება გაუჩნდეს პასივის სემანტიკა.

მაგალითად:

ბიჭი ***იღეჭება*** (ანტიპასივი);

ცუდად მოხარშული ხორცი ძნელად ***იღეჭება*** (პასივი)

Reflexiva tantum არასდროს არ იძენს სინტაქსურ კონსტრუქცაში პასივის გაგებას.

VII. ანტიპასივის სემანტიკის გამომხატველი გარდაუვალი ზმნა ლექსიკურად შესატყვისი აქტივის ტრანსფორმია. Reflexiva tantum-ს კი ლექსიკურად შესატყვისი გარდამავალი ფორმა არ ეძებნება ენაში და, ამდენად, საპირისპირო აქტივის გარეშე ფუნქციონირებს ენაში. ანტიპასივის ფორმა ზმნური წარმომავლობისაა და მისი სემანტიკა განიხილება ამოსავალი გარდამავალი ზმნის სემანტიკისა და აქტანტების ფუნქციად.

Reflexiva tantum-ის სალექსიკონო ერთეულის (III პირის მხ. რიცხვის ფორმის) მნიშვნელობა ქეგლ-ში, როგორც წესი, განიმარტება იმ სახელთან (ან სახელზმნასთან) მიმართებით, რომელიც აფორმებს ამ გარდაუვალი ზმნის ფუძეს:

ბადრი – იბადრება = ბადრი(სავსე) ხდება (ქეგლ)

ტლინკი – იტლინკება = ტლინკებს ისვრის (ქეგლ)

ცრემლი – იცრემლება = ცრემლებს ღვრის (ქეგლ)

ზემოთ მითითებული ნიშნების საფუძველზე Reflexiva tantum წარმოდგენილ ნაშრომში მოიაზრება ნასახელარ ზმნურ ლექსემად, რომელიც წარმოიქმნება სახელისაგან ან სახელად ქცეული მასდარისაგან ანტიპასივის მოდელით, განსხვავებით მედიოაქტივის მოდელით წარმოქმნილი ნასახელარი ***კაცობს***, ***ლაღობს*** ტიპის ზმნებისაგან.

საგულისხმოა, რომ თანამედროვე ქართულში ერთი და იმავე სახელური ფუძისგან ორივე მოდელითაა შესაძლებელი ატელიკური, აქტიური სემანტიკის მქონე გარდაუვალი ზმნის წარმოქმნა:

ნაზი => ნაზობს(მედიოატივი)

ნაზი => ინაზება(Reflexiva tantum)

ტლინკი => ტლინკაობს(მედიოაქტივი)

ტლინკი => იტლინკება(Reflexiva tantum)

ამდენად, ანტიპასივის მოდელით აქტიური სემანტიკის მქონე გარდაუვალი ზმნა თანამედროვე ქართულში წარმოიქმნება არა მხოლოდ გარდამავალი ზმნისგან, არამედ სახელისგანაც. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ ამ ტიპის წარმოება თანამედროვე ქართულში არაპროდუქტიულია, განსხვავებით ნასახელარი ზმნების მედიოაქტივის მოდელით წარმოებისაგან. მედიოაქტივის მოდელით "პროცესუალური ატელიკური სემანტიკის ზმნების წარმოება შესაძლებელია ყველა არსებითი და ზედსართავი სახელისგან და ზმნისზედებისგანაც კი,... როცა ენაში ჩნდება შესაბამისი მნიშვნელობის ზმნური პროცესის სახით გამოხატვის საჭიროება (თევზაობს, ბურთაობს, სახლობს,... კოხტაობს, ნაზობს, ცელქობს). ზმნათა ეს კლასი პრაქტიკულად ღიაა (მელიქიშვილი, 2002,25). ამჯერად ჩვენს მიზნებს სცილდება ენაში Reflexiva tantum-ის ტიპის ზმნურ ლექსემათა ამომწურავი კლასიფიკაცია, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ანტიპასივის მორფო-სინტაქსური კატეგორია

სიტყვაშემოქმედებითი პოტენციის მქონე კატეგორიაა და ლექსიკური ფონდის გაზრდის ერთ-ერთი საშუალებაა თანამედროვე ქართულში.

ამგვარად, წარმოდგენილ ნაშრომში ტერმინები: დეპონენსური ზმნა, ნასუბიექტარი(სუბიექტური) უკუქცევითი, ანტიპასივის ფორმა – მოიაზრება ერთი და იმავე ენობრივი ერთეულის სხვადასხვა სახელწოდებად. თითოეული მათგანი, მართალია, განსხვავებული კრიტერიუმებით აფასებს, მაგრამ გულისხმობს იმ უკუქცევით დერივატს, რომელიც წარმოიქმნება ამოსავალი გარდამავალი ზმნის ვალენტობის შემცირებით, Sb-სემანტიკური როლის შემსრულებელი რეფერენტის ქვემდებარის პოზიციაში წარმოდგენით, ხოლო სხვა სემანტიკური ერთეულის (ერთეულების) სინტაქსურ კონსტრუქციაში IV რანგის აქტანტით გამოხატვით ან მისი/მათი სინტაქსური პოზიციის ლიკვიდაციით.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, არ არის თანამედროვე ქართული ენის ანტიპასივის ფორმათა (ობიექტჩართულ უკუქცევითთა) ამომწურავი კლასიფიკაცია. ჩვენი ამოცანაა ამ ზმნების აღწერისა და კლასიფიკაციის პრინციპების გასაზღვრის, მათი რამდენიმე ჯგუფის დახასიათებისა და ობიექტჩართულ ლექსემათა ძირითადი ტიპოლოგიური ნიშნების მითითების საფუძველზე იმის ჩვენება, რომ მედიოაქტივიად წოდებული ზმნის პარადიგმატული ფორმების განხილვა ობიექტჩართულ რეფლექსურ ფორმებად, რასაც უშვებს ქართული ზმნის მკვლევართა ერთი ნაწილი, მეთოდოლოგიურად წინააღმდეგობრივია.

თავი V

მედიოაქტივი და ობიექტჩართული უკუქცევითი ზმნა

როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ობიექტჩართული უკუქცევითი გარდაუვალი ტრანსფორმია, რომლის სემანტიკა და ფუნქცია განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ ამოსავალი გარდამავალი ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობასა და ამოსავალი ზმნის აქტანტების სემანტიკასთან მიმართებაში.

ამოსავალი გარდამავალი ზმნის ობიექტჩართულ უკუქცევითად ტრანსფორმირებისას ობიექტჩართული ტრანსფორმის დიათეზაში სემანტიკური როლისა და სინტაქსური პოზიციის შეუცვლელად გადმოდის ამოსავალი დიათეზის სუბიექტის როლის შემსრულებელი რეფერენტი. ტრანსფორმირებულ დიათეზაში მას ისევ სუბიექტის როლი ეკისრება და ისევ I აქტანტის პოზიციაშია წარმოდგენილი, ხოლო ბაზისური დიათეზის სემანტიკური პირდაპირი (და ირიბი) ობიექტის როლის მქონე რეფერენტი წარმოქმნილ დიათეზაში გამოიხატება უბრალო დამატებით ან მისი სინტაქსური პოზიცია საერთოდ შეუვსებელი რჩება. ამ რეფერენტის (რეფერენტების) კონკრეტული ან განზოგადებული მნიშვნელობა მითითებულია ტრანსფორმის ლექსემით.

თვისებრივად განსხვავებულ მიმართებაშია ერთმანეთთან მედიოაქტივისა და ლექსიკურად მისი შესატყვისი გარდამავალი ზმნის დიათეზები.

ქართულ ენათმეცნიერულ პუბლიკაციებში დიდი ხანია დაფიქსირებულია, რომ მედიოაქტივები პირველადი ზმნებია და გარდამავალი ზმნების დიდი ნაწილი წარმომდგარია ლექსიკურად შესატყვისი მედიოაქტიური ზმნებისაგან. „აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ... ა-პრეფიქსი გამოყენებულია გარდამავალ ზმნათა საწარმოებლად გარდაუვალი ფუძეებისაგან: დუღს→ადუღებს; წუხს→აწუხებს, ... და სხვ.“ (შანიძე, 1980, 326).

არანასახელარ მედიოაქტივებს, რომლებსაც სათანადო მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმები მოეპოვებათ, ბ. ჯორბენაძე აქტივისათვის ამოსავალ პირველად ზმნებად მიიჩნევს: „საშუალ ფორმათა უმრავლესობა პირველადი უგვარო ზმნებია, რომლებიც გვარის ფორმებად მოქმედებითისა და ვნებითის ჩამოყალიბების შემდეგ გაფორმდნენ... ოღონდ აქ გასათვალისწინებელია, რომ მოქმედებითი გვარის ის ზმნები, რომელთაც შესაბამისი საშუალი ფორმა შეესატყვისება, ჩვეულებრივ ამ საშუალი ფორმებისაგან არის ნაწარმოები: წუხ-ს – ა-წუხ-ებ-ს, დუღ-ს – ა-დუღ-ებ-ს... პირველადი აქ სწორედ წუხს, დუღს „საშუალი“ ფორმებია“ (ჯორბენაძე, 1975, 128).

მედიოაქტიურ ზმნებთან დაკავშირებულ უკანასკნელ პუბლიკაციებშიც აღნიშნულია, რომ მედიოაქტივი პირველადი ზმნაა და ამოსავალია სათანადო გარდამავალი ზმნური ლექსემისათვის: „...მედიოაქტივები“ როგორც სტრუქტურის, ისე სემანტიკის თვალსაზრისით, ძირეული ფორმებია და ამოსავალია აქტივისათვის“ (მელიქიშვილი, 2001, 84).

„საშუალი გვარის ფორმები ყველაზე მარტივია მორფოლოგიური თვალსაზრისით და ბუნებრივია, რომ სწორედ ისინი უნდა ჩაითვალოს ზმნის სემანტიკური ჩარჩოს უშუალო ამსახველად. შესაბამისად, მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმები განიხილება როგორც მეორადი და მათთვის ამოსავალს საშუალი გვარის ფორმა უნდა წარმოადგენდეს“ (ივანიშვილი, სოსელია, 2002, 135).

მედიოაქტივები მდგომარეობის სემანტიკის გამომხატველი ზმნური ლექსემებია (ივანიშვილი, სოსელია, 2002, 135; მელიქიშვილი, 2002, 131; ჯორბენაძე, 1975, 177–179). ამ ზმნათა სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლების ტიპოლოგიური ანალიზი აჩვენებს, რომ, თუ ფიზიკური, ემოციური და მენტალური მდგომარეობის აღმნიშვნელ ზმნას ენაში ეძებნება გარდამავალი შესატყვისი, იგი მეორეულია, მდგომარეობის აღმნიშვნელი გარდაუვალი ზმნის ტრანსფორმია.

მონოგრაფიაში "Индоевропейский и древнегреческий глагол" ო. პერელმუტერი ინდოევროპულ ენათა მონაცემების ანალიზის საფუძველზე აკეთებს დასკვნას: "Мы рассмотрели целый ряд попыток, найти какие-либо морфологические способы, служавшие в общеиндоевропейском для образования интранзитивных форм от транзитивных глаголов, но эти попытки не привели к убедительным результатам... Особые морфологические способы, служавшие для образования интранзитивных форм от переходных глаголов, возникают в индоевропейских языках несравненно позднее, чем формальные различия между глаголами с семантикой действия и глаголамы с семантикой состояния" (პერელმუტერი, 1978, 124). მონოგრაფიის ავტორი პირველად ზმნებად მიიჩნევს ძვ. ბერძნულ ფორმებს: ***ῥώομαι*** „ვისწრაფვი“, ***σκύζομαι*** „ვბრაზობ“, ***ἥδομαι*** „ვხარობ“, ***χώομαι*** „ვბრაზობ“ და ა.შ. (იქვე, 127).

ხანგრძლივი წერილობითი ისტორიის მქონე ძვ. ბერძნული ენის მონაცემებზე დაყრდნობით მონოგრაფიის ავტორი აჩვენებს, რომ მედიალური ზმნებისაგან, რომლებიც ჰომეროსთან იზოლირებულად, გარდამავალი შესატყვისის გარეშე გვხვდება, მოგვიანებით წარმოიქმნება გარდამავალი ზმნები კაუზატივის მნიშვნელობით: "Большим числом форм засвидетельствован у Гомера глагол ***μαίνομαι*** "безумствовать", активные формы этого глагола с фактивным значением (***εκμαίνω*** "приводить в гнев, в безумие") представлены единичными примерами у Эврипида и Аристофана. То же самое можно сказать и о некоторых других глаголах... Противопоставление ***ἔγειρω*** "будить" / ***ἐγρήγορα*** "бодрствовать" имеет, по всей вероятности, также вторичное происхождение; медиальные формы этого глагола со значением "бодрствовать"

древнее активных его форм (в древнеиндийском языке представлено лишь медиальное **jarate** "просыпаться, бодрствовать"). Древнеиндийский глагол с транзитивным значением, образованный от этого корня, **jāgárti** "будить" имеет вторичное (деперфективное) происхождение" (პერელმუტერი, 1978, 121–122).

ინდოევროპული ენების მედიალურ ზმნას პირველად ზმნად, ხოლო ლექსიკურად მის შესატყვის გარდამავალ ფორმას მედიალური ზმნისგან წარმოქმნილ კაუზატივად განიხილავს ე. ბენვენისტიც: "Транзитивность является необходимым результатом... трансформации среднего залога в активный. Таким путем из среднего залога образуются активные формы, называемые транзитивными, каузативными или фактитивными и всегда характеризующиеся тем, что субъект, находящийся вне процесса, управляет им отныне как производитель, а процесс больше не сосредочивается в субъекте и должен перейти на объект, как на некоторую цель..." (ბენვენისტი, 1974, 189).

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში პირველადი ზმნისა და მისგან წარმოქმნილი კაუზატივის დაპირისპირებადაა მიჩნეული ქართული მედიოაქტივისა და ლექსიკურად მისი შესატყვისი გარდამავალი ზმნის დაპირისპირება. „...საშუალი გვარის ფორმები ერთპირიანია, ხოლო შესაბამისი მოქმედებითი გვარის ფორმა – ორპირიანი. ეს უკანასკნელნი სემანტიკურად კაუზატიურ ფორმებს უახლოვდებიან. მათ პირველად კაუზატივებსაც უწოდებენ (გ. მაჭავარიანი, ლექციების კურსი), რამდენადაც მოქმედებითი გვარის ფორმათა სემანტიკაში დამატებით შემოდის გარეგანი ინიციატორი/კაუზატორი (საშუალი გვარის ფორმათა სემანტიკასთან მიმართებით)... მოქმედებითი გვარის ფორმებში წარმოდგენილი მოქმედების ინიციატორი/კაუზატორი სინტაქსურ დონეზე წარმოდგენილია (კოდირებულია) ქვემდებარის სახით, ხოლო მისი მოქმედების საგანი (რომლის მდგომარეობა საშუალი გვარის ფორმებით გამოიხატება) კოდირებულია პირდაპირი დამატების სახით“ (ივანიშვილი, სოსელია, 2002, 135–136).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ობიექტჩართული უკუქცევითი ლექსიკურად შესატყვის გარდამავალ ზმნას მიემართება, როგორც გარდაუვალი ტრანსფორმი – ამოსავალ ზმნას, ხოლო მედიოაქტივი, პირიქით, როგორც ამოსავალი ზმნა – გარდამავალ ტრანსფორმს (კაუზატივს) და, ამდენად, ობიექტჩართული უკუქცევითი და მედიოაქტივი ლექსიკურად შესატყვის გარდამავალ ზმნასთან მიმართების თვალსაზრისით ერთმანეთისაგან განსხვავებული ზმნური ლექსემებია; შესაბამისად, განსხვავებულია ობიექტჩართული უკუქცევითისა და მედიოაქტივის

დიათეზების მიმართება ლექსიკურად შესატყვისი გარდამავალი ზმნის დიათეზებთან:

კამეჩი ცოხნის (აქტივი) ***ბალახს ⇒ კამეჩი იცოხნება*** (ობიექტჩ. უკუქცევითი)

(1) (Pot=Sb=ქვ) (Nonp=O^d=დპ) ⇒ (1') (Pot=Sb=ქვ) (NonP=O^d=X)

გოგო იცინის (მედიოაქტივი) ***⇒ ბიჭი აცინებს*** (კაუზატივი) ***გოგოს***

(2) (Pot_1=Sb=ქვ) ⇒ (2') (Pot_1=O^d(Rca)=დპ) (Pot_2=Sb(Ca)=ქვ)

(1) და (1') დიათეზათა მიმართება არის გარდამავალი ზმნის დიათეზის მიმართება მისი ობიექტჩართული ტრანსფორმის დიათეზასთან, ხოლო (2) და (2') დიათეზების მიმართება არის ამოსავალი მედიოაქტივის დიათეზის მიმართება მისგან წარმოქმნილი კაუზატივის დიათეზასთან.

(1)⇒(1') ტრანსფორმაციისას არ იცვლება ამოსავალი დიათეზის სემანტიკური (რეფერენტული და რეფერენტთა როლების) სტრუქტურები. ამ სტრუქტურების ერთეულების პირდაპირი შესაბამისობა შენარჩუნებულია ტრანსფორმირებულ (ობიექტჩართული უკუქცევითის) დიათეზაშიც. ცვლილება ხდება მხოლოდ სინტაქსურ სტრუქტურაში, რომელშიც I აქტანტითაა წარმოდგენილი ამოსავალი დიათეზის სუბიექტის როლის შემსრულებელი რეფერენტი, მაგრამ შეუვსებელია პირდაპირი ობიექტის შესატყვისი II აქტანტის – პირდაპირი დამატების პოზიცია.

(2)⇒(2') ტრანსფორმაციისას ირღვევა ამოსავალი დიათეზის სამივე დონის ერთეულთა პირდაპირი შესაბამისობა: ამოსავალი დიათეზის სუბიექტი (Sb) ტრანსფორმის დიათეზაში კაუზაციის რეციპიენტის (Rca) როლს ასრულებს და პირდაპირი დამატების პოზიციაში გადადის; წარმოქმნილი დიათეზის რეფერენტულ სტრუქტურაში შემოდის დამატებითი მონაწილე – ამოსავალი ზმნით დასახელებული სიტუაციის „გარეგანი ინიციატორი“ (Ca), რომელიც I აქტანტის პოზიციას იკავებს და, ამდენად, ტრანსფორმის დიათეზაში ამოსავალ დიათეზასთან შედარებით იზრდება რეფერენტთა რაოდენობა და იცვლება რეფერენტთა როლები.

ობიექტჩართული უკუქცევითი და ლექსიკურად მისი შესატყვისი გარდამავალი ზმნა სემანტიკური ვალენტობის თვალსაზრისით იდენტური ზმნური ლექსემებია, მაშინ როცა მედიოაქტივი სემანტიკური ვალენტობით განსხვავდება ლექსიკურად მისი შესატყვისი გარდამავალი ზმნისაგან.

ობიექტჩართული უკუქცევითისა და მისი წარმომქმნელი გარდამავალი ზმნის ლოგიკურ-სემანტიკური სტრუქტურების სრული მსგავსება და ბაზისური დიათეზის მიმართების: სუბიექტი=>ქვემდებარე შენარჩუნება განაპირობებს ამ ზმნური ლექსემების იდეოგრაფიულ სინონიმურობას და ქმნის მათი ორმხრივი თანაბარმნიშვნელობიანი პერიფრაზირების შესაძლებლობას; გარდამავალი ზმნით დასახელებული მოქმედების გამოხატვა მისი სინონიმური გარდაუვალი ობიექტჩართული დერივატით არის მეტონიმიური გარდასახვა – სრული აქტანტური სტრუქტურის მნიშვნელობის გამოხატვა შემცირებული აქტანტური სტრუქტურის მნიშვნელობით და ამ მეტონიმიური გარდასახვის ენობრივი ფუნქციაა მიზანმიმართული და დროში ლოკალიზებული აქტიური მოქმედების გარდაქმნა მიზანმიუმართავ და დროში განშლად, გრძლივ აქტიურ პროცესად.

მედიოაქტივისა და მისი გარდამავალი ტრანსფორმის (კაუზატივის) თანაბარმნიშვნელობიანი პერიფრაზირება კი შეუძლებელია. მედიოაქტივისაგან წარმოქმნილი კაუზატიური მნიშვნელობის მქონე გარდამავალი ზმნა სრულად ასახავს მედიოაქტივით დასახელებულ სიტუაციას, მაგრამ მის დიათეზაში მედიოაქტივის დიათეზის რეფერენტული სტრუქტურის აქტიური მონაწილე (Sb) კაუზაციის ობიექტად (Rca) წარმოდგება და, ამასთანავე, ჩნდება დასახელებული სიტუაციის შექმნის გარეგანი ინიციატორი (Ca). განსხვავებული რეფერენტული სტრუქტურების მქონებლობის გამო არ ხერხდება მედიოაქტივისა და სემანტიკური ვალენტობით მასზე აღმატებული ტრანსფორმის (კაუზატივის) თანაბარმნიშვნელობიანი პერიფრაზირება; მედიოაქტივი და მისი გარდამავალი ტრანსფორმი იდეოგრაფიულ სინონიმებად არასდროს არ მოიაზრება თანამედროვე ქართულში. მედიოაქტივი=>აქტივი ტრანსფორმაციის შედეგად არ იგულისხმება სრული აქტანტური სტრუქტურის მნიშვნელობის გამოხატვა შემცირებული აქტანტური სტრუქტურის მნიშვნელობით და, შესაბამისად, ეს ტრანსფორმაცია არ არის მეტონიმიური გარდასახვა.

ქართული ობიექტჩართული უკუქცევითები და მედიოაქტივები ერთმანეთს ემიჯნებიან კიდევ ერთი არსებითი ნიშნით – პასივის სემანტიკის გამოხატვის განსხვავებული შესაძლებლობით.

ობიექტჩართული უკუქცევითები: ***იხუჭება, იცოხნება, იწერება, ისწავლება*** და ა.შ., რომლებსაც სათანადო ამოსავალი გარდამავალი ზმნების სემანტიკური სტრუქტურების აბსოლუტურად მსგავსი სემანტიკური სტრუქტურები და, აქედან გამომდინარე, სემანტიკური პირდაპირი ობიექტის გაგება აქვთ, I აქტანტის

სემანტიკის შესაბამისად, ხან აქტივის და ხან პასივის მნიშვნელობას იძენენ სინტაქსურ კონსტრუქციაში. თუკი ობიექტჩართული უკუქცევითის ლექსიკური მნიშვნელობით არ შეიზღუდა ამოსავალი ზმნის II აქტანტის გამოჩენა ობიექტჩართული ტრანსფორმის I აქტანტის პოზიციაში, ობიექტჩართულ უკუქცევითს გაუჩნდება პასივის სემანტიკის გამოხატვის, პირდაპირი ობიექტის – მოქმედების მიზნის პოზიციიდან სიტუაციის წარმოდგენის პოტენცია. მედიო-აქტიური ზმნები კი არასოდეს არ გვხვდებიან პასივის მნიშვნელობით. „ამ ზმნებით გამოიხატება აქტიური პროცესი, რომელიც რაიმე გარკვეული მიზნის მიღწევას არ გულისხმობს; ამდენად, ეს ზმნები უმიზნო ატელიკური ზმნებია, განსხვავებით მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებისაგან, რომლებშიც პაციენსის მიმართ გარკვეული მიზანდასახული მოქმედება არის შესასრულე-ბელი“ (მელიქიშვილი, 2002, 123).

რადგან მედიოაქტიური ზმნა ატელიკური ზმნაა, რომლის დიათეზაში არ იგულისხმება მოქმედების მიზნის – პირდაპირი ობიექტის სემანტიკური როლის შემსრულებელი რეფერენტი, მედიოაქტივი ვერ შეძლებს პირდაპირი ობიექტის პოზიციიდან სიტუაციის წარმოდგენას, პასივის სემანტიკის გამოხატვას და გარდა ამისა, ვეღარც ობიექტჩართულ ანუ ლექსიკური მნიშვნელობით სემანტიკურ პირდაპირ ობიექტზე მიმანიშნებელ ზმნურ ლექსემად ჩაითვლება.

მედიოაქტიური ზმნები „გამოხატავენ პროცესს, რომელიც შეიძლება შეწყდეს და ამ სახით საზღვარი დაედოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს რაიმე დასახული მიზნის მიღწევას, რაიმე ამოცანის შესრულებას. ამიტომ ატელიკური ზმნისათვის სრული ასპექტის შინაარსი შინაგანად შეუთავსებელია“ (მელიქიშვილი, 2002, 123). „საშუალო გვარის ფორმებით, ძირითადად, გარკვეული სახის მუდმივობა გამოიხატება; უმთავრესად ეს არის დროში შეუზღუდავი მოქმედება (რომლის არც დასაწყისი და არც დასასრული არაა ასახული შესაბამისი ზმნური ფორმის სემანტიკაში)“ (ივანიშვილი, სოსელია, 2002, 135).

სისრულის სემანტიკის გამოხატვა თანამედროვე ქართულში არც ობიექტ-ჩართულ ზმნებს შეუძლიათ. ამ უკუქცევითი ტრანსფორმებით მოქმედების შესრულებას სუბიექტის პოტენციური შესაძლებლობის, თვისების მნიშვნელობა ენიჭება და, რადგან თვისება და სისრულე შინაგანად შეუთავსებელი კატეგორიებია, ობიექტჩართული ზმნები, როგორც წესი, სრული ასპექტის სემანტიკას ვერ გამოხატავენ. ამ ნიშნით ობიექტჩართული უკუქცევითები უახლოვდებიან მედიოაქტივებს: ობიექტჩართული უკუქცევითიც და

მედიოაქტივიც დასახელებული მოქმედების დროში განშლადობას (და არა ლოკალიზაციას) გულისხმობს.

მედიოაქტივისა (მდგომარეობის აღმნიშვნელი ზმნის) და ობიექტჩართული უკუქცევითის (საგნის ან პირის ჩვევა-თვისებად აქტიური მოქმედების წარმომდგენი ზმნური ლექსემის) საერთო სემანტიკური ნიშანია აგრეთვე ის, რომ ორივე მათგანი სუბიექტისა და დასახელებული მოქმედების ბენეფაქტიურ-პოსესიურ მიმართებაზე აკეთებს აქცენტს და მოქმედებას წარმოადგენს სუბიექტის სფეროთი შემოსაზღვრულად, სუბიექტის მუდმივ საქმიანობად თუ ზოგად მახასიათებელ თვისებად. ეს ინვარიანტული სემანტიკური ნიშანი ობიექტჩართულ უკუქცევითშიც და მედიოაქტივშიც მარკირებულია პოსესიურ-ბენეფაქტიური მნიშვნელობის მქონე ი-პრეფიქსით (ობიექტჩართულ უკუქცევი-თებში იშვიათად გვხვდება დ-სუფიქსიც), რომელიც მიკუთვნების სემანტიკის გამომხატველ პრედიკაციულ ელემენტად გვევლინება ორივე ტიპის ზმნურ ლექსემაში.

მდგომარეობისა და თვისების ერთი და იმავე ფორმალური ნიშნით მარკირება ტიპოლოგიურად სრულიად კანონზომიერია (ქარქაშაძე, 2005, 261–264) და არც ქართული მედიოაქტივები და ობიექტჩართული უკუქცევითები არღვევენ ამ კანონზომიერებას.

მიუხედავად გარკვეული მსგავსებისა, ქართული მედიოაქტიური და ობიექტ-ჩართული ზმნების სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლების შეპირისპირე-ბითი და ტიპოლოგიური ანალიზი აჩვენებს, რომ ეს ზმნური ლექსემები არსებითი ნიშან-თვისებებით განსხვავებული ენობრივი ერთეულებია და მედიო-აქტივის განხილვა ობიექტჩართულ უკუქცევით ზმნად ტიპოლოგიურად წინააღმდეგობრივია.

თავი VI

მდგომარეობის აღმნიშვნელ ზმნათა უნივერსალურ-ტიპოლოგიური მახასიათებლები და პოსესიური მიმართების მარკერის ფუნქცია მდგომარეობის აღმნიშვნელ ზმნებში

ქართულ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში მედიოაქტივებად წოდებული ზმნები ფიზიკური, ემოციური და მენტალური მდგომარეობის გამომხატველი გარდაუვალი ზმნებია.

გრამატიკულ მდგომარეობად მოიაზრება ისეთი პროცესი ან მოქმედება, რომელსაც არა აქვს და არც ეგულისხმება ობიექტი, რომელზეც ვრცელდება ეს პროცესი თუ მოქმედება. გრამატიკული მდგომარეობის ცნება, რომელიც არ უტოლდება მდგომარეობის ზოგად ცნებას, გულისხმობს სუბიექტის სფეროთი შემოფარგლულ პროცესს, მდგომარეობას ან მოქმედებას. „ეს არის (თუ შეიძლება ასე ითქვას) მოქმედების პროცესის სტატიკურად წარმოსახვა...“ (ჯორბენაძე, 1975, 177–179).

ქართული მედიოაქტივები გამოხატავენ გრძლივ პროცესს, მოქმედებას ან მდგომარეობას, რომელიც თავის ყოველ მონაკვეთში ჰომოგენურია, ერთგვაროვანია. ამ პროცესს თუ მოქმედებას არა აქვს არანაირი პერსპექტივა, გარდა მონოტონური გრძლიობისა. მედიოაქტივი არ გამოხატავს სუბიექტის მიზანმიმართულ მოქმედებას, არამედ გულისხმობს გარკვეულ პროცესში სუბიექტის ყოფნას. ეს ზმნები დიურატიული ზმნებია, რომელთა სუბიექტს დაკარგული აქვს აგენსურობა (მელიქიშვილი, 1991, 133).

მედიოაქტივები გარდაუვალი სემანტიკის მქონე ზმნებია, მაგრამ ზოგიერთი მათგანი გარკვეულ კონტექსტში იჩენს პირდაპირი ობიექტური პირის გაგებას, თუმცა ამ კონტექსტის გარეშე იგი არ მოიაზრება გარდამავალ ზმნად:

ბიჭი თამაშობს ეზოში (გარდაუვალი);

ბიჭი თამაშობს ჭადრაკს (გარდამავალი).

მაშინაც კი, როცა აღნიშნული სემანტიკური კლასის ზმნას უჩნდება პირდაპირი ობიექტური პირის გაგება, ის ობიექტი სუბიექტის „მოქმედების“ შედეგად თვისებრივად არ იცვლება, მას არაფერი „ემართება“. როცა მედიოაქტიური ზმნით გამოხატულ შემასმენელს წინადადებაში არ ახლავს პირდაპირი დამატება, შეუძლებელია ლაპარაკი პირდაპირი დამატების ელიფსისზე, რადგან ეს წინადადება სტრუქტურულად სრულია.

მედიოაქტივთა სემანტიკურ კლასში შედის როგორც მოქმედების (იბრძვის, იღვწის, დარბის, ვარჯიშობს...), ისე ემოციური თუ ფიზიკური მდგომარეობისა (ღელავს, იცინის, იცდის...) და მენტალური პროცესების (ფიქრობს, აზროვნებს...) აღმნიშვნელი ზმნები. აქვე შემოდის ბგერათწარმომქმნელი პროცესების (ჭიკჭიკებს, ტიკტიკებს...) აღმნიშვნელი და ნასახელარი (კაცობს, ნადირობს...)

ზმნები. მედიოაქტივთა კლასში იგულისხმება აგრეთვე ბუნების მოვლენათა გამომხატველი ზმნების ერთი ნაწილი (ქუხს, ქრის, თოვს...).

ქართული ენის მედიოაქტიური ზმნების პარადიგმატულ ფორმებში გამოიყოფა ბენეფაქტიურ-პოსესიური პრეფიქსი ი-: ი-ცინის, ი-რბინა, ი-ვლის. ი-პრეფიქსი წარმოდგენილია აგრეთვე სათავისო ქცევისა (სასუბიექტო ვერსიის) და სხვა ტიპის უკუქცევით ზმნებში.

ქართული ზმნის მკვლევართა ერთი ნაწილი, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, მედიოაქტიური ზმნების პარადიგმატულ ფორმებს განიხილავს სათავისო ქცევის ფორმებად, რომლებიც დანაკლის მწკრივებს უვსებენ მედიოაქტივებს, ხოლო ამ ფორმებში დადასტურებულ ი-პრეფიქსს მიიჩნევს სათავისო ქცევის ნიშნად, ზოგი მკვლევარი კი თვლის, რომ მედიოაქტივები მოქმედების სუბიექტზე უკუქცევას გამოხატავენ. ეს ავტორები ლექსიკურად შესატყვის გარდამავალ ზმნასთან მედიოაქტივის მიმართებისა და „ტრანსფორმის“ სემანტიკური სტრუქტურის აღწერის გარეშე განიხილავენ მედიოაქტივის პარადიგმატული ფორმების ი-პრეფიქსს უკუქცევით ზმნათა ინვარიანტული სემანტიკური ნიშნის – სუბიექტზე მოქმედების უკუქცევის გამომხატველად (მარი, 1925, 136–137; ჯორბენაძე, 1975, 78–80). განსხვავებული თვალსაზრისით, მედიოაქტივებისათვის (ავტოტივებისათვის) ძირითადად სტატიკურობა და უკუქცევითობაა (რეფლექსურობაა) დამახასიათებელი. ავტოტივები „შინაგანად შეიცავენ პირდაპირ ობიექტს და ზედაპირზე არასრული კონსტრუქცია აქვთ. ამიტომ, თუმცა მათ აბსოლუტური აგებულება აქვთ, მაგრამ კანონზომიერია, რომ მყოფად-წყვეტილის ჯგუფის მწკრივებს ისინი აწარმოებენ ი-პრეფიქსის საშუალებით, რომელიც ავტოტივებშიც და პასივებშიც რეფლექსივის ნიშანია ... ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ მყოფად-წყვეტილის ი-პრეფიქსიანი ფორმები აქტივისაგან ნასესხებად კი არ ჩავთვალოთ, არამედ ავტოტივ-რეფლექსივის კანონზომიერ ფორმებად“ (მელიქიშვილი, 2001, 83–85).

მყოფად-წყვეტილის ი-პრეფიქსიან ფორმებს მედიოაქტივთა პარადიგმის ორგანულ, საკუთარ ფორმებად მოიაზრებს სხვა მკვლევარიც, თუმცა, მისი აზრით, ი-პრეფიქსის „მორფოლოგიური ფუნქცია მოცემულ ეტაპზე დაბნელებულია“ (ნოზაძე, 2005, 205).

განსახილველ საკითხთან დაკავშირებული ძირითადი ჰიპოთეზების ეს ჩამონათვალიც ცხადყოფს, რომ მედიოაქტივების ი-პრეფიქსის გრამატიკული

მნიშვნელობის კვლევას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგრამ მაინც არ არის დაზუსტებული მედიოაქტივების პარადიგმატულ ფორმებში პოსესიურობის მარკერის გამოჩენის ენობრივი საფუძველი. ამისი მიზეზი, ვფიქრობთ, ის გარემოებაა, რომ ქართული ენის მედიოაქტივებში ი-პრეფიქსის გრამატიკული ფუნქციით დაინტერესებული მკვლევრები არ ითვალისწინებენ მედიოაქტივების, როგორც მდგომარეობის აღმნიშვნელი პირველადი ზმნების, სემანტიკურ თავისებურებებს, მათ ზოგად–ტიპოლოგიურ მახასიათებლებს და ყურადღებას ძირითადად ამახვილებენ ქართული უკუქცევითი ზმნებისა და მედიოაქტივების ფორმალურ მსგავსებაზე. ჩვენი აზრით, მედიოაქტივებში პოსესიურობის მარკერის ფუნქციის განსაზღვრისას ამ ზმნების სტრუქტურულ თავისებურებებთან ერთად აუცილებელია მათი ტიპოლოგიური ნიშან-თვისებების გათვალისწინებაც.

როდესაც მედიოაქტივების ი-პრეფიქსს სათავისო ქცევის ნიშნად, მედიოაქტივების პარადიგმატულ ფორმებს კი სათავისო ქცევის ფორმებად აცხადებს, ა. შანიძე მიუთითებს მედიოაქტივებისა და სათავისოს ფორმალურ მსგავსებაზე, თუმცა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მედიოაქტიური ზმნების პარადიგმატული ფორმები და სათავისო ქცევის ფორმები სემანტიკურად განსხვავებული ენობრივი ერთეულებია:

„*ი- დუღებს* (წყალი) – გარდაუვალია, რადგან არ გულისხმობს პირდაპირ ობიექტს; უქცეოა, რადგან აკლია ქცევის კატეგორიის გამოსაჩენად საჭირო ფორმები; უასპექტოა, რადგან აკლია სათანადო საპირისპირო ფორმები; დრო მომავალია.

ი- დუღებს (წყალს) – გარდამავალია, რადგან გულისხმობს პირდაპირ ობიექტურ პირს; ქცევიანია, სათავისო, რადგან აქვს საპირისპირო ადუღებს-უდუღებს ფორმები; ასპექტიანია, რადგან გვერდით უდგას სრულასპექტიანი ***აიდუღებს***; დრო ახლანდელია“(შანიძე, 1980, 472-473).

ა. შანიძის აზრით, ეს ორი ფორმა ერთმანეთს ემთხვევა მხოლოდ „ბგერობრივ“ და უღვლილების მოდელით (შანიძე, 1980, 472–474), მაგრამ „ფუნქციური განსხვავება მათ შორის ისე დიდია, რომ ყოვლად შეუძლებელია მათი მიჩნევა ერთი ზმნის ფორმად” (შანიძე, 1980, 473).

მიუხედავად იმისა, რომ მედიოაქტივების პარადიგმატული ფორმები სათავისოს მხოლოდ ფორმალური ნიშნებით ემთხვევიან, ა. შანიძე მათ მაინც სათავისო

ქცევის "ნასესხებ" ფორმებად თვლის, ხოლო ი-პრეფიქსს – სათავისოს ნიშნად: „...ი, რომელიც თავში უჩნდება ზმნებს: ი-დუღებს, ი-ტირებს, ი-კივლებს და მისთ..., არის სათავისო ქცევის ნიშანი იმავე ფუძის მოქმედებითი გვარის ზმნისა... ყველაფრად ცხადია, რომ ერთპირიანი მედიოაქტიური ზმნები დანაკლის მწკრივებს ივსებენ სათანადო მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის ფორმებით ამასთან დაკავშირებული ცვლილებებით (როგორიცაა პირდაპირობიექტური პირის დაკლება და ერთპირიანად გახდომა და სხვა)" (შანიძე, 1980, 474).

მედიოაქტივების უღვლილების პარადიგმაში გარდაუვალი და, რაც მთავარია, „უქცეო მნიშვნელობის სათავისოს" ფუნქციონირებას ავტორი სათავისოს პოლისემიურობით ხსნის: „...იდუღებს პოლისემიური ფორმაა: ერთ შემთხვევაში იგი ერთპირიანია, სხვა შემთხვევაში – ორპირიანი; ერთ შემთხვევაში უქცეოა, სხვა შემთხვევაში – ქცევიანი და სხვ." (შანიძე, 1980, 473).

თუკი თანამედროვე ქართულში სათავისოს, კუთვნილება-დანიშნულების მიმართების გარდა, მართლაც შეუძლია გამოხატოს გარდაუვალი ზმნის სუბიექტის ყოფნა ამა თუ იმ მდგომარეობაში, უნდა ვაღიაროთ, რომ იგი პოლისემიურია, რადგან პოლისემიურია, საზოგადოდ, ნებისმიერი ენობრივი ერთეული, რომელსაც ერთზე მეტი დენოტატი შეესაბამება (გამყრელიძე და სხვ., 2003, 356). მაგრამ, ჩვენი აზრით, ქართული ენის სათავისო ქცევის ფორმების პოლისემიურად გამოცხადება არის ფორმალურად მსგავსი მედიოაქტივისა და სათავისოს სემანტიკურადაც დაახლოების და ამით მედიოაქტივის პარადიგმატულ ფორმებში სათავისოს მარკერის გამოჩენის გამართლების საკმაოდ ხელოვნური და უსაფუძვლო მცდელობა.

ენათმეცნიერებაში დამკვიდრებული თვალსაზრისით, პოლისემიასთან მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე, როცა ლექსემას ეცვლება ინტენსიონალი გარკვეული სემანტიკური კომპონენტის დაკარგვის ან შეძენის შედეგად და ენაში მკვიდრდება ახალი ლექსემა, რომელსაც პირველად, ამოსავალ ლექსემასთან აკავშირებს მნიშვნელობის ნაწილი, „საერთო სემანტიკური კომპონენტი, არატრივიალური საერთო სემა, რომელიც მათ საგრძნობ სემანტიკურ ნათესაობას აფიქსირებს" (გამყრელიძე და სხვ., 2003, 356). მნიშვნელობის ცვლილების შედეგად ფართოვდება ლექსემის სემანტიკური ველი და მას უჩნდება მონათესავე ცნებების აღნიშვნის უნარი.

ლექსემის პოლისემიურობის გამოვლენის აღნიშნული პრინციპის მიხედვით, სათავისო ქცევის ფორმა ქართულში ვერ ჩაითვლება პოლისემიურად, რადგან

მედიოაქტივების უქცეო პარადიგმატულ ფორმებს არანაირი არატრივიალური საერთო სემა არ აკავშირებს სათავისო ქცევის ფორმებთან; უობიექტო მედიოაქტივებს არ გააჩნიათ სუბიექტსა და ობიექტს შორის კუთვნილება-დანიშნულების მიმართების გამოხატვის შესაძლებლობა.

აქედან გამომდინარე, წინააღმდეგობრივია იმის მტკიცება, რომ პოლისემიურ სათავისო ქცევის ფორმებს თანამედროვე ქართულში შეუძლიათ „მონათესავე ცნების“ – მდგომარეობის კატეგორიის გამოხატვა. ერთადერთი სემანტიკური კომპონენტი, რომელიც მედიოაქტივებს საერთო აქვთ სათავისოსთან, არის სუბიექტის სფეროში მოქმედების ჩაკეტილობა, მაგრამ იგივე სემა მედიოაქტივებს აახლოებს ნებისმიერ უკუქცევით ზმნასთან, რადგან "...вообще, за небольшим исключением, в любом возвратном глаголе, образованном от переходного глагола, действие сосредоточивается, замыкается в самом субъекте, но семантическое соотношение с производящей основой может быть при этом различным" (იანკო-ტრინიცკაია, 1962, 152).

ქართული ენის მედიოაქტივების პარადიგმატული ფორმების მიჩნევას სათანადო გარდამავალი ზმნისაგან წარმოქმნილ უკუქცევით ფორმებად ეწინააღმდეგება მდგომარეობის აღმნიშვნელ ზმნათა ერთი საერთო ტიპოლოგიური მახასიათებელი: მდგომარეობის გამომხატველი ზმნები ხშირად იზოლირებულად, გარდამავალი შესატყვისის გარეშე ფუნქციონირებენ ენაში და, თუ გამოუჩნდებათ გარდამავალი ცალი, იგი მეორეული იქნება და ნაწარმოები იქნება ლექსიკურად შესატყვისი მდგომარეობის აღმნიშვნელი ზმნისაგან.

იზოლირებულად არიან ენაში წარმოდგენილი: ქართ. ცრუობს, თოვს, დაობს; რუს боится „შიშობს“, гордится „ამაყობს“, опасается „ფრთხილობს“; ინგლ. It rains „წვიმს“; ფრანგ. s’agenouiller „მუხლებზე დგას“; სანსკრ. jarate „ვფხიზლობ“, manyate „ვღელავ“, bhunkte „ვხეირობ“, „ვნეტარებ“, bhayate „ვშიშობ“; ლათ. frùor „ვხეირობ“, lóquor „ვლაპარაკობ“, spåtior „დავხეტიალობ“, „ვნავარდობ“; ძვ. ბერძნული μαίνομαι „ვღელავ“; ესკიმ. agulaḳuḳ „ქანაობს“, agutagaḳuḳ „ამთქნარებს“, kakavaḳuḳ „ღელავს“, „შიშობს“; ჰაუსა – gudu „მირბის“; ნივხ. nʿ-sald „ყოყოჩობს“, „დიდგულობს“, nʿ-mangud „ტრაბახობს“; ლიტვ. brautis „ძლივს გადის“, versiuotis „ხბოს იგებს“ (телится).

შესაძლებელი იყო სხვა ენების მონაცემების მოხმობაც, მაგრამ, ვფიქრობთ, აქ წარმოდგენილი მაგალითებიც საკმარისია იმის წარმოსაჩენად, რომ იზოლირებულობა ფიზიკური, ემოციური და მენტალური მდგომარეობის გამომხატველი

ზმნების ერთ-ერთი ტიპოლოგიური მახასიათებელია და ლექსიკურად შესატყვისი გარდამავალი ცალის გარეშე ენაში მათი ფუნქციონირება ტიპოლოგიურად საკმაოდ ალბათურია.

რადგან მედიოაქტიური ზმნები: **ცრუობს**, **თოვს**, **დაობს** იზოლირებულნი არიან და თანამედროვე ქართულში მათ არ უდასტურდებათ გარდამავალი ლექსიკური შესატყვისები, ალოგიკურია იმის მტკიცება, რომ ამ ზმნათა პარადიგმატური ფორმები: იცრუებს, ითოვებს, იდავებს და სხვ. ლექსიკურად მათი შესატყვისი გარდამავალი ზმნების სათავისო ქცევის ფორმებია, რომლებიც მედიოაქტივებს დანაკლის მწკრივებს უვსებენ.

აღნიშნული გარემოება თავისთავად სვამს ქართულ მედიოაქტივთა პარადიგმატული ფორმების იმანენტურობის, მედიოაქტივთა სემანტიკით მათი განპირობებულობის საკითხს.

ზემოთ უკვე მივუთითეთ მდგომარეობის გამომხატველი ზმნების კიდევ ერთ ტიპოლოგიურად დამახასიათებელ ნიშანზე: თუ მდგომარეობის გამომხატველ ზმნას ენაში შეესაბამება გარდამავალი (აქტიური) ზმნა, ეს უკანასკნელი ხშირად მეორეულია, მდგომარეობის აღმნიშვნელი ზმნის გარდამავალი ტრანს-ფორმია.

ამ მოსაზრების მართებულობას, პირველ რიგში, ამტკიცებენ უძველესი წერილობითი ისტორიის მქონე ენათა მონაცემები, რომელთა საშუალებით ხერხდება მდგომარეობის გამომხატველი გარდაუვალი ზმნებისაგან გარდამავალი ფორმების წარმოქმნის ისტორიულ პროცესზე დაკვირვება (იხ. ზემოთ).

ქართულ სპეციალურ ლიტერატურაშიც არაერთხელ აღინიშნა, რომ გარდამავალი ზმნების გარკვეული ნაწილი წარმომდგარია სათანადო ფუძის მედიოაქტივებისაგან და კაუზატივის სემანტიკას გამოხატავს (იხ. ზემოთ).

პირველადი მედიოაქტივის პარადიგმატული ფორმების მიჩნევა ლექსიკურად შესატყვისი გარდამავალი ზმნის სათავისო ქცევის ფორმებად, ქცევის გაგებისგან დაცლილ "ნასესხებ" ზმნურ ლექსემებად, მაშინ როცა ყველა მედიოაქტივს ქართულში არ ეძებნება საპირისპირო გარდამავალი ცალი, მეთოდოლოგიურად წინააღმდეგობრივია. ასევე წინააღმდეგობრივია მოსაზრება, რომელიც უშვებს ქცევის გაგებისგან დაცლილ ფორმებში ქცევითი სემანტიკის მარკერის არსებობას.

ქართული მედიოაქტივების სემანტიკური სტრუქტურისა და ამ ზმნებში დადასტურებული ი-პრეფიქსის გრამატიკული ფუნქციის კვლევისას საგანგებო ყურადღების ღირსად გვესახება ის ფაქტი, რომ ენებში, რომლებშიც ზედსართავი სახელები არ ქმნიან დამოუკიდებელ ლექსიკურ კლასს, ატრიბუტული სემანტიკა გამოიხატება სტატიკური ზმნით. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა აქტიური წყობისა და მაიზოლირებელი ენების მონაცემები, კერძოდ კი ის შემთხვევები, როცა ენაში ერთსა და იმავე კონსტრუქციას ხან პრედიკატული მნიშვნელობა აქვს, ხან კი – ატრიბუტული, და მხოლოდ ფართო კონტექსტით ხდება მათი სემანტიკის დადგენა. მაგ.: ვიეტნამური Mât trời moc lěn ნიშნავს: 1) „მზე ამოდის“; 2) „ამომავალი მზე“ (ბისტროვი, სტანკევიჩი, 1981, 104). მხოლოდ კონტექსტით განირჩევა, ზმნურია ეს კონსტრუქცია თუ ატრიბუტული. ინდონეზიურშიც ზედსართავი სახელები და სტატიკური ზმნები ერთნაირ სინტაქსურ კონსტრუქციებს ქმნიან, ამიტომ ზედსართავები ინდონეზიურში სტატიკურ ზმნათა ქვეკლასად განიხილებიან (ოგლობლინი, 2001, 65). სენეკა ენაში (იროკეზული ოჯახი, ჩრდ. ამერიკა) thaiwai ნიშნავს: 1) „კეთილი, პატიოსანი“; 2) „ის კეთილია“, „ის პატიოსანია“ (კლიმოვი, 1977, 105).

წინადადებაში მნიშვნელობის მქონე ელემენტთა რიგით განპირობებულ უნივერსალიებზე მსჯელობისას ჯ. გრინბერგი აღნიშნავს, რომ ბევრ ენაში ადიექტიური მნიშვნელობის მქონე სიტყვები გარდაუვალი ზმნებივით იქცევიან: "Во многих языках слова со значением прилагательного ведут себя как непереходные глаголы. В таком случае в роли прилагательного выступает относительное предложение или причастие... В некоторых языках, таких как арапешский (Новая Гвинея) выражение The good man came "Хороший человек пришел" буквально можно было бы перевести как The man is-good that-one he came "Человек-хороший тот-который он пришел" (გრინბერგი, 1974, 147). სვანურში სტატიკური ზმნის ატრიბუტული მნიშვნელობით ფუნქციონირების შემთხვევებს აფიქსირებს გ. მაჭავარიანიც: „შანიძის აზრით, შედარებითი ხარისხის ფორმა უღლებადი სახელი იყო. ისმის კითხვა: იქნებ შედარებითი ხარისხის ფორმა ზმნა იყო და არა სახელი? სვანური ***ხ-ო-ჩ-ა*** („კარგი“)... გვიჩვენებს, რომ ამ ფორმას ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი არ დაერთვოდა... ***ხოჩა*** იხმარება პირიანი ზმნის ფუნქციითაც (ხოჩა ეჯა ეჩის „იგი მას სჯობს“). ამგვარი მოვლენა დასტურდება ბალსზემოურში, ბალსქვემოურში, ლაშხურში, პოეზიის ენაში. ***ხოჩა*** დროთა მიხედვითაც იცვლება: ხოჩ̄ანდა („სჯობდა“) – ხეჩ̄ენი („ემჯობინება“)... ამ შემთხვევაში ზედსართავი ზმნიდან მომდინარეობს.

თუ ქართველური ენების მონაცემებს გავითვალისწინებთ, ამგვარი გადასვლა შეუძლებელი არ არის (არს–არსი, იქცევის–იქცევისი, იძვრის–იძვრისი, ღირს–ღირსი, ჰგავს–მსგავსი (ა. შანიძე), ზარ-მაც – ზარმაცი (ილ. აბულაძე). ამდენად, ქართულში არის შესაძლებლობა, რომ ზმნა გასუბსტანტივდეს ან გაატრიბუტივდეს... ამგვარად, ***ხოჩა*** წარმოშობით თვითონ არის ზმნა, რადგანაც მას დამხმარე ზმნა არ სჭირდება“ (მაჭავარიანი, 2002, 134–135).

შენიშვნა: ე. ბენვენისტი მიუთითებს ატრიბუტის პრედიკატულ ბუნებაზე, ნებისმიერ ატრიბუტს მოიაზრებს „არის“ ან „აქვს“ სტატიკური ზმნის შემცველ პოსესიურ პრედიკატულ კონსტრუქციად და, ფაქტობრივად, განმარტავს ატრიბუტის მნიშვნელობით მდგომარეობის აღმნიშვნელი ზმნის გამოყენების ენობრივ საფუძველს. "Атрибутивное предложение имеет своим признаком предикат существования "быть у (принадлежать)" (être à), который необходимо предполагает носителя атрибута, выраженного или невыраженного... почти все прилагательные можно было бы назвать "посесивными", поскольку синтаксически они согласуются с существительным, которое является как бы "обладателем качества" (ბენვენისტი, 1974, 251).

მდგომარეობის გამომხატველი ზმნების ამ ტიპოლოგიურ თავისებურებას ძალაუნებურად მივყავართ დასკვნამდე: თუ ენა უშვებს ფიზიკური, ემოციური თუ ინტელექტუალური მდგომარეობისა და ატრიბუტული სემანტიკის ზმნური ფორმით გამოხატვას, მაშინ ამ ზმნით მითითებული მდგომარეობა ისეთივე მიმართებას ქმნის აღნიშნულ მდგომარეობაში მყოფ სუბიექტთან, როგორსაც თვისება – თავის პოსესორთან; რომ საგნის ან პირის მდგომარეობის გამომხატველი ზმნა ისეთივე პოსესიური პრედიკატული კონსტრუქციაა, როგორიც საგნის ან პირის თვისების აღმნიშვნელი ატრიბუტი.

მართლაც, მდგომარეობის გამომხატველ ზმნათა მახასიათებლების ტიპოლოგიური ანალიზი აჩვენებს, რომ ამა თუ იმ ენის სტატიკურ (მდგომარეობის აღმნიშვნელ) ზმნათა მორფოლოგიურ სტრუქტურაში, მიუხედავად იმისა, ეს ზმნები იზოლირებულია თუ არა, წარმოდგენილია პოსესიური მნიშვნელობის მარკერი, რომლითაც ამ ენის გარდამავალი ზმნებისაგან წარმოქმნილ უკუქცევით ფორმებში ხდება სიტუაციის ამა თუ იმ მონაწილეზე მოქმედების უკუქცევის ან სუბიექტისათვის მოქმედების შედეგის დანიშვნა-მიკუთვნების მარკირება.

ქართ.: ი-ხატავს (სათავისო), ი-ლესება (ვნებითი), ი-მოსება (რეფლექსივი);

უკუქცევითობის მარკერია ი-;

ი-თოვებს (იზოლირებული მედიოაქტივი);

რუს.: строит-ся „შენდება“ (ვნებითი);

наряжает-ся „იკაზმება“ (რეფლექსივი);

უკუქცევითობის მარკერია -ся;

гордит-ся „ამაყობს“ (იზოლირებული სტატიკური ზმნა).

სომხ.: sark-v-el „მზადდება“ (ვნებითი);

serb-v-el „მშრალდება“ (რეფლექსივი);

უკუქცევითობის მარკერი – v-;

baxtavor-v-el „ნეტარებს“ (პირველადი სტატიკური ზმნა).

ლიტვ.: susitraške „გაიჭყლიტა“ (ვნებითი);

pas-is-lepe „დაიმალა“ (რეფლექსივი);

pa-si-diribo „გაიკეთა“ (სათავისო);

უკუქცევითობის მარკერები: -s, -si-, -is;

braut-is „ძლივს გადის“ (იზოლირებული სტატიკური ზმნა).

ფრანგ.: s’achetent „იყიდება“ (ვნებითი);

s’essuya „გამშრალდა“ (რეფლექსივი);

se servir „ჩაიდო“ (სათავისო);

უკუქცევითობის მარკერია უკუქცევითი ნაცვალსახელი se, s’-;

S’agenouiller (მუხლებზე დგას) (იზოლირებული სტატიკური ზმნა).

ძვ. ბერძ.: τιμωρήσο-μαι „შურს ვიძიებ“ (სათავისო);

νείφο-μαι „თოვლით ვიფარები“ (ვნებითი);

ἐκκλύπτο-μαι „ვშიშვლდები“ (რეფლექსივი);

უკუქცევითობა გამოიხატება მედიალური დაბოლოებით -μαι;

φοβέο-μαι „ვშიშობ“ (პირველადი სტატიკური ზმნა).

ნივხ.: nʿlikud „ჩაიმაგრა“ (სათავისო);

nʿxavud „ვთბები“ (რეფლექსივი);

უკუქცევითობის მარკერია nʿ-;

nʿxilmid „ვფიქრობ“ (სტატიკური ზმნა).

განსაკუთრებით საინტერესოა აქტიურ ენათა მონაცემები. აქტიური წყობის ენებს, რომელთა ზმნური სისტემის მაორგანიზებელია აქტიური და ინაქტიური (სტატიკური) ზმნების დაპირისპირება, არ გააჩნიათ უკუქცევითობის ზმნური

კატეგორია, რადგან აქტიური ტიპოლოგიის ენათა სტრუქტურული კომპონენტები არ არის ორიენტირებული სუბიექტისა და ობიექტის კორელაციის გამოხატვაზე. აქტიური წყობის ენათა სტატიკური ზმნები გამოხატავენ ინაქტიური სუბიექტის მდგომარეობას ან თვისებას. ისინი უკავშირდებიან როგორც აქტიური, ისე ინაქტიური სახელური კლასის წევრით გამოხატულ ქვემდებარეს, სტატიკურ ზმნაში აღნიშნულს ინაქტიური სერიის პირის ნიშნებით.

ჩვენთვის საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ინაქტიური რიგის ზმნური პირის აფიქსები აქტიური წყობის ენებში ემთხვევა ორგანული კუთვნილების გამომ-ხატველ სახელურ აფიქსებს. როგორც გ. კლიმოვი აღნიშნავს, "такое тождество должно быть естественным, если считать, что глагольный аффикс инактивного ряда определенно сигнализирует неотчуждаемость, нераспространяемость "действия" (точнее, состояния или качества) от его предметного референта" (კლიმოვი, 1977, 150).

ტუნიკა ენაში (ჩრდ. ამერიკა) სტატიკური ზმნები უღვლილებისას პირის ნიშნებთან ერთად ირთავენ ორგანული კუთვნილების გამომხატველ სახელურ პრეფიქსებს. ამიტომ, ე. ბენვენისტის აზრით, შესაძლებელია ტუნიკა ენის სტატიკურ ზმნათა მნიშვნელობის დაყვანა ემოციური, ინტელექტუალური თუ ფიზიკური მდგომარეობისა და მქონებლობის ცნებებზე (ბენვენისტი, 1974, 214).

რადგან ტუნიკა ენაში ინაქტიური სერიის პირის ნიშნებით გამოიხატება მდგომარეობის სუბიექტი, ორგანული კუთვნილების აღმნიშვნელი სახელური აფიქსები სწორედ მდგომარეობის სუბიექტს წარმოადგენენ მდგომარეობის ან თვისების პოსესორად.

ზემოგანხილული ენობრივი მონაცემები ცალსახად მიუთითებენ იმაზე, რომ სუბიექტისათვის ფიზიკური, ემოციური და მენტალური მდგომარეობის მიკუთვნება, მდგომარეობის წარმოდგენა სუბიექტის „ორგანულ კუთვნილებად“, მდგომარეობის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკის ზმნური ფორმით გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა, სტატიკური ზმნის „შექმნის“ ერთ-ერთი მეთოდია ენებში.

სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად ხდება მდგომარეობის სემანტიკის ზმნური ფორმით აღნიშვნა, შესაბამისად იმისა, თუ რომელ ფორმალურ ნიშნებს იყენებს ენა პოსესიურობის სემანტიკის მარკირებისათვის.

მდგომარეობის კატეგორიის ზმნური ფორმით გამოხატვისათვის ენებში გამოყენებული პრინციპების გათვალისწინება ქართული ენის მედიოაქტივების ი-პრეფიქსის გრამატიკული ფუნქციის დაზუსტების შესაძლებლობას ქმნის. ტიპო-

ლოგიურმა ანალიზმა დაგვანახა, რომ პოსესიურობის ი-პრეფიქსის გამოჩენა თანამედროვე ქართული ენის მედიოაქტიურ ზმნებში ტიპოლოგიურად სავსებით კანონზომიერია. ეს პრეფიქსი მდგომარეობის პოსესორად წარმოადგენს მედიო-აქტიური ზმნის სუბიექტს, მედიოაქტივით დასახელებულ მდგომარეობას კი – სუბიექტის „ორგანულ კუთვნილებად“.

თანამედროვე ქართულში, ისევე როგორც სხვა ენებში, მდგომარეობის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკის ზმნური ფორმით გამოხატვა ხდება სუბიექტისათვის მდგომარეობის მიკუთვნებით და ამდენად, თანამედროვე ქართულში ი-პრეფიქსი, უკუქცევითობის მორფო-სინტაქსური კატეგორიის სემანტიკის გამოხატვის გარდა, მდგომარეობის სემანტიკის ზმნური ლექსემით გამოხატვასაც ემსახურება, სიტყვაშემოქმედების პროცესშიც მონაწილეობს და მიანიშნებს, რომ ბენეფაქტიურ-პოსესიურ დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან მედიაქტიური ზმნით ნაგულისხმევი „მდგომარეობა აქტიურობის გარკვეული ხარისხით“ და ამ მდგომარეობაში მყოფი სუბიექტი, რომ სუბიექტი ერთდროულად არის მდგომარეობის შემქმნელიც და ამ მდგომარეობის სარეალიზაციო არეც.

თავი VII

ძირითადი დასკვნები

წარმოდგენილ ნაშრომში ფიზიკური ემოციური და მენტალური მდგომარეობის აღმნიშვნელი გარდაუვალი ზმნები, რომლებსაც ქართული ლინგვისტური ტრადიცია მედიოაქტიურ ზმნებს უწოდებს, აღიწერა დიათეზათა თანამედროვე კონცეფციის კრიტერიუმებით; ამ ტიპის ზმნის სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლები დაზუსტდა ლექსიკურად შესატყვის გარდამავალ ზმნასთან მისი შეპირისპირებითა და მდგომარეობის აღმნიშვნელ ზმნურ ლექსე-მათა ტიპოლოგიის გათვალისწინებით; ამასთანავე გადამოწმდა მედიოაქტიური ზმნის ფორმალურ-სემანტიკურ მახასიათებლებთან დაკავშირებული დღეისათვის არსებული თითქმის ყველა ძირითადი თვალსაზრისი და ამის საფუძველზე გაკეთდა შემდეგი დასკვნები:

1. დიათეზათა უნივერსალურ-ტიპოლოგიური კონცეფციის თანახმად, ყოველი ზმნა არის სამდონიანი დიათეზა – რეფერენტული, რეფერენტთა როლებისა და სინტაქსური დონეების ერთეულთა გარკვეული შესაბამისობა, ხოლო რომელიმე ტრანსფორმაციული წესით ამოსავალი (ბაზისური) დიათეზის ერთეულთა პირდაპირი შესაბამისობის ცვლა არის დერივაცია – ახალი დიათეზის წარმოქმნა.

2. დერივატის, წარმოქმნილი დიათეზის, სტრუქტურული და სემანტიკური მახასიათებლები ისაზღვრება ტრანსფორმაციისას ბაზისური დიათეზის ერთეულთა შესაბამისობაში მომხდარი ცვლილებების საფუძველზე; ნებისმიერი დერივატის სემანტიკა, აღნიშნული კონცეფციის თანახმად, არის ამოსავალი ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის, ამ ზმნის აქტანტების სემანტიკისა და ტრანსფორმაციული წესის ფუნქცია.

3. რადგან მედიოაქტივებად სახელდებული ზმნების სტრუქტურულ და სემანტიკურ ნიშნებს გარდამავალი უკუქცევითების სტრუქტურულ-სემანტიკურ ნიშნებთან მიმართებაში საზღვრავს ქართული ზმნური სისტემის არა ერთი მკვლევარი, მედიოაქტივების პარადიგმატული ფორმებისა და გარდამავალი უკუქცევითების ურთიერთმიმართების გასარკვევად სინტაქსური და სემანტიკური განსხვავებულობის საფუძველზე გამოვყავით და განვიხილეთ თანამედროვე ქართული ენის გარდამავალი უკუქცევითი ტრანსფორმების ხუთი ჯგუფი: I. პოსესიური სათავისოები (***დაივარცხნა, დაიბანა***,...); II. ბენეფაქტიური სათავისოები (***ჩაიბარა, ჩაიწერა***,...); III. რეციპიენტული სათავისოები (***შთაიგონა, გაიხსენა***,...); IV. გარდამავალი უკუქცევითი კონვერსივები (***იყიდა, ისესხა***,...); V. გარდამავალი ზმნის სინონიმური სათავისოები (***ითხოვა, იკითხა***,...). გაანალიზებული გარდამავალი უკუქცევითი ზმნები დავაჯგუფეთ ტრანსფორმაციისას ბაზისურ დიათეზაში მომხდარი ცვლილებების მიხედვით და ვაჩვენეთ, რომ ეს გარდამავალი უკუქცევითები ამოსავალი დიათეზის სხვადასხვაგვარი გარდაქმნით წარმოიქმნებიან; მათ განსხვავებული სემანტიკური და სინტაქსური სტრუქტურები გააჩნიათ და მათში სხვადასხვაგვარად რეალიზდება უკუქცევითობის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა.

4. მედიოაქტივებისა და სათავისოების ერთსახოვანი აღწერა – სამდონიან დიათეზებად წარმოდგენამ და ლექსიკურად შესატყვის გარდამავალ ზმნასთან მათ მიმართებაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მედიოაქტივი და სათავისო აბსოლუტურად განსხვავებული დიათეზების მქონე ზმნებია და განსხვავებულ მიმართებებს ქმნიან გარდამავალ შესატყვისებთან: სათანადო გარდამავალ ზმნასთან მიმართებაში მედიოაქტივი ამოსავალია და სემანტიკურად მარტივი, ხოლო სათავისო ტრანსფორმია და სემანტიკურად რთული. მედიოაქტივი სათანადო გარდამავალს მიემართება, როგორც ამოსავალი ზმნა მისგან წარმოქმნილ კაუზატივს, ხოლო სათავისო ამოსავალ გარდამავალ შესატყვისს უპირისპირდება, როგორც ბენეფაქტურ-პოსესიური მიმართების სემანტიკით გართულებული ტრანსფორმი.

5. მედიოაქტივის, როგორც პირველადი ამოსავალი ზმნის, კაუზატივად გარდაქმნისას იცვლება ამოსავალი დიათეზის სამივე დონის ერთეულთა შესაბამისობა: კაუზატივის დიათეზაში ჩნდება დამატებითი რეფერენტი – მედიოაქტივით დასახელებული სიტუაციის შექმნის გარეგანი ინიციატორი (Ca), რომლის შესატყვისი რეფერენტი წარმოქმნილი დიათეზის სინტაქსურ სტრუქტურაში I აქტანტის პოზიციას იკავებს, ხოლო ბაზისური დიათეზის სუბიექტის როლის მქონე რეფერენტს კაუზატივის დიათეზაში პირდაპირი ობიექტის (კაუზაციის რეციპიენტის) როლი ეკისრება და წარმოქმნილი დიათეზის სინტაქსურ სტრუქტურაში II აქტანტის სახითაა წარმოდგენილი. სათავისოს წარმოქმნისას ცვლილება ეხება ამოსავალი დიათეზის მხოლოდ რეფერენტულ და სინტაქსურ სტრუქტურებს (ისიც ყოველთვის არა), ამოსავალი დიათეზის სემანტიკური როლების სტრუქტურა უცვლელად გადადის სათავისოს დიათეზაში. I, II და III ჯგუფის სათავისოების წარმოქმნა დაკავშირებულია პირდაპირი ობიექტის სემანტიკური როლის მხოლოდ ფუნქციურ და არა სტრუქტურულ ცვლილებასთან.

6. რაკი მედიოაქტივი პირველადი, არაწარმოქმნილი ლექსემაა, მედიოაქტივისა და მისი პარადიგმატული ფორმების განხილვა რომელიმე სახეობის უკუქცევით ზმნურ ლექსემად, მეთოდოლოგიურად წინააღმდეგობრივია, რადგან, მედიოაქტივისგან განსხვავებით, ნებისმიერი უკუქცევითი ზმნა ტრანსფორმია, წარმოქმნილი ენობრივი ერთეულია.

7. ლექსიკურად შესატყვის გარდამავალთან მიმართებისა და ამ მიმართებით განსაზღვრული ყველა სტრუქტურულ-სემანტიკური ნიშნის მიხედვით, მედიოქტივი და გარდამავალი უკუქცევითი (სათავისო) ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული ზმნური ლექსემებია. ბენეფაქტიურ-პოსესიური ი-პრეფიქსის სემანტიკაც განსხვავებულად რეალიზდება ამ ზმნებში: გარდამავალ უკუქცევით ტრანსფორმში, სათავისოში, ი-პრეფიქსი წარმოდგენილია როგორც სტრუქტურული, ისე სემანტიკური ფუნქციით – აღნიშნავს ამოსავალი დიათეზის აქტანტების რიცხვის ერთით შემცირებას და ამასთანავე, ამოსავალი ზმნის მნიშვნელობის გართულებას სემანტიკური კომპონენტით „თავისას“ ან „თავისთვის“ და დიათეზაში სუბიექტის როლის მქონე მონაწილეს წარმოადგენს დასახელებული მოქმედების შედეგის პოსესორად ან ბენეფიციარად; მდგომარეობის აღმნიშნელ არაწარმოქმნილ, პირველად მედიოქტივში კი ი-პრეფიქსი ასრულებს მხოლოდ სემანტიკურ ფუნქციას – აღნიშნავს დასახელებულ მდგომარეობაში სუბიექტის როლის მქონე მონაწილის მყოფობას, ამ მონაწილისა და აღნიშნული მდგომარეობის ბენეფაქტიურ-პოსესიურ ურთიერთმიმართებას.

8. ქართულ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში არაერთხელ დაფიქსირებული თვალსაზრისით, მედიოქტის პარადიგმატული ფორმები უკუქცევითი (რეფლექსური), ლექსიკურად მედიოქტივის შესატყვისი გარდამავალი ზმნის სათავისო ქცევის ფორმებია, რომლებსაც მედიოქტივის პარადიგმაში ეკარგებათ ქცევის გაგება. ეს თვალსაზრისი ერთ სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდება: მედიოქტივთა ნაწილს (***ელავს, დაობს, წვიმს, ქუხს, ცრუობს***,...) საერთოდ არ ეძებნება ენაში ლექსიკურად შესატყვისი გარდამავალი ზმნა და, ამდენად, ამ მედიოქტივთა ი-პრეფიქსიანი ფორმების: ***ი-ელვა, ი-დავა, ი-წვიმა, ი-ქუხა, ი-ცრუა***... განხილვა ენაში არარსებული გარდამავალი ზმნების (აქტივების) უკუქცევით შესატყვისებად ალოგიკურია;

9. გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმად, მედიოქტივები ქცევის კატეორიის სემანტიკით გამოხატავენ ასპექტურ დაპირისპირებებს. მედიოქტივები გარდაუვალი ზმნებია, სათავისოები კი – გარდამავალი. თუ დავუშვებთ, რომ მედიოქტიურ პარადიგმაში ქცევით ხდება ასპექტური სემანტიკის გამოხატვა, მაშინ ისიც უნდა დავუშვათ, რომ მედიოქტივის ი-პრეფიქსი სათავისოს ი-პრეფიქსია, თვითონ ეს ფორმა კი – სათავისო,

რომელიც ასპექტური შინაარსით დატვირთვისას გარდაუვალ ზმნად გარდაიქმნება. ეს ეწინააღმდეგება ასპექტური სემანტიკის გამოხატვის პრინციპს თანამედროვე ქართულში, სადაც ასპექტური სემანტიკის ცვლა არ არის დაკავშირებული გარდამავლობის მიხედვით ზმნის ცვლასთან, სინტაქსურ კონსტრუქციაში პირდაპირი დამატების ჩართვა – გამორიცხვასთან; თუ ქცევის ი-პრეფიქსი მედიოაქტიურ პარადიგმაში სრული ასპექტის სემანტიკის გამოხატვას ემსახურება, მაშინ ის არ უნდა ჩანდეს აწმყოს ჯგუფის უსრული ასპექტის ***ი-ცინის, ი-ბრძვის, ი-ღვწის*** და ა.შ. ფორმებში. რადგან ბენეფაქტიურ-პოსესიური ი-პრეფიქსი დასტურდება მედიოაქტივის როგორც სრული, ისე უსრული ასპექტის ფორმებში. ამიტომ ი-პრეფიქსთან სრული ასპექტის გამოხატვის ფუნქციის დაკავშირება, ჩვენი აზრით, მეთოდოლოგიურად წინააღმდეგობრივია; თუ მედიოაქტიურ პარადიგმაში ქცევით სრული ასპექტის სემანტიკა გამოიხატება, მაშინ აორისტისა და მყოფადის ჯგუფის სრული ასპექტის მედიოაქტიური ფორმები ქცევის ი-პრეფიქსთან ერთად აღარ უნდა ირთავდნენ ზმნისწინს – ასევე სრული ასპექტის გამომხატველს ახალ ქართულში: ***ი-ლხენს – მო-ი-ლხენს – მო-ი-ლხინა; ი-ცდის – და-ი-ცდის – და-ი-ცადა; ხარობს – გა-ი-ხარებს – გა-ი-ხარა*** და ა.შ. მედიოაქტიური პარადიგმის მყოფად-აორისტის ჯგუფის ფორმებში ი-პრეფიქსთან ერთად ზმნისწინის გამოჩენა იმაზე მიუთითებს, რომ ი-პრეფიქსს ასპექტის სემანტიკის გამოხატვის ფუნქცია არ აქვს თანამედროვე ქართულში.

ყველა ზემოთ აღნიშნული წინააღმდეგობა მარტივად მოიხსნება, თუკი მედიოაქტიური პარადიგმის ი-პრეფიქსიან ფორმებს ამ პარადიგმის ორგანულ, საკუთარ ფორმებად განვიხილავთ და ამ ფორმებში ბენეფაქტიურ-პოსესიური ი-პრეფიქსის გამოჩენას თვით მედიოაქტივის სემანტიკური ნიშან-თვისებით განპირობებულად მივიჩნევთ.

10. ქართულ ლინგვისტურ ლიტერატურაში რამდენჯერმე აღინიშნა, რომ მედიოაქტივი ფიზიკური, ემოციური და მენტალური მდგომარეობის აღმნიშვნელი პირველადი ზმნაა. წინამდებარე ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ტიპოლოგიური მონაცემები მხარს უჭერს ამ მოსაზრებას. მედიოაქტივები გამოხატავენ მდგომარეობას, რომელიც არ უტოლდება აბსოლუტური მდგომარეობის ცნებას და გულისხმობს სუბიექტის როლში წარმოდგენილი მონაწილის სფეროთი შემოფარგლულ პროცესს, რომელსაც არ აქვს

არანაირი პერსპექტივა, გარდა მონოტონური გრძლიობისა. ასეთი სემანტიკის მქონე ზმნები ხშირად იზოლირებულადაც ფუნქციონირებენ ენებში და, თუ რომელიმე მათგანს გამოუჩნდება გარდამავალი ცალი, იგი მეორეული იქნება, რომელიც მისთვის ამოსავალ მდგომარეობის აღმნიშვნელ ზმნას დაუპირისპირდება, როგორც კაუზატივი.

11. ქართული მედიოაქტივების სემანტიკური ეკვივალენტები ენებში აღნიშნავენ პროცესს "который развивается в субъекте; ... субъект является внутренним по отношению к процессу, ... субъект является одновременно и центром и производителем процесса; он совершает нечто, что совершается в нем самом" [ბენვენისტი, 1974, 188]. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს მდგომარეობის აღმნიშვნელ ზმნათა ორი ტიპოლოგიური მახასიათებელი: 1) ენებში, რომლებშიც ზედსართავი სახელები არ ქმნიან დამოუკიდებელ ლექსიკურ კლასს, ატრიბუტული სემანტიკა გამოიხატება მდგომარეობის აღმნიშვნელი გარდაუვალი ზმნებით. ამ ენებში ერთსა და იმავე ზმნას ხან ატრიბუტული და ხან პრედიკატული სემანტიკა აქვს. ეს ტიპოლოგიური ნიშანი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ: რაკი ენა უშვებს ატრიბუტული სემანტიკისა და მდგომარეობის სემანტიკის ერთი და იმავე გარდაუვალი ზმნით გამოხატვის შესაძლებლობას, მაშინ ამ ზმნით დასახელებული „მდგომარეობა აქტივობის გარკვეული ხარისხით“ ისეთივე კუთვნილებით მიმართებაშია სუბიექტის როლში წარმოდგენილ მონაწილესთან, როგორშიც თვისება – თავის პოსესორთან; 2) მთელ რიგ ენებში მდგომარეობის გამომხატველი ზმნებში სუბიექტის როლის მქონე მონაწილე აღინიშნება ინაქტიური რიგის პირის ნიშნებით, რომლებიც ემთხვევიან ორგანული კუთვნილების გამომხატველ სახელურ აფიქსებს (კლიმოვი, 1977, 150) და ცალსახად მიუთითებენ, რომ ზმნით დასახელებული მდგომარეობა პოსესიურ მიმართებაშია სუბიექტის როლში მყოფ მონაწილესთან, მისი „ორგანული კუთვნილებაა“. ამდენად, ბენეფაქტიურ-პოსესიური მნიშვნელობის მქონე ი-პრეფიქსის გამოჩენა ფიზიკური, ემოციური და მენტალური მდგომარეობის აღმნიშვნელ მედიოაქტიურ ზმნებში ტიპოლოგიურად სავსებით კანონზომიერია: ეს პრეფიქსი მედიოაქტივით დასახელებული მდგომარეობის პოსესორად წარმოადგენს სუბიექტის როლის მქონე მონაწილეს; აღნიშნავს ამ მონაწილესა და დასახელებულ მდგომარეობას შორის არსებულ ბენეფაქტიურ-პოსესიურ მიმართებას. ქართულში, ისევე როგორც სხვა

ენებში, მდგომარეობის სემანტიკის ზმნური ფორმით გამოხატვა ხდება სუბიექტად წარმოდგენილი მონაწილისათვის დასახელებული მდგომარეობის მიკუთვნებით. აქედან გამომდინარე, ი-პრეფიქსი სიტყვაშემოქმედების პროცესშიც მონაწილეობს და, უკუქცევითობის სემანტიკის გამოხატვის გარდა, მდგომარეობის სემანტიკის ზმნური ფორმით გამოხატვასაც ემსახურება თანამედროვე ქართულში.

12. რადგან ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ დაისვა მდგომარეობის აღმნიშვნელი მედიოაქტივების ობიექტჩართულ ზმნებად განხილვის საკითხიც, წარმოდგენილ ნაშრომში განისაზღვრა ობიექტჩართულ ზმნურ ლექსემათა სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლები; გამოიყო ობიექტჩართულ ზმნათა რამდენიმე ჯგუფი; ქართული ენის ობიექტჩართული ზმნური ლექსემები და მედიოაქტივები აღიწერა ერთგვაროვანი პრინციპებით, კერძოდ, დიათეზათა თანამედროვე თეორიის კრიტერიუმებით; გათვალისწინებულ იქნა ობიექტჩართულ და მდგომარეობის აღმნიშვნელ ზმნათა ტიპოლოგიაც და ამის საფუძველზე იქნა ნაჩვენები, რომ საგნის ან პირის მდგომარეობის აღმნიშვნელი მადიოაქტივი და გარდაუვალი ობიექტჩართული ზმნა არსებითად განსხვავებული ენობრივი ერთეულებია თანამედროვე ქართულში.

13. აქტიური სემანტიკის მქონე გარდაუვალი ობიექტჩართული ზმნა ამოსავალი გარდამავალი ზმნის სინონიმური გარდაუვალი უკუქცევითი ტრანსფორმია. ამოსავალი გარდამავალი ზმნის ობიექტჩართულ უკუქცევითად გარდაქმნისას ტრანსფორმის დიათეზაში სემანტიკური როლისა და სინტაქსური პოზიციის შეუცვლელად გადმოდის ბაზისური დიათეზის სუბიექტის როლის შემსრულებელი რეფერენტი. ტრანსფორმირებულ დიათეზაში მას ისევ სუბიექტის როლი ეკისრება და ისევ I აქტანტის პოზიციაშია წარმოდგენილი, ხოლო ბაზისური დიათეზის დანარჩენი სემანტიკური ერთეულები ობიექტჩართული ტრანსფორმის დიათეზაში ან წარმოდგებიან უბრალო დამატების სახით, ან საერთოდ არ გამოიხატებიან, მაგრამ მათი კონკრეტული ან განზოგადებული მნიშვნელობა ყველა შემთხვევაში ნაგულისხმევია ტრანსფორმის ლექსემით.

თვისებრივად განსხვავებულ მიმართებაშია ერთმანეთთან მედიოაქტივისა და ლექსიკურად მისი შესატყვისი გარდამავალი ზმნის დიათეზები:

ობიექტჩართული უკუქცევითი ლექსიკურად შესატყვის გარდამავალ ზმნას მიემართება, როგორც გარდაუვალი უკუქცევითი ტრანსფორმი – ამოსავალ ზმნას, ხოლო მედიოაქტივი, პირიქით, როგორც ამოსავალი ზმნა – გარდამავალ ტრანსფორმს (კაუზატივს). ბაზისური დიათეზის გარდაქმნისას სინტაქსურ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების მიხედვით, გაანალიზებული ობიექტჩართული უკუქცევითები დაიყო ორ სინტაქსურ კლასად:

1) ობიექტჩართული უკუქცევითები, რომლებიც წარმოიქმნებიან ამოსავალი დიათეზის I აქტანტის ქვემდებარის პოზიციაში დატოვებით და პირდაპირი დამატების სინტაქსური პოზიციის ელიმინაციით (***იღუშება, იცოხნება, ისუსხება, იკბინება***,...);
2) ობიექტჩართული უკუქცევითები, რომლებიც წარმოიქმნებიან ამოსავალი დიათეზის I აქტანტის ქვემდებარის პოზიციაში შენარჩუნებით, მაგრამ პირდაპირ და ირიბ დამატებათა სინტაქსური პოზიციების ელიმინაციით (***იძლევა, იუწყება, ისწავლება***,...).

Pt და/ან Ad როლის მქონე რეფერენტის (რეფერენტების) მნიშვნელობის ლექსემით დაკონკრეტება–განზოგადების ხარისხის შესაბამისად, ამ ორი სინტაქსური კლასის ობიექტჩართული უკუქცევითები იყოფა სამ სემანტიკურ კლასად:

I. უკუქცევითები, რომელთა ლექსემებით მითითებულია Pt როლის მქონე რეფერენტის კონკრეტული მნიშვნელობა: ***იღუშება, იკრიჭება, ინაბება***,...
II. უკუქცევითები, რომელთა ლექსემებით მინიშნებულია Pt როლის მქონე რეფერენტის პოტენციური მნიშვნელობა: ***იცოხნება, იცმუცნება, ისუსხება, ილოცება***,...
III. უკუქცევითები, რომლებიც ლექსემებით მიუთითებენ Pt და Ad როლების შემსრულებელი რეფერენტების პოტენციურ მნიშვნელობაზე: ***იძლევა, იტყობინება, იუწყება, იწერება***,...

14. გარდამავალი ზმნით დასახელებული მოქმედების გამოხატვა მისი სინონიმური გარდაუვალი ობიექტჩართული დერივატით არის მეტონიმიური გარდასახვა, სრული აქტანტური სტრუქტურის მნიშვნელობის გამოხატვა შემცირებული აქტანტური სტრუქტურის მნიშვნელობით და ამ მეტონიმიური გარდასახვის ენობრივი ფუნქციაა მიზანმიმართული და

დროში ლოკალიზებული აქტიური მოქმედების გარდაქმნა მიზანმიუმართავ და დროში განშლად გრძლივ აქტიურ პროცესად.

15. ამოსავალი აქტივის სინონიმურ გარდაუვალ დერივატს, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ამოსავალი აქტივის მიმართება: SB=>(ქვ), მაგრამ დანარჩენ სემანტიკურ ერთეულებს უკანა პლანზე წევს ან სინტაქსურად საერთოდ არ გამოხატავს, ტრადიციულად დეპონენსს უწოდებენ, მას განიხილავენ აგრეთვე ანტიპასივის ფორმად. ანტიპასივი Pt და Ad როლების მქონე რეფერენტებს ისეთივე სინტაქსურ მიმართებებს ამყარებინებს დერივატთან, როგორსაც პასივი– Sb-ის შესატყვის რეფერენტს. ანტიპასივის ფორმა წარმოიქმნება ბაზისური დიათეზის სინტაქსური ვალენტობის დაკლებით. ანტიპასივი ბაზისური დიათეზის Sb როლის მქონე რეფერენტს წარმოქმნილ დიათეზაშიც ქვემდებარის პოზიციაში ტოვებს, ვალენტობას კი ამცირებს Pt და/ან Ad როლების შემსრულებელი რეფერენტების უკანა პლანზე გადაწევის (უბრალო დამატებად წარმოდგენის) ან მათი სინტაქსური პოზიციების ელიმინაციის ხარჯზე.

16. დეპონენსი, ობიექტჩართული უკუქცევითი და ანტიპასივის ფორმა ნაშრომში მოიაზრება ერთი სახეობის, მაგრამ განსხვავებული კრიტერიუმებით შეფასებულ ზმნებად. ***იკრიჭება***, ***ირტყმევინება*** ტიპის დერივატთა ანტიპასივის კატეგორიის ტერმინებში აღწერა მეთოდურად გამართლებული უნდა იყოს, რადგან ობიექტჩართული ზმნების (დეპონენსების) ანტიპასივის ფორმებად განხილვის შემთხვევაში დადგება მათი ფორმალურ-სემანტიკური ნიშნების პასივთან შეპირისპირებით განსაზღვრის საკითხი, რაც მართებულად გვესახება, რადგან, განსხვავებულობის გარდა, საერთოც საკმაოდ აქვთ ანტიპასივს (ობიექტჩართულ ზმნას) და პასივს: ამ ზმნათა წარმოქმნისას არ იცვლება ბაზისური დიათეზის სემანტიკური სტრუქტურები; ორივე ზმნის მნიშვნელობა დაკავშირებულია ბაზისური დიათეზის აქტანტური იერარქიის შეცვლასთან და განისაზღვრება ამ იერარქიის შეცვლის მსგავსი პროცედურებით. ეს კი, ჩვენი აზრით, ხსნის პასივისა და ანტპასივის ფორმათა მორფოლოგიური სტრუქტურების მსგავსებას, რაც რეგულარულად დასტურდება ენებში. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ტრანსფორმები ნაშრომში მაინც აღიწერა ობიექტჩართულობის ტერმინებში, რადგან მკვლევართა ერთი ნაწილი მედიოაქტივს მიიჩნევს ობიექტჩართულ

ზმნად, ჩვენი ერთ-ერთი მიზანი კი იმის გარკვევაა, არის თუ არა მედიოაქტივი ე.წ. ობიექტჩართული ზმნა.

17. ცალკე ჯგუფად გამოიყო აქტიური სემანტიკის მქონე გარდაუვალი ზმნები, რომლებსაც არ ეძებნებათ გარდამავალი შესატყვისები და ამდენად, იზოლირებულად ფუნქციონირებენ ენაში. ეს ზმნები იყენებენ იმავე ფორმალურ-გამომსახველობით საშუალებას, ბენეფაქტიურ-პოსესიური მიმართებათა მარკერს – ი-პრეფიქსს, რომელსაც – ანტიპასივის ფორმები, მაგრამ გარდამავალი შესატყვისების უქონლობის გამო შეუძლებელია მათი მიჩნევა ანტიპასივის სემანტიკის მქონე ზმნურ ლექსემებად. ამ ზმნებს მიეცა **Reflexiva tavtum**-ის, ფორმალური უკუქცევითის (ანტიპასივის) კვალიფიკაცია. ესენია ***იცრემლება***, ***იღრუბლება*** ტიპის გარდაუვალი ზმნები, რომლებიც სახელური ლექსემებისგან წარმოიქმნებიან ანტიპასივის მოდელით, განსხვავებით მედიოაქტივის მოდელით წარმოქმნილი ***კაცობს***, ***ლაღობს*** ნასახელარი ზმნებისაგან. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ერთი და იმავე სახელისგან ორივე მოდელითაა შესაძლებელი აქტიური სემანტიკის მქონე ზმნის წარმოქმნა, რომ ანტიპასივის და მედიოაქტივის ზმნური კატეგორიები სიტყვაშემოქმედებითი პოტენციის მქონე კატეგორიებია და ლექსიკური ფონდის გაზრდის საშუალებებია თანამედროვე ქართულში.

18. ობიექტჩართული უკუქცევითი და ლექსიკურად მისი შესატყვისი ამოსავალი გარდამავალი ზმნა, სემანტიკური ვალენტობის თვალსაზრისით, იდენტური ზმნური ლექსემებია; მედიოაქტივის, როგორც ამოსავალი ზმნის, სემანტიკური ვალენტობა ნაკლებია ლექსიკურად მისი შესატყვისი და მისგან წარმოქმნილი გარდამავალი ზმნის, კაუზატივის, სემანტიკურ ვალენტობაზე.

19. ობიექტჩართული უკუქცევითისა და მისი წარმომქმნელი გარდამავალი ზმნის ლოგიკურ-სემანტიკური სტრუქტურების სრული მსგავსება განაპირობებს ამ ზმნური ლექსემების იდეოგრაფიულ სინონიმურობას და ქმნის მათი ორმხრივი თანაბარმნიშვნელობიანი პერიფრაზირების შესაძლებლობას; მედიოაქტივებისა და სემანტიკური ვალენტობით მასზე აღმატებული ტრანსფორმის (კაუზატივის) თანაბარმნიშვნელობიანი პერიფრაზირება შეუძლებელია – მედიოაქტივი და მისი გარდამავალი ტრანსფორმი

იდეოგრაფიულ სინონიმებად არასდროს არ მოიაზრება თანამედროვე ქართულში.

20. ობიექტჩართული უკუქცევითები: ***იხუჭება, იცოხნება, იწერება, ისწავლება*** და ა.შ., რომლებსაც სათანადო ამოსავალი გარდამავალი ზმნების რეფერენ-ტული სტრუქტურების აბსოლუტურად იდენტური რეფერენტული სტრუქტუ-რები და, აქედან გამომდინარე, სემანტიკური პირდაპირი ობიექტის გაგება აქვთ, I აქტანტის მნიშვნელობის შესაბამისად ხან აქტივის და ხან პასივის სემანტიკას გამოხატავენ. თუკი ობიექტჩართული უკუქცევითის ლექსიკური მნიშვნელობა დაუშვებს ამოსავალი ზმნის II აქტანტის გადმოსვლას ობიექტჩართული ტრანსფორმის I აქტანტის პოზიციაში, ობიექტჩართულ უკუქცევითს გაუჩნდება სამოქმედო ობიექტის – მოქმედების მიზნის პოზიციიდან სიტუაციის წარმოდგენის პოტენცია, შეიძენს პასივის გაგებას, მედიოაქტივები კი არასოდეს არ გვხვდებიან პასივის მნიშვნელობით.

21. მედიოაქტივები „უმიზნო ატელიკური ზმნებია, განსხვავებით მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებისაგან, რომლებშიც პაციენსის მიმართ გარ-კვეული მიზანდასახული მოქმედება არის შესასრულებელი“ (მელიქიშვილი, 2002, 123). რადგან მედიოაქტიური ზმნა ატელიკური ზმნაა, რომლის დიათეზაში არ იგულისხმება მოქმედების მიზანი – Pt როლის შემსრულებელი რეფერენტი, მედიოაქტივი ვერ შეძლებს სემანტიკური პირდაპირი ობიექტის პოზიციიდან დასახელებული სიტუაციის წარმოდგენას და ვერც იმ ტიპის ობიექტჩართულ ზმნად ჩაითვლება, რომელიც ლექსემით მიანიშნებს Pt როლის მქონე რეფერენტის კონეკონკრეტულ ან პოტენციურ მნიშვნელობაზე.

22. მედიოაქტიური ზმნებით „ძირითადად გარკვეული სახის მუდმივობა გამოი-ხატება; უმთავრესად ეს არის დროში შეუზღუდავი მოქმედება (რომლის არც დასაწყისი და არც დასასრული არაა ასახული შესაბამისი ზმნური ფორმის სემანტიკაში)“ (ივანიშვილი, სოსელია, 2002, 135).

სისრულის სემანტიკის გამოხატვა თანამედროვე ქართულში არც ობიექტჩართულ ზმნებს შეუძლიათ. ამ უკუქცევითი ტრანსფორმებით მოქმედების შესრულებას სუბიექტის როლში წარმოდგენილი მონაწილის პოტენციური შესაძლებლობის თუ თვისების მნიშვნელობა ენიჭება და, რადგან თვისება და სისრულე ერთმანეთთან ძნელად შეთავსებადი

კატეგორიებია, ობიექტჩართული უკუქცევითები ასპექტის სემანტიკას ვერ გამოხატავენ. მედიოაქტივების მსგავსად, ისინიც მოქმედების დროში განშლადობას გულისხმობენ და არა ლოკალიზაციას.

23. მედიოაქტივიც და ობიექტჩართული უკუქცევითიც დასახელებული სიტუაციისა და ამ სიტუაციაში სუბიექტის როლის შემსრულებელი მონაწილის ბენეფაქტიურ-პოსესიურ ურთიერთმიმართებაზე აკეთებს აქცენტს და სიტუაციას სუბიექტის როლის მქონე რეფერენტის სფეროთი შემოსაზღვრულად წარმოადგენს, მოქმედებას ამ მონაწილის მუდმივი საქმიანობისა თუ თვისების მნიშვნელობას ანიჭებს. ეს ინვარიანტული სემანტიკა ორივე ტიპის ზმნაში მარკირებულია ბენეფაქტიურ-პოსესიური ი-პრეფიქსით, რომელიც მიკუთვნების სემანტიკის გამომხატველი პრედიკაციული ელემენტის ფუნქციას ასრულებს ორივე ტიპის ზმნურ ლექსემაში, მაგრამ ი-პრეფიქსი ობიექტჩართულ უკუქცევითში წარმოდგენილია როგორც სტრუქტურული, ისე სემანტიკური ფუნქციით: აღნიშნავს ამოსავალი დიათეზის აქტანტების რიცხვის შემცირებას და ამასთანავე სუბიექტის როლის მქონე მონაწილის მოქმედებას ამ მონაწილის მახასიათებელი საქმიანობის თუ ჩვევის მნიშვნელობას ანიჭებს; იგივე პრეფიქსი მდგომარეობის აღმნიშვნელ მედიოაქტიურ ზმნებში წარმოდგენილია მხოლოდ სემანტიკური ფუნქციით. ი-პრეფიქსით მედიოაქტივებში მარკირებულია დასახელებული მდგომარეობისა და სუბიექტის როლში წარმოდგენილი მონაწილის ბენეფაქტიურ-პოსესიური რელაცია. ობიექტჩართული უკუქცევითები ენაში გამოიყენებიან გარკვეული მოდალური მნიშვნელობის გამოსახატავად – სუბიექტის როლის მქონე მონაწილის წარმოსადგენად ამა თუ იმ მოქმედების შესრულების პოტენციის მქონედ, თვითონ მოქმედებას კი ამ მონაწილის ჩვევის თუ თვისების მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომაც გარდაუვალი ობიექტჩართული ზმნის სემანტიკა ტიპოლოგიურად მარკირებულია იმავე მორფოლოგიური საშუალებებით, რომლებსაც ენა იყენებს ბენეფაქტიურ-პოსესიური მიმართების აღსანიშნად..

24. მდგომარეობისა და თვისების სემანტიკის ერთი და იმავე ფორმალური ნიშნით მარკირება ტიპოლოგიურად სრულიად კანონზომიერია და არც ქართული მედიოაქტივები და ობიექტჩართული უკუქცევითები არღვევენ ამ კანონზომიერებას.

25. მიუხედავად გარკვეული მსგავსებისა, ქართული მედიოაქტიური და ობიექტ-ჩართული ზმნათა სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლების შეპი-რისპირებითი ანალიზი და ტიპოლოგია აჩვენებს, რომ ეს ზმნური ლექსე-მები არსებითი ნიშან-თვისებებით განსხვავებული ენობრივი ერთეულებია და მედიოაქტივის განხილვა ობიექტჩართულ ზმნად ტიპოლოგიურად წინააღმდეგობრივია.

26. ობიექტჩართულობა თანამედროვე ქართულში მორფო-სინტაქსური კატეგო-რიაა, გარდამავალი ზმნით დასახელელებული მოქმედების მეტონიმიურად, პირდაპირი (და ირიბი) დამატების გარეშე ანუ აქტანტების შემცირებული რაოდენობით გამოხატვის საშუალებაა, ხოლო ამოსავალი გარდამავალი ზმნით დასახელებული მოქმედების ობიექტჩართული გარდაუვალი ტრანსფორმით აღნიშვნა, ასე ვთქვათ, გრამატიკული მეტონიმიის კერძო შემთხვევაა. აქტივის სემანტიკის პირდაპირი დამატების გარეშე ობიექტჩართული გარდაუვალი ზმნით გამოხატვისას დასახელებული მოქმედება აღიქმება ამ მოქმედების მწარმოებელთან დაკავშირებულად და ამ შემთხვევაში მოქმედების „გადასახელების“, მეტონიმიურად აღნიშვნის, ფუნქციაა აქტიური მოქმედების წარმოდგენა მისი შემსრულებლის ზოგად მახასიათებელ თვისებად – დროში შეუზღუდავ მიზანმიუმართავ პროცესად.

27. სუბიექტის როლში წარმოდგენილი მონაწილის პოტენციურ შესაძლებლობად ან თვისებად აქტიური მოქმედების გააზრება და ამოსავალი გარდამავალი ზმნით დასახელებული მოქმედების მეტონიმიური გამოხატვა ხდება არა მხოლოდ ***გოგო ჭუტავს თვალებს*** კონსტრუქციის სინონიმური ***გოგო იჭუტება*** კონსტრუქციით წარმოდგენისას, არამედ მაშინაც, როცა გარდამავალი კონსტრუქციის ***ბავშვი ყველა საგანს კარგად სწავლობს*** სემანტიკას გამოვხატავთ კონსტრუქციით ***ბავშვი კარგად სწავლობს***. ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს გარდამავალი სრული კონსტრუქციის სემანტიკის აქტანტების შემცირებული რაოდენობით გამოხატვასთან და ეს შემთხვევაც გრამატიკული მეტონიმიის ერთ-ერთი სახეობაა. ***კარგად სწავლობს, მშვენივრად ქსოვს, სწრაფად წერს*** და სხვა მსგავს კონსტრუქციებში გარდამავალი ზმნები ობიექტჩართული ზმნური ლექსემის მნიშვნელობას იძენენ. მათ გარდამავალ ობიექტჩართულ ზმნებს, გარდამავალ აბსოლუტივებსუწოდებენ. ისევე როგორც გარდაუვალი

ობიექტჩართული ზმნები, გარდამავალი აბსოლუტივებიც აქტიურ მოქმედებას სუბიექტის პოტენციურ შესაძლებლობად ან სახასიათო თვისებად წარმოგვიდგენენ და ამიტომ ისინიც ძირითადად უსრული ასპექტის ფორმით გვხვდებიან, ვერც ისინი გამოხატავენ სისრულის სემანტიკას.

28. მედიოაქტივად წოდებული ზმნა ფიზიკური, ემოციური და მენტალური მდგომარეობის აღმნიშვნელი პირველადი ზმნური ლექსემაა თანამედროვე ქართულში. მის პარადიგმატულ ფორმებში ბენეფაქტიურ-პოსესიური ი-პრეფიქსის გამოჩენა მდგომარეობის გამომხატველი ზმნის სემანტიკური თავისებურებებით არის განპირობებული და, აქედან გამომდინარე, ე.წ. მედიოაქტივის მიჩნევა რომელიმე ტიპის უკუქცევითად გაუმართლებელია, რადგან ნებისმიერი უკუქცევითი ზმნა არა პირველადი, არამედ წარმოქმნილი ენობრივი ერთეულია, ლექსიკურად შესატყვისი გარდამავალი ზმნის ტრანსფორმია.

29. ტიპოლოგიური მონაცემების მიხედვით, სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად ხდება მდგომარეობის სემანტიკის ზმნური ფორმით გამოხატვა, შესაბამისად იმისა, თუ რომელ ფორმალურ ნიშნებს იყენებს ენა პოსესიური სემანტიკის მარკირებისათვის. ამ მარკერებით აღინიშნება სუბიექტის როლის შემსრულებელი მონაწილისათვის დასახელებული მდგომარეობის მიკუთვნება. ამდენად, თანამედროვე ქართულში პოსესიურობის ი-პრეფიქსის გამოჩენა მედიოაქტივად სახელდებულ მდგომარეობის აღმნიშვნელ გარდაუვალ ზმნებში ტიპოლოგიურად სავსებით კანონზომიერია. ი-პრეფიქსი, უკუქცევითობის სემანტიკის გამოხატვის გარდა, სიტყვაშემოქმედების პროცესშიც მონაწილეობს, მდგომარეობის აღმნიშვნელ ზმნათა „შექმნასაც“ ემსახურება ქართულ ენაში და მიუთითებს, რომ ბენეფაქტიურ-პოსესიურ მიმართებაშია ერთმანეთთან მედიოაქტიური ზმნით დასახელებული მდგომარეობა და ამ მდგომარეობაში მყოფი მონაწილე, რომელიც სუბიექტის როლშია წარმოდგენილი.

30. თუ გრამატიკული კატეგორია ენაში არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა რომელიმე ფუნქცია რეალიზდება გრამატიკული ფორმით, მდგომარეობის აღმნიშნელი ზმნებისა და მათი ი-პრეფიქსის ნაშრომში შემოთავაზებული ინტერპრეტაციის გაზიარების შემთხვევაში, ჩვენი აზრით, შესაძლებლია

თანამედროვე ქათულში მდგომარეობის გრამატიკული სიტყვაწარმოებითი კატეგორიის არსებობის საკითხის დასმა.

ფიზიკური, ემოციური და მენტალური მდგომარეობის აღმნიშვნელ მედიოაქტივებს თავისებური, არასრული, მაგრამ უღვლილების საკუთარი პარადიგმა გააჩნიათ თანამედროვე ქართულში.

გამოყენებული ლიტერატურა

ამირიძე 2002 – N. Amiridze, T. Leuschner, Body-part nouns as a source of reflexives. Towards a grammaticalization of Georgian tav – "head", STUF, 55, 3, Berlin, 2002.

აპრესიანი 1974 – Ю. Апресян, Лексическая семантика (Синонимические средства языка), М., 1974.

არაბული 2001 – ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუძექმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბ., 2001.

არონსონი 1982 – H. Aronson, On the status of version as a grammatical category in Georgian, "Folia Slavica", V, 1–3, 1982.

ასათიანი 1991 – რ. ასათიანი, გვარის მორფოლოგიური კატეგორია ქართულსა და ქართველურ ენებში, ტიპოლოგიური ძიებანი, თბ., 1991.

ასათიანი 1994 – რ. ასათიანი, ქართველურ ენათა ტიპოლოგიის საკითხები (გრამატიკულ კატეგორიათა სისტემაში დომინანტური კატეგორიის დადგენის თვალსაზრისით), თბ., 1994.

ასათიანი 1998 – რ. ასათიანი, „ნებელობის“ სემანტიკური კატეგორიის გამოხატვა ქართულ ზმნებში, ს.ს. ორბელიანის სახ. თბილისის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, თბ., 1998.

ასათიანი 2001 – R. Asatiani, Conceptual structure of reflexive and middle, Proceedings of the 4th international symposium on LLC, Amsterdam, JLLC Scientific publication, 2001.

აფრიდონიძე 1986 – შ. აფრიდონიძე, სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში, თბ., 1986.

ბაბკოკი 1970 – S. Babcock, The Syntax of Spanish reflexive verbs, Paris, 1970.

ბაბუნაშვილი 1986 – ე. ბაბუნაშვილი, საშუალო გვარის ზმნებთან დაკავშირებული ზოგი საკითხისათვის ქართულში, ენათმეცნიერება, 10, თბ., 1986.

ბარათაშვილი 2013 – ზ. ბარათაშვილი, დიათეზა და გვარის კატეგორია ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, 2013, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ბარამიძე 2001 – ლ. ბარამიძე, სტატიკური ვნებითი ძველ ქართულში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 30, თბ., 2001.

ბასილაია 1984 – ლ. ბასილაია, ასპექტის წარმოება და მომავალი დროის გამოხატვის საშუალებანი XI–XIII საუკუნეთა ისტორიულ საბუთებში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 24, თბ., 1984.

ბენვენისტი 1974 – Э. Бенвенист, Общая лингвистика, М., 1974.

ბისტროვი, სტანკევიჩი 1981 – И. Быстров, Н. Станкевич, Залоговые конструкции во въетнамском языке, "Залоговые конструкции в разноструктурных языках", Л., 1981.

ბოედერი 1968 – W. Boeder, Über die Versionen des georgischen Verbs, "Folia Linguistica", Acta Societatis Linguisticae Europaeae, II, 1968.

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 – თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

გამყრელიძე 1979 – თ. გამყრელიძე, ზმნის „პირიანობა“ და „ვალენტობა“, საენათმეცნიერო კრებული მიძღვნილი გივი მაჭავარიანის ხსოვნისადმი დაბადების 50 წლისთავზე, თბ., 1979.

გამყრელიძე, ივანოვი, 1984 – Т. Гамкрелидзе, Вяч. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, I, Тб., 1984.

გამყრელიძე და სხვ. 2003 – თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003.

გენიუშენე 1981 – Э.Т. Генюшене, К теории описания рефлексивных глаголов, "Залоговые конструкции в разноструктурных языках", Л., 1981.

გეურქოვა 1971 – ე. გეურქოვა, კაუზატივის წარმოება ქართულსა და ზოგ მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, 1971.

გიორგობიანი 1997 – თ. გიორგობიანი, უკუქცევითობა, საშუალი გვარი ბერძნულში და სათავისო ქცევა ქართულში, საენათმეცნიერო ძიებანი, VI, 1997.

გიორგობიანი 1998 – თ. გიორგობიანი, ზმნის ძირითადი კატეგორიებისათვის ბერძნულში, თბ., 1998.

გოგოლაშვილი 1988 – გ. გოგოლაშვილი, ზმნის უღვლილების სისტემა, თბ., 1988.

გოროდეცკი 1969 – Б. Городецкий, К проблеме семантической типологии, М., 1969.

გრინბერგი 1970 – Дж. Гринберг, Некоторые грамматические универсалии, преимущественно касающиеся порядка значимых элементов, "Новое в Лингвистике", Вып. V, М., 1970.

გრინბერგი 1978 – J. Greeberg, Typology and Cross-Linguistic Generalizations, "Universals of Human Language", I, Stanford, 1978.

დამენია 2003 – მ. დამენია, ვერსია (ანუ ქცევა) როგორც ქართული ზმნის გრამატიკული კატეგორია, ენათმეცნიერების საკითხები, 1, თბ., 2003.

ენუქიშვილი 1978 – რ. ენუქიშვილი, საშუალო გვარის საკითხისათვის ქართულში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 2, 1978.

ენუქიშვილი 1974 – Р. Энукишвили, Глаголы среднего залога в древнегрузинском языке (Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук), Тб., 1974.

ერთელიშვილი 1965 – ფ. ერთელიშვილი, ქცევის საკითხისათვის ქართულში, „თბილისის უნივერსიტეტის შრომები“, ტ. 114, 1965.

ვახტინი 1981 – Н. Вахтин, Рефлексив в эскимосском языке, "Залоговые конструкции в разноструктурных языках", Л., 1981.

ვეტცერი 1996 – H. Wetzer, The Typology of Adjectival Predication, "Mouton de Gruyter", Berlin, 1996.

იაკობსონი 1963 – Р. Якобсон, Типологические исследования и их вклад в сравнительно-историческое языкознание, "Новое в Лингвистике", Вып. III, Л., 1963.

იანკო-ტრინიცკაია 1962 – Н. Янко-Триницкая, Возвратные глаголы в современном русском языке, М., 1962.

ივანიშვილი, სოსელია 2002 – მ. ივანიშვილი, ე. სოსელია, ქართული პასიური კონსტრუქციის ზოგიერთი მორფო-სინტაქსური და სემანტიკური თავისებურება, ენათმეცნიერების საკითხები 4, თბ., 2002.

იმნაიშვილი 1990 – გრ. იმნაიშვილი, ქართული ზმნის გვარის კატეგორიის შესწავლის ისტორიიდან, იკე, 29, 1990.

კიკნაძე 1947 – ლ. კიკნაძე, ძირეული და ნასახელარი ზმნები ქართულში, „თბილისის უნივერსიტეტის შრომები“, XXVIII, 1947.

კლიმოვი 1977 – Г. Климов, Типология языков активного строя, М., 1977.

კოზინცევა 1981 – Н. Козинцева, Рефлексивные глаголы в армянском языке, "Залоговые конструкции в разноструктурных языках", Л., 1981.

კომრი 1987 – B. Komrie, Language Universals and Linguistic Typology, Syntax and Morphology, Oxford, 1987.

კორდი 1977 – Е. Корди, Рефлексивные и рефлексивно-посессивные глаголы во французском языке, "Проблемы лингвистической типологии и структуры языка", Л., 1977.

კორდი 1981 – Е. Корди, Деривационная, семантическая и синтаксическая классификация местоименных глаголов французского языка, "Залоговые конструкции в разноструктурных языках", Л., 1981.

კორტავა 1981 – ი. კორტავა, პერფექტი ინდოევროპულ და ქართველურ ენებში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1, 1981.

კროფტი 1990 – W. Croft, Typology and Universals, Cambridge, 1990.

ლაკოფი 1965 – G. Lakoff, Deep and Surface Grammar, Cambridge, Mass. 1965.

ლევინი 1993 – B. Levin, English Verb Classes and Alternation, Chicago, 1993.

მარი 1925 – Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.

მაჭავარიანი 1954 – გ. მაჭავარიანი, ზმნის ძირითადი კატეგორიები ქართველურ ენებში (სადისერტაციო ნაშრომი), 1954.

მაჭავარიანი 1958 – გ. მაჭავარიანი, „უნიშნო“ ვნებითები ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, 1958.

მაჭავარიანი 1988 – გ. მაჭავარიანი, კაუზატივის კატეგორია ქართველურ ენებში, იკე, XXVII, 1988.

მაჭავარიანი 2002 – გ. მაჭავარიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა (ლექციების კურსი), თბ., 2002.

მაჭავარიანი 1980(ა) – მ. მაჭავარიანი, რეფლექსივისა და ქცევის კატეგორიების მიმართებისათვის, თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 1980.

მაჭავარიანი 1980(ბ) – მ. მაჭავარიანი, ქცევის კატეგორიის საკითხისათვის, იკე, ტ. XXII, თბ., 1980.

მაჭავარიანი 1987 – მ. მაჭავარიანი, ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა, თბ., 1987.

მეიე 1938 – А. Мейе, Введение в сравнительно-историческое изучение индоевропейских языков, М.–Л., 1938.

მელიქიშვილი 2001 – დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001.

მელიქიშვილი 1991 – И. Меликишвили, Перфект в картвельском и индоевропейском, "Историческая лингвистика и типология", М., 1991.

მელიქიშვილი 2002 – ი. მელიქიშვილი, ქცევა, როგორც ასპექტურ დაპირისპირებათა გამოხატვის საშუალება ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, 4, თბ., 2002.

მელჩუკი 2001 – И. Мельчук, Курс общей морфологии, т. I, 1997, т. II, 1998, т. III, 2000, т. IV, 2001.

მელჩუკი 2006 – I. Mel'čuk, Aspects of the Theory of Morphology, Trends in linguistics 146, Mouton de Gruyter, Berlin/New York.

მეტრეველი 2000 – ნ. მეტრეველი, ქცევასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, ძვ. ქართული ენის კათედრის შრომები, თბ., 2002.

მშვიდობაძე 1990 – რ. მშვიდობაძე, მეტყველება გაუცნობიერებელი ფორმალური პარამეტრების ფსიქოლოგიური ფუნქციები, თბ., 1990.

ნებიერიძე 1976 – გ. ნებიერიძე, ქცევის კატეგორია ქართულში, მაცნე, 4, ენისა და ლიტერატურის სერია, 1976.

ნებიერიძე 1984 – გ. ნებიერიძე, გვარისა და კაუზატივის ურთიერთმიმართება ქართულში, საენათმეცნიერო კრებული, I, თბ., 1984.

ნედიალკოვი 1988 – V. Nedialkov, Typology of Resultative Constructions, "Typological Studies in Language", 12, Amsterdam, 1988.

ნოზაძე 1974 – ლ. ნოზაძე, მედიაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იკე, XIX, 1974.

ნოზაძე 2005 – ლ. ნოზაძე, ისევ მედიოაქტიური ზმნების შესახებ ქართულში, იკე, XXXV, 2005.

ოგლობლინი 2001 – А. Оглоблин, Преобразование предложения в атрибутивную группу в индонезийском языке. Тезисы докладов Международной Конференции, СПб., 2001.

ონიანი 1978 – ალ. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ., 1978.

ონიანი 1998 – ალ. ონიანი, სვანური ენა, თბ., 1998.

პაიჭაძე 1993 – მ. პაიჭაძე, რეფლექსურობის და ქცევის (ვერსიის) კატეგორიები თანამედროვე გერმანულ ენაში, მაცნე, 3–4, ენისა და ლიტერატურის სერია, 1993.

პერელმუტერი 1978 – И. Перелмутер, Общеиндоевропейский и греческий глагол, Л., 1978.

პორტნერი და პარტი 2002 – P. Portner and B. Partee, Formal Semantics, Oxford, 2002.

პოსტალი 1977 – P. Postal, Antipassive in French, Proceedings of the 7th Annual Meeting of the North-East Linguistic Society, Cambridge. Mass, 1977.

რამატი 1987 – P. Ramat, Linguistic Typology, Berlin–New-York–Amsterdam, 1987.

რუსული ენის გრამატიკა 1952 – Грамматика русского языка, т.1,М.,Изд-во АН СССР, 1952.

სახოკია 1985 – М. Сахокия, Посессивность, переходность и эргативность. Типологические сопоставление древне-персидских, древне-армянских и древне-грузинских конструкций, Тб., 1985.

სახოკია 2000 – მ. სახოკია, სემანტიკური ფაქტორები და გრამატიკული არგუმენტაცია მორფოსინტაქსში, ტიპოლოგიური ძიებანი, თბ., 2000.

სემერენი 1980 – О. Семереньй, Введение в сравнительное языкознание, М., 1980.

სილვერსტაინი 1976 – M. Silverstein, Hierarchy of Features and Ergativity,In: Grammatikal Categories in Australian Languages, edited by R.M.W. Dixon, Australian Institutte of Aboriginal and New Jersy:Humanities Press, Camberra.

სოსელია, ქარქაშაძე 2013 – ე. სოსელია, მ. ქარქაშაძე, თავისებური ი-ხმოვანპრეფიქსიანი ზმნური ფორმები ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, 2013, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სტასენი 2003 – L. Stassen, Intransitive Predication, "Oxford University Press", Oxford, 2003.

სუხიშვილი 1976 – მ. სუხიშვილი, სტატიკური ზმნები ქართულში, თბ., 1976.

სუხიშვილი 1979 – მ. სუხიშვილი, უახლოესი ობიექტისა და სუბიექტის გაუჩინარება გარდამავალი ზმნის შემცველ შესიტყვებაში, იკე, ტ. XXI, თბ., 1979.

სუხიშვილი 1999 – მ. სუხიშვილი, გარდამავლობა, ერგატიულობა და გვარი ქართულში, ავტორეფერატი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომისა, თბ., 1999.

სუხიშვილი 2005 – მ. სუხიშვილი, სემანტიკისა და უღვლილების პარადიგმების მიმართების შესახებ მედიოაქტიურ ზმნებში, იკე, XXXV, 2005.

ტენიერი 1988 – Л. Теньер, Основы структурного синтаксиса, М., 1988.

უთურგაიძე 2002 – თ. უთურგაიძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბ., 2002.

უსპენსკი 1965 – В. Успенский, Структурная типология языков, М., 1965.

უსპენსკი 1977 – В. Успенский, К понятию диатезы, "Проблемы лингвистической типологии и структура языка", Л., 1977

ულმანი 1970 – С. Ульман, Семантические универсалий, Новое в Лингвистике, Вып. V, М., 1970.

ფეიქრიშვილი 1977 – ჟ. ფეიქრიშვილი, საშუალი გვარის ზმნათა ერთი ჯგუფის წარმოებისათვის, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 4; 1977.

ფილმორი 1968 – Ch. Filmore, The case for case, "Universals in Linguistic Theory", London–New York–Sydney–Toronto, 1968.

ფოცხიშვილი 1969 – ალ. ფოცხიშვილი, უნებლიობის კატეგორია ქართულ ზმნაში, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი გიორგი ახვლედიანის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბ., 1969.

ფოცხიშვილი 2000 – ალ. ფოცხიშვილი, ქართული ენა, თბ., 2000.

ფუტკარაძე 2004 – ე. ფუტკარაძე, საშუალო გვარის ზმნათა ერთი ჯგუფის წარმოების საკითხისათვის, ახალი მემკვიდრეობა, VIII, თბ., 2004.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1990.

ქარქაშაძე 2005 – მ. ქარქაშაძე, ი-პრეფიქსის ფუნქცია ქართულ მედიოაქტიურ ზმნებში, ტიპოლოგიური ძიებანი, V, თბ., 2005.

ქარქაშაძე 2007 – მ. ქარქაშაძე, მედიოაქტივებისა და გარდამავალი უკუქცევითი ზმნების ურთიერთმიმართება თანამედროვე ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, 1–2, 2007.

ქარქაშაძე 2010 – მ. ქარქაშაძე, ობიექტჩართული ზმნები და მედიოაქტივები თანამედროვე ქართულში (I ნაწილი), ენათმეცნიერების საკითხები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.

ქარქაშაძე **2014** – М. Каркашадзе, Грузинский медиоактивный глагол, Rules and Exceptions, Contemporary Studies in Descriptive Linguistics, vol.34,Edited by DR GRAEME DAVIS and KARL A. BERNHARDT, Peter Lang AG, International Academic Publishers, Bern,2014.

შანიძე 1930 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, I, მორფოლოგია, თბ., 1930.

შანიძე 1980 – ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1980.

შმიდტი 1972 – კ. შმიდტი, ინდოგერმანულის მედიუმი და სათავისო ქცევა ქართულში, მიმომხილველი 6–9, 1972.

შოპენი 1985 – T. Shopen, Language Typology and Syntactic Description, Cambridge, 1985.

ჩეიფი 1975 – У. Чеиф, Значение и структура языка, М., 1975.

ჩერჩი 2000 – M. Cherchi, The properties of certain classes of indirect verbs and passives of state in Modern Georgian, München, 2000.

ჩიქობავა 1938 – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.

ჩიქობავა 1948 – არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948.

ჩიქობავა 1981 – არნ. ჩიქობავა, ზმნის გარდამავლობისა და გვარის კატეგორიის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართველურ ენებში, იკე-ს წელიწადეული, 8, 1981.

ჩომსკი 1972 – Н. Хомский, Язык и мышление, М., 1972

ჭუმბურიძე 1986 – ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986.

ხოლოდოვიჩი 1970 – А. Холодович, Категория залога, Л., 1970.

ხრაკოვსკი 1981 – В. Храковский, Диатеза и референтность, "Залоговые конструкции в разноструктурных языках", Л., 1981.

ჯოზეფი 1979 – B. Joseph, On the Agreement of Reflexive Forms in English, "Linguistics", 17, 1979.

ჯორბენაძე 1975 – ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975.

ჯორბენაძე 1983 – ბ. ჯორბენაძე, ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბ., 1983.

ჯორბენაძე და სხვ. 1988 – ბ. ჯორბენაძე, ბ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.

ჰარისი 1981 – Alice C. Harris, Georgian Syntax, A Study in Relational Grammar, Cambridge, 1981.

ჰასპელმათი 2002 – M. Haspelmath, Understanding Morphology, London, 2002.

ჰოკეტი 1970 – Ч. Хоккетт, Проблема языковых универсалий, "Новое в Лингвистике", Вып. V, М., 1970.

ჰოკეტი 1961 – Ch. Hockett, Linguistic elements and their relations, – Lg., 37, 1961.

ჰოლისკი 1981 – D. Holisky, Aspect and Georgian Medial Verbs, Delmar, New York, 1981.

ჰოლისკი 1987 – D. Holisky, The case of intransitive subject in Tsova-Tush, "Lingva", 71, 1987.